

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

კაოლო იაუვილის

ცხოვრება და შემოქმედება

გამომცემლობა „საჭურჭლი“
ქუთაისი — 1995

წიგნში გაანალიზებულია მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის გამორჩენილი ოსტატის — პაოლო იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. მდიდარი საარქივო დოკუმენტების, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე მონოგრაფიაში ახლებურადაა შეფასებული მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ცალკეული მომენტები, სიღრმისეულადაა წარმოდგენილი პოეტის დევიზი ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში.

წინამდებარე ნაშრომისათვის ავტორს მიეკუთვნა ილია ქავკავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის 1993 წლის პრემია.

რედაქტორი ბიორგი მერაპვილაძე

რეცენზენტები: ღაპით თევზაძე
 ოთარ ბიორვაძე

წ ი ნ ა ტ ქ მ ა

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში არც ერთ ლიტერატურულ ჯგუფს არ გამოუწვევია ისეთი მძაფრი ინტერესი, როგორც „ცისფერყანწელებისას“. ამ დაჯგუფების მიმართ ცხოველ დაინტერესებას იჩენდნენ და იჩენენ როგორც მათი თანამედროვენი, ისე მომდევნო თაობებიც. ეს ინტერესი, განსაკუთრებით ადრეულ ხანაში, ერთგვაროვანი არ ყოფილა. „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებით მოხიბლული და აღფრთოვანებული მკითხველების გვერდით მრავლად იყვნენ მოწინააღმდეგენიცა და მათი ღვაწლის უარყოფელნიც.

ათიანი წლების მეორე ნახევარში დამკვიდრებული ამ ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლებმა მეტად რთული, წინააღმდეგობრივი გზა განვლეს. ეს სირთულე, უპირველეს ყოვლისა, საბჭოური ეპოქის იდეოლოგიური პრინციპების დამკვიდრებით თავსმობვეული, ტრაგიკული ფორმით გამოიხატა მათ პირად ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც.

ამ ტრაგიკული ისტორიის ყველაზე სისხლიან გამოვლინებად იქცა „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფების თავკაცთა — პაოლო იაშვილისა და ტიცთან ტაბიძის საბედისწერო აღსასრული 1937 წელს. სანდრო ცირეკიძემ და შალვა კარმელმა უფრო ადრე დაასრულეს თავიანთი უსიხარულო სიცოცხლე.

არც გადარჩენილთა ცხოვრება ყოფილა „ია-ვარდით მოფენილი“. ბევრი მათგანი იძულებული იყო. სიცოცხლის შესანარჩუნებლად კოშპრომისის გზას დადგომოდა და საკუთარი რწმენის საპირისპიროდ წარემართა თავისი შემოქმედებითი ენერგია. სწორედ ამისი შედეგია ის გარემოება, რომ 30-იანი წლებიდან მოყოლებული, მათი ლიტერატურ-

რული მემკვიდრეობა, არცთუ იშვიათად, გაორებულია და შინაგანად წინააღმდეგობრივი.

პაოლო იაშვილისა და მისი მეგობრების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, დაწყებული ათიანი წლებიდან, სამოღვაწეო ასპარეზზე მათი გამოსვლის დროიდან, მრავალი მნიშვნელოვანი წიგნი, გამოკვლევა, წერილი თუ სხვა სახის მასალა გამოქვეყნდა. სხვადასხვა პერიოდში, განსხვავებული მსოფლმხედველობისა და ლიტერატურული გემოვნების ავტორების მიერ დაწერილ ამ ნაშრომებში სხვადასხვანაირად, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებიდანაა შეფასებული „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი ღვაწლი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ბევრი შეცდომა იყო დაშვებული 20—30—40—50-იან წლებში. მერე და მერე, ნელ-ნელა, ნათლად და მკაფიოდ გამოიკვეთა ქართველი სიმბოლისტების ლიტერატურული დამსახურება, გამოქვეყნდა მათი ტაბუდადებული ნაწარმოებები, მკითხველს დაუბრუნდა რეპრესირებულ მწერალთა შემოქმედება...

ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა „„ცისფერყანწელთა“ შემოქმედების ობიექტურად და სიღრმისეულად შესწავლისათვის. ამ კუთხით მუშაობა უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. გამოიშვეურდა და ფართო საზოგადოებრიობისთვის ხელმისაწვდომი გახდა მრავალი უცნობი დოკუმენტური მასალა.

ამდაგვარი დაინტერესების ცენტრში ყოველთვის იყო მოქცეული „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის თავკაცის — პაოლო იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. პოეტის მოღვაწეობას არაერთი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორის, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ლალი ავალიანის მონოგრაფია „პაოლო იაშვილი“ („საბჭოთა საქართველო“, 1977 წ.). ასე რომ, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევისა და შესწავლის საქმეში თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული. მათი დაუნახველობა გაუმართლებელი უმადურობა და უკვე მოპოვებულ წარმატებათა დაუფასებლობა იქნებოდა.

ამას ასე ხაზგასმით აქ იმისთვის აღვნიშნავ, რომ მინდა ამთავითვე ნათლად გამოვკვეთო ჩემი პოზიცია: პაოლო იაშვილის ცხოვრებასა და

შემოქმედებაზე დაწერილი ეს მონოგრაფია წინამორბედ ავტორთა მეცნიერული ნაღვაწისადმი უდიდესი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით შეიქმნა. მასში სათანადოდ აისახა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერული კვლევა-ძიების პოზიტიური შედეგები, რასაც ნათლად დაინახავს დაინტერესებული მკითხველი.

ამასთან, შევეცადე, შეძლებისდაგვარად, გადამეფასებინა და ახლებურად წარმომეჩინა პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ზოგიერთი მომენტი და ჩემული თვალთახედვით გამეანალიზებინა პაოლოს პოეტური სამყარო, გამეაზრებინა იგი „ცისფერყანწელთა“, საერთოდ, XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზიის გამოჩენილ ოსტატთა შემოქმედებასთან კავშირ-ურთიერთობაში; მდიდარი საარქივო დოკუმენტებისა და იმდროინდელი პერიოდიკის შესწავლის შედეგად მიმეკვლია და მკითხველისათვის მიმეწოდებინა ახალი მასალები; კიდევ უფრო ნათლად მეჩვენებინა ისიც, როგორ წინააღმდეგობრივად მკვიდრდებოდა და ყალიბდებოდა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზრი პ. იაშვილის შემოქმედების შესახებ; სიღრმისეულად წარმომეჩინა პაოლოს ტრაგიკული აღსასრულის განმაპირობებელი მიზეზები და ა. შ.

როგორც ითქვა, ამ პრობლემებით ჩემამდეც ბევრი იყო დაინტერესებული და მათზე, ალბათ, მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება მუშაობა. ასე რომ, მე არც პირველმთქმელობის პრეტენზია მაქვს და არც საბოლოო ჭეშმარიტების დამდგენლად ვსახავ თავს. ამ შემთხვევაში ჩემი მიზანი სავსებით უბრალოა და მოკრძალებული: წინამდებარე მონოგრაფიით მინდა შეძლებისდაგვარად გავაანალიზო პ. იაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის არსებითი მომენტები.

ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს, როგორ გავართვი თავი ამ საპასუხისმგებლო ამოცანას და შევძინე თუ არა რაიმე ახალი პაოლო იაშვილის — ამ „ნაღმიანი პოეტური სიტყვის“ ოსტატის (გ. ლეონიძე) — ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეს.

ც ხ რ ვ რ ე ბ ი ს გ ზ ა

პაოლო (იგივე პავლე) იაშვილი საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში დაიბადა. მისი დაბადების თარიღად ხან 1894 წელია მითითებული, ხანაც 1895 წელი, მაგრამ საქართველოს მმჩის არქივსა და ქუთაისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტებით დგინდება, რომ პოეტის დაბადების ზუსტი თარიღია 1892 წლის 2 (14) აგვისტო.

პაოლოს დედა — ბაბილინე ბარონის ასული მდივანი, როგორც ნათლად ჩანს პოეტის ლექსებიდან, უაღრესად კეთილშობილი და სათნო ქალი ყოფილა, ღრმად მორწმუნე და სტუმართმოყვარე. მამა — ჯიბრაელ (ჯიბო) დავითის ძე იაშვილი წოდებით აზნაური, კიევში განსწავლული პროვიზორი იყო.

მრავალშვილიანი ოჯახი საკმაოდ შეძლებულად და ხელგაშლილად ცხოვრობდა. ჯიბოს ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს სტუმრები, განსაკუთრებით — პაოლოს მეგობრები. აქ მათ იზიდავდათ მასპინძლის ხელგაშლილობა და გულდიაობა. ჯიბო მომლხენი და ენამჭევრი თამადა იყო, დაუხარელი და შვილის მეგობრების მოსიყვარულე, დახვეწილი ინტელიგენტი და პოეტური ბუნების კაცი. კოლაუ ნადირაძის სიტყვებით, იგი ყოფილა „ახოვანი, ლამაზი და არაჩვეულებრივად დარბაისელი ადამიანი“, რომელიც „ხშირად ართმევდა თამადობას თავის ვაჟს და ბრწყინვალედ უძღვებოდა სუფრას“. თუმცა, კოლაუს სიტყვებითვე, ზოგჯერ სხვათაგან ფარულად, „რალაც სევდა გაუელვებდა თვალეში, რალაც გამოუთქმელი დარდი“ (კ. ნადირაძე, „რაც ლექსად ვერ ვთქვი“, 1984 წ. გვ. 82).

ჯიბოს მატერიალური სიძლიერის საფუძველი, უპირველეს ყოვლი-
სა, ის იყო, რომ იგი მთელს იმერეთში სახელგანთქმული ფარმაცევტი
გახლდათ, რევოლუციამდე საკუთარი აფთიაქის პატრონი. მის ადამიანურ
ბუნებას ემოციური შთამბეჭდაობით წარმოაჩენს პაოლოს ლექსი „აფ-
თიაქარი“, რომელშიც პოეტმა მამას — „გამოკვეთილი გარეგნობისა“ და
შინაგანი პოეტური მისწრაფებებით დამუხტულ კაცს — „ღირიკული
აფთიაქარი“ უწოდა.

როცა ჩამოდის მამა,
ჩამოაქვს სურნელი ერთი,
ჩამოაქვს ვაჟკაცს ლამაზს
უბრალო სუნი პიტნის წვეთის.
ახიურ ზამთრის კალოშს
ასდის წამლებს სუნი,
და ჩემს ოთახში გალობს
წ. შლის კეთების წკარაწყუნი.

გარდა არგვეთისა, ჯიბოს ორსართულიანი სახლი ჰქონდა აგრეთვე
ქუთაისშიც, ყოფილი კაზაკოვის (დღევანდელი პ. იაშვილის) ქუჩაზე,
სადაც ასევე ხშირად იკრიბებოდნენ პაოლოს მეგობრები. აქ, ამ სახლში,
ედო ბინა პაოლოს რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალებს — „ოქროს
ვერძსა“ და „ცისფერ ყანწებს“.

მამის ხასიათი გენეტიკურად გაგრძელდა მის შვილებშიც, განსა-
კუთრებით პაოლოში, რომელიც ხელგაშლით მასპინძლობდა მრავალ-
რიცხოვან სტუმრებს. მათ შორის ბევრი იყო უცხოელიც. ხშირად თავად
ღიასახლისობდაო, — იგონებს პოეტის ქალიშვილი მედეა.

ძალზე ყვარებია მშობლიური სოფელი, რომელსაც პატიოსნების,
კეთილშობილებისა და ადამიანური სიწმინდის საგანედ სახავდა. ეს ნათ-
ლად ჩანს მის პოეზიაში, სადაც მკვეთრად ემიჯნება ერთმანეთს ურბანი-
ზი და სოფლის იდილია. ქალაქის მიუსაფრობას, სასოწარმკვეთ მარ-
ტობას, სიცივესა და ზნეობრივ დაცემას პაოლოს ლექსებში გამოკვე-
თილად უპირისპირდება სოფლის პირველყოფილი პრიმიტივი და პატი-
ოსნება.

მაგრამ ურბანისტული მიუსაფრობისა და სიცივის მგომბელი პო-
ეტი დიდი ქალაქის ქუჩებს მაინც ვერა და ვერ განშორდა. ჯერ ქუთა-
ისში, შემდეგ კი თბილისში განვლო თითქმის მთელმა მისმა ცხოვრებამ.
აქ, ამ ხმაურიან გარემოში, მრავალრიცხოვან მეგობართა წრეში, ტრია-
ლებდა დღემუდამ და სოფელთან მისი ურთიერთობა უფრო ეგზოტიკუ-
რი ხასიათისა იყო. სოფელში, ბავშვობის შემდგომ, ფაქტობრივად, არც
უცხოვრია. სტუმრად თუ ჩავიდოდა მხოლოდ, ისიც მეგობრებთან ერთად,
სალხინოდ და ემოციების დასაცხრომად.

მამის სტუმართმოყვარეობისა და მატერიალური შეძლების ამბავი
კარგად იცოდნენ პაოლოს მეგობრებმა, ამიტომაც მიუხაროდათ მათაც
არგვეთისაკენ. შეკითხვაზე — როგორ ცხოვრობო? პაოლო სხარტად ნა-
თქვამი ექსპრომტით პასუხობდა თურმე: „ჯერ-ჯერობით — ჯიბოს ჯი-
ბით“.

პაოლოს გარდა, ჯიბოს ოთხი ვაჟი და ერთი ქალი ყოლია. პოე-
ტის ქალიშვილის — მედეას მოგონებით (იხ. გაზ. „თბილისი“, 1990 წ.
23 მაისი), ერთი მათგანი 1924 წელს დაუხვრეტიათ, პაოლო, როგორც
ცნობილია, 1937 წელს დაიღუპა, მესამე კი 1940 წელს გადაუსახლე-
ბიათ.

ეს ფაქტები ნათლად მეტყველებენ ჯიბო იაშვილის შვილების ტრა-
გიკულ ბედზე, იმაზე, რა რისხვა დაატეხა თავს ახალმა ეპოქამ მის
დიდ ოჯახს.

1900 წლის პირველი სექტემბრიდან პაოლო იაშვილი მშობლებმა
სასწავლებლად ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსამზადებელ ჯგუფში
მიაბარეს, შემდგომი წლიდან კი პირველ კლასში განაგრძო სწავლა.
პოეტის მოსწავლეობის შესახებ მრავალი საინტერესო დოკუმენტური მა-
სალაა დაცული საქართველოს საისტორიო არქივის ქუთაისის ფილიალ-
ში. ისინი ნათელს ფენენ იმ მძიმე ვითარებას, რომელიც სუფევდა მეო-
ცე საუკუნის დასაწყისის ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. პაოლოსთან
ერთად, იმხანად აქ სწავლობდნენ „ცისფერყანწელთა“ მომავალი ლი-
ტერატურული ჯგუფის გამოჩენილი წარმომადგენლები: ვალერიან გაფ-
რინდაშვილი და ტიციან ტაბიძე.

აქ მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო ერთ თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ მზაკვრული ქვეტექსტის მქონე დეტალს, ამ დოკუმენტების გაცნობისას რომ მოხვდება კაცს თვალში: გიმნაზიელი პავლე იაშვილის ანკეტაში, სხვა სავალდებულო მონაცემების გვერდით, ყოველთვის ხაზგასმითაა მითითებული, რომ იგი ეროვნებით იმერელია. როგორც ცნობილია, ქართველთა ამდაგვარი დაყოფა-დანაწევრება ისეთ „ეროვნებებად“, როგორებიცაა იმერელი, კახელი, სვანი, მეგრელი..., ჩვეულებრივი ამბავი იყო იმ დროისათვის.

ამ ფაქტით ერთხელ კიდევ ნათლად ვლინდება რუსული კოლონიალიზმის მზაკვრული პოლიტიკის არსი — ყოველი გზითა და საშუალებით დაეშალათ ეროვნული მთლიანობა, დაექვემდებარებინათ და დაენაწევრებინათ საქართველო ცალკეულ კუთხეებად, გამოეცალათ მისთვის ერთიანობის საფუძველი და დაემკვიდრებინათ შეგნება იმისა, თითქოს ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შვილნი განსხვავებული ეროვნებისანი იყვნენ. ასე გადადიოდა ეს თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტი დოკუმენტიდან დოკუმენტში და ქართველ კაცს დაჟინებით შეახსენებდა, რომელი „ეროვნების“ წარმომადგენელი იყო იგი — კახელი თუ იმერელი, მეგრელი თუ სვანი...

და კიდევ ერთი მომენტიც: სრული უგულვებელყოფა და უპატივცემულობა ქართული ენისადმი. გიმნაზიაში, რომელსაც გარუსებული ჩეხი ჩებიში დირექტორობდა, პედაგოგთა უდიდესი ნაწილი, თითო-ორიოლა გამონაკლისის გარდა, რუსები იყვნენ. სწავლებაც, ბუნებრივია, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. არათუ ქართულად სწავლა, ბავშვებს შესვენებაზეც კი ეკრძალებოდათ ქართულად საუბარი. ამ წესის დამრღვევს რა დღესაც აყრიდნენ, ამაზე აკაკის კარგად ცნობილი „ჩემი თავგადასავალიც“ მეტყველებს. ბავშვები, ასეა თუ ისე, ტანჯვა-წამებითა და ნერვების წყვეტით, სწავლობდნენ რუსულს. მათზე ცუდი დღე მშობლებს ადგათ, რომლებსაც სწავლის ქირის გადახდასთან ერთად, ერთი უსიამოვნო მოვალეობაც ჰქონდათ დაკისრებული: გიმნაზიის ხელმძღვანელობასთან საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად კარგი „მორუსულები“ ეძებნათ და მათ მიერ დაწერილი არსებით გამოეხატათ გულისნადები.

ასეთი განცხადებების წერა კი, როგორც ამ დოკუმენტებითაც ნათლად ჩანს, ხშირად იყო საჭირო. მოსწავლეებსა და გიმნაზიის ხელმძღვანელობას შორის ხან რა კონფლიქტი იჩენდა თავს და ხან რა. მშობლები გამუდმებით ემუდარებიან სასწავლებლის უფროსებს, გადაუვადონ სწავლის ქირის გადასახადი და ნუ გამოურიცხავენ შვილებს გიმნაზიიდან, ნუ დასჯიან მათ სხვადასხვა სახის „ბუნტში“ მონაწილეობისა და ბავშვური ცელქობისათვის და ა. შ.

ამგვარი შინაარსის განცხადებების დაწერა ჯიბო იაშვილსაც არაერთგზის მოუხდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახი მატერიალურ ხელმოკლეობას არ განიცდიდა, იგი ყოველთვის მაინც ვერ ახერხებდა სწავლის ქირის დროზე გადახდას, რაც წელიწადში 70 მანეთს — იმ დროისათვის საკმაოდ დიდ თანხას — შეადგენდა. ამის გამო პაოლო ოთხჯერ გაირიცხა გიმნაზიიდან: 1907, 1908 1909 და 1911 წლებში (ქუთაისის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 94, საქ. 4266, ფურც. 18-20). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლებელში საკმაოდ იყვნენ შექრთამე მასწავლებლები, რომლებიც აიძულებდნენ მოსწავლეებს ნიშნის მისაღებად ფული ეხადათ. ასეთი ყოფილა, მაგალითად, რუსული ენის პედაგოგი ვ. იურკევსკი, ვისგანაც ბავშვებს სისხლი ჰქონიათ გამშრალი.

პაოლოს გარდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ჯიბოს სხვა შვილებიც სწავლობდნენ: მიხეილი, კონსტანტინე, ვასილი და ივანე. მამის თხოვნით, პაოლოსა და მის ძმებს სენატის 1910 წლის 28 მაისის ბრძანებით აზნაურის წოდება მიენიჭათ (იქვე, ფონდი 1, საქ. 7022, ფურც. 11-12).

კლასიკური გიმნაზია იმდროინდელი ქუთაისის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მძლავრი კერა იყო. მოსწავლეები აშკარა გულისწყრომას გამოხატავდნენ ხელისუფლების მიმართ, ავრცელებდნენ პროკლამაციებსა და არალეგალურ ლიტერატურას, საიდუმლოდ ცემდნენ ხელნაწერ ჟურნალებს, მართავდნენ ფარულ შეკრებებს. ერთი სიტყვით, მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულის ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებში მძლავრი ეროვნული თვითშეგნება ღვიოდა.

ისინი არ ეპუებოდნენ სასწავლებლის ხელმძღვანელობისა და მთავრობის სადამსჯელო ღონისძიებებს.

მოწაფეთა ეროვნულ-პატრიოტული სულიკვეთება კიდევ უფრო გაძლიერდა 1905 წლის რევოლუციის მოახლოების შედეგად. პაოლოც, მიუხედავად ყმაწვილკაცობისა, აქტიურად იყო ჩართული ამ მოვლენებში. მართალია, ბევრი რამ ჯერ-ჯერობით მას ამ დროისათვის სიღრმისეულად გაცნობიერებული არ ჰქონდა, მაგრამ სულითა და გულით იგი იმათ გვერდით იდგა, ვინც ეროვნული თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის იბრძოდა. გიმნაზიის ხელმძღვანელები შეშფოთებული იყვნენ მოსწავლეთა ამ მოძრაობით. ისინი ყველანაირ საშუალებას მიმართავდნენ „ბუნტოვნიკების“ დასაშოშმინებლად და პროტესტანტული განწყობილების ჩასახშობად: აწესებდნენ ფარულ მეთვალყურეობას, ჰყავდათ თავიანთი ჯაშუშები მოსწავლეთა შორის, ურჩ ბავშვებს გიმნაზიიდან რიცხავდნენ, ან „კარცერში“ სვამდნენ.

გავეცნოთ, თუნდაც, 1904 წლის 31 იანვარს გამართული გიმნაზიის პედსაბჭოს სხდომის ოქმს, სხდომისა, მდინარე წყალწითელაზე მოსწავლეთა საიდუმლო თავშეყრის ფაქტს რომ მიეძღვნა. მასწავლებლები შეშფოთებულნი საუბრობენ მოწაფეთა ამ საშიში შეკრების შესახებ, როძელიც, დირექტორისთვის გაგზავნილი ანონიმური წერილი-გაფრთხილების შეტყობინების მიხედვით, პირველ თებერვალს უნდა გამართულიყო. გადაწყდა მკაცრი მეთვალყურეობის დაწესება. ზედამხედველებად გამოყვეს მასწავლებლები იურკვესკი და ზუსოვი (იქვე, ფ. 94, საქ. 7987, ფ. 2).

ამ ოქმიდან, ხელისუფლებისადმი გაგზავნილი დეპეშებიდან და ახსნა-განმარტებებიდან ნათლად ჩანს გიმნაზიის ხელმძღვანელობის შეშფოთება. ოფიციალურ წრეებს მოსვენება აქვთ დაკარგული მოსწავლეებში ეროვნული თვითშეგნების „საბედისწერო“ გამოღვიძების გამო, ყოველნაირად ცდილობენ საფუძველშივე აღკვეთონ მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა, დააფრთხონ და დააშინონ როგორც ბავშვები, ისე მათი მშობლებიც. მაგრამ არაფერი გამოდის. საპროტესტო მოძრაობის ტალღა დღითიდღე ძლიერდება. განსაკუთრებით აქტიურობს ვალერიან

გაფრინდაშვილი, რომელიც კარცერშიც მრავალჯგზის მოხვედრილა ამის გამო.

1904 წლის 2 თებერვალს გიმნაზიის დირექტორმა საიდუმლო დეპეშით აცნობა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს მოსწავლეთა მღელვარების ამბავი. ჩებიში შემოფოთებული იტყობინებოდა, რომ უფროსკლასელთა დიდმა ნაწილმა მეცადინეობა შეწყვიტა და საპროტესტო გამოსვლებს მართავდა ქუჩებში. ხვალ უფრო დიდი უწყსრიგობაა მოსალოდნელიო, — წერდა აფორიაქებული დირექტორი და დაჟინებით ითხოვდა რამდენიმე დღით მეცადინეობის შეწყვეტის ნებართვას (იქვე, ფურც. 3-10).

პასუხად, 5 თებერვალს, ჩებიში ლებულობს ოლქის მზრუნველის მრადგილის დეპეშას. იგი თავს იკავებს მეცადინეობის შეწყვეტაზე, მაგრამ წესრიგის დასამყარებლად დირექტორს ავალებს, გამოიძახოს მშობლები და მათი დახმარებით აღკვეთოს მოსწავლეთა თავგასულობა, დაემუქროს მათ შვილებს სასწავლებლიდან გარიცხვით. აქვე იმასაც მიუთითებს, რომ საქმეში ჩარიოს ქალაქის გუბერნატორიც და ამ გზით მიაღწიოს ვითარების მოწესრიგებას.

მაგრამ არაფერი გამოდიოდა. მოსწავლეთა დამორჩილება ასე იოლი არ იყო. მათი დაშინება 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შედეგადაც კი ვერ მოხერხდა. ამაზე ნათლად მეტყველებს რეაქციის წლების ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარი არაერთი ღირსშესანიშნავი ფაქტიც, რომლებიც მკაფიოდ გამოხატავენ მოსწავლეთა მაღალ ეროვნულ თვითშეგნებას. ასეთია, მაგალითად, აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნა გიმნაზიელთა მიერ, რასაც დიდი უსიამოვნება მოჰყვა. ამ ღონისძიების ჩასატარებლად მზადება მოსწავლეებმა 1908 წლის ნოემბერში დაიწყეს. გიმნაზიის ხელმძღვანელობა მკაცრ მეთვალყურეობას აწესებს ამ სამუშაოსზე, მაგრამ პასუხისმგებლობის მთლიანად აღებას მაინც ვერ ბედავს, ნებართვას კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან ითხოვს და სისტემატურად იღებს მისგან წერილობით კონსულტაციებს, რა გააკეთოს და როგორ.

იუბილე 1909 წლის 19 იანვარს გაიმართა და მას თავად აკაკიც ესწრებოდა. შეხვედრაში აქტიურად იყვნენ ჩართული მოწაფეები, მათ შორის მეექვსეკლასელი პაოლოც, რომელიც „პატარა კახის“ ინსცენირებაში იღებდა მონაწილეობას. ყველაფერმა დიდებულად ჩაიარა. საოცარი აღფრთოვანება სუფევდა დარბაზში. სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა დიდი მგოსანი. მაგრამ, რომ იტყვიან, ფონი გასავალს იყო. გიმნაზიის ხელმძღვანელობა უსაზღვროდ აღაშფოთა ღონისძიების პატრიოტულმა სულისკვეთებამ. განსაკუთრებული რისხვა გამოიწვია მერვე კლასელი მოსწავლის აკაკი შანიძის სიტყვამ, რომელშიც არაორაზროვნად გამოიხატა გულისტკივილი საქართველოს ეროვნული თავისუფლების დაკარგვისა და რუსული კოლონიალიზმის უმძიმესი შედეგების გამო. ამ ფაქტის შეფასებას გიმნაზიის ხელმძღვანელობამ სპეციალური სხდომა მიუძღვნა, სადაც გულისწყრომით დაგმეს ა. შანიძის გამოსვლა. ითქვა, რომ იგი ამისათვის უმკაცრეს სასჯელს — სასწავლებლიდან გარიცხვას — იმსახურებდა, მაგრამ „ღმობიერება“ გამოიჩინეს და სასტიკი საყვედური გამოუცხადეს უკანასკნელი გაფრთხილებით (იხ. ცსსაქფ, ფონ. 94, საქ. 4279, ფურც. 192. საქ. 4473, ფურ. 1; საქ. 8064, ფურ. 5).

კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა მოსწავლეთა მღელვარებამ შავრაზმელი მასწავლებლის — კუსტინოვიჩის საქციელის გამო. 1910 წლის ათ თებერვალს გიმნაზიის მასწავლებელმა კუსტინოვიჩმა მეექვსე კლასელი მოსწავლეები, რომლებიც ერთმანეთს ქართულად ესაუბრებოდნენ, მკაცრად დატუქსა, რას ყვეფთ ძალღებვიით, ახლავე შეწყვიტეფ ლაპარაკიო. ამ ფაქტმა, ქართული ენისადმი ამდაგვარმა დამოკიდებულებამ, რაც ბევრი შავრაზმელი მასწავლებლის პოზიციასაც გამოხატავდა, მოსწავლეთა უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია. მეტისმეტად გამწვავდა ვითარება. მღელვარებამ მოიცვა არა მარტო გიმნაზია, არამედ მთელი ქალაქი. რა გზასა და საშუალებას არ მიმართა ხელისუფლებამ მღელვარების ჩასაცხრომად, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანებით კუსტინოვიჩი გიმნაზიიდან გაათავისუფლეს (ცსსაქფ, ფონ. 94, საქ. 4136, ფურ. 242-243, 260-268).

ბევრი მსგავსი ფაქტის გახსენება შეიძლება პაოლო იაშვილის მოწაფეობის დროინდელი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ცხოვრებიდან. ეს მოვლენები, ბუნებრივია, უდიდეს ზეგავლენას ახდენენ პოეტის ეროვნული თვითშეგნებისა და მსოფლმხედველობის ფორმირებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გიმნაზიაში მრავლად იყვნენ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები. მათ შორის: ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, ა. შანიძე, ვ. მაიაკოვსკი და სხვები. ისინი თავიდანვე დაუმეგობრდნენ ერთმანეთს და აქტიურად ჩაებნენ ლიტერატურულ საქმიანობაში, ცემდნენ ხელნაწერ ჟურნალებს, სადაც თავიანთ ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ.

განსაკუთრებული მეგობრული სიახლოვე დამყარდა პაოლოს, ტიციანსა და ვალერიან გაფრინდაშვილს შორის. გიმნაზიაში დაწყებული ეს მეგობრობა კიდევ უფრო გაღრმავდა შემდგომ წლებში, ლიტერატურულ შეხედულებათა თანამოაზრეობად იქცა და საფუძვლად დაედო ჩვენი მწერლობის ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი დაჯგუფების — „ციხფერი ყანწების“ — დამკვიდრებას.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, პაოლო სწავლისადმი მაინცადამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა. ამაზე მეტყველებს ის შეფასებანი, რომელთაც იგი ლებულობდა ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში. მაგალითად, გიმნაზიის ექვსი კლასის დამთავრების მოწმობიდან ვგებულობთ, რომ გარდა ორი საგნისა (სალეთო სჯული და ქართული ენა) მას ყველა საგანში „სამიანი“ შეფასება ჰქონია. ეტყობა, მომავალი პოეტი უფრო თვითგანვითარებით იყო დაინტერესებული და ნაკლებად იზიდავდა სასწავლო პროგრამით სავალდებულო საგნების შესწავლა. სამაგიეროდ ბევრს კითხულობდა, საფუძვლიანად ეცნობოდა ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში პაოლო 1911 წლის 14 ივნისამდე სწავლობდა. 1910-11 სასწავლო წელს მემვიდევკლასელებმა, მათ შორის, პ. იაშვილმაც, რუსულ ენაში საგამოცდო თემების შესყიდვის მიზნით, ორმოცი მანეთი შეაგროვეს. შეგროვილი თანხა ბავშვებს მასწავლებელ ვ. იურკვესკისათვის უნდა გადაეცათ. ეს ამბავი ცნობილი გახდა დირექტორისათვის, რომელმაც გამოყო კომისია ინსპექტორ ნ. სადიკოვი-

სა და მეშვიდე კლასის დამრიგებლის — გედეონ წერეთლის ხელმძღვანელობით. კომისიამ მექრთამეობის ფაქტი ვერ დაადასტურა, რადგანაც საქმეში ჩაერია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი, რომელმაც დაიცვა მასწავლებელი. იურკევსკი გაამართლეს, მოსწავლეები დასაჯეს, კომისიის წევრებს კი საყვედური გამოუცხადეს ფაქტის „ტენდენციური შესწავლისათვის“. დირექტორის ბრძანებით, მოსწავლეები ა. ხაბურძანია, ა. ხუხია, ი. ბახტაძე და პ. იაშვილი გარიცხეს გიმნაზიიდან და აუკრძალეს ქუთაისის გუბერნიაში სწავლა (იხ. „საისტორიო მოამბე“, 37-38, 1978 წ. გვ. 109).

ამით დასრულდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში პაოლოს სწავლის პერიოდი. 1911 წლის სექტემბრიდან მან სწავლა განაგრძო ანაპაში ვოზნესენსკისა და შეპეტოვის კერძო გიმნაზიაში.

1913 წელს პოეტი სწავლის გასაგრძელებლად პარიზში გაემგზავრა და ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში შევიდა.

პაოლოს ცხოვრების პარიზულ პერიოდზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გერონტი ქიქოძე. მისი გადმოცემით, პოეტი ლათინურ კვარტალში ცხოვრობდა, „ოთახი პანთეონის მახლობლად ეჭირა, ესტრაპადის ქუჩაზე. ამ ქუჩის სახელწოდება, უეჭველია, იქიდან წარმოდგება, რომ აქ წინა საუკუნეებში წამების იარაღი ესტრაპადი იდგმებოდა. ის იარაღი უცნობი იყო ძველ საქართველოში, ხოლო რუსები მას დიბას ეძახდნენ...

პაოლო იაშვილს და მე ჩვენს ქართველ მეგობრებთან ერთად ბევრი მხიარული სადამო გაგვიტარებია ამ მჭმუნვარე სახელწოდების ქუჩაზე“ (გ. ქიქოძე, წერილები, ესსეები, ნარკვევები, 1985 წ. გვ. 416-417).

პარიზში გატარებულმა დრომ, შეიძლება ითქვას, გადამწვეტი რთული შეასრულა პ. იაშვილის ლიტერატურულ მისწრაფებათა გამოკვეთის საქმეში. იგი განსაკუთრებით გაიტაცა სიმბოლისტ მწერალთა შემოქმედებამ. მართალია, სიმბოლისტური ესთეტიკა პაოლოსათვის არც პარიზში წასვლამდე ყოფილა უცხო, მაგრამ აქ გატარებულ წლებს ამ თვალსაზრისით მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქონდა. პოეტი უფრო ახლოს გაეცნო ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედებას, ეზიარა მათი პოეზიის იდუმალ სამყაროს, რაშიც ახალგაზრდა ავტორის მაძიებელმა

ბუნებამ სულიერი საზრდო და ლიტერატურულ მისწრაფებათა მკვეთავი წყარო ჰპოვა.

გ. ქიქოძისავე ცნობით, „პაოლო იაშვილს უყვარდა პოლ ვერლენის ძეგლის გვერდით ჯდომა ლუქსემბურგის ბაღში და შადრვენის აუზში მობანავე ბელურების ცქერა; რაღაც ნათესაურს პოულობდა ამ ბავშვივით გულუბრყვილო, მაგრამ ბიწიერ პოეტსა და უწყინარ ფრინველს შორის“ (იქვე, გვ. 417).

მიუხედავად მოდერნისტული პოეზიით ამდაგვარი გატაცებისა, „არც პაოლო იაშვილის გარეგნობაში, არც მის სულში არაფერი იყო დეკადენტური, გეგონებოდათ, ის სიმბოლისტური და დეკადენტური პოეზიის სკოლას თავით მიემხრო, ვიდრე გულითო. ეს იყო ლამაზი, მაღალი, გრუსათმიანი, შავგრემანი ჭაბუკი. მას ნარკოტიკები სჭირდებოდა, რათა რეალური სამყაროდან მაცდური მოჩვენებების სამყაროში გადასულიყო“ (იქვე, გვ. 418).

პარიზში ყოფნის პერიოდში პაოლომ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა რუსეთიდან იქ ჩასულ ემიგრანტ მწერლებთანაც. მაგალითად, მას ხშირი შეხვედრები ჰქონია კონსტანტინე ბალმონტთან, რომელსაც გატაცებით ესაუბრებოდა ქართულ კულტურაზე. 1915 წელს ქუთაისში სტუმრად ჩამოსულ რუს პოეტს პაოლოსათვის უთქვამს, „როცა პარიზში ყოფნისას შენ მოდიოდი ჩემთან და ხშირად დაღლილს და დაღონებულს მიკითხავდი შოთასა და სხვათა ლექსებს, მე მაშინ ვგრძნობდი ჩემი სულის დღესასწაულსო“ (შ. აფხაიძე, ადამიანები და წიგნები, 1964 წ.).

პარიზში პ. იაშვილი 1915 წლამდე დარჩა. მალე მსოფლიო ომის ქარცეცხლსა და „ევროპის ქაოსს“ გამოქცეული პოეტი სამშობლოში ბრუნდება, ქუთაისში მკვიდრდება და აქტიურად ერთვება სისხლსავეს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

როგორც ითქვა. პაოლოს შემოქმედებითი ინტერესები ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გამოიკვეთა. იგი წერდა ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე. რუსულად წერდნენ იმხანად თავიანთ პირველ ნაწარმოებებს აგრეთვე ვალერიან გაფრინდაშვილიც, ტიცვიან ტაბიძეც და სხვა ახალგაზრდა ქართველი მწერლებიც. ეს ფაქტი ტრაგიკული შედეგი იყო იმ გამარუსებელი პოლიტიკისა, რომლის გატარება-

საც ტოტალურად ესწრაფოდა რუსული კოლონიალიზმი ცხოვრების ყვე-
ლა სფეროში, მათ შორის გიმნაზიებშიც, სადაც სწავლება რუსულ ენაზე
მიმდინარეობდა. ხელისუფლების დაუღალავ ღწვას — განევრცოთ და
გაეფართოებინათ გარუსების მასშტაბები, ზოგ შემთხვევაში, მისთვის
სასურველი შედეგებიც მოჰქონდა ხოლმე. ზემოთ დასახელებული ფაქტე-
ბიც ამისი ნათელი დადასტურებაა.

პაოლოს მეუღლე — თამარ ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვა)
XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი
მოდერნიზატორი და ქველმოქმედი — ილია ოქრომჭედლიშვილის შვილიშვი-
ლი იყო, ვისი ხელშეწყობითა და ფულადი დახმარებით ბევრ ხელმოკლე
სტუდენტს გასჩენია ცხოვრების სახსარი. პაოლოს ქალიშვილის ცნობით,
მათ შორის ყოფილა გიგო გაბაშვილიც, რომელსაც მადლიერების ნიშ-
ნად მრავალი ცნობილი ტილო უსახსოვრებია პოეტის ოჯახისთვის („თბი-
ლისი“, 1990 წ. 23 მაისი).

პაოლოსა და მის მეუღლეს 1921 წელს გაუცვნიათ ერთმანეთი. ამ
დროს თამარი 16 წლისა ყოფილა, პაოლზე ათი წლით უმცროსი, უაღ-
რესად განსწავლული ხელოვნებაში. განსაკუთრებით იტაცებდა თურმე
მხატვრობა და მუსიკა. პაოლო და თამარი თავდაპირველად საქველმოქ-
მედო საღამოზე შეხვედრიან ერთმანეთს. „დედა, — იგონებს იქვე ქალ-
ბატონი მედეა, — სხვა მშვენიერ გოგონებთან ერთად საღამოს დიასახ-
ლისი იყო და თურმე ერთხელ შემთხვევით დაეჯახა მაგიდასთან მჯდარ
და გატაცებით მოსაუბრე პაოლოს“.

პოეტს მოსწონებია ეს „ფერიასავით მშვენიერი და ნორჩი ასული“.
მოწონება მალე სიყვარულში გადაიზარდა, რასაც კიდევ უფრო განამ-
ტკიცებდა ისიც, რომ პაოლო კარგად იცნობდა და დიდ პატივს სცემდა
ქალიშვილის შესანიშნავ ოჯახს.

თამარის სილამაზეზე აღტაცებით საუბრობს ნინო ტაბიძე თავის
წიგნში „ტიციანი და მისი მეგობრები“. მისი დახასიათებით, თამარი
ყოფილა „მაღალი, ლამაზი, მხიარული, თან პაეროვანი, ფაფუკი, დიდე-
ბული, გაშლილთმეძობიანი ქალიშვილი“, „მართლაც მზეთუნახავი“. და-
ქორწინებულებს შესანიშნავი პოეტური ქორწილი გადაუხდიათ არგვეთ-
ში, პაოლოს მშობლიურ სოფელში.

1921 წელს, რამდენიმე თვით, პ. იაშვილი, ქართული კულტურის სხვა მოღვაწეებთან ერთად, ხელოვნების სასახლეში (დღევანდელი მწერალთა კავშირის შენობაში) ცხოვრობდა მეორე სართულზე.



პაოლო, დაარსების დღიდანვე, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მწერალთა კავშირის საქმიანობაში. იგი იყო წევრი ამ კავშირის დამფუძნებელი საორგანიზაციო ბიუროსი, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერში ჩაატარა კონფერენცია, სადაც საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნა გამოცხადდა. პაოლო არჩეულ იქნა ამ კავშირის საბჭოს წევრად. ამ დროიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე, იგი სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების უცვლელი წევრი იყო.

პ. იაშვილის საზოგადოებრივი ღვაწლის დახასიათების დროს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აგრეთვე აქტიური ზრუნვა ქართული პრესის განვითარებისათვის. როგორც ცნობილია, მისი უშუალო რედაქტორობით ქუთაისში, სხვადასხვა დროს, ორი ჟურნალი გამოიცა: „ოქროს ვერძი“ და „ცისფერი ყანწები“. ამასთან, იგი ენერგიულად მონაწილეობდა აგრეთვე სხვა ჟურნალ-გაზეთების დაარსებაშიც და საქმიანობაშიც. მაგალითად, იყო ერთ-ერთი თანამონაწილე და ინიციატორი ერთდროული ლიტერატურული გაზეთის „პოეზიის დღის“ დაარსებისა, რომლის პირველი ნომერი 1920 წლის 7 მაისს გამოიცა. მისი აქტიური მონაწილეობით გამოდიოდა ასევე „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის პერიოდული ორგანოები და ოციანი წლების სხვა ჟურნალ-გაზეთები.

1921 წლის შემოდგომაზე, როგორც ცნობილია, საქართველოს მწერალთა კავშირი ორად გაითიშა. მწერალთა ე. წ. „ძველ კავშირს“, მსოფლმხედველობრივი უთანხმოების ნიადაგზე, პაოლოსა და მისი თანამოაზრეების ინიციატივით, გამოეყო „ახალი მწერლობის კავშირი“, რომლის დამფუძნებელი კრება 1921 წლის 23 ოქტომბერს გაიმართა. პრეზიდიუმის შემადგენლობაში, პაოლოსთან ერთად, ძირითადად „ცისფერყანწელები“ იყვნენ არჩეულნი. მწერალთა ახალი კავშირის დანიშნულებას პ. იაშვილი იმაში ხედავდა, უფრო აქტიურად დაეჭირათ მხა-

რი კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნებისათვის და მეტი გაბედულებით დაპირისპირებოდნენ შტამპსა და ტრაფარეტს. 1922 წელს ის წერდა: „ჩვენს მწერლობას თითქოს ჭია შეეპარა, დას-ნეულდა და გაყვითლდა. საჭიროა თერგის ღრიალი და არა წყაროს რაკ-რაკი, საჭიროა გრიგალი და არა სიოს სიამოვნება. საჭიროა სიცოცხლე და არა საფლავზე ტირილი“ (გაზ. „ბახტრიონი“, 1922 წ.). ქვე-მთ კი უმატებდა: „ეს არის ახალი მწერლობის კავშირის მოწოდებაო“.

ამ თვალსაზრისში, ფაქტობრივად, არაფერი იყო ახალი, რადგანაც შემოქმედებითი განახლებისაკენ დაუცხრომელი მისწრაფება და ლიტერა-ტურულ შტამპთან ბრძოლა თავიდანვე დამკვიდრდა პ. იაშვილის შემოქ-მედებითი მოღვაწეობის ძირითად პრინციპად. ამ სულისკვეთების გამ-მძაფრებელ ძალად ოციანი წლების დასაწყისში პოეტისათვის ის საზო-გადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები იქცნენ, რომლებიც იმხანად დატ-რიალდა ჩვენში და რომელთა არსშიც ბოლომდე და სიღრმისეულად ჯერ კიდევ არ იყო იგი გაცნობიერებული.

ზემთ ციტირებულ სტრიქონებში გამოხატული თვალსაზრისი რომ შემთხვევით ხასიათს არ ატარებდა, ეს ნათლად ჩანს აგრეთვე ლექსიდან „პოეტი და ადამიანი“ (1927 წ.), რომელშიც არის ასეთი სტრიქონები:

ამხანაგებო, ნუ გეზარებათ
ჩამოცილება ძველი ფესვების,
ღროა გადიქცენ ოქროს ზარებად
აცრემლებული ჩენი ლექსები.

ქართველ მწერალთა ახალ კავშირს დიდხანს არ გაუგრძელებია ცალკე არსებობა. სულ მალე, 1923 წელს, მწერალთა ძველი და ახალი კავშირები კვლავ გაერთიანდნენ, რისი ერთ-ერთი ინიციატორი პაოლოც იყო. იგი აირჩიეს გაერთიანებული მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საქართველოს ერთიანი სამწერლო ორგანიზაციის არსებობისა და მასში „ცისფერყანწელთა“ აქ-ტიური მონაწილეობის მიუხედავად, პაოლოსა და მის მეგობრებს თავიანთი ლიტერატურული ჯგუფი ნომინალურად საკმაოდ დიდხანს მაინც არ და-უშლიათ და საკუთარ ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ პრინციპებ-

ზე ხელაღებით არ უთქვამთ უარი. სხვათა შორის, თავდაპირველად ასევე მოიქცნენ სხვა ჯგუფებიც, რომელნიც ორგანიზაციულად საქართველოს მწერალთა კავშირის შემადგენლობაში იყვნენ გაერთიანებულნი. შეხედულებათა და ლიტერატურულ დაჯგუფებათა ეს მრავალფეროვნება სასიცოცხლო ენერჯიას სძენდა მაშინდელ ჩვენს მწერლობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. საბჭოურმა დიქტატორულმა იდეოლოგიამ მალე რკინის ლაგამი ამოსდო შემოქმედებით თავისუფლებას და ყველანაირად შეეცადა ჩვენი მწერლობის განვითარების მაგისტრალური გზის მოქცევას „სოციალისტური რეალიზმის“ ერთიან კალაპოტში.

1922 წელს ხელოვანთა სასახლეში შეიქმნა პოეზიის აკადემია, სადაც ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებზე ლექციებს კითხულობდნენ ჩვენი მწერლობის ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორებიც იყვნენ: კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე, ტ. ტაბიძე, პ. ინგოროყვა და სხვები. აკადემიის საქმიანობაში, როგორც მომხსენებელი და მოპაექრე, ენერგიულად იყო ჩართული პ. იაშვილიც.

ასევე, აქტიური მონაწილეობა მიიღო პაოლომ ქართველ მწერალთა პირველი ყრილობის (1926 წ.) მუშაობაში. სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად, მან ყრილობის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო კლასიკოსთა წიგნების დაუყოვნებლივი გამოცემის პრობლემას. უთუოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე ის განცხადებაც, რომელიც გააკეთა მან თავისი ჯგუფის სახელით ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ. კერძოდ, აღნიშნა: „ჩვენ გადაჭრით ვდგავართ ახალ გზაზე. ამის თქმა დამავალა მე ახალ მწერლობის კორპორაციამ და „ცისფერმა ყანწელებმაო“ და ისიც დაუმატა, რომ „ჩვენმა ინტელიგენციამ ოთხი წელი დაკარგა რაღაც ყოყმანობასა და გამოურკვევლობაშიო“ (სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1926 წ. გვ. 54-55).

პ. იაშვილის ეს განცხადება, ასევე ბევრი სხვა ორატორის მაშინდელი გამოსვლა, ნათლად ადასტურებს, რომ მწერლობაზე პარტიულ-იდეოლოგიურ ზეგავლენას უკვე შეუძენია საკმაოდ ფართო მასშტაბები.

არაერთმა მწერალმა, მათ შორის, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ახალ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფმაც, მთავრობას ერთგულება და აქტიური თანადგომა აღუთქვა. ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშის გაცნობა არაორაზროვნად გვიჩვენებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს აქტიური მონაწილეობა მიუღიათ მის მუშაობაში. ეს დასტურდება, თუნდაც, იმ ფაქტით, რომ მწერალთა ყრილობას მთავარ მომხსენებლად რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე მოველინა, რომელმაც თავიდანვე განსაზღვრა მწერლობის განვითარების იდეოლოგიური მიმართულება ახალი ვითარების შესაბამისად.



მოგონებებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო დრომდე ხშირად იყო ხოლმე ხაზგასმით აღნიშნული, რომ პაოლო იაშვილი აღტაცებით შეეგება 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების დღეს, და იმავე საღამოს დაწერა ამ ფაქტისადმი მიძღვნილი სახოტბო ლექსი — „ახალ საქართველოს“. ამ მასალების გაცნობით კაცს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეექმნეს, თითქოს პაოლო აქტიურად იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, სიხარულით შეხვდა თებერვლის სისხლიან მოვლენებს და პრაქტიკული მონაწილეობაც მიიღო ქალაქში ბოლშევიკური მმართველობის დამყვინების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ პაოლოსა და მის მეგობარ „ცისფერყან-წელებს“ საბჭოთა ხელისუფლებისადმი თავიდან მკვეთრად ანტაგონისტური და შეურიგებელი პოზიცია არ გამოუმჟღავნებიათ, ეჭვმიუტანლად დასტურდება, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხი, გასაგები მიზეზების გამო, ათწლეულების მანძილზე ცალმხრივად და ტენდენციურად შუქდებოდა.

მართალია, რევოლუციასა და მის ეროვნულ-სოციალურ პერსპექტივას პ. იაშვილი ერთგვარი იმედიანი მოლოდინით შეეგება და დამოუკიდებელ საქართველოში მწვავედ წამოჭრილი ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარების შესაძლებლობა გარკვეულწილად მას დაუკავშირა,

მაგრამ ეს უფრო ბოლომდე გაუცნობიერებელი და სათანადო მსოფლ-მხედველობრივი სიღრმით გაუაზრებელი სიმპატია იყო, ვიდრე მყარ პო-ლიტიკურ კრედოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ფანატიკურად მებრძოლი კაცი, ბუნებრივია, შეგნებულად იმათ ბანაკში ვერ მოხვდებოდა, ვინც ქვეყ-ნის დამოუკიდებლობას სისხლში ახშობდა. ალბათ, არ შევეცდები, თუ ვიტყვი, რომ ბევრი რამ იმ დროისათვის პაოლოს საჭირო სიღრმით ჯერ კიდევ არ ჰქონდა გააზრებული. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლის მაშინდელმა ლოზუნგურმა ილუზიამ და ქადაგებებმა იმხანად ბევრს დაუბნია თავგზა და ყალბი შესხედულებების ტყვეობაში მოაქცია.

25 თებერვლის სუსხიან დღეს დედაქალაქის ქუჩებში წესრიგის და-სამყარებლად გამოსული პაოლოს ენერჯიული მოქმედება, რაზეც პოეტის ბევრი თანამედროვე წერს, ალბათ, უფრო სწორი იქნება შევაფასოთ არა როგორც რევოლუციური ხელისუფლების დამყარებისთვის ბრძოლა, არამედ როგორც აქტიური ზრუნვა პანიკურ მდგომარეობაში ჩავარდნი-ლი ხალხის დასაწყნარებლად, ჭეშმარიტი მამულიშვილის მიერ გამო-ჩენილი გულისხმიერება და პატრიოტული მოქალაქეობრივი პასუხის-მგებლობის გამოვლინება. პაოლო, სხვებთან ერთად, ქუჩებში დადიოდა და შიშით შეძრწუნებულ ადამიანებს ამშვიდებდა, წესრიგს იცავდა.

სწორედ ამდაგვარი შეფასების საფუძველს იძლევა წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გენერლის — გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანი“, სადაც უშუალოდ ამ მოვლენათა თანამონაწილის მიერაა აღწერილი 1921 წლის 25 თებერვლის სისხლიანი ტრაგედია. ნათქვამის დასტურად მკითხველს შევასხენებ ფრაგმენტს ამ მოგონებებიდან: „რო-დესაც ჩემი რაზმით რკინის გზის სადგურს დავუპირისპირდი, სადგუ-რის შესავალთან შევამჩნიე მრავალი ავტომობილი. იმ ფიქრით, რომ შეიძლებოდა მენახა მთავარსარდალი, ან მთავრობის რომელიმე წევრი და გამეგო დაწვრილებით უკან დახვევის მიზეზი, გაუხსვიე სადგურისა-კენ. დარბაზი გაჭედილი იყო ქალაქის მცხოვრებლებით. ყველა ჩქარობ-და წასულიყო მატარებლებით, რომლებიც ერთი მეორეზე მიდიოდნენ

მცხეთისაკენ. მგზავრთა შორის შევამჩნიე პოეტების ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე და ვგონებ, ლევან მეტრეველი. ესენი მოვიდნენ ჩემთან და რჩევა მთხოვეს, როგორ მოქცეულიყვნენ და მთხოვდნენ ამეხსნა გარშემო დამყარებული მდგომარეობა. იმათ მე ვუპასუხე: — ყმაწვილებო, არ ვიცი, რად აიღეს ხელი ტფილისის დაცვაზე და რად წავიდნენ მთავრობა და მთავარსარდალი; ალბათ, მათ ჰქონდათ სერიოზული მიზეზები, მაგრამ არ მესმის, თქვენ რად სტოვებთ დედაქალაქს! რამდენადაც გიცნობთ, თქვენ არც მეომარი ხალხი ხართ და არც პოლიტიკოსები. მოქალაქის მოვალეობა გავალბებთ, დარჩეთ ტფილისში, მიიღოთ ენერგიული ზომები მცხოვრებლების დასამშვიდებლად. ჩემი აზრით, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა წახვიდეთ მოწინააღმდეგესთან, უნდა უთხრათ, რომ საქართველოს მთავრობამ და მისმა ჯარებმა ტფილისი დატოვეს და თხოვთ მიიღონ ზომები, რომ ხალხის ნაძირალმა ელემენტებმა არ ისარგებლონ არეულობით ბოლშევიკური ჯარების შემოსვლის დროს და ძალადობასა და ძარცვა-გლეჯას არ მიჰყონ ხელი. ამით თქვენ მოუტანთ ჩვენს დედაქალაქს დიდ სარგებლობას. ეს ვუთხარი და საჩქაროდ გაემშორდი, რადგან უნდა დაეწყოდი ჩემს რაზმს.

შემდგომში გავიგე, რომ ზოგიერთმა მათგანმა მიიღო ჩემი რჩევა. ბოლშევიკური ჯარების შემოსვლის დროს ტფილისში რომ არ ჰქონდა ადგილი ძალმომრეობასა და ძარცვას, ეს გარემოება, ჩემის აზრით, სხვათა შორის უნდა მიეწეროს ჩვენი პოეტების ზემოხსენებული ჯგუფის უნარიანობასაც (გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1990 წ. გვ. 177-178).

როგორც გ. მაზნიაშვილის ამ მოგონებიდან ირკვევა, პაოლოს მონაწილეობა 25 თებერვლის ამბებში წესრიგის დამყარებისთვის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად და მას პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონია. ეს ჩანს აგრეთვე თამარ წულუკიძის მოგონებიდანაც. კერძოდ, ჟურნალ „დროშაში“ დასტამბულ წერილში (1973 წ., № 4) „იყო ერთი პოეტი“ თ. წულუკიძე ასე იხსენებს 1921 წლის 25 თებერვლის მოვლენებს: ქალაქში არეულობა და განუკითხაობა სუფევდა. ხალხი პანიკას მოეცვა. შიშით დამფრთხალი ადამიანები თბილისიდან გარბოდნენ. ქალბატონ

თამარის დედასაც, რომლის მეუღლეც იმხანად ქალაქში არ იმყოფებოდა, ფოთში გახიზვნა გადაეწყვიტა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა და შვილებიანად ნათესავთან დარჩენილიყო. 25 თებერვალს, შინ მიმავალნი, პლესხანოვის პროსპექტზე შეიარაღებული ცხენოსნების რაზმს გადაეყარნენ. „რაზმს წინ მიუძლოდა ფიცხ შავრა ცხენზე ამხედრებული გოლიათური გარეგნობის ქართველი ვაჟკაცი, შავი ნაბადი უდარდელად გვერდზე მოეგდო. მისი სახე ნაცნობი მეჩვენა, — აგრძელებს ამბის თხრობას თამარ წულუკიძე. — მას მოჰვებოდა თორმეტამდე ცხენოსანი... ყველას მხარზე თოფი ჰქონდა გადაგდებული და მკლავზე წითელი ნაჭერი ეკეთა.

ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ ჩვენ გადავეყარეთ ნებაყოფლობით პატრულს, რომელიც ქუჩაში წესრიგს იცავდა. მაგრამ ვინ იყო ეს კაცი, რაზმის უფროსი? მე ხომ სადღაც მინახავს. ვცდილობ მოვიგონო და უცებ დედაჩემის ხმა მესმის:

— ღმერთო ჩემო! უყურეთ, ეს ხომ პაოლო იაშვილია! და დედა გაექანა ნაბდიანი მხედრისაკენ...

პაოლოს ეცვა ნახევრად სამხედრო, ნახევრად სამოქალაქო ტანსაცმელი: გალიფე, ჩექმები, მხრებზე ნაბადი, თავზე სვანური ნაბდის ქუდი; ზურგზე შაშხანა, ხოლო სახე — ძლიერი ნებისყოფით სავსე, მკაცრად გამოკვეთილი ნიკაპი, პატარა ულვაშები... გამჭრიახი, არწივისებური თვალები, მსხვილი ცხვირის ნესტოებით“...

თებერვლის მოვლენებთან პ. იაშვილის დამოკიდებულების გასარკვევად ასევე საინტერესოა ოთარ ჩხეიძის მოგონება იპოლიტე ვართაგავაზე („ლიტ. საქ.“, 1988 წ. 18 მარტი). 1921 წლის 25 თებერვალია, — ყვება ო. ჩხეიძე იპოლიტეს მონათხრობს. ირგვლივ გაურკვევლობის საშინელი დუმილი მეფობს. მეხივით გავარდა ხმა, მენშევიკები გაიქცნენო. სასტუმროში, სადაც მე ვცხოვრობდი, „ჩაკეტილია ყველაფერი, კარები, ფანჯრები, ჩამოშვებულია ფარდებიო. ახლოსაც არ ვეკარებიო, ჭუჭრუტანიდანაც არ ვიხედებიო, რაღაცას ველოდები, მეც არ ვიცი, თუ რას ველოდები“. უეცრად გარედან შემოსულმა მჭექარე ხმამ მდუმარება დაარღვია. შეშინებულმა აშკარად გავიგონე, ქუჩიდან ჩემს აივანს ვიღაცა შემოსძახოდა და მე მიხმობდა. „გაგვდი

და რასა ვხედავო: ეტლი დგას ჩემი აივნის წინაო. ეტლში პაოლო იაშვილიაო, წითელი დროშა აღუმართიაო და შემომძახისო. მე ბოლშევიკებს უნდა შევეგებოო, შენ წადი და სარაჯიშვილისეული სახლი დაიკავე მწერალთა კავშირისთვისაო“.

ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტია ეს ფაქტი. როგორც ითქვა, მას სხვადასხვაგვარად იგონებენ და განსხვავებულ ინტერპრეტაციებსაც აძლევენ ხოლმე. ამ მოგონებებში ისაა საერთო, რომ იმ საბედისწერო დღეს პაოლო თბილისის ქუჩებში მართლაც დადიოდა და შემფოთებულ მოქალაქეებს ამშვიდებდა. მაგრამ ის კი არა მგონია იყოს მართალი, წითელდროშაფრიალებული პოეტი ბოლშევიკებს აღტაცებით შეხვედროდა და თავისი „პოლიტიკური წვლილი“ შეეტანა 25 თებერვლის „გამარჯვებაში“. ამდაგვარი დაეჭვებისთვის მყარ საფუძველს იძლევა, ჯერ ერთი, პაოლოს მძაფრად გამოვლენილი ეროვნული თვალთახედვა, რაც სრულიად მიუღებელი იყო ბოლშევიზმისათვის, და, მეორეც, მისი ნაკლები დაინტერესებულობა და გატაცება პოლიტიკით. არც იმჟამად და არც შემდგომში პ. იაშვილს ჩვენში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. იგი, უპირველეს ყოვლისა, პოეტი იყო და ამ მოვლენებს პოეტის ემოციური თვალით აღიქვამდა და აფასებდა.

რაც შეეხება მემუარულ ლიტერატურაში მოცემულ ცნობას იმის შესახებ, თითქოს პაოლო აღტაცებული შეეგება დედაქალაქში ბოლშევიკების შემოსვლას, როგორც ითქვა, ეს ფაქტი საბჭოური იდეოლოგიის მძლავრი ზეგავლენის შედეგად შეთხზულ ლეგენდას უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. ამ „შელამაზებული“ ლეგენდის ავტორებს, ბოლშევიკური პროპაგანდის აღზევების წლებში დაწერილი ამდაგვარი მოგონებებით, რომლებშიც მძლავრად ვლინდებოდა ფაქტებისა და მოვლენების საბჭოური თვალთახედვით რომანტიზების ტენდენცია, ეტყობა, გულწრფელად სწამდათ, რომ ამით სიკეთეს ჩადიოდნენ და კარგ სამსახურს უწევდნენ პოეტს.

მივუბრუნდეთ ისევ ი. ვართაგავას მოგონებას. შიშიდან და გაოგნებიდან მალე გამოვედი და სარაჯიშვილის სასახლისკენ გავემართეო, — განაგრძობს იპოლიტეს ნაუბრის თხრობას ო. ჩხეიძე. — ვხედავ, შენო-

ბას უამრავი ხალხი მოხვევია და არის ერთი ტაციანობა, აკრავენ რაღაც წარწერებს. „ერთი რო გააკრავს, მეორე ჩამოჰხვესო, მესამე რო გააკრავს, მეოთხე ჩამოჰხვესო. ყველას რაღაცა კომიტეტი ეწერა, ყველა კომიტეტი შიგ მიიწევდაო. ავდექი და მეც ავეყვიო. დაეწერე და გავაკარიო: „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“. გავაკარი და გავიქეცი კოტე მაყაშვილთანაო. არიქა, წამოდი, დავიკავოთო, ვუთხარი“. კოტემ პავლე ინგოროყვაც გამოიყოლა და სამივემ მართლაც დადავიკავეთ, მალე კი პაოლოც შემოგვეშველაო“.

1921 წლის თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით უთუოდ უნდა გავიხსენოთ აგრეთვე პაოლოს ლექსი „ახალ საქართველოს“, რომელიც პირველად 1921 წლის ივლისში დაიბეჭდა თბილისში გამოცემული ჟურნალის — „კავკასიის ხალხებისა და ენების“ პირველ ნომერში (იხ. ზ. მეძველია, „პაოლო იაშვილის ხუთი ლექსის სადავო კომენტარები“, „ცისკარი“, 1985 წ. № 11).

ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის გასარკვევად საინტერესოა პროფ. ი. მეგრელიძის მიერ ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის (პუშკინის სახლის) არქივში 1970 წელს მიკვლეული პაოლოს უცნობი ლექსი, რომელიც პირველი მაისის დღესასწაულისადმია მიძღვნილი (გაზ. „თბილისი“, 1976 წ., 16 დეკემბერი). ი. მეგრელიძეცა და ზ. მეძველიაც ამ ლექსს „ახალი საქართველოს“ პოეტურ ვარიანტად მიიჩნევენ.

ხსენებულ ნაწარმოებთა მიჩნევა ერთი ლექსის ორ ვარიანტად, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული აქსესუარების გამოკვეთილმა მსგავსებამ (ცალკეულ შემთხვევებში იდენტურობამაც) და რიტმულ-მუსიკალური ინტონაციის იგივეობამ განაპირობა. საამისო საფუძველს თითქოს ისიც იძლევა, რომ ორივეგან ლირიკული გმირის ემოციური ალტკინება პირველი მაისის დღესასწაულთანაა დაკავშირებული.

მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით ნაწარმოებთა შინაარსსა და იდეურ მიზანდასახულებას, მათ შორის, მსგავსებასთან ერთად, დიდ მსოფლმხედველობრივ განსხვავებასაც დავინახავთ. კერძოდ, „ახალი საქართველოს“ ძირითადი სულისკვეთება გამოსატყულებას პოულობს პოეტის მისწრაფებაში — „ახალი ნაღმებით“ ააფეთქონ „ძველი ქვეყანა

დახვესებული“ და საქართველოს სამომავლო განვითარების პერსპექტივად „წითელ რუსეთთან დაძმობილების“ გზა მიიჩნიონ, რაც, ავტორის აზრით, არამც და არამც არ გამოორიცხავს ეროვნულ თავისუფლებას. ამ რწმენის ემოციურ-პეროიკული გამოხატულებაა „გმირული ბაიარალებით“ გაცოცხლებული და განახლებული ჩვენი „ლეგენდარული წარსული“. იმის ნათელსაყოფად, როგორ ვლინდება ლექსის უმთავრესი სათქმელი და სულისკვეთება, გავიხსენოთ ფრაგმენტი ნაწარმოებიდან:

ახიის კარო! ფერად :ბალებით,
ლურჯი ცის თალით ხარ დაფარული!
ხარობს გმირული ბაიარალებით
შენი წარსული ლეგენდარული!
...შენს ჭვაროსნობას ჩვენ ვეთანხმებით,
შენი გმირობით ვართ ავსებული, —
მაშ, ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით
ძველი ქვეყანა დახვესებული..
მზად არის თოფი! მზად არის ხმალი
მტრებს ჩვენ ვეყოფით მარტო კბალებით.
დავაგვირგვიოთ ჩვენ მომავალი
წითელ რუსეთთან დაძმობილებით.

ახლა მოკლედ შევეხოთ ამ ლექსის ვარიანტად მიჩნეულ პირს, რომელიც, როგორც ითქვა, პირველი მაისისადმი მიძღვნილი (გამოქვეყნებულია გაზ. „თბილისში“ 1976 წ. 16 დეკემბერს პროფ. ი. მეგრელიძის მიერ). ამ ნაწარმოების უმთავრეს სულისკვეთებას პირველი მაისის სადღესასწაულო განწყობილების ემოციური განცდა წარმოადგენს. მართალია, მასშიც, პირველი ვარიანტის მსგავსად, საუბარია წარსულის სიკვდილსა და ბედნიერი მომავლის დამკვიდრებაზე, მაგრამ ამ სახალხო გამარჯვებისა და ძველი ყოფის ნგრევის პერსპექტივა აქ „წითელ რუსეთთან“ კი არ არის დაკავშირებული, არამედ პირველ მაისთან და მასში საერთოდ არაა რუსეთი ნახსენები. აი, ეს ლექსიც:

ცეცხლი მოედო ქვეყნიერებას,
წითელი დროშა გვაქვს სამკაულად:
ჩვენ გადაეპყვეთ ბედნიერებას
პირველ მაისის დღესასწაულად!

კედება წარსული! მოდის ახალი,
იღვიძებს ხალხი, ხარობს შერომელი
იმარჯვებს აზრი, მუდამ ქმალაი,
და ჩვენი ბრძოლა დაუდგრომელი!

დაინგრა ძველი ციხის კედელი
და ქალათების მოკედა თარეში
და ხალხი, თავის ბედის მკვდელი,
მოდის სიმღერით შევების მხარეში.

და ხმა, რომელიც ახლა გაისმა,
მარად იქნება და იმღერება!
ჩვენ მოგვიტანა პიოველ მაისმა
ეს სამუდამო ბედნიერება.

ჩვენი კარსკელავი ხუთეუთხიანი,
ბრძოლის ღერძია და სამკაული,
იყოს ნათელი, იყოს ხმიანი
პირველ მაისის დღესასწაული.

რა უნდა ითქვას სარეცენზიო ლექსებში ავტორის მიერ ასე მკაფიოდ და არაორაზროვნად გამოხატული იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის შესახებ? რით შეიძლება აიხსნას პოეტის ესოდენი აღფრთოვანება და დაუოკებელი სწრაფვა „წითელ რუსეთთან“ საქართველოს დაძმობილებისაკენ?

ეს საკმაოდ რთული კითხვებია, რომლებზეც პასუხის გაცემის დროს მოვლენათა მსოლოდ თანამედროვეობის პოზიციებიდან განსჯის უფლება არა გვაქვს და დაუშვებელია მაშინდელი ვითარების გაუთვალისწინებლობა. ამ შემთხვევაში უთუოდ უნდა გავუწიოთ ანგარიში „ციხფერ-ყანწულთა“ კეთილგანწყობით დამოკიდებულებას რევოლუციისადმი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რევოლუციის მათეული გაგება ძირეულად განსხვავდებოდა იმ შინაარსისაგან, რომელიც ამ ცნებამ შეიძინა შემდგომ წლებში ქვეყნად განხორციელებული გარდაქმნებისა და სისხლიანი მოვლენების შედეგად. რევოლუცია პაოლოსა და მისი მეგობრებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ძველი, დახავსებული ყოფის დანგრევისა და ბედნიერი მომავლის დამკვიდრების მოლოდინი იყო. ეს მოლოდინი არა-

ორაზროვნად გამოვლინდა მათ შემოქმედებაშიც და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიც.

დღეს უკვე ნათლად ჩანს, რომ პოლიტიკურ მოვლენათა არსში სათანადო სიღრმით გაუცნობიერებელი „ცისფერყანწელები“ თავდაპირველად ბევრ რაიმეში სათანადოდ ვერ გაერკვნენ და თავისებურად მოექცნენ იმ რევოლუციური ილუზიების ზეგავლენის ქვეშ, რომლებიც საბედისწეროდ აღზევდა ჩვენში ოციანი წლების დამდეგს. ამ ილუზიების გასაფანტად და მოვლენათა არსში გასარკვევად დრო, გამოცდილება და მეტი პოლიტიკური გამჭრიახობა იყო საჭირო. სწორედ შემოთქმული გარემოებებით გამოწვეული პოლიტიკური დაბნეულობისა და რომანტიკული ილუზიების გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ პაოლოს სარეცენზიო ლექსებიც და მათი ავტორის გულწრფელობაში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ.

ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, პაოლო გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მსგავს მდგომარეობაში ბევრი აღმოჩნდა იმხანად, მაგრამ ასეთი გაორებული და ილუზიური მდგომარეობიდან გამოფხიზლებას დიდი დრო არ დასჭირვებია. ახალმა ხელისუფლებამ სულ მალე გამოააშკარავა თავისი სისხლიანი სახე.

ასე რომ, განხილულ ლექსებში გამოვლენილი პათეტიკური სულისკვეთება პოეტის იმჟამინდელი განწყობილების გულწრფელი გამოსატყულებაა, ეროვნული და სოციალური თავისუფლების რომანტიკული განდიდება, 1921 წელს ჩვენში დატრიალებული მოვლენების შედეგად შობილი ცრუ ილუზიაა, რომლის სიყალბე და მოჩვენებითი ჰუმანიზმი მოგვიანებით გაიცნობიერა ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა. პაოლოს მაშინდელი გულუბრყვილო თვალსაზრისი დიამეტრალურად განსხვავდება იმ საბჭოური კონიუნქტურისგან, ოციანი წლების დასასრულიდან რომ მკვიდრდება მისივე შემოქმედებაში და პრინციპულად შორს დგას ჭეშმარიტი რწმენისაგან.

შემოთ განხილული ლექსების შეფასების დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ პირველი მათი და წითელი დროშა, რაც აქ პოეტური ხოტბის მთავარ ობიექტებადაა დასახული, რუსული ბოლშევიზმის სიწ-

ბოლოვებამ იმხანად ჯერ კიდევ არ იყო ქცეული. ეს შინაარსი ამ სიტყვებში შემდეგ შეიძინეს, საბჭოური ისტორიის შემდგომ პერიოდში.

ეტყობა, პაოლოსათვის (და არა მარტო მისთვის) ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლა, იმხანად, მოვლენებში გაუთვითცნობიერებლობის გამო, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საქართველოს ხელმეორე ანექსიასა და თავისუფლების დაკარგვას. როგორც ჩანს, ამ მზაკვრული და სისხლიანი პოლიტიკური ტერორიზმის ნამდვილი ბუნება პოეტმა ერთბაშად ვერ გაიცნობიერა. მაგრამ არც ამ გულუბრყვილობიდან გამორევევას დასჭირვებია დიდი დრო, რადგანაც ბოლშევიკებმა სულ მალე გამოაშკარავეს თავიანთი სახე და დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა გამართეს იმ ადამიანებისა, რომლებიც ერის თავისუფლებასზე ოცნებობდნენ.

ამ თვლსაზრისით განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა 1924 წელი, როცა საბჭოურმა ხელისუფლებამ სიცოცხლეს გამოასალმა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ამბოხებული ქართველი მამულიშვილები (მათ შორის, პაოლოს ძმაც). ამ ფაქტით საბოლოოდ ჩამოეხსნა ნიღაბი რუსულ ბოლშევიზმსაც და საქართველოს მარიონეტული მთავრობის პოლიტიკასაც.

ასე გააწბილა ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ პაოლოსა და მისი თანამოაზრეების გულუბრყვილო მოლოდინი რევოლუციის გამარჯვებით დამკვიდრებული ბედნიერი ცხოვრებისა; ასე გამოეცალა იდეოლოგიური საფუძველი იმ პათეტიკურ ხოტბას, პოეტმა რომ აღუვლინა „წითელ რუსეთთან დაძმობილებული“ საქართველოს ნათელი მომავლის რწმენასა და პირველი მაისის უღრუბლო დღესასწაულს.

* * *

მეგობრებისადმი, მათი შემოქმედებისადმი, ჩვეულებრივ ყურადღებიანი და გულისხმიერი პაოლო მეტად დაუდევარი ყოფილა საკუთარი ლიტერატურული ნაღვაწისადმი. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ დაუდევრობის შედეგია ის გარემოება, რომ ბევრი ხელნაწერი დაეკარგა უკვალოდ. არც დაბეჭდილ ნაწარმოებებს ინახავდა თურმე.

ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნი-
დან ისე წავიდა, წიგნი არ გამოუცია. რომც მოენდომებინა, ვერც გა-
მოსცემდაო, — დასძენს ერთგან სერგო კლდიაშვილი, — რადგან ყვე-
ლაფერი — დაბეჭდილიცა და დაუბეჭდავიც — სადღაც-სადღაც ჰქონ-
და გაფანტული. მათ თავმოყრასა და შეგროვებას ძალზე დიდი ძალის-
ხმევა და ენერგია სჭირდებოდა.

ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში თავდავიწყებით ჩაბმულ
პაოლოს კი ამის გაკეთება არ შეეძლო. კოლაუ ნადირაძე წერს: „პაო-
ლო დიდ ენერგიას ხარჯავდა ყოველდღიურ ცხოვრებასთან ბრძოლაში,
რათა ოჯახი შეენახა... მე არაერთხელ მინახავს „პოეზიის“, „წერილი
დედას“, „დებედაჩაის ღამისა“ და „ლირიკული მისამართების“ ავტო-
რი ძალზე დაღლილი, დაქანცული ამ ბრძოლით“ (კ. ნადირაძე, „რაც
ლექსად ვერ ვთქვი“, 1984 წ. გვ. 76).

პაოლო სიცოცხლეშივე ძალზე პოპულარული პოეტი იყო. მის პო-
პულარობას დიდად უწყობდა ხელს ის გარემოებაც, რომ იგი შესანიშ-
ნავი დეკლამატორიც ყოფილა, ენამჭევრი და გონებამახვილი. პაოლოს
დეკლამატორული ნიჭის შესახებ ბევრს წერენ მისი თანამედროვენი. მა-
გალითად, აკაკი გაწერელიას შეფასებით, ამ მხრივ თურმე „მას ბადა-
ლი არ მოეძებნებოდა ქართველ პოეტებს შორის გიორგი ქუჩიშვილის
გარდა“ (გაზ. „თბილისი“, 1989 წ. 27 მარტი).

ამასვე ადასტურებს ლადო გუდიაშვილიც: „პაოლოს იმპროვიზაციის
საოცარი ნიჭი ჰქონდა... პირდაპირ შედეგვრები იყო მისი ექსპრომტები
და ეპიგრამები... რა სამწუხაროა, რომ მათი აღდგენა ახლა არ შეიძ-
ლებათ“, — წერს იგი თავის მოგონებებში („საბჭოთა ხელოვნება“,
1976 წ. 11, გვ. 80).

ეს პოპულარობა და სიყვარული კიდევ უფრო ზრდიდა პოეტის ში-
ნაგან პასუხისმგებლობას მკითხველის წინაშე, რაც ერთ-ერთი ძირითა-
დი ნიჭუნია იმისა, რომ სიცოცხლეში წიგნი არ გამოუცია, თუმცა სა-
ამისო შესაძლებლობა არაერთხელ ჰქონია.

ამბობენ, ბოლოს შალვა დემეტრაძემ და სხვა მეგობრებმა მოუგ-
როვესო ლექსები გამოსაცემად, მაგრამ ერთად თავმოყრილი რომ უნა-

ხავს, უკმარობის გრძნობა კიდევ უფრო გამძაფრებია, რა ერთფეროვანი ყოფილვარო, — სინანულით უთქვამს და წიგნის გამოცემაზე უარი განუცხადებია.

შალვა აფხაიძის ცნობით კი პაოლოს შალვა დემეტრაძის მიერ მოგროვილი ლექსები სათანადოდ დაუხვეწავს და გამოსაცემად გაუმზადებია, მაგრამ მის მიერ დამუშავებული პირი სადღაც დაკარგულა (შ. აფხაიძე, ადამიანები და წიგნები, 1964 წ. გვ. 113).

პოეტის თანამედროვენი ხშირად საუბრობენ ხოლმე პაოლოს სულიერ არისტოკრატიზმსა და არტისტიზმზე, რაც მისი შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობდა და მხოლოდ გარეგნული პოზა არ ყოფილა. ამ ნიშან-თვისებების გარეშე პოეტის ადამიანური ბუნება, განსაკუთრებით სიმბოლიზმით გატაცების წლებში, თითქოს წარმოუდგენელია.

მეგობრულ წრეში თავდავიწყებით წართული, ბოლომდე ეძლეოდა ვნებათა ღელვას, — იგონებენ პაოლოს ნაცნობ-მეგობრები. მისი მოუსვენარი ცხოვრების ამ მხარემ განუზომლად დიდი ენერჯია შეიწირა. დამჯდარი და დაუნჯებული შემოქმედებითი საქმიანობისთვის იშვიათად თუ მოიცილიდა. ეტყობა, ამგვარ შრომას სამომავლოდ დებდა, ეგონა, ასაკში შესული უფრო მოიცილიდა საამისოდ. უთუოდ ამან, ჩვეულება დაუდევრობამ და შინაგანმა მოუწესრიგებლობამ, განაპირობა ის გარემოება, რომ რაოდენობრივად მცირე ლიტერატურული მუქკვიდრება დაგვიტოვა. რასაც ქმნიდა, მასაც უყურადღებოდ გვიდებოდა. ამიტომაც განიავდა და უკვალოდ დაიკარგა ბევრი რამ.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა პოეტის ქალიშვილის — მედეას მოგონება. „მამაჩემი, — იხსენებს ის, — იშვიათად ჯდებოდა საწერად. იგი წერდა იქ და მაშინ, სადაც მუზა ეწვეოდა. განსაკუთრებით უყვარდა ძვირფასი ქალაღი და კალამი, რაც გამოუღვევლად ჰქონდა. სხვა ყველაფერი შეეძლო უშურველად გაეჩუქებინა ისე, რომ თავად ხშირად არაფერს იტოვებდა“ (იხ. გაზ „თბილისი“, 1990 წ. 23 მაისი).

ბევრი რამ ყოფილა პაოლოს ხასიათში ბავშვურად გულუბრყვილო. მეტად მიმნდობი და უშუალო იყო, — დასძენს იქვე ქალბატონი მე-

დე და იმასაც უმატებს, ეგებ, ესეც განაპირობებდა მის განსაკუთრებულ სიახლოვეს ბავშვებთან, რომლებთანაც ტოლივით მეგობრობდაო.

პაოლოს ადამიანურ ბუნებას, მის გულისხმიერებასა და უანგარო მზრუნველობას მეგობრებისადმი, კარგად ახასიათებს აგრეთვე როდიონ ქორქიას მიერ მოთხრობილი ერთი ასეთი ამბავიც („ლიტ. საქართველო“, 1977 წ. 11 ივლისი): ერთხელ, ზამთარში, ტერენტი გრანელი საზაფხულო ბლუზითა და უქუდოდ წვევია სამსახურში პაოლოს, რომელიც მაშინ თბილისის აღმასკომის საგამომცემლო განყოფილებაში მუშაობდა. ისე ციოდა თურმე, რომ გაყინულ ტერენტის სახეზე ადამიანის ფერი არ ედო. უყურა პაოლომ, უყურა და უთხრა: არ წახვიდე, ტერენტი, შენთან საქმე მაქვსო. თვითონ კი ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა და უთხრა: წავიდეო, თბილ ტანისამოსს გიყიდიო.

თურმე პაოლო შესულა აღმასკომის თავმჯდომარე ლადო სუხიშვილთან, დახმარება უთხოვია ტერენტისათვის. სუხიშვილს მაშინვე გაუცია ასი მანეთი...

წაიყვანეს პაოლომ და ტიცციანმა ტერენტი და უყიდეს თბილი ტანისამოსი“...

მგავსი მაგალითები პ. იაშვილის ბიოგრაფიაში მრავლადაა. ასეთი ცხოვრებით ცხოვრობდა იგი, მოყვასზე უანგაროდ მზრუნველი, გაჭირვებულთა თანამდგომი და შემწყალე.

პაოლოს მოყვარული და დაუდგომელი ადამიანური ბუნება კარგად ვლინდება პოეტის მეუღლის, ქალბატონ თამარის შემდეგ მოგონებებშიც: „აივანი, სადაც პაოლო წერდა, ბალს გადაჰყურებდა. წერის დროს მის ყურადღებას იპყრობდა ბალი, ბავშვების ჟრიაბული. ზოგჯერ წერას თავს ანებებდა და ამ ხმაურში გაერთობოდა ხოლმე. დიდხანს არ შეეძლო სამუშაო მაგიდასთან ყოფნა. გულდაუდებელი, მოუსვენარი, თავშეუკავებელი ენერგიის, ცოცხალი, დაუდეგარი კაცი იყო. პაოლოს ეს ბუნება გამოიხატებოდა მის მუშაობაშიც. როდესაც ის წერდა, ყველაფერი აფორიაქებული იყო, მთელი ოთახი ქაღალდებით მიმოფანტული, იქაურობა

კვამლის ნისლში გახვეული“ (იხ. ც. ხეთერელი, პოეტები მზის ახლოს, 1987 წ. გვ. 53).

ეს მოუსვენრობა და ფორიაქი მას ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი პოეტად ტოვებდა. მისთვის ცხოვრება თითქოს ერთ დიდ თეატრალურ სცენას წარმოადგენდა, სადაც მისი მონაწილეობით ბევრი ტრაგიკული სპექტაკლიც გათამაშებულა. თავდაპირველად პაოლო, სიცოცხლის ხალისითა და ოპტიმიზმით საკვს, ცდილობდა ქედი არ მოედრიკა ცხოვრების ტრაგიკული შემოტყვებისათვის, არ შეპუებოდა მის ჩასაქოლად აზვირთებულ წუთისოფლის ტალღებს, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლებში თანდათანობით ჩაქრა და ჩაიფერფლა. მის სულს ნელ-ნელა გამოეცალა ჩვეული სილალე და სიხალისე. არათუ ნაცნობ-მეგობრები, ოჯახის წევრებიც კი ვეღარ ცნობდნენ თურმე, ისე გამოცვლილა.

მეგობრების მიერ ერთ დროს რაინდობა და მოულოდნელობის გენიად შერაცხული პოეტი, რომელსაც „არ შეეძლებოდა, რომ ანტრაქტი ჰქონოდა იმიტომ, რომ ყოველი დღე მისი ცხოვრებისა და ყოფნისა“ პოეზია იყო (ტ. ტაბიძე), წუთისოფლის მღვრიე ქარტყილმა გათელა და მიწასთან გაასწორა, თუმცა მონად მაინც ვერ აქცია, „გატყბა, მაგრამ ვერ მოლუნა“. ეს რაინდობა მან თავისი ვაჟკაცური სიკვდილითაც დაამტკიცა. ასე რაინდულად და ვაჟკაცურად ქართველ მწერალთაგან არავის გამოუთქვამს პროტესტი უსამართლობისა და აღზევებული ბოროტობის მიმართ.

სწორედ მაშინ იფეთქა მასში მყამბოხემ, როცა იფიქრეს, რომ მიზანს მიაღწიეს და საბოლოოდ დათრგუნეს პოეტის ამაყი სული. საკუთარი სიცოცხლის ხელსაყოფად გასროლილი თოფის გრიალმა სინდისის ქენჯნის გრძნობა გაუღვიძა პანიკური შიშით გონწართმეულ საზოგადოებას, სადაც ცხოვრების ასპარეზზე დამსმენები, ჯამუშები და მოყვასის სისხლისმსმელები აღზევებულიყვნენ.

პაოლოს თვითმკვლელობა ცხოვრებიდან გაქცევა კი არ იყო, არამედ ბოროტების მოტორტმანე ჭაობიდან გაცლა. ასე სულით შეუბღალავ რაინდად შემორჩა მისი სახელი შთამომავლობის ხსოვნას, ხოლო პოეტის მიერ დაქუხებული სანადირო თოფის გრიალი ათწლეულობის

სიღრმიდან დღესაც განუმტკიცებს რწმენას ბოროტების დასათრგუნად მებრძოლ ადამიანებს.

* * *

1936 წლის 19 მარტს, საქართველოს გასაბჭოების მე-15 წლის-თავზე, მოსკოვში, კრემლში, მოეწყო ქართველ მოღვაწეთა დელეგაციის შეხვედრა ი. სტალინთან. დელეგაციის შემადგენლობაში, სხვა მწერლებთან ერთად, პ. იაშვილიც შედიოდა. აქ მან ბელადის საპატივცემულოდ წარმოთქვა სიტყვა და წაიკითხა ლექსი. მწერალთა ერთი ჯგუფი (გ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, პ. იაშვილი, ა. მამაშვილი) ორდენებით დააჯილდოვეს. პაოლოს შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა. სტალინის შენიშვნის საფუძველზე, ამ შეხვედრის შემდეგ, მან უარყო სახელი პაოლო და ბავშვობის სახელი — პავლე აღიდგინა.

სამშობლოში დაბრუნებულმა „ორდენოსანმა“ მწერლებმა სამადლობელი წერილით მიმართეს რესპუბლიკის პარტიულ ლიდერს ლავრენტი ბერიას და ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ეს ფაქტი „შედგია იმ სტალინისებური მზრუნველობისა და სიყვარულის, რომელსაც ყოველდღიურად ანხორციელებს“ იგი ქართულ საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების მიმართ („ლიტერატურული საქართველო, 1936 წ. 23 მარტი). სინამდვილეში თუ რა მზრუნველობასა და სიყვარულს იჩენდნენ სტალინი და ბერია ქართველი მწერლებისადმი, მათ შორის, დაჯილდოებულებისადმიც, ეს სულ მალე გამოჩნდა, როცა ოთხი „ორდენოსანი“ მწერლიდან ორმა ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე, ხოლო ერთ-ერთ მათგანს — გალაკტიონ ტაბიძეს — საყვარელი მეუღლე გადაუსახლეს და დაუღუპეს შუა აზიის უდაბნოებში.

თ ვ ი თ მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა

პირველი ყველაზე დიდი მსხვერპლი, რომელიც 1937 წლის რეპრესიებმა შეიწირეს ქართველ მწერალთაგან, პაოლო იაშვილი იყო. ეს ტრაგედია მოულოდნელი არ ყოფილა. იგი საკმაოდ დიდი ხნის მანძილ-

ზე, ნელ-ნელა და თანდათანობით, მზადდებოდა. მოვლენები იმდაგვარად ვითარდებოდა და დღითიდღე ისეთი საბედისწერო „ფაქტები აშკარავდებოდნენ“, ცხადი იყო, მეხი სულ მალე უნდა გავარდნილიყო.

პაოლო რაინდულად მოემზადა ამ ტრაგედიასთან შესახვედრად და სულიერი ენერჯის მაქსიმალური მოკრებით, ვაჟაკურად, რომ იტყვიან, ერთი ნაბიჯით დაასწრო იმ საბედისწერო განაჩენს, რითაც ხალხისა და ქვეყნის მტრად შერაცხულისთვის სასიკვდილო ტყვია უნდა დაეხალათ.

ყველაფერი რომ უფრო ნათელი იყოს, მივყვით მოვლენათა მსვლელობას.

გარდა შემოქმედებითი დისკუსიებისა, რომელთაც ბოლო ხანს უმართადვენენ ხოლმე პოეტს „იდეოლოგიური მავნებლობის“ გამო, იმისთვისაც მკაცრად ტუქსავდნენ და აკრიტიკებდნენ, რომ ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა „ხალხის გამომჟღავნებულ მტრებთან“: ჯიქიასთან, ელიავასთან, ლომინაძესთან, აღნიაშვილთან... პარტიასა და ხელისუფლებას, ლენინურ-სტალინური სიფხიზლის წყალობით, უკვე „მოეხერხებინა“ მათი მხილება და გამოაშკარავება. ახლა იმათი ჯერი იყო, ვინც ამ „მავნებელთა“ წრეში ტრიალებდა და რაიმე აკავშირებდა მათთან.

ვითარების არსში გასარკვევად უაღრესად საინტერესოა ამასთან დაკავშირებით საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივში დაცული მასალები, კერძოდ, მწერალთა კავშირის პრეზიდენტის სხდომათა ოქმები, რომლებშიც პაოლოს მიერ „ჩადენილ მოლატეობრივ საქმიანობაზე“ მსჯელობა.

ასეთი სხდომები კი ხშირად იმართება. ბრალდებები ბევრია. ძველი მეგობრებიცა და თანამოაზრენიც კი, თითქოს პირი შეუკრავთო, ბრალმდებლებად ქცეულან, უდიდესი მგზნებარებითა და ზიზღნარევი აღშფოთებით გამობენ მწერალთა რიგებში შემოპარული „ხალხის მტრისა და დივერსანტის“ საქციელს და კატეგორიულად უსვამენ საკითხს, თუ მართალი ხარ, გამოდი და დაგვიმტკიცეო.

და პაოლოც, სასოწარკვეთილი და პიროვნულად განადგურებული, შემოფოთებული ცდილობს იმართლოს თავი ათასგვარ გამოგონილ სულელურ ბრალდებაზე, მოინანიოს ჩაუდენელი დანაშაული, აღიაროს დაუშვებელი შეცდომები, ითხოვოს დრო ქვეყნისა და ხალხისათვის ერთგულების დასამტკიცებლად.

მაგრამ მისი ფიცისა და პირობისა არ სჯერათ, ეჭვდებიან გულწრფელობაში, პირფერობად უთვლიან და „ბოლშევიკური გაბედულებით“ ხდიან ერის მოღალატის ნიღაბს; ჭაბუკობის დროიდან მოყოლებული, ყველა „შეცდომასა“ და „დანაშაულს“ უხსენებენ, როგორც „საზოგადოებრივსა და პოლიტიკურს“, ისე ლიტერატურულს. წამდაუწუმ აყვედრიან „ცისფერყანწელობას“, ხალხის ინტერესებიდან განზე დგომას, საბჭოური იდეოლოგიისადმი ღალატს.

განსაკუთრებით მაინც ე. წ. პროლეტარული მწერლები აქტიურობენ, საბჭოთა ეპოქის ეს ყველაზე საიმედო დამცველები და მეხოტბენი.

ერთ-ერთი ამდაგვარი სხდომა 1937 წლის 27 მაისს გაიმართა. პრეზიდენუმის წევრების წინაშე სიტყვით გამოსული პაოლო ცდილობს წარმოაჩინოს თავისი დამსახურება საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, დაუმტკიცოს ოპონენტებს, რომ ქვეყნის ერთგულია და ღალატი არასოდეს გაუვლია გულში. მაგრამ მის მიერ მოტანილი არგუმენტები მიუღებელია, რადგან არ შეიძლება ენდო იმ კაცს, ვისაც ახლო მეგობრული კავშირურთიერთობა პქონდა დამყარებული ხალხის აწ უკვე გამოშლავნებულ მტრებთან — ლომინაძესთან, ჯიქიასთან, ელიავასთან, აღნიაშვილთან. ბევრის აზრით, ეს „მომაკვდინებელი ბრალდებაა“, რომლისგანაც თავის დახსნა შეუძლებელია.

ნირწამხდარი და „ხაფანგში გაბმული“ პოეტი, ოპონენტების მიერ წაყენებული „შეუვალი არგუმენტებით“ თავზარდაცემული, იძულებულია განაცხადოს: „მე არ ვიცოდი არაფერი, თუ ისინი ხალხის მტრები და მოღალატეები იყვნენო“ (სლხცსა, ფ. 8, აღ. 2, საქ. 29, გვ. 42).

უფრო მეტიც, ასეთ საბედისწერო ვითარებაში ჩავარდნილს, ყოფნის გამბედაობა; დიდი რისკის ფასად, დაიცვას კიდევ ზოგიერთი მათგანი. მაგალითად, „მე თუ გასაბჭოების ღამეს ტფილისში დავრჩი, —

განაცხადა მან იმავე სხდომაზე, — მონაწილეობა მივიღე ქალაქში წესრიგის აღდგენაში, არ დავემორჩილე იმ ჭორებს, ტერორისა და აწიოკების შესახებ, რომელსაც მენშევიკები ავრცელებდნენ წითელი არმიის შესახებ, ეს იყო უმთავრესად ლომინაძის გავლენით, რომელიც გვიხატავდა მომავალ სურათს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას საქართველოში“ (იქვე, გვ. 34).

მაგრამ, ამასთან ერთად, თავის გადარჩენის ადამიანური ინსტინქტი იძულებს გარკვეულ კომპრომისზეც წავიდეს, უკან დაიხიოს და რაღაცის გამო პატიებაც ითხოვოს. ყოველმხრივ გზამოჭრილი იმასაც განაცხადებს, ელიავამ და ჯიქიამ ბოლო ხანს მკვეთრად შეიცვალეს პოზიცია და ხალხის მტრებს მიემხრნენო. ეს იძულებითი „აღიარება“ იყო, მათ მაინც არაფერი ეშველებოდათ და იქნებ თვითონ გადაერჩინა თავი.

საარქივო მასალების გაცნობა ნათლად გვიჩვენებს პაოლოს გარებულ პოზიციას. მისი გამოსვლები მწერალთა კავშირის სხდომებზე ხშირად შინაგანი წინააღმდეგობებითაცაა სავსე, რაც ადვილი ასახსნელია. საკმარისი იყო პოეტს გულწრფელი სიმართლით ესაუბრა როგორც თავის, ისე მეგობრების უცოდველობაზე, რომ მაშინვე წამოესეოდნენ ჩასაქოლად, როგორ თუ ჯიუტობ და დანაშაულს არ ინანიებო. და ისიც იძულებული იყო უკან დაეხია, დაეგმო „შეცდომები“, „ემხილებინა“ „კლასობრივი მტრები“ და ეთხოვა პატიება.

ასე მოხდა 27 მაისის სხდომაზეც. პირველად კონსტანტინე ლორთქიფანიძემ დასდო ბრალი არაგულწრფელობაში: გვატყუებ, კიდევ არ იხსნი ნიღაბს და დანაშაულს არ ინანიებო. კ. ლორთქიფანიძეს კ. მელაძემ აუბა მხარი, მალე სხვებიც ალაპარაკდნენ და გაიმართა „პრინციპული“ კამათი. რა აღარ გაუხსენეს, ჯიქიასთან მეგობრობასა და თანამშრომლობას რომ ჯერ კიდევ გიმნაზიაში ერთად სწავლის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი და იქედან მოყოლებული ბევრ მავნებლობას რომ ჩადიოდნენ ერთად.

ამ ბრალდების გამო პაოლო ამბობს: „გიმნაზიის შემდეგ პირველად 22 წელს ვნახე ტფილისში, სადაც იგი სამხედრო კომისრად იყო დანიშნული. არა თუ მეგობრობა, ნაცნობობაც არ აღგვიდგენია ერთმა-

ნეთში. შემდეგ იგი პირველად ვნახე ტფილისში ლენინგრადიდან დაბრუნებული. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ჯიქია რაინდათ მიგვაჩნდა. ის ძლიერი კაცი იყო და მოწაფეების დამცველი, დაურიდებელი... 1930 წელს ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით, მაგრამ სიჭაბუკის მეგობრობა არ აღვიდგენია“ (იქვე, გვ. 37-38).

მიუხედავად შემოთქმულისა, ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, ვ. ჯიქიასთან მეგობრული კავშირურთიერთობის უარყოფა, რადგანაც ფაქტები სხვას ამტკიცებენ. ამას არც მალავს პაოლო. 1930 წელს, გვიან შემოდგომაზე, წყალტუბოში შეხვედრიან ერთმანეთს ერთ ოჯახში. გამომშვიდობებისას ჯიქიას პაოლოსათვის უთქვამს, ამდენი კაცი რომ მყავდეს „დარჩეული მუშა“ (მაგიდასთან მსხდომ მეინახეებს გულისხმობდა), ამ ზამთარში რიონქესის გვირაბს დავამთავრებდით. ამ დროს იგი რიონქესის მშენებლობის უფროსად იყო დანიშნული. პაოლო დაპირებია დახმარებას, ჩემი სოფლიდან ჩამოვიყვან ხალხს და დაგახმარ, ჭიათურის მალაროებში არიან ნამუშევარნი და შეჩვეულნი გვირაბში შრომასო. ძალზე გახარებია, პირობა ჩამოურთმევია, რომ სიტყვას შეასრულებდა და წასულა.

მეორე დღეს, დილის 9 საათზევე, ჯიქია წყალტუბოში სტუმრებია პაოლოს, „პირდაპირ აბაზანიდან გამოუტაცინია“ და უთქვამს, თუ სიტყვის პატრონი ხარ, დღესვე უნდა გაემგზავრო სოფელში და ხალხი ჩამომიყვანო, გეგმა არ სრულდება და რიონქესს განსაცდელი მოელიხო (იქვე). პაოლოსაც გადაუდვია ყველა საქმე და დაუყოვნებლივ გაშურებულა არგვეთში ჯიქიას დავალების შესასრულებლად. როგორც ცნობილია, ეს ფაქტი პოეტურად აისახა კიდევ ლექსში „სამასი არგვეთელი“.

მაგრამ „ხალხის მტრის“ მიერ ჩადენილი სიკეთის გაგონებაც არ სურდათ, არ სწამდათ მისი, ყველაფერს ნიღბად თვლიდნენ და თვალთმაქცობად. არც ჯიქია იყო ამ თვალსაზრისით გამონაკლისი. პაოლოს ეს ნაუბარი თავის დაძვრენისა და სხდომის მონაწილეთა გაცუცურაკების ფანდადაა ჩათვლილი. ამიტომაც უსმენენ მას ირონიული ღიმილითა და „ბოლშევიკური“ უღმობლობით. და პოეტიც იძულებულია უკან „დაი-

ხიოს“, მანაც ამხილოს რიონქესის ყოფილი უფროსის „მავნებლობა“ და „თვალთმაქცობა“, მოინანიოს მისი უნებლოე თანამონაწილეობა ჯიქიას მიერ ჩადენილ „სახალხო დანაშაულში“.

მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას. მოვუსმინოთ კვლავ პაოლოს: „იმ დღიდან დაიწყო ჩემი ნამდვილი წამებაო, — ამბობს იგი წყალტუბოში მიცემული პირობის შესახებ. — ორ წლამდე ვმუშაობდი მე რიონქესში და ეს სწორედ ის წლებია, რომელმაც თავზე ბევრი სიცრუე დამატება, ცხოვრება ამირია, მწერლობიდან გამთიშა და უკიდურეს მდგომარეობამდე მიმიყვანა. თითქმის მთელი ზამთარი ვაგროვებდი ამ მუშებს“ (იქვე, გვ. 39).

როგორც ვხედავთ, პოეტი თავისი ცხოვრების უბედურ ხანად მიიჩნევს რიონქესის მშენებლობასთან კავშირს, ფაქტს, რომელსაც მის შემოქმედებაში სულ სხვა, სრულიად საპირისპირო, შეფასება ეძლევა. ამ წემთხვევაში ძალზე ადვილია იმისი გარკვევა, როდის იყო იგი გულწრფელი. მართალია, პოეტური თვალსაზრისით პაოლოს „სამასი არგვეთელი“, ისე როგორც ზოგიერთი სხვა, „იდეურად ჯანსაღი“ ლექსი, პოეტის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს ბევრად ჩამორჩება, მაგრამ ის კი უდავოა, რომ მისი პიროვნული დაინტერესება რიონქესის მშენებლობით და აქტიური ჩართვა ამ საქმეში მხოლოდ კონიუნქტურის შედეგი არ ყოფილა. პაოლოს გულწრფელად სწამდა ამ მშენებლობის საქვეყნო სიკეთე და ამიტომაც შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა მასში. რაც შეეხება „სამას არგვეთელს“, მან თავადვე აღიარა გულახდილად, რომ იგი „ყოვლად უვარგისი ნაწარმოები“ გახლდათ, რომელშიც „იყო ისეთი სუსტი ადგილები“, რისი მსგავსიც მანამდე არ დაეწერა (სლხცსა, ფ. 8. აღ. 2, საქ. 29, გვ. 40).

მაგრამ ამჯერად ამაზე საუბარს არ გავაგრძელებ და სხვა რამეს მივაქცევ ყურადღებას: საბჭოთა ეპოქის შრომითი ენთუზიაზმის გამოხატვის მცდელობამ და ახალი ყოფის მეხოტბედ გახდომის იძულებითმა თუ ნებაყოფლობითმა სურვილმა, რაც 30-იან წლებში პაოლოს შემოქმედების მძლავრ ტენდენციად იქცა, პოეტი, ფაქტობრივად, მოწყვიტა მისი შემოქმედების მაგისტრალურ ხაზს. მაგრამ უბედურება ის იყო,

რომ ამან არა თუ ვერ უშველა, არაპედ ზოგიერთებმა ეს ფაქტიც თვალ-
თმაქცობად ჩაუთვალეს.

სამი დღის შემდეგ, 30 მაისს, ისევ გაიმართა მწერალთა კავშირის
პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელიც საქართველოს კპ მე-10
ყრილობაზე ლ. ბერიას მოხსენების განხილვას მიეძღვნა. კრების მონა-
წილეებმა კვლავ განაგრძეს მსჯელობა პაოლოს „მოღალატეობრივი საქ-
მიანობის“ სამხილებლად. ამ სხდომათა სულისკვეთებას იმთავითვე გან-
საზღვრავდა ის შეფასება, რაც საქართველოს კპ (ბ) მე-10 ყრილობა-
ზე გაკეთებულ მოხსენებაში მისცა ლ. ბერიამ პ. იაშვილის „მტრულ
მოღვაწეობას“. კერძოდ, რესპუბლიკის თავკაცმა ჩვეული მრისხანებით
განაცხადა: „პ. იაშვილმა, რომელიც უკვე 40 წლისაა, დროა ჭკუა ის-
წავლოს. სიკეთე არ მოყვება მის ნავარდს ლომინაძიდან ჯიქიასაკენ,
ჯიქიადან აღნიაშვილისაკენ, ღოღობერიძიდან ლომინაძისაკენ და ბო-
ლოს ელიავას კლანჭებში. ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქ-
რდნენ თავის მოქმედებას აგრეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მუში-
შვილი, შევარდნაძე და კიდევ ზოგიერთები“.

ლ. ბერიას ეს განცხადება უკვე აშკარა მითითება იყო მწერალთა
კავშირისთვის, ვის გამოსააშკარაებლად და სამხილებლად უნდა გაე-
ჩაღებინათ იდეოლოგიური მუშაობა. თუმცა სამხილებელი და გამოსაძი-
ებელი რაღა იყო! რადგან რესპუბლიკის პარტიული ლიდერი ასე ამ-
ბობდა, ე. ი. ყველაფერი ნათელი გახლდათ. სხვა ჭეშმარიტება როგორ
შეიძლებოდა არსებულიყო!

მოვლენებიც კატასტროფული სიჩქარით ვითარდება. 30 მაისის
სხდომაზე სანდრო ეული აღშფოთებული გმობს პაოლოს დანაშაულს და
კატეგორიული ტონით აცხადებს: „ჩვენ გვაინტერესებდა ის, თუ როგორ
მოხდა ის ელიავასა და ჯიქიას კლანჭებში. აკი მან (პაოლომ — ა. ნ.)
გვითხრა, რომ ის ორი წელიწადი იყო ჯიქიას სამსახურში. რას აკე-
თებდა ამ ორი წლის განმავლობაში? მე არაფერს ვიტყვი იმის შესა-
ხებ, თუ როგორი ხასიათის შეცდომა არის ის, რომ შენ უსმინო ანეკ-
დოტებს ვინმე ჩვენს ხელმძღვანელზე და ამის შემდეგ გარუმდე, პირში
წყალი ჩაიგუბო. ეს შეცდომა არ არის. ეს დანაშაულია“ (სლხცსა, ფ. 8.
აღ. 2. საქ. 32. გვ. 77).

როგორც ვხედავთ, თანდათანობით უფრო ნათლად იკვეთება პი-
ლოს „დანაშაულობანი“: ორწლიანი სამსახური ვ. ჯიქიასთან რიონი-
სის მშენებლობაზე, ანეგდოტების მოსმენა ხელმძღვანელ მუშაკებზე, ლაყ-
ბობა... ასე იგება ბრალდებათა ხუხულა. ს. ეულის გამოსვლის აგრე-
სიულ ტონს კიდევ უფრო ამძაფრებს სხდომის თავმჯდომარის —
დ. დემეტრაძის სიტყვა: „თუ ამხ. პავლეს უნდა დარჩეს მწერალთა კავ-
შირის რიგებში, — ამბობს ის, — თუ მას უნდა დარჩეს ჩვენი ოჯახის
წევრი — მაშინ ბოლომდე უნდა სთქვას იმ ამბების შესახებ, რომე-
ლიც იცის და ჩვენ არ გვითხრა (საქმე ეხება ჯიქიასთან, ელიავასთან
და ამ ჯგუფის სხვა წევრებთან მეგობრობას — ა. ნ.). ეს საკითხი
სდგას მთელი თავისი სიმძაფრით, პრაქტიკულად ჩვენ ასე მოვიქცევით:
ამ საკითხს გადავიტანთ პრეზიდენტზე და თუ ბოლომდე გახსნილი არ
იქნება ეს ამბავი, ისე, რა თქმა უნდა, ჩვენს რიგებში ვერ დარჩება“
(იქვე, გვ. 89).

ეს, ფაქტობრივად, პოეტისადმი წაყენებული ულტიმატუმი იყო. სა-
კითხის მეტისმეტმა „სერიოზულობამ“ განაპირობა სხვა გამომსვლელთა
პრინციპულობა. იმავე დღეს, მეორე სხდომაზე, რომელსაც ამჯერად
ს. ეული თავმჯდომარეობდა, სიტყვით გამოსულმა ვ. წულუკიძემ კიდევ
უფრო გააფართოვა კრიტიკული შეტევის მასშტაბები და, პაოლოსთან
ერთად, სხვა „ციხფერყანწლებსაც“ შეუტია, ბრალი დასდო რა მათ
„მისტიციზმში, მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი მოტივების სრულ
უარყოფასა და უკიდურეს ინდივიდუალიზმში“.

მისი განცხადებით, „ამ ყოფილ კორპორაციის წევრებს“ გამოკვე-
თილად ახასიათებთ „შური, მტრობა და შულღი“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 2.
ს.ქ. 31, გვ. 5-7).

რაც შეეხება პაოლო იაშვილს, ვ. წულუკიძემ იგი დაადანაშაულა
იმაში, რომ ჯიქიასთან და მის ჯგუფთან პოეტის მეგობრობას ანგარება
და პირადი გამორჩენა განაპირობებდაო. კერძოდ, მან განაცხადა: „ჩა-
უფიქრდა თუ არა პავლე იაშვილი და მისცა თუ არა თავის თავს კი-
თხვა, რატომ მაინც და მაინც მის მეგობრობას ეძებდნენ ლომინაძეც და
ლოლობერიძეც, ჯიქიაც და აღნიაშვილიც, ახმეტელიც და ელიავაც!...“

ქონდა თუ არა რაიმე იდეური საფუძველი მათ მეგობრობას? მე კატეგორიულად ვამბობ, რომ მათ მეგობრობას არავითარი პრინციპული საფუძველი არ ქონია. პავლე იაშვილმა მათ მიმართ იმიტომ, რომ ისინი გამოსადეგი იყვნენ მისთვის მატერიალური თვალსაზრისით, თავისი ლიტერატურული კარიერის შექმნის თვალსაზრისით“ (იქვე, გვ. 8-9).

პაოლოს სულიერ ტრავმას კიდევ უფრო მტკივნეულს ხდიდა ის გარემოება, რომ მის „მამხილებელთა“ შორის ზოგჯერ ძველი მეგობრებიც აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ახალ ხელისუფლებას, რომლის მთავარი იარაღი ურთიერთშორის შუღლისა და უნდობლობის ჩამოგდება იყო, უკვე მოესწრო ძმის ძმისთვის გადაკიდება.

მაგალითად, „ცისფერყანწულთა“ ყოფილმა უახლოესმა მეგობარმა ალი არსენიშვილმა პაოლოს ბრალი დასდო იმაში, რომ იგი ხსენებული ბანდის წევრთა თანამოაზრე იყო. პაოლოს გაოცებულ რეპლიკაზე — ნუთუ შენ ჩემზე ნაკლებ იყავი ლომინაძესთან და ღოღობერიძესთან დაკავშირებული? — მან უპასუხა: „როგორ გეკადრება, რა ფანდს ხმარობ?.. შევხვედრივარ ორჯერ, სამჯერ, მაგრამ არავითარი კავშირი მათთან არ მქონია. შენ იყავი ნივთიერად, ლიტერატურულად, პოლიტიკურად, მე მხოლოდ ნაცნობი ვიყავი და მწერლობაზედ ვლაპარაკობდი“ (იქვე, გვ. 49).

ასე თანდათანობით მზადდება საფუძველი პაოლოს ტრაგედიისათვის; და არა მარტო პაოლოსი. მწერალთა კავშირის სხდომათა ოქმებში, არცთუ იშვიათად; გვხვდება ხოლმე განწირულთა — ქვეყნისა და ხალხის მტრებად შერაცხულ მწერალთა, — დასჯილთა თუ დასასჯელად გამზადებულთა, სიები, შედგენილი ქართულ და რუსულ ენებზე. ამ საკმაროდ მრავალრიცხოვანი სიების ჩამომწერს, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ჩაუთვლია საჭიროდ დაწვრილებით აღეწერა რეპრესირებულთათვის წაყენებული ბრალდებანი და შთამომავლობისათვის შემოენახა ყველა საგულისხმო მომენტი იმ სისხლიანი დღეებისა. ბევრი რამ სამუდამოდ დაიკარგა, მაგრამ რაც გადარჩა, ისინიც შემადრწუნებელ წარმოდგენას გვიქმნიან 1937 წლის ტრაგიკულ მოვლენებზე.

აი, მაგალითად, ერთი ასეთი სია, შედგენილი 1937 წლის ბოლოს, რომელშიც მწერალთა კავშირიდან გარიცხული და რეპრესირებული მწერლები არიან ჩამოთვლილნი (სლხცსა, ფ. 8. აღ. 2. საქ. 45).

1. ჯავახიშვილი მიხეილი
2. მიწიშვილი ნიკოლოზ
3. იაშვილი პავლე
4. ტაბიძე ტიციან
5. საყვარელიძე პაულე
6. დემეტრაძე დავით
7. დუდუჩავა ალექსანდრე
8. კოტეტიშვილი ვახტანგი
9. მუშიშვილი გიორგი
10. ზომლეთელი (ქურიძე) ნოე
11. ბუაჩიძე ბენიკო
12. ტოროშელიძე მალაქია
13. ბიბინეიშვილი ბარონ
14. გვასალია მოსე
15. კალაძე რაქდენი
16. შატბერაშვილი გიორგი
17. ქიქოძე პლატონ
18. თალაკვაძე სევასტი
19. ბააზოვი გერცელი
20. ქუთათელაძე პეტრე (სამსონიძე)

ქუთაისიდან:

1. ჩიანელი დ.ა.
2. ასათიანი მამია

აჭარიდან:

1. აბაშიძე მემედი
2. ძიმისტარაშვილი ლაურენცია

აფხაზეთიდან:

1. გრიგორიევი ვალერიანი

2. პერებინოსი ივანე
3. წვიუბა შალვა
4. ეხვია მაკარი
5. მიტაფიდი ემანუელ
6. ჭანბა სამსონ

სომხური სექციიდან ასევე გარიცხული იქნა 13 კაცი.

იგივე სია რუსულ ენაზეცაა შედგენილი. მასში შეტანილი სუბი-ერთი მწერლის შესახებ წაყენებული ბრალდებანიცაა აღნიშნული. მაგალითად, გიორგი შატბერაშვილზე ნათქვამია, რომ იგი დასჯილია, როგორც ფაშისტურ შეხედულებათა გამტარებელი და კონტრრევოლუციონერი ლიტერატურაში.

დასჯილთა სიები ხშირად იცვლება და კონკრეტდება, ჩნდებიან ახალ-ახალი გვარები. მაგალითად, 1938 წლის დამდეგს შედგენილ ახალ სიას, რომელშიც 48 კაცია, დაემატნენ: ვალერიან ლუარსამიძე, არჩილ ჯაჯანაშვილი, ჩერმენ ბეგიზოვი... (იქვე საქ. 80).

დასჯილთა ამ სისხლიან სიებში სარკესავით ირეკლება ქვეყნად გამეფებული მდგომარეობის შემზარავი სურათი.

ადამიანი ხაფანგში მომწყვდეულ მსხვერპლს დამსგავსებია. საზოგადოების უმეტესი ნაწილი თითქოს მგლად ქცეულა.

არავითარი შენდობა და დანდობა! ყველასა და ყველაფერს იჭვითა და შიშით უცქერიან.

და შექმნილი ვითარებით სასოწარკვეთილებამდე მისული პაოლო ერთ-ერთ სხდომაზე უმწეოდ ამოიძახებს: „გამოდის, რომ ლიტერატურაში ვყოფილვარ სრულიად მიუღებელი საქართველოს სინამდვილეში. ჩვენი ცხოვრებისათვის ჩვენ („ცისფერყანწელები“ — ა. ნ.) ისეთი პირები ვყოფილვართ, რომ უნდა დავრჩეთ როგორც უარყოფითი მასალა ხელოვნების და მხატვრული მწერლობის ასახვისათვის... განა ამხ. ბერიას მოხსენებაში ასე არის გაშუქებული ცისფერყანწების საკითხი?... ამხ. ბერია პირდაპირ ამბობს, რომ დღეს ეს ჯგუფი საბჭოთა პლატფორმაზე დგას...“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 2. საქ. 31, გვ. 22).

ეს ბოლო სიტყვები — თავის დასახსნელად ბერიას „თვალსაზრისის“ მოშველიება — რომ ის და მისი მეგობრები უკვე საბჭოთა პლატფორმაზე დგანან — ხავსზე ჩაჭიდება იყო, შეტევაზე გადასული გაბოროტებული კოლეგების მოგერიების უკანასკნელი ცდა, რაც, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა. პაოლოს მიზანი — დაერწმუნებინა კრების მონაწილენი, რომ ის და მისი მეგობარი „ცისფერყანწულები“ არ იყვნენ „ანტი-საბჭოთა ელემენტები, გაიძვერები, ქურდები და ყაჩაღები“, ვერაფრით მოხერხდა.

თუმცა მარცხის თვითაღიარება და ხელისჩაქნევა იოლი არაა. ეს, ფაქტობრივად, დაღუპვას ნიშნავს. ამიტომაც ცდილობს პაოლო, როგორც მე თავისი სიმართლე გაიტანოს და მგლად გადაქცეულ არაერთ მის კოლეგას შეხედულება შეუცვალოს. ამ შემთხვევაში ყველაზე საიმედო საყრდენი ისევ და ისევ ქართველი კომუნისტების აღიარებული ლიდერის — ბერიას ავტორიტეტის მოშველიებაა.

და ისიც ნირწამხდარი ეკამათება ვ. წულუკიძეს, რომელიც განსაკუთრებული თავგამოდებით უტევს არა მარტო იმ სხდომაზე, არამედ ბოლო ხუთი თვის მანძილზე. „უკვე მეხუთე თვეა, არ გამოსულა არც ერთი ნომერი, რომ ჩემზე არ დაგეწერა, — მიმართავს პაოლო შეტევაზე გამოსულ ოპონენტს და შემდგომ უმატებს: აი რაშია ჩემი შეცდომა, აი რამე მიმიყვანა მე უფსკრულამდე, საიდანაც მე ამხ. ბერია მიპირებს შემობრუნებას. თქვენ რომ იყოთ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, განა თქვენ ერთი წუთით მაინც ეცდებოდით, დამხმარებოდით ჩემი შეცდომების გამოსწორებაში? (წულუკიძე — მხოლოდ მხილებით შეიძლება დახმარება შეცდომების გამოსწორებაში). თქვენ ერთი დადებითი მხარეც ვერ ნახეთ ჩემში“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 2. საჭ. 31, გვ. 23).

მაგრამ ბრალდებულის სკამზე მოხვედრილმა პაოლომ ისიც კარგად იცის, რომ ხმის ამალღების უფლება არა აქვს. ამიტომაც დროზე თოკავს ნერვებს, იცხრობს ემოციებს, უკანაც იხევს და გულწრფელად ინანიებს დაშვებულ „შეცდომებს“. „აშკარად უნდა გამოვტყდე, — ამბობს იგი, — რომ მე დავუშვი პოლიტიკური შეცდომები. მე ვთქვი, რომ ლომინაძე მენშევიკების ღროს მიწერგავდა გატაცებას ოქტომბრის რე-

ვოლუციით. გამოვიდა ისე, რომ ლომინაძე მაშინ ჭეშმარიტი ბოლშევიკი იყო და შეეძლო გულწრფელი და სწორი აგიტაცია ეწარმოებია ოქტომბრის რევოლუციის იდეებისა. ხალხის მტერი და ხალხის მოღალატე არ შეიძლება ერთ დღეს გაჩნდეს. მისი გაიძვერა მოქმედება შედეგია მისი მტრული მუშაობის მთელი სისტემისა პარტიისა და ხალხის წინააღმდეგ“ (იქვე. გვ. 24).

დაშვებულ პოლიტიკურ „შეცდომებზე თვალახელილი“ პაოლო გმობს თავის საქციელს და სინანულით აღიარებს იმასაც, რომ ლომინაძისა და ლოდოზერაძის სახელები მოიხსენია ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში. „როგორ სამარცხვინოდ გამოიყურება დღეს ჩემი დაფიქრებაო“, — მწარედ, ნაღვლიანად დაასკვნის იქვე პოეტი და ცდილობს თავის გულწრფელობაში დაარწმუნოს სხდომის მონაწილენი.

რა შემზარავია და შემადრწუნებელი ეს მასალები დღესაც, ამდენი ხნის შემდეგაც, რა თავზარდამცემი და სასოწარმკვეთი. ადვილი წარმოსადგენია, რა ცეცხლი და გვემა იბუდებდა მაშინ პაოლოს გულში, ვისაც მარტო სიკვდილის შავი აჩრდილი კი არ უღრღნიდა გულს, არამედ იმისი შიშიც, რომ მისი სახელი შთამომავლობის ხსოვნაში ამ მასალების მიხედვით უნდა შესულიყო, როგორც სახელი ქვეყნისა და ხალხის მოღალატისა.

„ბოროტმოქმედთა“ და იმპერიალიზმის „ჯაშუშთა“ გამოსააშკარავებლად გაჩაღებულ ამ ბოლშევიკურ კამპანიაში, რომელიც შიშისმგვრელ და თავზარდამცემ ფსიქოზს ამკვიდრებდა საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ისეთი პიროვნებანიც აღმოჩნდნენ, ნებისით თუ უნებლიეთ, ჩათრეულნი, რომელნიც ყოველგვარი პოლიტიკისა და უკეთურობისაგან შორს იდგნენ. ხშირად მათაც მოუხმობდნენ ხოლმე მსგავს სამსჯავრო სხდომებზე და ავალებდნენ თავიანთი „პირუთვნელი“ აზრის გამოთქმას „გამოაშკარავებულ ხალხის მტრებზე“. და ისინიც იძულებულნი ხდებოდნენ „ემხილებინათ“, დაეგმოთ მათი „მოღალატური საქმიანობა“ და ამით გადაეჩინათ საკუთარი თავი.

თუმცა ამდაგვარი „მხილება“ ყოველთვის როდი იყო გადარჩენის საიმედო გარანტია. საძებარი როდია ისეთი შემთხვევები, როცა დღე-

ვანდელი „მამხილებელი“ და „ბრალმდებელი“ ხვალინდელ მსხვერ-
პლად იქცევა.

ამიტომაცაა ხშირ შემთხვევაში მეტისმეტად რთული და თითქმის
შეუძლებელიც 30-იანი წლების (განსაკუთრებით — 1937 წლის)
ტრაგიკულ მოვლენებზე მსჯელობის დროს მტყუან-მართლის გარჩევა.
საამისოდ ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები საკმაო მასალებს არ გვაწ-
ვდიან. ამ სისხლიან ოქმებში ბევრი რამ არ ასახულა საჭირო სიზუს-
ტითა და ყოვლისმომცველობით.

ეცნობი ამ დოკუმენტებს და შეძრწუნებული ხარ ვითარების საში-
ნელებით. რომ იტყვიან, ყველაფერი თავდაყირა დგას, ადამიანური ზნე-
ობრივი ნორმები თითქოს აღარ არსებობენ. ირგვლივ სისხლი და ლაფი
ტორტმანებს. ვერ გაიგებ, დარჩა თუ არა ვინმე უცოდველი. ყველა დას-
ჯილი როდია მართალი. მათ შორისაც მრავლად არიან ისეთებიც, ვინც
მრავალი კაცის ცოდვა გაიყოლა თან იმქვეყნად.

კვლავ მივუბრუნდეთ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 1937
წლის 30 მაისის სხდომის მასალებს. დარბაზის მძაფრმა რეაქციამ და
აგრესიულმა დამოკიდებულებამ იძულებული გახადა პაოლო მასაც „გა-
ბედულად“ აღმალალებინა ხმა პარტიის მიერ მხილებული „ხალხის
მტრების“ დასაგმობად და ორიოდ საათის წინ მათ მიმართ გამჟღავ-
ნებული მსუბუქი სიმპატიაც კი მთლიანად გაექარწყლებინა და უარეყო.
„ჯიქიას წარსულზე, ლაპარაკის დროს, — განაცხადა მან, — დიდი
შეცდომა იყო იმისი თქმა, რომ იგი ერთ დროს მონაწილე იყო სამო-
ქალაქო ომისა. ხალხის მტრის წარსულიც, აწმყოც და მომავალიც შავ-
ბნელია... მე გულწრფელად ვამბობ, ვერავითარი ძალა ვერ ჩამინერგავს
მე რაიმე სიმპატიებს ამ ხალხისადმი“ (იქვე, გვ. 26).

ეს მკვეთრი უკანდახევა იმან გამოიწვია, რომ აბობოქრებულმა
დარბაზმა პაოლოს თითის ქნევით შეახსენა ბერიას აზრი ჯიქიასა და
მის „ბანდაზე“ და მას სხვა გზა უკვე აღარ ჰქონდა. თავის დასახსნე-
ლად ერთადერთი გამოსავალი იმისი სასწრაფო აღიარება იყო, რომ
ისინი ქვეყნისა და ხალხის დაუძინებელი მტრები იყვნენ. „ამხ.
ბერიამ დაამტკიცა, რას უპირებდა ეს ხალხი საქართველოს, დღეს თავ-

დახსნილს, ძლიერს, მდიდარს, მთელს კავშირში წარჩინებულს, — განაცხადა მან. — რად უნდა მქონდეს სამშობლოს მტრებისადმი მე იოტის ოდენა კარგი გრძნობა, გარდა ზიზღისა და სიძულვილისა“ (იქვე, გვ. 27).

მაგრამ ირგვლივ იმდაგვარი სიტუაციაა შექმნილი, მარტო ჯიქიასა და მისი ბანდის მხილებითა და დაგმობით ფონს ვერ გახვალ. ეს საქმე უკვე გაკეთებული აქვს პარტიას და ახლა მის მიერ გადადგმული ამ „ბრძნულად გამიზნული“ ნაბიჯის მხოლოდ ხოტბა არ კმარა. საჭიროა კრიტიკული თვითმხილებაც; მით უფრო მაშინ, როცა ქართველი კომუნისტების წინამძღოლი პარტიის ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან შენს გვარსაც მოიხსენიებს იმათ შორის, ვინც დღემდე ვერ ისწავლა ჭკუა, ძველი ცოდვებისაგან ვერ განთავისუფლდა და საჭირო დასკვნები ვერ გამოიტანა.

და პაოლოც იძულებულია „გულწრფელად ამხილოს და მოინანიოს“ მისი და მისი თანამოაზრეების მიერ დაშვებული „შეცდომები“. „ცისფერყანწელების“ უმეტესობას, — განაცხადა მან იმავე სხდომაზე „თვითკრიტიკულად“, — ერთი მიუღებელი და დაუშვებელი ზნე სჭირდათ. საკმარისი იყო ჩამოსულიყო ვინმე რუსეთის ან სხვა მოძმე რესპუბლიკის ცნობილი მწერალი ან ხელოვნების მოღვაწე, რომ ჩვენ მათი ერთად ერთი მასპინძელი ვიყავით. ყოველნაირად პატივს ვცემდით, რაღაც ანგარებით დავსდევდით. ყველგან ვცდილობდით მათზე უდიდესი შთაბეჭდილებები მოგვეხდინა... ეს ჩვენი სენი იყო. ამ სენით მეც ვიყავი ავად და იმ სხვა ნაკლთა შორის, რომელიც მე მახასიათებს, ამასაც ამოვადებ ძირფესვიანად ჩემი ცხოვრების აწმყოსა და მომავალში“ (იქვე, გვ. 32-33).

იმისათვის, რომ უფრო მეტი დამაჯერებლობა შესძინოს ნათქვამს, სიტყვას პატაკის ფორმას აძლევს და პუნქტებად აყალიბებს პარტიული კრიტიკით ნაკარნახევ ვალდებულებებს. მოუუსმინოთ თავად პოეტს: „რად დასკვნები უნდა გამოვიტანო? — კითხულობს ის და იქვე თავადვე აკონკრეტებს ამ „დასკვნების“ შინაარსს: — „1. მე უთუოდ ვიყავი დაკავ-

შირებული ხალხის მტრებთან, არ ვიცოდი მათი ფარული ზრახვები. ვერ გამოვიჩინე მოქალაქეობრივი გამბედაობა, სიფხიზლე.

მეორე, მე ვამბობ ჩემს კავშირს ხალხის მტრებთან, ვადასტურებ, რომ ამ ურთიერთობამ მე ჩამომაცილა მწერლობას, წამიყვანა მრუდე გზით და უფსკრულის პირას მიმიყვანა.

მესამე, მე სავსებით ვიღებ ამხ. ლ. ბერიას მთავარ გაფრთხილებას, ვსარგებლობ მითი, რომ პარტია და ხელისუფლება საშუალებას მაძლევს გარდაქმნისათვის.

მეოთხე, რომ ამიერიდან ჩემს საკუთარ თავზეა დამოკიდებული, ჩემ მუშაობაზე და საქციელზეა დამოკიდებული, თუ როგორ მომეპყრობა მე საბჭოთა საზოგადოებრიობა“ (იქვე, გვ. 35-36).

როგორც ითქვა, პაოლოს ასეთი „თვითმამხილებლური“ გამოსვლა და კომპრომისი ირგვლივ შექმნილი უმძღესი ატმოსფეროს შედეგი იყო. ბერიას კრიტიკა უმაღვე აიტაცეს იდეოლოგიური სიფხიზლის ერთგულად გუშაგმა მწერლებმა და დაუნდობლად შეუტიეს „სოციალიზმის მოლა-ლატეთა ბანაკში შენიღბულად გადაბარებულ“ პოეტს.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 30 მაისის სხდომაზე ამ შეტყვის ერთი კონკრეტული გამოვლინება იყო. გამომსვლელები „პრინციპულად“ ამხელდნენ პ. იაშვილს ძველი და ახალი ცოდვების გამო, ხსნიდნენ პოეტს „ნიღაბს“ და საქვეყნოდ ააშკარაებდნენ მის „ნამდვილ სახეს“. მამხილებელთა შორის ზოგიერთი მისი ახლო მეგობარიც იყო. თითქმის ვერავინ ბედავდა საჯაროდ მართალი სიტყვის თქმასა და პოეტის და-ცვას.

ერთადერთი კაცი, ვინც ამ სხდომაზე პაოლოს დასაცავად რალაცის თქმა ცადა, სიმონ ჩიქოვანი იყო. განსხვავებით სხვებისაგან, რომლებიც პ. იაშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს მორიგ თვალთმაქცობად და პარტიისთვის თვალის ახვევად თვლიდნენ, ს. ჩიქოვანმა განაცხადა: „პავლეს მეორე გამოსვლა გულწრფელად მიმიჩნია.... ამხ. პავლე იაშვი-ლი ისე გულწრფელად, როგორც აქ ლაპარაკობდა, შეედგება მუშაო-ბას“ (იქვე, გვ. 63). ამით, მისი აზრით, იგი გაამართლებს „იმ დიდ

ყურადღებას, რომელსაც ბერია იჩენს საერთოდ მთელი ქართველი მწერლებისადმი, რომ ის უფსკრულში არ გადავარდეს“.

მიუხედავად იმისა, რომ არც ს. ჩიქოვანის სიტყვებში ჩანს დიდი თავგამოდება, პაოლოს მხარდასაჭერად იმ დროს ნათქვამ ამ ორიოდე ფრაზასაც კი დიდი გაბედულება სჭირდებოდა. როგორც მაშინდელი სხდომათა ოქმების გადაკითხვა მოწმობს, ამ თავყრილობათა მონაწილენი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ორ ნაწილად იყოფოდნენ: ქვეყნისა და ხალხის მოღალატეთა მამხილებელ-მგმობელებად და პასიურ, მაგრამ მეტაშე მსმენელებად. სულ სხვა ამბავა, რამდენად ობიექტურად ასახავენ ეს ოქმები ვითარებას, ანდა რამდენად გულწრფელნი არიან სხდომის მონაწილენი თავიანთი თვალსაზრისის გამოხატვის დროს.

მაგრამ ზოგიერთი არსებითი მომენტის უცდომელად დანახვა ამ ოქმების კითხვისას მაინც თავისუფლად შეიძლება. კერძოდ, სრულებით არაა ძნელი იმის გარკვევა, ვინ იჩენს განსაკუთრებულ აქტიურობას, ვინაა იძულებული, გამოვიდეს და ორიოდე სიტყვით მანაც დაგმოს „სოციალისტური სამშობლოს მოღალატე“ კოლეგა. ვინ კიდევ, თუკი მოახერხა, ცდილობს მდუმარე მსმენელის როლში მოგვევლინოს და გულში ჩაიკლას მართალი სიტყვა.

თუმცა სიმართლეზე თვალის დახუჭვა და ენაზე კბილის დაჭერა ყოველთვის ვერ ხერხდება. ამ უკიდურესად დაძაბულ სიტუაციებშიც კი გამოერევიან „თავზეხელაღებული“ ორატორები, რომლებიც მეტ-ნაკლები გამბედაობით ცდილობენ განწირულთა დასაცავი სიტყვის თქმას. ეს მდინარების საპირისპიროდ სვლას ნიშნავდა და დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგანაც ხალხისა და სოციალიზმის მტრებისადმი გამოსარჩლება გამომსვლელის „იდეურ სიმტიციეშიც“ აჩენდა ეჭვს.

იმ დროს, როდესაც, რომ იტყვიან, კედლებსაც კი ყურები ჰქონდათ გამოსხმული, ამდაგვარი გამოქომაგება დიდ ზნეობრივ და მოქალაქეობრივ გაბედულებად უნდა ჩაითვალოს.

მივუბრუნდეთ პაოლოსთან დაკავშირებულ მოვლენებს.

არ გაჭრა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 30 მაისის სხდომაზე პროეტის მიერ წარმოთქმულმა „თვითმამხილებელმა“ სიტყვამ და მონა-

ნიებამ. არავითარი შედეგი არ მოჰყვა პარტიისა და საზოგადოებისათვის მიცემულ პირობას, რომ ყოველნაირად შეეცდებოდა დაშვებული შეცდომების გამოსყიდვას...

დღითი დღე უფრო და უფრო იძაბება სიტუაცია და ახლოვდება ტრაგიკული აღსასრული. ამათა თავდასახსნელი გზის ძიება. ვერაფრით ხერხდება წაყენებულ ბრალდებათაგან თავის დაცვა. საქმეს ვერ შევლის ვერანაირი მონანიება და თვითმხილება. სიკვდილი გარდუვალად მოდგომია პოეტს კარზე. თუ თვითონ არ მოასწრებს და არ მოისწრაფებს სიცოცხლეს, ხელისუფლება გამოუტანს დახვრეტის განაჩენს, როგორც ხალხის მტერსა და მოღალატეს. უმწეობისაგან სასოწარკვეთილება ეუფლება. არსადაა გამოსავალი.

ერთადერთი ხსნა საკუთარი სიცოცხლის ხელყოფით პროტესტის გამოსატყვია. აქეთკენ მიემართება ბედისწერის უღმობელი დინება.

მ იენისი. კვლავ მწერალთა პრეზიდიუმის სხდომა. დღის წესრიგშია იმ მწერალთა ანგარიშების მოსმენა, რომელთა მუშაობაც მწერალთა გამგეობის გაფართოებულმა სხდომამ დამაკმაყოფილებლად არ ცნო. ესენი არიან მიხეილ ჯავახიშვილი და პაოლო იაშვილი. პაოლოს კვლავ ედება ბრალად ვ. ჯიქიასთან, ბ. ლომინაძესთან, გ. ელიავასთან და მათ ჯგუფთან მეგობრული კავშირი. სხდომას თავკაცობს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დ. დემეტრაძე.

ფაქტობრივად, პრეზიდიუმის სხდომა კი არა სასამართლო პროცესია. ბრალდებული პაოლოა, ბრალმდებელნი — ბოლშევიკური იდეოლოგიის დამცველი მწერლები. ბრალდებული ცდილობს თავი იმართლოს მის მიმართ წაყენებულ „მომაკვდინებელ“ ბრალდებებზე. დემეტრაძის შეკითხვაზე — რა იყო მიზეზი იმისა, რომ მან ვერ მოახერხა ელიავასთან ჩამოშორება, პაოლო კვლავ და კვლავ ამტკიცებს, რომ მას ელიავასთან ახლო კავშირი და მეგობრობა არასოდეს ჰქონია, რომ იგი მას მხოლოდ „ვინმეს ოჯახში ხვდებოდა“ და მოსკოვში, როცა ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 2. საქ. 33, გვ. 15).

მაგრამ არგუმენტებს საკმარისად არ უთვლიან. იქვე იმასაც თხოვენ, მკაფიოდ გამოხატოს საკუთარი პოზიცია უკვე გამოაშკარავებული

ხალხის მტრებისადმი და პაოლოც იძულებულია განაცხადოს, რომ „ლი-
მინაძე ორჭოფობისა და თაღლითობის მთავარი ხელმძღვანელი იყო მთელი
კავშირის მასშტაბით და ძლიერ დახელოვნებული მოტყუებაში... მთელი
მისი ცხოვრება თაღლითობის ჯაჭვი იყო“ (იქვე, გვ.19), რომ ასეთივე
იყო ჯიქიაც.

იგი იმაშიც „გამოტყდა“, რომ ჯიქიასთან რიონქესზე მუშაობის პე-
რიოდში თვეში ჯამაგირის სახით ხუთას მანეთს იღებდა. მისგანვე ღე-
ბულობდა მივლინებებსაც, როცა მოსკოვში მიდიოდა დავალებულ საქმე-
თა მოსაგვარებლად.

ბოლოს კი ამგვარი პირობის დადებით აჯამებს თავის გამოსვლას:
„პოლიტიკური დასკვნები მე უკვე გავაკეთე უკანასკნელ გამოსვლაში ჩვე-
ნი აქტივის კრებაზე. ვიტყვი მხოლოდ ერთს. მე თუ მომეცა საშუალება,
ამხ. ლ. ბერიას მკაცრი გაფრთხილების საპასუხოდ ისე გარდაქმნი ჩემს
ცხოვრებას და შემოქმედებას, რომ საბჭოთა მწერლის დიდი და საპა-
ტიო სახელი ღირსეულად ვატარო“ (იქვე, გვ. 21).

მაგრამ ამჯერადაც ამაო გამოდგა „პოლიტიკურ დასკვნებგამოტა-
ნილი“ პოეტის ფიცი-მტკიცი ერთგულებისა. საკითხი იმდენად რთულად
და მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ მისი განხილვა მეორე დღესაც გაგ-
რძელდა, განახლებულ სხდომაზე.

სიტყვით გამოდის სანდრო ეული-ქურიძე, რომელიც ახალ „მიუ-
ტვევებელ“ ბრალდებას უყენებს პაოლოს. მომყავს ამონაწერი სხდომის
ოქმიდან: „ამ დღეებში გავრცელდა ერთი ამბავი, სახელდობრ ის, რომ
იაშვილის ლექსში, რომელიც დაწერილი არის ალიო მაშაშვილთან ერ-
თად (მაშაშვილი — რომელი? ერთად არ დაგვიწერია). ორი ავტორია
ამ ლექსის, პირველი ნაწილი ეკუთვნის მაშაშვილს, მეორე იაშვილს, ხმა
გავრცელდა, რომ ამ ლექსში (იაშვილი — ვინ გაავრცელა?)“.

ვიტყვი. გ. ბუხნიკაშვილს და პ. სამსონიძეს წაუკითხავს (სამსო-
ნიძე — მე მითხრეს მხოლოდ ეს ამბავი, რომ ეს ლექსი არის გაკეთე-
ბული იმნაირად, რომ პირველი სტრიქონებიდან (მოუთმენლობა და ჩოჩ-
ქოლი) გამოდის დასაწყისი სიტყვებიდან წინადადება, რომელიც ჩვენი
ბელადის მიმართ არის თქმული არასაკადრისად.

(იაშვილი — ყოვლად შეუძლებელია. რა გამოდის?)

შანშიაშვილი — ეს პირდაპირი ბრალდებაა, ესლავე მოიტანონ წიგნი ბიბლიოთეკიდან და ვნახოთ რაშია საქმე.

(იაშვილი — ესლავე დავწერ მე ამ ლექსს, სწერს ლექსს).

რაშია საქმე. აქ არის ბუხნიკაშვილი, რომელსაც წაუკითხავს ეს ლექსი.

(იაშვილი — აღელვებული, მითხარით, რაშია საქმე, რა გამოდის?).

მე ვლაპარაკობ, რომ ბრალდებას კი არ ვაყენებ აქ, არამედ ჯერ უნდა გავარკვიოთ ეს ამბავი“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 2. საქ. 36. გვ. 73).

ამ ახალმა ბრალდებამ კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. თავზარდამცემი ფაქტით სასოწარკვეთილმა პაოლომ არ იცის, რით იმართლოს თავი. დარბაზი ღელავს და მრისხანედ თხოვს „დამნაშავეს“ სიმართლის აღიარებას. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის — დემეტრადის შეკითხვაზე — სად დაბეჭდა ეს ლექსი? — პაოლო უპასუხებს: „არსად არ დაბეჭდილა. ვიღაცას ჩაუწერე მე მოსკოვში, კორესპონდენტს და მან გადმოგზავნა კომუნისტში. გარდა ამისა, მე ვამტკიცებ, რომ შეიძლება ყოველი ტექსტიდან რაღაც გამოიყვანო, მაგრამ ამ ლექსში ორჭოფობა იყოს რაიმე, ეს ისეთი ბრალდებაა, რომ... სირცხვილია ამის შესახებ ლაპარაკი ჩემთვის“ (იქვე, გვ. 74).

მაგრამ ყოველგვარი ცდა თავის მართლებისა ამაოა. სხდომის მონაწილეთა თვალსაზრისი (იმათი, ვინც სიტყვით გამოვიდა) საერთოა: სანდრო ეულის განცხადებით, „იაშვილი ჩავარდა ხალხის მტრების კლანჭებში“. მაგრამ პაოლო ჯერ კიდევ არ კარგავს საბოლოო იმედს და ხავსს ებლაუტება. „ელიავას შესახებ ჩემს მიმართ ორი კვირა ვადა მომეცით და ყველაფერს გამოვარკვევ. არის დაწესებულება, რომელსაც არ გამოეპარება ეს ამბავი“, — მუდარაგარეული ხმით მიმართავს იგი სხდომის მონაწილეებს, მაგრამ ამაოდ.

უფსკრულისაკენ დაქანებულ ბედისწერას ვედარაფერი შეაჩერებს. განაჩენი, ფაქტობრივად, გამოტანილია. ესაა ოლონდ, ფორმალური პროცედურებია ჩასატარებელი მის აღსასრულებლად.

რალა გასაკვირია, ამ საბედისწეროდ დაძაბულ ვითარებას სულიერად რომ გაეტეხა და თავის თავში ჩაეკეტა პოეტი. პაოლოს სიცოცხლის ბოლო დღეების დეპრესიულ განწყობილებაზე ბევრს წერენ მისი თანამედროვენი. ამ მასალების გაცნობა რამდენადმე მ. ანსე ადადგენს მაშინდელი მდგომარეობის სიმძაფრეს. „ეს ადამიანა, — წერდა პაოლო იაშვილის შესახებ გერონტი ქიქოძე, — რომელსაც ყველაზე მეტად ჭაღებით განათებული დარბაზები, ტაშებით ახმაურებული აუდიტორია, ბრწყინვალე ბანკეტები და არტისტული ყავახანები უყვარდა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს ძალიან განმარტოვდა. 1937 წლის ზაფხულში ის ხშირად თავის ბინის ლოჯიაში ჯდებოდა ჯაფარიძის ქუჩაზე და სევდიანად გასცქეროდა მახათის მთის გოლგოთას. ხანდახან ბოტანიკურ ბაღში ადიოდა და ცდილობდა აფორიაქებული სული დაემოშმინებინა თითქმის დამშრალი ჩანჩქერის პირას“ (გ. ქიქოძე, წერილები, ესეები, ნარკვევები, 1985 წ. გვ. 421).

პ. იაშვილის „მოლალატეობრივი საქმიანობის“ „გამოაშკარავების“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპარეზად იქცა მწერალთა საერთო კრებაც, რომელიც საქართველოს კპ (ბ) მე-10 ყრილობის შედეგების განხილვას მიეძღვნა. ორატორები მკაცრ შეფასებას აძლევდნენ პაოლოს მოღვაწეობას, „ნიღაბს ხდიდნენ“ და „აშიშვლებდნენ“ მის მოქმედებას, მიმართულს „სოციალიზმისა და საბჭოთა იდეოლოგიის“ წინააღმდეგ, მუქარით შეახსენებდნენ მას ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ბერიას მიერ გაკეთებულ გამაფრთხილებელ განცხადებას იმის თაობაზე, რომ სიკეთე არ მოაკყვებოდა პ. იაშვილის „ნავარდს“ ლომინაძიდან ჯიქიასაკენ, ჯიქიადან აღნიაშვილისაკენ და სხვებისაკენ, რომ დიდი ხანია იყო დრო, ჭკუა ესწავლა ორმოცი წლის პოეტს, გამოესწორებინა ძველი შეცდომები...

და აი, „მეგობარი“ მწერლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, ჭკუა ასწავლონ შეცდომების ლაბირინთში გზადანეულ პაოლოს, დაჟინებით თხოვენ ნას დანაშაულის აღიარებასა და მონანიებას. პაოლოც გამოდის და, ვინ მოთვლის, მერამდენედ, იმართლებს თავს ჩაუდენელ დანაშაულზე, დებს ერთგულების ფიცს, მაღლობას უხდის პარტიას თვალის

ახელისთვის... მაგრამ კრების მონაწილეებს ეს თვითმხილება არ აკმა-
ყოფილებთ. მათ ეჭვი შეაქვთ პაოლოს გულწრფელობაში და თვლიან,
რომ იგი თაღლითობს და თვალთმაქცობს, ვერ გამოაქვს საჭირო დას-
კვნები ამხ. ბერიას ბრძნული მითითებებიდან.

ეს უკმაყოფილება მთავარ ლაიტმოტივად გასდევს კრების მონა-
წილეთა გამოსვლებს: „კრება მოელოდა, რომ იგი იტყოდა, თუ რატომ
ნაფარდობდა ლომინაძიდან ჯიქიასკენ, ჯიქიასაგან აღნიაშვილისაკენ,
ლოლობერიძისგან ლომინაძისაკენ, როგორ მოხვდა იგი ელიავას კლან-
ტებში“ („ლიტ. საქართველო“, 1937 წ. 10 ივნისი). ამოდ. პაოლოს
გამოსვლამ ვერ დააკმაყოფილა კრების მონაწილენი.

მიუხედავად იმისა, რომ მას „ორჯერ მიეცა სიტყვის თქმის საშუალება“,
მიანიც არაფერი გამოვიდა. იგი კვლავ და კვლავ „ფარავდა“ თავის სათ-
ქმელს და „თვალს უხვევდა“ საზოგადოებას. ამიტომაც ამბობდნენ უკმა-
ყოფილოდ, მან უფრო მეტი იცის, ვიდრე ამბობსო, ცდილობს მწერალ-
თა საზოგადოებას თავი დიდი საქმის კაცად მოაჩვენოსო. კამათში გა-
მოსული მწერლები (მათ შორის უმეტესნი ე. წ. პროლეტარული მწერ-
ლები არიან) კატეგორიულად აფრთხილებენ მწერალს, კარგად ჩაუკვირ-
დეს ბერიას სიტყვებს და გამოიტანოს საჭირო დასკვნები.

იგივე აზრი გამოითქვა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის დ. დე-
მეტრაძის საბოლოო, შემაჯამებელ სიტყვაშიც, სადაც ორატორი ასკვნის,
რომ ვერც პ. იაშვილმა და ვერც სხვა გაკრიტიკებულმა მწერლებმა „ვერ
მოგვცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი მათ წინაშე დასმულ დიდ და სე-
რიოზულ კითხვაზე. მათ ვერ გააგებინეს მწერალთა აქტივს, თუ რაში
მდგომარეობდა მათი კავშირი ხალხის მტრებთან, ვერ გახსნეს მათთან
თავიანთი ურთიერთობის შინაარსი“. განსაკუთრებული რისხვა დ. დე-
მეტრაძემ მიანიც პაოლოს დაატეხა თავს და ბრალი დასდო იმაში, რომ
იგი ხალხის მტრების თავყრილობათა აქტიური მონაწილე იყო. „მან, —
განაცხადა ორატორმა, — ბოლომდე უნდა სთქვას თავისი კავშირის შე-
სახებ ხალხის მტრებთან. მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი აქ არ გამოდ-
გებაო“ (იქვე).

როგორც ითქვა, პ. იაშვილს ორჯერ მოუხდა კრებაზე გამოსვლა. ორივე სიტყვაში მან, გარდა იმისა, რომ მთლიანად გაიზიარა ბერიასა და „მეგობარ“ მწერალთა კრიტიკა, ერთგულების პირობა და ფიცი მისცა ხელისუფლებას. „ამხ. ბერია, — განაცხადა მან პირველ გამოსვლაში, — მოითხოვს ჩემი ძველი საქმეების დაგმობას და გარდაქმნას. მე მაქვს სურვილი, შესაძლებლობა ამ გარდაქმნის. არ გაივლის ერთი წელიწდი და როგორც ის, ისე ჩვენი მწერალთა კავშირი... დარწმუნდება, რომ ამ წლის ბოლომდე მე შევასრულებ ყველა ვალდებულებას, რომელიც ჩემ თავზე ამიღია და თქვენ ყველანი იქნებით მოწმენი, რომ მომავალ წელიწადს მე შევხვდები სრულებით განწმენდილი როგორც ცხოვრებით, ისე შემოქმედებითი შეცდომებისაგან“.

საზიაროდ დღის შემდეგ კი, თავის მეორე გამოსვლაში, იძულებული გახადეს ერთხელ კიდევ განეცხადებინა, რომ იგი „უთუოდ იყო დაკავშირებული „ხალხის მტრებთან“ და განაგრძო: „არ ვიცოდი მათი ფარული ზრახვები, მაგრამ რომ გამომეჩინა მოქალაქეობრივი გამბედაობა, სიფხიზლე, არ მშინებოდა მათი შურისძიების, გულახდილად მეთქვა თავის დროზე კავშირის ხელმძღვანელისათვის ის, რაც ჩემს გამოსვლებში არ ვთქვი, ამით აცდებოდი იმ მდგომარეობას, რომელშიც დღეს ვარ“.

მონანიებით კი მოინანია, ვინც იცის, მერამდენედ, მაგრამ ამაოდ. არ ცხრებიან სოციალიზმის „ფხიზელი გუშაგები“. კრიტიკას კრიტიკა მოსდევს, მხილებასა და დაგმობას — მხილება და დაგმობა. აი, კიდევ ერთი მაგალითი:

„ლიტერატურული საქართველოს“ 1937 წლის 10 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმის მისალმებაში ბერიასადმი წერია: „ის გაფრთხილება, რომელიც თქვენ მე-10 ყრილობის ტრიბუნიდან მიეცით რამდენიმე მწერალს — პ. იაშვილს, მ. ჯავახიშვილს, კ. გამსახურდიას და სხვებს, აძლიერებს საბჭოთა მწერლობის მთელი კოლექტივის რევოლუციურ სიფხიზლეს და შეურიგებლობას სოციალიზმის საქმის მტრებისადმი“. ამას მოსდევს ფიცი-მტკიცე და აღთქმა იმისა; რომ საბჭოთა მწერლები თავიანთ რიგებში არ მოითმენენ ისეთებს, რომლებიც საქმით არ დაუმტკი-

ცებენ ქვეყანას თავიანთ ერთგულებასა და უსაზღვრო სიყვარულს „ჩვენი დიდი სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი“.

იქვე გაზეთი იმასაც იუწყებოდა, რომ მწერალთა კავშირში გამართულმა კრებამ დაგმო დასახელებული მწერლების კონტრრევოლუციური და ანტიხალხური საქმიანობა, რომ მოთხოვა მათ, გულწრფელად ეღიარებინათ სიმართლე, ფარული თანამშრომლობა კლასობრივ მტრებთან. გამოთქმული იყო გულისწყობა იმის გამოც, რომ „დასახელებულმა მწერლებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცათ მწერალთა საზოგადოების მიერ მათ წინაშე მწვავედ და მძაფრად დასმულ საკითხებზე“. ამას მოსდევდა მკაცრი გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ თუკი ეს მოღალატენი გონს ვერ მოგებოდნენ და გულწრფელად არ მოინანიებდნენ ცოდვებს, „საბჭოთა მწერლები თავიანთ რიგებში ვერ მოითმენდნენ მათ“, როგორც ხალხის მტრების აგენტებს.

ასე „უკომპრომისო“ და დაუნდობელი ბრძოლა ბოლშევიკური იდეოლოგიური სიჯანსაღისათვის. მთელი დატვირთვით მუშაობს სისხლიანი გილიოტინა. მსხვერპლს მსხვერპლი მოსდევს. პარტიის უმაღლეს ორგანოებში, თბილისშიც და მოსკოვშიც, ბერიასა და სტალინის სახელებზე უწყვეტ ნაკადად იგზავნება ერთგულების დამადასტურებელი პატაკები.

პალოსადმი, საერთოდ, „ცისფერყანწელებისადმი“, წაყენებულ ბრალდებათაგან რამდენჯერმე მეორდება მათი მეგობრული სიახლოვე რუს მწერლებთან: ბალმონტთან, ბელისთან, პასტერნაკთან, ესენინთან... ამ ურთიერთობას მწერალთა კავშირში გამართულ საბრალდებო სხდომებზე ნათლავენ როგორც მათ „გადმობირებას“, მოსყიდვას, ზრუნვას საკუთარი შემოქმედების პოპულარობისთვის (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 20 ივნისი).

ეს დანაშაული, პირველ ყოვლისა, ბრალად დადეს პ. იაშვილსა და ტ. ტაბიძეს, რომელთაც თურმე „ხელთ იგდეს მთელი მთარგმნელობითი საქმიანობა“ საქართველოში. ამას კი მოჰყვა უმძიმესი შედეგები, რაც იმაში პოულობს გამოხატულებას, რომ ტიცინი „ხელს ჰკიდებს ჰუშკინის ქართულად ნათარგმნი ლექსების რედაქტირებას“, ჰუშკინის საიუბილეო კომიტეტის მდივნობას, ქართველ რომანტიკოსთა ლექსების

თარგმნის ორგანიზაციას, რედაქტორობასა და კომენტარების შედგენას, ხოლო პაოლო კისრულობს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმნას. აღმაშფოთებელი ის არის, რომ თურმე ეს ყველაფერი „ვიწრო პირადი ინტერესების კარნახით“ კეთდება, რითაც „ძირი ეთხრება მოძმე ხალხთა სულიერ დაკავშირებას“.

საქართველოს კპ (ბ) მე-10 ყრილობის შედეგების განსახილველად მოწვეული კრება მწერალთა კავშირში სამ დღეს გაგრძელდა. რა ადგილი დაიკავა პაოლოს კრიტიკამ ამ კრებაზე, ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა. კრების სულისკვეთება, გარკვეულწილად, შეჯამდა „ლიტერატურული საქართველოს“ სარედაქციო წერილში — „მწერალთა რიგების იდეური სიწმინდისათვის“ (1937 წ., 10 ივნისი), სადაც აღნიშნულია, რომ მოთხოვნა — გაკრიტიკებულ მწერლებს — პ. იაშვილს, ძ. ჯაფარიძეს და კ. გამსახურდიას „გულწრფელად და სიმართლით ეთქვათ სამწერლო საზოგადოებისათვის თავიანთი კავშირის შესახებ ხალხის სიზოზღარ მტრებთან — კონტრრევოლუციურ ტროცკისტებთან და გულწრფელად ნათელეყოთ, რომ ისინი მზად არიან ძირფესვიანად გარდაქმნიან თავიანთ მუშაობასა და ყოფაქცევას“ — შეუსრულებელი დარჩა. რედაქციის შეფასებით, დასახელებულმა მწერლებმა ვერ გასცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი მათ წინაშე „მწვავედ და მძაფრად“ დასმულ კითხვებს, რის გამოც ისინი მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი. „მათ კარგად უნდა ახსოვდეთო, — წერია სარედაქციო წერილში, — რომ საბჭოთა მწერლები თავის რიგებში ვერ მოითმენენ ხალხის მტრების აგენტებს“.

დოკუმენტური მასალების გაცნობა ადვილად გვარწმუნებს, რომ ამდგვარი შეტევა პაოლოს წინააღმდეგ ერთბაშად არ დაწყებულა. იგი კარგა ხანს მზადდებოდა. ამის დამადასტურებელია, თუნდაც, 30-იან წლებში მწერალთა კავშირში ჩატარებული სხვადასხვა სახის სხდომები, რომლებზეც მკაცრად აკრიტიკებდნენ პოეტს. ამ კრიტიკას ბოლო ხანს განსაკუთრებით მოემატა სიმძაფრე და 1937 წლის ტრაგედიით დაგვირგვინდა.

პაოლო ადვილად არ ეგუებოდა მდგომარეობას. თავის გადარჩენის ბუნებრივ ადამიანურ გრძნობას რომ არ მივაქციოთ ყურადღება, ამ თვალსაზრისით, ბრძოლას უკეთურობის წინააღმდეგ ისიც ედო საფუძვლად, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდებანი მოუთმენელი ცილისწამება და სიყალბე იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, თავის გამართლებისა და გადარჩენის არანაირმა ფორმამ არ გამოიღო შედეგი.

ამიტომ დღითი დღე ეუფლებოდა პოეტს სასოწარკვეთა. ერთ დროს არტისტული ბუნებითა და სიცოცხლის ხალისით სავსე პაოლო განმარტოვდა, თითქმის ყველას ჩამოშორდა, „თავის განუსყრელ მეგობარს, თავისი სიამის ძმას ტიციანსაც კი ხავერდოვან თვალეში განუშორებელი სევდა ჩაუდგა. იშვიათად თუ ვხვდებოდით, ისიც მწერალთა სასახლეში ან მაჩაბლის ქუჩაზე. ასე ზეზეურად ჩაქრა მისი მჩქეფარე სიცოცხლე“, — იგონებს შალვა აფხაიძე.

ყოველი დღე, ყოველი წუთი აახლოებდა პოეტს კატასტროფასთან. მეწყერივით თავს დამტყდარმა ბედისწერამ პაოლო ტრაგიკული არჩევანის წინ დააყენა: ან დალოდებოდა კარს მომდგარ უმკაცრეს განაჩენს, რითაც სისხლიანი წერტილი დაესმებოდა მის სიცოცხლეს და იგი ამქვეყნიდან მოიკვეთებოდა, როგორც მოლაღატე, ანდა, ნიშნად პროტესტისა და უმწეობისა, თავად უნდა დაესწრო მტარვალთათვის და თვით-მკვლელობით აღდგომოდა წინ მოზღვავებულ ბოროტებას.

როგორც ცნობილია, პაოლომ მეორე გზა აირჩია, რითაც ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა მისი რაინდული ბუნება. მწერალთა სასახლეში დატრიალებული ტრაგედიით სულშეძრულ მიხეილ ჯავახიშვილს ცრემლმორევით უთქვამს, ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, ყველას გვაჯობაო.

ქეთევან ჯავახიშვილი იგონებს: ივლისის შუა რიცხვები იქნებოდა, როცა ბერიას პაოლო დაუბარებია და დაუვალეზობა მიხეილისა და ტიციანის საწინააღმდეგო ყალბი ბრალდებების დაწერა. რასაც შემდგომ მათ მამხილებელ დოკუმენტად გამოიყენებდნენო. მაგრამ პაოლოს უარი უთქვამს. ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგიც მოჰყვებოდა ამ უარს. პაოლო, ეტყობა, შინაგანად უკვე მზად იყო ამ შედეგისათვის. შინ მობრუნებულს

„სანადირო თოფი აულია და ცოლისთვის უთქვამს, სანადიროდ მივდი-
ვარო.

ამ დროს მწერალთა კავშირში სხდომა მიმდინარეობდა და ისევ და ისევ ხალხის მოღალატე მწერლების საკითხს იხილავდნენ. პაოლომ გზა მწერალთა კავშირისაკენ აიღო. სხდომა დაწყებული იყო, ის რომ დარბაზში შევიდა, მოუნახავს თავისუფალი ადგილი მამას გვერდით და სკამზე ჩამომჯდარა. მამას მისთვის ჩუმად გადაულაპარაკნია, რა იყო, რა გითხრა ბერიაშო? პაოლოს უპასუხნია: საიმისო არაფერი. ცოტა ხნის შემდეგ კი უთქვამს: მალე დაგიმტკიცებთ, არც ისეთი ცუდი კაცი ვარ, თქვენ რომ გგონიათო. მამა ვერ მიხვდა პაოლოს ნათქვამს და აღარ შეეკითხა. ცოტა ხნის შემდეგ პაოლო ადგა და ოთახიდან გავიდა. ამ სხდომას დავით დემეტრაძე თავმჯდომარეობდა. მცირე ხნის შემდეგ, ზე-
ვითა სართულიდან საშინელი გრიალი და თოფის გასროლის ხმა გისმა. კრე-
ბა აიშალა და შეშინებული ხალხი ზევითა სართულისაკენ გაიქცა. მამაც გაჰყვა მათ. სულის შემზარავი სურათი გადაიშალა მათ თვალწინ, ზემო
სართულის პატარა დერეფანში, იატაკზე, პაოლო სისხლში მოსვრილი იწვა. მან თავის თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი. თავი საჯიჯგნად არ მისცა არავის... ხალხი შეძრწუნებული იდგა... სამარისებურ სიჩუ-
მეში დემეტრაძის ხმა გაისმა: ამხანაგებო, ისეთი არაფერი მოხდა, წავი-
დეთ, კრება გავაგრძელოთო... ეს ამბავი 22 ივლისს მოხდა“ („მნათო-
ბი“, 1989 წ. 15, გვ. 99).

ამ მოგონებაში არაფერი გადაჭარბებული რომ არ არის, ამას სხვა-
თა ნაამბობიც ადასტურებს. თვითმკვლევლობის თავისთავად შემადრწუ-
ნებელ ამ ფაქტს მეტ ტრაგიკულ შინაარსს ისიც სძენს, რომ პაოლომ
ეს საბედისწერო ნაბიჯი სწორედ იმ წუთებში გადადგა, როცა მწერალ-
თა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მისი საბოლოო გაწირვის განაჩენი
გამოჰქონდათ.

მან, რომ იტყვიან, წამით დაასწრო ამ განაჩენს და ნიშნად უმ-
წეობისა და პროტესტისა, მწერალთა სასახლის კედლები საკუთარი თავისთვის
ნასროლი თოფის გრიალით შეაზანზარა. პირში ჩადებული ლუ-
ლიდან გამოტყორცნილმა ტყვიამ, თურმე, თავის ქალა ახადა პოეტს.

სისხლითა და დათხეული ტვინით შეიღება კაბინეტის ჭერი და კედლები...

აღშფოთებული ხელისუფალნი სასწრაფოდ დატრიალებულან და ყველა ღონე უხპარიათ თვითმკვლელობის კვალის გასაქრობად. მაშინვე მოუწვევიათ სახანძრო მანქანები და საგულდაგულოდ ჩამოურეცხავთ სისხლიანი ადგილები. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამ სისხლიანი ტრაგედიის ნაკვალევი, თანამედროვეთა მოგონებით, საკმაოდ დიდხანს შემორჩენია მწერალთა სასახლის კედლებს.

პაოლო იაშვილის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი მოგონება გამოაქვეყნა ირაკლი აბაშიძემ, რომელიც ამ შენაძრწუნებელი ფაქტის თვითმხილველი იყო (იხ. მისი წერილი — „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“, „მნათობი“, 1992 წ. № 1). მკითხველს შევახსენებ ზოგიერთ დეტალს ამ მოგონებიდან. იმ საბედისწერო დღეს პაოლო შუადღისას მისულა მწერალთა კავშირში, ხელში გაზეთში შეხვეული თოფი სჭერია — „მისი ცნობილი ძვირფასი „ლებო“. მწერალთა კავშირის ბუფეტში შეუვლია, მებუფეტისათვის ვალი — შვიდი მანეთი გაუსტუმრებია და ქალაქში უთოფოდ გამობრუნებულა.

იმ დღეებში, — წერს ი. აბაშიძე, — მრავალჯერ ყოფილა გამოძახებული „უმაღლეს დაწესებულებებში და იქედან ყოველთვის უსაზღვროდ აღელვებული ბრუნდებოდა. არავინ იცოდა, რაზე იყო იქ საუბარი რესპუბლიკის ხელმძღვანელთან. საუბარი კი, როგორც ჩანდა, იყო უკიდურესად მკაცრი და კატეგორიული“. იმ საბედისწერო საღამოს, მწერალთა კავშირში კრებაზე მიმავალ ირაკლის ახლანდელი თავისუფლების მოედანზე, ლეონიძის ქუჩის მოსახვევში შეხვედრია. მისალმების შემდეგ „უსაზღვროდ სახეშეცვლილს“ უთქვამს, ცოტა რუსთაველზე გავლა მინდოდა მომესწროო“, მერე უცებ მკლავში ხელი ჩაუჭიდა და უკითხავს, ჩემთან გავლისა ხომ არ გეშინიაო... შემდეგ კი საოცრად არეულსა და აძაგძაგებულს დაუმატებია, „ყველას დავუმტკიცებ, რომ ვაჟკაცი ვარო“...

მაღე ორივენი მწერალთა კავშირში წასულან იმ კრებაზე დასასწრებად, სადაც პაოლოს მოლალატეობრივი საქმიანობის საკითხიც უნდა

განხილულიყო. კრებას თურმე მხოლოდ მწერლები ესწრებოდნენ და „სამარისებური სიჩუმით“ უსმენდნენ ხელისუფლების წარმომადგენელს, რომელიც „პოლიტიკური სიფხიზლის“ მოდუნების გამო ტუქსავდა და ჭკუას არიგებდა მათ. პაოლო ერთხანს ნერვიულად მჯდარა დარბაზში, მერე სხდომიდან გამოსულა და... „სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ის ჯოჯოხეთური ქუხილი, ისეთი სიძლიერისა, როგორიც შემდეგ მე დიდ მსოფლიო ომში საჰაერო დაბომბვის დროს მსმენია ხოლმეო“, — დასძენს ბატონი ირაკლი აბაშიძე. ყველანი თავგზააბნეულნი გამოცვენილან გარეთ. ვინ საით გარბოდა და ვინ საით. „და ამ დროს მეორე სართულიდან კიბეებზე ჩამორბის დამლაგებელი ქალი ანა, წივილ-კივილით — იაშვილი, იაშვილი!

სულ ხუთოდე წუთში გაჩნდნენ ადმინისტრაციული დაწესებულების წარმომადგენლები და სასახლის კარებიც დაიკეტა. ისევ სამარისებური სიჩუმე. ახლა უფრო მეტი. ახლა უფრო სამარისებური. მხოლოდ ერთხელ გაისმა მიხეილ ჯავახიშვილის დაგუბული ხმა:

— ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, გეთაყვათ! და მე მხოლოდ ახლა მოვედი აზრზე, რას ნიშნავდა მისი სიტყვები ნახევარი, სულ ნახევარი საათის წინ:

— მე დავუმტკიცებ ყველას, რომ ვაჟკაცი ვარო!“

აქვე, ამავე მოგონებაში, ირაკლი აბაშიძე აქვეყნებს პაოლოს უკანასკნელ წერილებსაც ცოლ-შვილისადმი, დაწერილს იმ ტრაგიკული დღის წინა დამეს, 22 ივლისს. აი, ისინიც. წერილი შვილისადმი:

„ჩემო შვილო, ჩემო კარგო მამიკო, ჩემო სიხარულო და ბედნიერებაჲ!

მედეა!

მაპატიე,

გემუდარები. მაპატიე ეს უდიდესი დანაშაული შენს წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნის და ხალხის წინაშე.

მთელი ღამე არ მიძინია, დაგჩერებოდი შენ მიძინარეს, ნაგრამ თავის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა და ვერც შენ გადაამარინე.

არავის დააბრალო ჩემი სიკვდილი. გაიზრდები, დაუფიქრდები ჩემს ბედს და დარწმუნდები, რომ ჩემი სიკვდილი სჯობდა, შენ უფრო უბედური იქნებოდი, რომ მე დღეს თავი არ მომეკლა. გიყვარდეს დედა და ყველა ჩემი ახლობლები, ისინი არ დაგტოვებენ არცერთი წუთით და რამდენიმედ მაინც გაგიადვილებენ ობლობას.

მეტის წერა არ შემიძლია.

მშვიდიბოთ, მამიკო!

მედეა, მედეა, მშვიდობით!

ისწავლე, იშრომე, ყოველთვის მართალი სთქვი, ეცადე სასახლო ჯალი გამოხვიდე, გიყვარდეს სამშობლო, მუდამ გახსოვდეს შენი ახლობლები და შენი მამა.

შენი უსაზღვროდ მოყვარული მამა“.

22.VII.37.

წერილი მეუღლისადმი:

Дорогая, любимая Тамара!

Прощай. Перед смертью чувствую особую любовь к тебе. Рад твоим успехам в институте и уверен, что ты будешь полезным человеком для нашего общества. Береги здоровье, лечись. О Медее нечего тебе писать, я убежден, что ты из нее сделаешь настоящего человека.

Причина моей смерти невозможность соединить меня поэта, с теми оскорблениями, которые мне нанесли люди, с которыми я дружил и которые действительно (я в этом вполне убежден) оказались врагами грузинского народа.

Тебе будет очень трудно, но мужайся, я убежден, тебе помогут воспитать нашу дорогую и горячо любимую дочь, наше счастье и радость Медю.

Когда выйдешь замуж, старайся, чтобы Медя не охладела к моим родным и близким.

Прости мне мои ошибки.
Я тебе все прощаю.
Целую крепко, крепко
Твой искренний друг.

П. Яшвили

22.VII.37 г.

Тбилиси.

Умираю с каким-то светлым чувством и поэтому верю, что ты и Медея перенесете горе. Ты, кое-что заметила, но я тебя смог успокоить. Береги себя и Медею. Дружи с Пашей и с моими братьями. Привет Н. Мих. и Георгию Ильичу.

Паоло

ასეთია პაოლოს სულისა და გულის ეს ორი უკანასკნელი წერილობითი გამოწვევა, სამარადუამო ცრემლიანი გამოთხოვება თავისი მიწიერი ცხოვრების ორ უძვირფასეს ადამიანთან — ერთადერთ შვილთან და მეუღლესთან.

პაოლოს დაღუპვასთან დაკავშირებით საინტერესო მასალებს ვხვდებით აგრეთვე უშიშროების არქივიდან გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმისათვის გადაცემულ დოკუმენტებში. კერძოდ, ტ. ტაბიძის „საქმიდან“ (№ 10817) „ირაკვევა“, თითქოს პაოლოსა და მის თანამოაზრეებს ოციანი წლების ბოლოს საქართველოში ჩამოუყალიბებიათ „ნაციონალისტური ფაშისტური ორგანიზაცია“ და პ. იაშვილი ამ ორგანიზაციის „თავკაცია“ ყოფილა.

მას და ტიცციან ტაბიძეს ბრალი ედებოდათ აგრეთვე იმაშიც, თითქოს ისინი საფრანგეთის დაზვერვის ჯაშუშები იყვნენ, თავიანთი კონტრრევოლუციური შეხედულებების პროპაგანდის მიზნით აქტიურად დაკავშირებულნი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში მოღვაწე თანამზრახველებთან. კერძოდ, მოსკოვში, ტიცციანის „ჩვენებით“,

მათი თანამოაზრენი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ძირგამომხრელი საქმიანობის საწარმოებლად ყოფილან: ბ. პასტერნაკი, ნ. ტიხონოვი, პაველენკო; ლენინგრადში: ნ. ზაბოლოცკი და ი. ტინიანოვი; სომხეთში: ე. ჩარენცი, ა. ისააკიანი, დ. დემირჭიანი... უკრაინაში: მ. ბაჟანი, პ. ტიჩინა, მ. რილსკი, ა კორნეიჩუკი... (დასახელებული „საქმე“, გვ. 8-9).

საქართველოდან კი, როგორც დაკითხვის დროს ტიცციანის მიერ მიცემული „ჩვენებით ირკვევა“, გარდა პაოლოსა და თავად ტიცციანისა, ამ ნაციონალისტურ ფაშისტურ ორგანიზაციაში თურმე „შედიოდნენ“: ალ. ახმეტელი, მ. ჯავახიშვილი (თურმე, ასევე ერთ-ერთი „ხელმძღვანელი“ ამ ორგანიზაციისა), ნ. მიწიშვილი, დ. შვეარდნაძე, კ. ჭიჭინაძე, ი. მოსაშვილი, ა. ქუთათელი, გ. ლეონიძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. ბააზოვი. აქვე არიან აგრეთვე დასახელებულნი ის პირებიც, რომლებიც თავიანთი მსოფლმხედველობითა და შემოქმედებით თანაუგრძნობდნენ ზემოთ ჩამოთვლილ „კონტრრევოლუციონერთა“ იდეებს, თუმცა ამ ორგანიზაციის წევრები არ ყოფილან. ესენი არიან: კ. გამსახურდია, ა. ჭუმბაძე, კ. ნადირაძე, ლ. მეტრეველი, ა. აბაშელი, ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. ვაკელი, შ. აფხაიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ს კლდიაშვილი, რ. გვეტაძე, გ. ცეცხლაძე. ფაქტობრივად, ქართული მწერლობის უდიდესი ნაწილი!

რა მდგომარეობაში უნდა ჩაეგდოთ ტიცციანი, რა ძალა უნდა დაეტანებინათ მისთვის და როგორ უნდა ეწამებინათ, რომ ამდაგვარი ჩვენება მიეცა!

და რას მოითხოვდნენ ეს „ფაშისტი ნაციონალისტები“, რა კჰონდათ მიზნად დასახული? ტიცციანის „განცხადებით“, მათი სურვილი ყოფილა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური წყობილების აღდგენა ქვეყანაში: ამ მიზნით ჩვენ მივმართავედით დივერსიებს, ინდივიდუალურ ტერორს, ჯაშუშობასა და ძირგამომხრელ საქმიანობასო, — „გულწრფელად“ აღიარებს ბრალდებული.

ამ „ორგანიზაციაში“, ტიცციანის განცხადებით, იგი 1933 წელს (მეორეგან 1934 წელს ასახელებს) ჩაუბამს პაოლოს.

პ. იაშვილის ტრაგედიის შესახებ ახლა ბევრი იწერება; იწერება დიდი ტკივილითა და ნაღველით. შთამომავლობის დამოკიდებულება ამ შემზარავი ფაქტისადმი ერთგვაროვანია. დღეს ყველა თვლის, რომ „პაოლო იაშვილმა იმ დღეს მხოლოდ საკუთარ თავს არ ესროლა ტყვია, არამედ ადამიანთა სისასტიკეს და ვანდალიზმს, სულისშემბუთვულ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ ყოფას, სიძულვილს, შურს, მცონარობის აღწევებას“ (ვახტანგ ხარჩილავა, სისხლიანი ქრონიკები, 1989 წ. გვ. 57).

ასე რაინდულად, შეიძლება ითქვას, სულ რამდენიმე წუთით, და-ასწრო პაოლომ მტარვალთა მიერ ხალხის სახელით გამოტანილი სასჯელის საქვეყნოდ გამოცხადებას და თვით გამოუტანა უღმობელი განაჩენი მთელ ეპოქას.

ითქვამს და კვლავაც უნდა გავიმეოროთ, რომ პაოლოს მიერ გადადგმული ეს საბედისწერო ნაბიჯი წუთიერი აფექტის შედეგი არ ყოფილა. სასოწარკვეთილი პოეტი დიდი ხანია ემზადებოდა ამ ნაბიჯის გადასადგმელად. სანადირო თოფიც, საგულდაგულოდ მოვლილი და გამართული, საგანგებოდ მიიტანა და მოიმზადა მწვერალთა კავშირში...

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა მოჩვენებითი სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება. მეგობრებისა და მხიარულების მოყვარული პოეტი თითქოს ერთიანად ჩაქრა და მიინავლა. ბევრი მეგობარი თავად ჩამოცილდა, თითო-ოროლა შემორჩენილ ერთგულ თანამოაზრესთანაც ვერ პოულობდა ნუგეშს. კოშმარული მარტოობის მორევში ჩაძირული „საკუთარ თავსაც ვეღარ უმხელდა გულში ჩაკირულ ბაღლამს“.

გერონტი ქიქოძის მოგონებით, 22 ივლისის საღამოს, სანამ მწვერალთა სასახლის მეორე სართულზე თავის ოთახში შევიდოდა საკუთარი თავისთვის გამოტანილი განაჩენის აღსასრულებლად, თურმე „სხდომათა დარბაზში შევიდა, უკანასკნელი რიგის სკამზე დაჯდა, რამდენიმე გონებაშეხვილი რეპლიკა მიაწოდა ერთ თავის მეგობარ მწვერალს, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა მას პაპიროსი სთხოვა, მან ღიმილით უპა-

სუხა, კიდევ რაპდენ ხანს აპირებ ჩემს ხარჯზე ცხოვრებასო“ („მნათობი“, 1958 წ. № 8, გვ. 168).

ეს ტრაგიკული დღე სიმონ ჩიქოვანმაც გააცოცხლა მერე პაოლო-სადმი მიძღვნილ ლექსში, სადაც ამბობს: „ქუხილით ჩაქრა შენი ცხოვრებაო“. ახალი დროის ტოტალური უსამართლობისათვის ნასროლი ეს საპროტესტო ტყვია გამოუვალ მდგომარეობაში მოქცეული კაცის უკანასკნელი გაბრძოლება იყო. რაინდად დაბადებულმა პაოლომ, საბჭოური ეპოქის მზაკვრულმა იდეოლოგიამ იძულებითი კომპრომისის მოლიპული გზითაც რომ ატარა, ამ გასროლით ერთბაშად გამოისყიდა ყოველგვარი კომპრომისი და კონიუნქტურა, რაც ცხოვრების ბოლო წლებში აქონდა დაშვებული. ეს საბედისწერო გასროლა, პირველ ყოვლისა, სწორედ ზნეობრივი და მოქალაქეობრივი სულიერი სიწმინდის გადარჩენის უკანასკნელი და ყველაზე საიმედო შანსი იყო. სიმონ ჩიქოვანმა ამ ფაქტს ამდაგვარი პოეტური შეფასება მისცა:

სულის შებლაღვა შენ არ ინდომე,
არ შეირცხვინე წმინდა სახელი,
მოხველ, როგორც მმას, დამემშვიდობე
და უფსკრულისკენ ჯიქურ წახველი...
შენმა თოფის ხმამ შიში დაბადა,
მსხვილი თითებით ფუძე დატორე,
შენ პოეზიის იყავ თამადა
და სერობის ჟამს სუფრა დატორე.
სინათლით 'სავესე თავი გაიპე.
მკრელი თვალები კვამლით დაბინდი.
ყურში მესმოდა ჩუმი ვაიმე.
ყველას ესროლე, არვინ დაინდე.

სამწუხაროდ, ბოროტების იმპერიაში პროტესტის ნიშნად დაქუხებულ ამ გასროლას, რომელსაც უნდა გამოეთხიზლებინა უფსკრულისაკენ დაქანებული და ეშმაკთან წილნაყარი ადამიანები, არავითარი სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ჯერ კიდევ გაუცვივებელ და სისხლმუეშრალ პოეტის გვამს საბჭოთა იდეოლოგიის მსახურებმა ზიზღისა და ცილისწამების ახალი რისხვა დაატყვეს.

ის კი, „სერობის ჟამს“ სუფრიდან გასული ამაყი თამადა, სისხლით მოთხვრილ წუთისოფელთან საბოლოოდ ანგარიშგასწორებული და მასთან საბედისწერო დუელში გამარჯვებულ-ამაღლებული, მარადისო-

ბის გზას დადგომოდა და ყველას დიდსულოვანი დუმილით პატიებდა ადამიანურ სულმოკლეობასა და სიმდაბლეს...

პაოლოს თვითმკვლელობის ამბავი მეხივით გავარდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს იმპერიაში. პოეტის უცხოელი მეგობრები შეეფოთებულები საუბრობენ ამ ფაქტთან დაკავშირებით. პაოლოს მეუღლისადმი გამოგზავნილ პირად ბარათში, 1937 წლის 28 აგვისტოს, ბორის პასტერნაკი წერს: „ჩემო საბრალო, ჩემო ძვირფასო თამარ გიორგის ასულო, ეს რა მომხდარა! მთელი თვე ისე გავიდა, არაფერი გამიგია. მხოლოდ ერთი დღეა, რაც შევიტყუე... ჩემმა არსებობამ აზრი დაკარგა, სანუგეშებელი თავად მე შევიქენი... ამ ამბავმა გული ჩამიწყვიტა და აქამდე გონს ვერ მოვსულვარ... ვტირი, ვბორგავ, მწუხარები-საგან ადგილი ვერ მიპოვნია“ („ცისკარი“, 1969 წ. № 10, გვ. 142.).

მწერალთა კავშირში პაოლოს მიერ ჩადენილი „პროვოკაციული აქტის“ დასაგმობად სასწრაფოდ იქნა მოწვეული კრება. მას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ სხვადასხვა თაობისა და ლიტერატურული პრინციპების მიმდევარი მწერლები. აქ იყვნენ და განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ ქვეყანაში სოციალიზმისა და ბოლშევიკური სამართლიანობის დასამკვიდრებლად „უკომპრომისოდ“ მებრძოლი მწერლები, იყვნენ პოეტის მეგობრებიც... მართალია, პაოლოს მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა თავზარი დასცა ყველა გონივრულად მოაზროვნე ადამიანს, მაგრამ ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი, თანაგრძნობასა და სინანულზე კრინტის დაძვრაც კი დალუპვას ნიშნავდა. ამიტომ ვერავენ ბედავდა გულის ნადების ხმამაღლა გამოთქმას და „საყოველთაო ზიზღის“ ობიექტად ქცეული მიცვალებულისადმი გამოქომაგებას.

პირიქით, როგორც ამ სხდომათა ოქმები გვაუწყებენ, ყველა ერთსულოვანი აღშფოთებით გმობს პაოლოს მიერ ჩადენილ „პროვოკაციულ აქტს“. ამ ოქმების შემდგენელს საჭიროდ არ ჩაუთვლია დაეკონკრეტებინა გამომსვლელთა ნალაპარაკევი და შთამომავლობისათვის შემოენახა თუნდაც ძუნწი ცნობებიც კი იმის შესახებ, ვინ, რომელმა გამომსვლელმა რა თქვა, როგორი სიტყვებით გამოხატა თავისი პოზიცია და გულისნა-

დები. ისტორია ამაზე დუმს. იმ სხდომათა რთული და დაძაბული ატმოსფეროს ეს საინტერესო დეტალები, ეტყობა, სამუდამოდ დაიკარგა.

აი, ერთ-ერთი ამდაგვარი დოკუმენტი: 1937 წლის 28 ივლისს გამართული მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის მე-4 ოქმი.

„მოისმინეს პ. იაშვილის მიერ ჩადენილი პროვოკაციული აქტის შესახებ“. სიტყვებით გამოვიდნენ: ირ. აბაშიძე, ი. ლისაშვილი, ვ. წულუკიძე, ლ. მეტრეველი, პ. საყვარელიძე, გ. ბუხნიკაშვილი, შ. რადიანი, ა. ტუმბაძე, ს. წვერაძე, მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ს. ეული, კ. გამსახურდია, ბ. ჟღენტე, ვ. გაფრინდაშვილი, ს. კლდიაშვილი.

„ყველა ორატორი ერთსულოვნად სასტიკად გმობდა და კიცხავდა პაოლო იაშვილის მოღალატურ მუშაობას, საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან უშუალო კავშირსა და მათ შავბნელ საქმიანობაში მონაწილეობას. ზიზღითა და აღშფოთებით აღნიშნავდა პ. იაშვილის მიერ მწერალთა სასახლეში ჩადენილ პროვოკაციულ აქტს — თვითმკვლელობას.

დაადგინეს — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა მწერალთა აქტივთან ერთად, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია პ. იაშვილის მიერ ჩადენილი პროვოკაციული აქტის შესახებ, აღნიშნავს:

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოფილი წევრი — პავლე იაშვილი მთელი რიგი წლების განმავლობაში საბჭოთა მწერლის ნიღაბს ამოფარებული თვალთმაქცურად აწარმოებდა მოღალატურ ჯაშუშურ მუშაობას ქართველი მშრომელი ხალხისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ.

იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან ტროცკისტ-ბუხარინულ ბანდიტებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მათს დივერსანტულ-მავნებლურ მუშაობაში სისხლიანი ფაშიზმის სასარგებლოდ.

და როდესაც მისი მავნებლურ-მოღალატური მუშაობა ურყევი ფაქტებით საბოლოოდ გამოჩვენებული იქნა, მან მოინდომა გაქცეოდა საბჭოთა ხალხის რისხვას და პროლეტარულ მართლმსაჯულებას. მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა კავშირის პრეზიდი-

უმის სხდომის მიმდინარეობის დროს, წარმოადგენს პროფოკაციულ აქტს, რომელიც ზიზლსა და აღშფოთებას იწვევს ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერლის შეგნებაში.

ქართველი საბჭოთა მწერლები მთელის სიმკაცრით ჰკიცხავენ და ჰგმობს პავლე იაშვილის მოღალატურ მუშაობას და მის სახელს განუსაზღვრელი ზიზლით მოიხსენიებს ჩვენი სამშობლოს ყველა გარეწარ მოღალატეთა და გამყიდველთა სახელებთან ერთად.

საქართველოს საბჭოთა მწერლობა დაუნდობლად და განმანადგურებლად შეებრძოლება კლასობრივი მტრების უკანასკნელ ნამსხვრევებს ლიტერატურის ფრონტზე და კიდევ მეტი ერთსულოვნებით დარაზმავს მთელ თავის შემოქმედებით ძალებს ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანების გარშემო.

თავმჯდომარე დ. დემეტრაძე, მდივანი ირ. ქავჭავაძე“ (სლხცსა, ფ. 8. აღწ. 1. საქ. № 599, გვ. 7—8).

აქვე მკითხველის ყურადღება მიიზიდავს ციტირებულ დოკუმენტში ჩამოთვლილ ორატორთა საკმაოდ გრძელ სიასაც. ვინა არ არიან მის შემადგენლობაში: აქტივისტი პროლეტარული მწერლებიც, კარიერის მაძიებელი ახალგაზრდებიც, პაოლოს მეგობრებიც, თანამოაზრენიც, ათასგვარ ჭირში გამოვლილნიც, ისინიც, ვინც რამდენიმე კვირის შემდეგ თავად აღმოჩნდნენ განსასჯელის სკამზე...

ალბათ, განსხვავებული ხასიათისა იქნებოდა მათი გამოსვლები. ვინ კარიერის აღმავალ გზაზე ერთი ნაბიჯით წინ წასვლას ცდილობდა ამ სიტყვით, ვინ თვალთმაქცობდა, ვინ თავის გადარჩენას ესწრაფოდა, ვინ კიდევ გულში ჩამარხული ნაღველის დაფარვას ცდილობდა... ეს ნიუანსები ამ ოქმის შემდგენელმა სამუდამოდ დაუკარგა შთამომავლობას და ყველაფერს ერთი შეფასება მისცა — „განუსაზღვრელი ზიზლი“ ამ „პროფოკაციული აქტის“ ჩამდენისადმი.

სხვათა შორის, ამ სისხლიანი დოკუმენტის მდივანმა იროდიონ ქავჭავაძემ პ. იაშვილის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით სულ სხვა ხასიათის მოგონება გამოაქვეყნა ორმოცდაათიოდე წლის შემდეგ. აი, როგორ იგონებს იგი პაოლოს თვითმკვლელობას: „კრება იყო ქვევით,

პირველ სართულზე, მე და პლატონ კეშელავა ზევით ვისხედით, მეორე სართულზე, თავმჯდომარის მისაღებში. პაოლო გამოვიდა და რაღაც გვითხრა, გაგვეხუმრა, მერე ქვევით ჩავიდა. გერონტი ქიქოძე იგონებს, რომ იქაც ხუმრობდა, თურმე, ამოვიდა, რაღაც დამავალა. მხარზე ხელი დამკრა და თავის კაბინეტში შევიდა. ცოტა ხანში თოფმა იქუხა. პლატონმა იყვირა: ვილაცამ თავი მოიკლა. ამოცვივდა ხალხი ქვემოდან. მე ის არ მინახავს. ვერ დავხედე, ვერ შევძელი. ბერიას ახარეს ეს ამბავი და იმან — ტუდა ემუ ი დაროგაო“ („ლიტ. საქრთველო“, 1988 წ. 25 მარტი).

როგორც ვხედავთ, ბოლოდროინდელ მოგონებებში, ზემოთ გაანალიზებული დოკუმენტებისაგან განსხვავებით, სულ სხვა შეფასება ეძლევა პაოლოს ტრაგედიას. იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად გავიცნობიეროთ ამ ტრაგედიის ყველა მნიშვნელოვანი ნიუანსი, მინდა მხედველობიდან არ გამომჩიეს მასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი არც ერთი საგულისხმო დოკუმენტი ან წერილი. მართალია, მათში ფაქტები ხანდახან ერთმანეთს არც ემთხვევიან, ანდა განსხვავებულად წარმოგვიდგენენ ზოგიერთ დეტალს, მაგრამ ამ მოგონებებისა და ფაქტობრივი მასალების გაცნობით ჩვენს ცნობიერებაში რამდენადმე მიანიც აღდგება მწერალთა სასახლეში დატრიალებული ტრაგედიის სურათი.

1990 წლის 5 მარტის გაზეთ „მამულში“ დაიბეჭდა ვინმე მ. მ.-ს სტატია „წერილის „სისხლი და მელანი“ განმარტების პასუხი“. ავტორი, რომელმაც თავისი ვინაობა არ გაამჟღავნა, იუწყება, რომ იგი უშუალო თვითმხილველი ყოფილა პაოლოს თვითმკვლელობისა (შეცდომით, ამ ტრაგედიის მოხდენის თარიღად ის 1938 წელს ასახელებს). როგორც სტენოგრაფისტი, მწერალთა პლენუმს ვესწრებოდიო, — აღნიშნავს და იქვე განაგრძობს: „შევიკრიბეთ სალამოს შვიდი საათისათვის. ვიდრე პლენუმის სხდომა დაიწყებოდა, ფოიეში ისხდნენ ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, ბატონი გიორგი ლეონიძე, სანდრო ეული და სხვები. კონსტანტინე ბატონმა მანდილოსნები რომ დაგვინახა, გიორგი ლეონიძეს მიუბრუნდა: — იცით, ქალებზე რა თქმულა? როცა ქალზე

საუბარი გსურს, კალამი ცისარტყელაში ამოაწე და პეპელას ფრთები ზედ დააბერტყეო. მოწონებით შევეყურებდით ბატონ კონსტანტინეს. ამ დროს ფოიეში შემოვიდა პაოლო იაშვილი — ძალზე დაღვრემილი, შეცვლილი, უწინდელ პაოლოს არ ჰგავდა, რაც, რა თქმა უნდა, შენიშნეს და უთხრეს: რაშია, კაცო, საქმე, რა მოხდა ისეთი, ბროშურაში, რომელიც გამოცემულია ლ. პ. ბერიას მიერ, შენს გარდა სხვებიც არიან, მოდი გონსო. იმ ხანებში ახალი გამოსული იყო ლ. ბერიას ბროშურა სათაურით „საქართველოს“... რომელმაც ბევრი ბრწყინვალე ქართველი შეიწირა.

ამის შემდეგ შევედით დარბაზში და დაიწყო სხდომა... სხდომის შუა მსვლელობაში გაისმა თოფის სმა. ბესო ჟღენტმა წამოიყვირა აი, ის, ის, პაოლო იქნებაო. მთელი სხდომის დამსწრე საზოგადოება დგება და მივრბივართ შენობის მეორე სართულზე. აქ ვხედავთ საშინელ სურათს. კედელზე მიყუდებულია პაოლო, თითქოს ვიღაცას განგებ მიუკრავსო. ფეხებსა და ფეხებს შუა აქვს მაგრად ჩადგმული თოფი, მე ვიკივლე: აი, ტვინი, ტვინი პაოლოსი, კედელზეა მისხმული! ეს იყო რაღაც საშინელი სურათი... კედელზე ოთხ და მეტ ადგილას იყო მისხმული პაოლოს ტვინი და სისხლი ხომ მთელ კედელზე იყო გაფანტული. ასეთ გაოგნებულ მდგომარეობაში ვართ. ამ დროს გვესმის მკაცრი ბრძანება: დარბაზი დასტოვეთ, ყველამ ახლავე! გავიხედე და ვიცანი ბერიას ჯაშუში მიჩურინი. გასაკვირია, პაოლოს მკვლელობიდან სამი წუთი არ იყო გასული, მიჩურინი რომ გაჩნდა. ჩვენ ჩამოვედით ყველანი დაღვრემილნი და მტირალნი.

მეორე სურათი: ჩვენ, სტენოგრაფისტებს, ყოველთვის გვექონდა გამოყოფილი ერთი ოთახი, სადაც მასალას ვწერდით. აქ რას ვხედავთ: ამ ოთახში, სადაც ძალზე ანევერიულებული ბატონი მიხეილ ჯავახიშვილი დადის და დადის, თანაც ხელებს იფშენეტს — ეს რა ხდება, ეს რა ხდება, შვილებო, რა მოგველის, რა მოგველის! — ჩვენ ვაწყნარებთ. თვით ნინო კლდიაშვილი კოცნის, ეალერსება: მოდი გონს, ჩემო კარგო, მაგრამ ყველაფერი ამაო ხდება, დახმარებისათვის მივმართავთ ბატონ კონსტანტინეს. იგი მოხვევს ხელს და გაიყვანს ოთახიდან“.

ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტია აქ აღწერილი ფაქტები. ათე-
ული წლების შემდეგ დაწერილ ამ და სხვა მოგონებებში, ცხადია, ზო-
გიერთი რამ, შესაძლოა, გარკვეულწილად შეცვლილიც და გადასხვაფე-
რებულებიც იყოს, ფანტაზიით გამდიდრებულიც და გამძაფრებულიც, მაგ-
რამ მკითხველი იმასაც ნათლად დაინახავს, რომ ამ მონათხრობებში
ბევრი რამაა საერთო. სწორედ ეს საერთო დეტალები და ურთიერთ-
მსგავსი ეპიზოდები უნდა გამოვყოთ მათგან, რათა მიახლოებით მაინც
აღვადგინოთ პაოლოს თვითმკვლელობასთან დაკავშირებული ტრაგიკუ-
ლი მოვლენები.

ამ მიზნით კიდევ ერთ მასალას მივაპყრობ მკითხველის ყურადღე-
ბას — პოეტის ქალიშვილის — მედეას მოგონებას. იმხანად ის 12 წლი-
სა ყოფილა, ბევრი რამ დამახსოვრებია და გვიამბობს: „მამა რამდენ-
ჯერმე წაიყვანეს მანქანით დაკითხვაზე. ბოლოს ნატანჯი, ერთბაშად
დაბერებული, იმედდაკარგული და სახეშეცვლილი დაბრუნდა. ასე მო-
ვიდა ზაფხულის ის ავბედითი, უკანასკნელი ღამეც...

მახსოვს, მამა იმ ღამეს განსაკუთრებით ნერვიულობდა, ადგილს
ვერ პოულობდა, ბოლთას სცემდა, ხშირად დამცქეროდა ლოგინში მწო-
ლიარეს, ბინაში დაყენებულ სიჩუმეში მისი ფეხის ხმა ავისმომასწავებ-
ლად ჟღერდა... მერე კი წერილში მწერდა: „შენ დაგცქეროდი, მედიკო-
ლა შენც ვერ გადამარჩინეო“ („თბილისი“, 1990 წ. 23 მაისი).

ასე აღიბეჭდა ეს ტრაგიკული ფაქტი ბავშვის ცნობიერებაში. ცხა-
დია, ბევრი რამ იმხანად მისთვის მიუწვდომელი და გაუგებარი იქნე-
ბოდა. მაშინდელი ვითარების ცალკეული შემწარავი დეტალები, რომ-
ლებიც ბავშვის ცნობიერებას შემორჩა, მერე გაიაზრა პოეტის ქალი-
შვილმა. მერე გახდა მისთვის ცნობილი, როგორ დევნიდნენ და ებრძოდ-
ნენ პაოლოს, როგორ თანდათანობით და გამიზნულად მზადდებოდა
საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ეს ტრაგედია.

მედეასავე მოგონებით, თვითმკვლელობის წინა ღამეს პაოლომ
ოთხი წერილი დაწერა თურმე: ბერიასადმი, მეუღლისადმი, უფროსი
ძმებისა და ქალიშვილისადმი. ეს წერილები მერე მიუღიათ, როცა უკვე

ტრაგედია მომხდარი იყო. ამითაც ირკვევა, რომ პაოლოს გადაწყვეტილება აფექტის შედეგი არ ყოფილა და იგი დიდხანს ემზადებოდა ამ ნაბიჯის გადასადგმელად.

ერთადერთი სათხოვარი კჰონია ბერიასადმი: კარგად იყი, უდანაშაულო რომ ვარ, ოჯახს მაინც ნუ ამიწიოკებო. „ჩე კი მწერდა, — განაგრძობს ქალბატონი მედეა, — გაიზრდები და მიხვდები, რომ ეს ნაბიჯი არ გადავიდგა, შენ უფრო უბედური იქნებოდიო“. ეს წერილები პოეტის რეაბილიტაციის შემდგომ წაუკითხვინებია მისთვის რუდენკოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში.

„გათენდა ოცდაორი ივლისი — საშინელი განაჩენის აღსრულების დღე. მამამ ბებიასთან დაგვეტოვა და დაგვიბარა, მე თავად გამოგივლით და წაგიყვანთო. როცა მამამ დაიგვიანა, ჩვენ შინ დავბრუნდით. იქ უკვე ჩხრეკა იყო. სამი კაცი გამალებული ეძებდა რალაცას. მათ შორის ორი ქართველი იყო, ერთიც რუსი... სამი დიდი ჩემოდანი — მამის მთელი არქივი და მისი ხელნაწერები წაიდეს. სამწუხაროდ, ისინი ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის.

მამა გათენებისას იპოვეს მორგში. დედა, კოლაუ ნადირაძე და მთელი ნათესაობა ეძებდნენ საავადმყოფოში, სხვა ვერაფერს მოგვეკარა... დაკრძალეს და საფლავს ნიშანი დაადეს, რომ არ დაკარგულიყო, რადგან სახელისა და გვარის აღნიშვნაც არ შეიძლებოდა თურმე... ჩვენს სახლში ყველა მამაკაცი დაიჭირეს. ყოველ წუთს ველოდით დედის დაპატიმრებას. დედაჩემი იმ დროს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა: რა თქმა უნდა, იქედან გამორიცხეს, მაგრამ, თურმე, კეთილი ადამიანები მაშინაც იყვნენ — ინსტიტუტის იმდროინდელმა რექტორმა ბოჯუამ როგორღაც შეძლო მისი აღდგენა“.

აქვე, ამავე მოგონებაში, ჟურნალისტი ირინე კუკავა იმასაც ჩაურთავს, ტიცვიან ტაბიძის ქალიშვილს — ნიტას რომ უთქვამს ამ ფაქტთან დაკავშირებით მისთვის: იმ საბედისწერო დღეს პაოლოს დაურეკავს ნიტასთვის და უთხოვია, მედეას მიმიხედო. ნიტას მაშინ ვერც კი გაეგო, რას ნიშნავდა ეს თხოვნა, რა მოვლა ჭირდებოდა მედეას. ამ

თხოვნის არსი მერე გახდა მისთვის ცნობილი, როცა პაოლოს თვით-
მკვლელობა შეიტყო.

პაოლოს გვამი მწერალთა კავშირიდან ყოფილ არამიანცის საავად-
მყოფოში გადაუსვენებიათ. მაგრამ ჭირისუფლებმა ამის შესახებ არა-
ფერი იცოდნენ. ისინი შიშითა და თავსდატეხილი უბედურებით შეძრ-
წუნებულნი დადიოდნენ საავადმყოფოდან საავადმყოფოში და „მოლა-
ლატე“ პოეტის გვამს დაეძებდნენ. მწერლის ძმიშვილი ნოდარი იგო-
ნებს: არამიანცის საავადმყოფოში მოსულებმა ექიმი აბაშიძე ვინახულეთ
და მას ვკითხეთ, ხომ არაფერი იცოდა პაოლოს გვამის ადგილსამყო-
ფელის შესახებო. აბაშიძემ „იუარა, არც თანხმობა განაცხადა, მხოლოდ
ჩუმად გვითხრა, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამაგდოთო. ეს უკვე
ნიშნავდა, რომ პაოლო აქ იყო. მორგში რომ შევედით და მიცვალებულს
ვეძებდით, სახით მისი ცნობა შეუძლებელი იყო... მთელი ცალი ყბა
თითქმის მოგლეჯილი ჰქონდა, მხოლოდ ხელებით, მისი ნატიფი, გრძე-
ლი, ლამაზი თითების წყალობით ვიცანი.

მიცვალებულის სახლში გადმოსვენების უფლება არ მოგეცეს და
იგო საავადმყოფოდან გავასვენეთ. მისასამძიროებლად ვერავენ ბედავდა
მოსვლას, ყველა შიშს ყავდა შეპყრობილი, რადგან სიკვდილ-სიცოცხ-
ლის საკითხი წყდებოდა“ (იხ. მ. უკლება, ბედი ჰოეტისა, „წიგნის სამ-
ყარო“, 1991 წ. 23 ოქტომბერი).

მეგობართაგან ერთადერთი კაცი, ვისაც დაკრძალვაზე მისვლა გა-
უბედავს, კოლაუ ნადირაძე ყოფილა. ეს ამბავი სასწრაფოდ მოუხსენე-
ბიათ სათანადო ორგანოსთვის, სადაც კოლაუ დაუბარებიათ. მკაცრად
დაუტუქსავთ და ახსნა-განმარტება უთხოვიათ, როგორ გაბედე და და-
საფლავებაზე უნებართვოდ მიდიო.

— მეგობრის დაკრძალვაზე მისვლას რა ნებართვა სჭირდებოდაო? —
გაოცება ვერ დაუფარავს კოლაუს.

ქობულოვს ეს ამბავი ბერიასთვისაც მოუხსენებია და უკითხავს, რა
ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

— მოეშვით, დაანებეთ თავი, ვაჟკაცი ყოფილა და სამაგალითო
მეგობარიო, — უთქვამს ბერიას.

პაოლო პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს. საფლავი რომ არ დაკარგულიყო, პოეტის ძმამ — მიხეილმა კუბოს სანიშნედ თურმე რკინის რელსი ჩააყოლა, „საფლავს კი ნომერი გაუკეთეს ყოველგვარი წარწერის გარეშე“. ჭირისუფალს არა თუ სასაფლაოს მოწყობის ნება არ მისცეს, „ხალხის მტრის“ საფლავზე მისვლაც და გლოვაც კი საკმაოდ დიდხანს ჰქონდათ აკრძალული.

სამწუხაროდ, პაოლოს ტრაგედია საბჭოთა ეპოქის მიერ თავსდატეხილი ერთადერთი უბედურება არ ყოფილა პოეტის დიდი ოჯახისათვის. ამ უბედურების პირველი გამოვლინება პაოლოს ძმის — 22 წლის ვასილის ტრაგიკული აღსასრული იყო. იგი 1924 წლის სახალხო აჯანყებაში მონაწილეობის გამო დახვრიტეს შორაპანში. 1937 წელს კი მეორე ძმა კონსტანტინე და სიძე (დის ქმარი) პლატონ მოდებაძე დახვრიტეს. 1941 წელს ძმისშვილი ნოდარი დაიჭირეს და დააპატიმრეს 15 წლით, ხოლო 1942 წელს მესამე ძმა ივანე (ტუპია) გადაასახლეს შუა აზიაში ხუთი წლით („წიგნის სამყარო“, დასახ. ნომერი).

ქალბატონ მედეას ცნობით, იმ ტრაგიკულ დამეს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უშიშროების თანამშრომლებს სამი ჩემოდანი წაუღიათ პოეტის ხელნაწერებისა და არქივისა. ამასვე ადასტურებს ვახტანგ მოდებაძეც, რომელიც გვაუწყებს, რომ მათში გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებიც ყოფილა და სვამს საკითხს ამ მასალების მოძიებისა და გამოქვეყნების შესახებ („ლიტ. საქართველო“, 1989 წ. 22 დეკემბერი).

ასე დასრულდა პაოლოს წინააღმდეგ გაჩაღებული მრავალწლიანი ბრძოლა, რითაც ხელისუფლებამ ერთ-ერთი „საიმედო ნაბიჯი“ გადადგა „სახელმწიფოებრივი უშიშროების“ შემდგომი განმტკიცებისა და „ხალხის მტრების“ გამოაშკარავების გზაზე. ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისით, პაოლო პირველი ყველაზე დიდი მსხვერპლი იყო. სულ მალე, რამდენიმე კვირაში, მას სხვებიც მიყვნენ და წუთისოფლის ცოდვიან კალოზე თქრი-ალით დაიწყო ღვრა ერის რჩეულ მამულიშვილთა უდანაშაულო სისხლმა.

მწერალთა კავშირში სისტემატურად იმართებოდა პრესიდუმიის გაფართოებული სხდომები, სადაც აღშფოთებულნი გმობდნენ ყოველი ას-

ლად გამოაშკარავებული მტრის სახელს, თანაც ერთგულების ფიციით სავსე პატაკებს უგზავნიდნენ სტალინს, ბერიასა და ეჟოვს.

როგორც ითქვა, მწერალთა რიგების „იდეური გაჯანსაღებისთვის“ აქტიური ბრძოლის დაწყების საქმეს დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კპ(ბ) X ყრილობაზე გაკეთებულმა ბერიას მოხსენებამ. და აი, გავიდა ამ „ისტორიული დღიდან“ არც თუ ისე დიდი დრო და პარტიის XI ყრილობაზე, 1938 წელს, სიამაყით ცხადდება ბერიას დირექტივების შესაბამისად ჩატარებული მწერალთა რიგების „წმენდის“ შედეგები: „საქართველოს საბჭოთა მწერლებმა თავისი რიგები გასწმინდეს საზიზღარი გამცემლებისა და ჯაშუშებისაგან — ყველა ამ ჯავახიშვილებისაგან, მიწვილებისაგან, იაშვილებისაგან, ტ. ტაბიძეებისაგან და სხვა, რომლებიც წარმოადგენდნენ რა საერთაშორისო ფაშიზმის აგენტებს და მოხერხებულად ინიღბავდნენ რა თავის ნამდვილ მტრულ სახეს, ღალატობდნენ საბჭოთა საქართველოს და ქართველ ხალხს“.

ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, კომენტარი ზედმეტიაო...

* * *

მოყოლებული 1937 წლის ტრაგედიიდან, პ. იაშვილის, როგორც რეპრესირებული მწერლის, სახელის ხსენებაც კი აიკრძალა. მისი პოეზია საბჭოთა ეპოქისათვის იდეოლოგიურად მიუღებლად გამოცხადდა. ასე გაგრძელდა 1954 წლამდე. 1954 წელს, ქართველ მწერალთა IV ყრილობაზე, მიხეილ ჯავახიშვილთან და ტიციან ტაბიძესთან ერთად, მოხდა პაოლო იაშვილის რეაბილიტაცია, რითაც დასაბამი მიეცა ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პროცესს.

მართალია, ის შეფასებანი, რომლებიც პაოლოსა და მისი ლიტერატურული თანამოაზრეების (პირველ ყოვლისა, „ცისფერყანწელების“) შემოქმედებას ეძლეოდა, ხშირად კვლავ შებოჭილი იყო საბჭოთა იდეოლოგიის დოგმებითა და სქემებით, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ პოეტის ნაღვაწი სამუდამოდ დაუბრუნდა მშობლიური ლიტერატურის ისტორიას.

1955 წელს გამოვიდა პ. იაშვილის ლექსების კრებული. ფაქტობრივად, ეს იყო მისი პირველი წიგნი. როგორც ცნობილია, პაოლო ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ, სხვადასხვა მიზეზთა და მოსაზრებათა გამო, სიცოცხლეში საკუთარი წიგნი არ გამოუცია.

1957 წელს, 8 ივლისს, თვითმკვლელობიდან ზუსტად ოცი წლის თავზე, საქართველოს მწერალთა კავშირმა რესპუბლიკის კპ ცენტრალური კომიტეტის წინაშე აღძრა საკითხი პაოლოს ნეშტის გადასვენების თაობაზე პეტრე-პავლეს სასაფლაოდან დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (სლხცსა, ფ. 8 აღ. 1, საქ. 1962). ცენტრალურმა კომიტეტმა დააკმაყოფილა თხოვნა, მიიღო სათანადო გადაწყვეტილება და დაავალა შესაბამის უწყებებს (თბილისის აღმასკომს, საქართველოს პანთეონების დირექტორს) საქმის მოგვარება. იმავედროულად, პაოლოსთან ერთად, იმავე დოკუმენტებში დასმული და დადებითად გადაწყვეტილია აგრეთვე საკითხი ნიკო ლორთქიფანიძის ნეშტის ვაკის სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადასვენების თაობაზე.

ჟურნალი „ოქროს ვერძი“

ჟურნალი „ოქროს ვერძი“ 1913 წელს გამოიცა ქუთაისში. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდული ორგანო მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოდიოდა (პირველი ნომერი დაისტამბა 19 მაისს, უკანასკნელი, მეხუთე, კი 30 ივნისს), მან მაინც საგულისხმო კვალი გაავლო ათიანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

როგორც სარედაქციო განმარტებიდან ჩანს, ჟურნალი მიზნად ისახავდა მომსახურებოდა ლიტერატურის, ხელოვნებისა და კრიტიკის განვითარების საქმეს. „ოქროს ვერძის“ თანამშრომლებად, — მითითებული იყო პირველივე ნომრის შესავალ წერილში, — „მოწვეულნი იყვნენ ყველა ჩვენი გამოჩენილი მწერლები“. ჟურნალის თითოეული ნომერი 16 გვერდს მოიცავს. ყოველი მომდევნო ნომრის გვერდების ნუმერაცია აგრძელებს წინა ნომრის გვერდების ათვლას. ამრიგად, ხუთივე ნომრის მოცულობა სულ 80 გვერდს შეადგენს.

მართალია, ეს რაოდენობა, თავისთავად, არაა დიდი, მაგრამ დახვეწილი ლიტერატურული გამოვნებით შერჩეული ნაწარმოებები არათუ იმდროინდელი ლიტერატურული ვითარების შესასწავლადაა საინტერესო, არამედ თანამედროვეობის პოზიციებიდანაც საგულისხმოა და საყურადღებო. „ოქროს ვერძში“ გამოქვეყნებული რამდენიმე ქმნილება მტკიცედ დამკვიდრდა XX საუკუნის ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების გვერდით.

რედაქციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მხატვრული ეგზალტაციის მოძალების ჟამს მან შეძლო მის ირგვლივ შემოეკრიბა ჯგუფი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლებისა, რომლებმაც სულ მალე წამყვანი როლი შეასრულეს ჩვენი ლიტერატურის განვითარების საქმეში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამდროინდელ ჩვენს პერიოდულ პრესას უამრავი „კალმოსანი შესევია“ კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ იმ შეუმცდარ ინტუიციასა და ალღოს, რომლითაც რედაქციის კოლექტივმა შეძლო მხოლოდ ჭეშმარიტი ნიჭის სარბიელად ექცია ჟურნალის ფურცლები.

„ოქროს ვერძის“ გამოცემასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას ვხვდებით გაზეთ „თემის“ 1913 წლის 11 მარტის ნომერში. ეს არის ჟურნალის ფაქტობრივი რედაქტორის — პაოლო იაშვილის განცხადება, რომლითაც იგი მკითხველებს ამცნობდა გადაწყვეტილებას ახალი პერიოდული ორგანოს დაარსების თაობაზე. „ამ მოკლე ხანში, — წერდა განცხადების ავტორი, — ვაპირებთ ჟურნალის გამოცემას. რადგანაც ყველა სასურველ თანამშრომლისათვის ძნელია სიტყვით ან წერილობით ახსნა ჩვენი მიზნისა, ვთხოვთ პატივცემულ „თემის“ რედაქციას ადგილი დაუთმოს ამ წერილს.

ჟურნალი ემსახურება ჩვენს ლიტერატურას, კრიტიკასა და სხვა წმინდა ხელოვნების დარგებს, განურჩევლად მათი პოლიტიკური მიმართულებისა.

ჟურნალს ეყოლება საკუთარი კრიტიკოსები, ხელოვნების მკვლევარნი, რეცენზენტები, მთარგმნელნი უცხო მწერლებისა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გარეგან ფორმას ჟურნალი-სას. ჟურნალში მოსათავსებელ მასალას სპეციალურად არჩეული კომისიო გაარჩევს.

გამოცემა იქნება კვირეული ან ორკვირეული.

რედაქცია მიმართავს მონაწილეობის მისაღებათ შემდეგ პირთ: ვაჟა-ფშაველას, კიტა აბაშიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, ი. ვედოშვილს, ია ეკალაძეს, ვ. გუნიას, შალვა დადიანს, კ. მაყაშვილს, ვ. რუხაძეს, ალ. შანშიაშვილს, ი. გრიშაშვილს, ს. აბაშელს, ნ. შიუკაშვილს, ლეო ქიაჩელს, ა. ჭუმბაძეს, ნ. ლორთქიფანიძეს, დ. კასრაძეს, ვ. ბარნოვს, გ. ქუჩიშვილს, თურდოსპირელს, ახოსპირელს, ნ. ჩხიკვაძეს, ი. მჭედლიშვილს, გ. და ტ. ტაბიძეებს, კ. აბაშისპირელს, დია ჩიანელს და სხვა“.

ასე ემცნო ფართო საზოგადოებას გადაწყვეტილება ახალი ლიტერატურული ორგანოს გამოცემის შესახებ.

გარდა პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური განცხადებისა, პაოლო პირადი წერილებითაც ცდილობდა ჟურნალის ირგვლივ ნიჭიერი შემოქმედებითი ძალების შემოკრებას. ასეთი თხოვნის გამომხატველი ბართათი გაუგზავნია, მაგალითად, მას 1913 წლის 3 მაისს იმ პერიოდის საქართველოში მეტად პოპულარული ახალგაზრდა პოეტის — იოსებ გრიშაშვილისათვის, სადაც წერდა: „სოსო! ველით მასალას 8 მაისამდის. პ. იაშვილი. რედაქცია და კანტორა „ოქროს ვერძი“. ქუთაისი“ (იხ. ნ. გრიგორაშვილი, პაოლო იაშვილის წერილები იოსებ გრიშაშვილისადმი, „მნათობი“, 1986 წ. № 10, გვ. 146).

ამ მოკლე ბარათიდან ნათლად ჩანს, რომ გრიშაშვილისათვის პაოლოს ადრეც ჰქონია განდობილი თავისი გადაწყვეტილება ჟურნალის გამოცემის თაობაზე და, ეტყობა, თანამშრომლობაზე დათანხმებული ჰყავდა მეგობარი პოეტი. ამდენად, ციტირებული წერილი უფრო ადრინდელი თხოვნის განმეორებითი შესხენებაა, რაც უყურადღებოდ არ დაუტოვებია ი. გრიშაშვილს. ამაზე მეტყველებს მისი აქტიური თანამშრომლობა „ოქროს ვერძში“.

ჟურნალის პირველი ნომერი 1913 წლის 19 მაისს მიიღო მკითხველმა. ფინანსური სირთულეების გამო „ოქროს ვერძი“ ჯერ შეფერ-

ხებებით გამოდიოდა, 30 ივნისს კი, მეხუთე ნომრის გამოსვლის შემდეგ, საერთოდ შეწყვიტა არსებობა, რის გამოც ჟურნალის რედაქტორმა გაზეთ „თემის“ ფურცლებიდან (1913 წ. № 132) ბოდიში მოუხადა მკითხველს.

„ოქროს ვერძის“ გამოცემის შეწყვეტასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას ვხვდებით აგრეთვე ჟურნალ „განთიადის“ 1915 წლის მე-6 ნომერში დასტამბულ ი. კვიციანიძის წერილში „მწიგნობრობის თანამგზავრი“. „დიდი შეპირებით დაწყებული მხატვრული საკვირაო ჟურნალი ახალგაზრდა კალმოსანთა ჯგუფის, — გვამცნობს „განთიადი“, — მოკლესხოვანი „ოქროს ვერძი“... ისევ უსახსრობითაა შეჩერებული... პერიოდული გამოცემების გამავრცელებელი, როგორც გადმოგვცა ამ ჟურნალის გამომცემელმა, ვერც მასთან გამომდგარან პირნათლად: იმათგან ექვსას — რვაას მანეთში მხოლოდ ოთხმოცი მანეთი აუღია და ასეთ პირობებში, საოცარია რატომ უკვირს ჩვენ ინტელიგენტებს, რომ ამოდენა ქართული გამოცემები ვერ ხეირობენ... ქუთათურ „ოქროს ვერძის“ განახლებას მაინც კიდევ მოელიან ზოგიერთნი, თუ მის გამომცემელს შეჩერების დღიდან დღემდე გული გაუთმელდა ქართული გამომცემლობა-მწიგნობრობის ეკლიან გზაზე სასიარულოთ“ (გვ. 27).

სამწუხაროდ, არ გამართლდა ეს მოლოდინი და ჟურნალის გამოცემა აღარ განახლებულა.

ზემოთქმულისაგან განსხვავებით, „ოქროს ვერძის“ დახურვის უმთავრეს მიზეზად ზოგიერთი მაშინდელი მოღვაწე პაოლო იაშვილის საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრებას ასახელებს. ჟურნალის გამოცემის შეწყვეტა, — წერს გ. მებუკე, — „გამოიწვია რედაქტორის პაოლო იაშვილის საზღვარგარეთ წასვლამ. წლიურმა ხელის მომწერლებმა მოითხოვეს ფულის უკან დაბრუნება, მათ ასეთი წერილით გასცა პასუხი რედაქტორმა პაოლო იაშვილმა: „ჩემდა სამწუხაროდ და სრულიად მოულოდნელად ჩვენი ჟურნალი შეჩერდა. მკითხველი ნუ მომთხოვს დაწერილებით ანგარიშს ამ მიზეზის გამოსარკვევად. მქონია სურვილი გამომცემლობის განახლებისა, მაგრამ ესეც შეუძლებელი შეიქმნა, რადგან პირადი საჭიროების გამო ევროპისკენ მიხდება გამგზავრება ხანგრძლივი ვადით“ (გ. მებუკე, პ. იაშვილი, ქუთაისი და ჟურნალი „ოქროს ვერძი“,

გაზ. „ქუთაისი“, 1964 წ. 28 აგვისტო). საზღვარგარეთ გამგზავრებამდე პაოლოს პირნათლად გაუსწორებია ყველა ხელისმომწერისთვის ანგარიში.

„ოქროს ვერძის“ პირველ ნომერში დასტამბულ სარედაქციო წერილში „ორი სიტყვა რედაქციასა“ საუბარია იმ წინააღმდეგობებზე, ჟურნალის დაარსებას რომ ეღობებოდა წინ. „საქართველოში წმინდა ხელოვნური ჟურნალი ვერ იარსებებს, მას ჩვენში ნიადაგი არ აქვსო, — აი. სიტყვები, რომელიც გვესმოდა ჩვენ იმ პირთა უმრავლესობიდან, რომელთაც ჩვენი ჟურნალის დაარსების განზრახვა გაუუმჯლავნეთ“, — გვამცნობს რედაქცია. მაგრამ ენთუზიაზმმა, მწერლობის სიყვარულმა, თავისი გაიტანა, ყოველგვარი წინააღმდეგობა დაძლია და ოცნება რეალობად აქცია. ამ ძალას რედაქციის კოლექტივს, ჟურნალის ახალბედა და იმჩანად სრულიად გამოუცდელ რედაქტორს, სძენდა შეუვალი რწმენა იმისა, რომ „დაწყებული საქმე ცოტათი მაინც შეძლებდა იმ საკითხების გამორკვევას, რომელთაც უნდა გადაწყვიტონ ბედი ჩვენი ხელოვნებისა“.

სასიამოვნოა იმისი აღნიშვნა, რომ ჟურნალის კოლექტივმა შინაგანად სწორად იგრძნო განვითარების ის მძლავრი ტენდენციები, რომლებიც სწორედ იმ ხანად ისახებოდნენ ქართულ მწერლობაში და მათი განვითარებისთვის ხელისშემწყობი პირობების შექმნა ცადა. „დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ მძლავრ სიასლეს ჩვენში ხელოვნების აყვავებისაკენ, როდესაც ვგრძნობთ, რომ ჩვენი ხელოვნება დღითი-დღე იმატებს და იზრდება, — ხაზგასმული იყო იქვე, — ჩვენ გვინდა თამამად ვთქვათ: ვემსახურებით ჩვენს დასახულ მიზანს, ერთი წუთითაც არ უღალატებთ მას, სანამდის სულ არ მოგვსპობს საზოგადოების გულციობა“. ასე განსაზღვრა ჟურნალმა თავისი სამოქმედო პროგრამა პირველივე ნომერში დასტამბული ამ პატარა წერილით.

თავიდანვე ასევე მკაფიოდ გამოკვეთა რედაქციამ თავისი უღრმესი პატივისცემა ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებისადმი, პირველ ყოვლისა კი შოთა რუსთაველისადმი. ეს გამოჩნდა იმით, რომ ჟურნალის პირველი ნომერი რუსთაველის პორტრეტით იხსნება (მხატვრები

ვ. და გ. ჯაფარიძეები), ხოლო ქვემოთ შოთასადმი მიძღვნილი სპეციალური წერილიცაა დასტამბული. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი იყო დამოკიდებულება რუსთაველის პოეტური გენიისადმი, მკითხველს მივაწვდი ორიოდ ფრაგმენტს წერილიდან: „ჩვენს სვედით მოცულ ყოფნას აცისკროვნებს მისი ცეცხლის სული, მის სამშობლოს არსებასთან შედუღებული... ჟამი... იმის სიტყვას ხალხში აღმერთებს... ბედმა რომ მოსპობა გვარგუნოს და ყოველივე ჩვენი დაგვარგოთ, ჟამისაგან შექმნილი ძეგლი მისი მაინც შეურყევლად დარჩება, ვერა რა დაანგრევს მას“.

წერილიდანვე ვგებულობთ იმასაც, რომ თბილისში დაუარსებიათ რუსთაველის საზოგადოება, რომლის მიზანი იყო „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაცია და შესწავლა. რედაქციის შეფასებით, „ამგვარი საზოგადოების დაარსების დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკიც კი მეტია“. აქვე გამოთქმულია სურვილი მსგავსი საზოგადოების ქუთაისში შექმნის აუცილებლობაზეც.

შემოქმედებითი ცხოვრების გააქტიურების მიზნით, ჟურნალის რედაქციამ გადაწყვიტა სალიტერატურო კონკურსის ჩატარება, დააწესა სათანადო პრემიები საუკეთესო მოთხრობებსა და ლექსებზე და სათანადო განცხადება დასტამბა მეორე და მესამე ნომრებში. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ოქროს ვერძი“ ლიტერატურულ ახალგაზრდობაში შეეცადა თავისი ფავორიტები მოეძებნა. ეს კარგად ჩანს კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიმართ წაყენებული შემდეგი პირობით: „მოთხრობის კონკურსში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ ბელეტრისტებმა, რომელნიც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ 1900 წლიდან“.

გაუმართლებლად მიმაჩნია ზოგიერთი მკვლევარის მიერ პარალელის ძიება ჟურნალის სახელწოდებასა და მოსკოვში, 1906-1909 წლებში, სიმბოლისტების მიერ გამოცემულ პერიოდულ ორგანოსთან — „ზალატოე რუნოსთან“. იმ დროს, როცა ქუთაისში „ოქროს ვერძი“ ფეხს იდგამდა, ქართული სიმბოლიზმი ის-ის იყო ისახებოდა და ამდაგვარი პარალელის მიზანსწრაფულობისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა. თანაც, ეს სიახლოვე რომ წინასწარ მოფიქრებული და გააზრე-

ბული ყოფილიყო, იგი გამოვლენას იპოვიდა არა მარტო სათაურში, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. მაგრამ, როგორც ჟურნალის უბრალო გაცნობითაც დარწმუნდება კაცი, ასეთი პარალელი ხელოვნურია და გაუმართლებელი.

მეორეც, თუ ჟურნალის სათაურის წარმომავლობაზე მიდგება საქმე, რაღა შორს მიედვიართ, რატომ გვავიწყდება მთელ მსოფლიოში ფართოდ გახმაურებული ოქროს საწმისის ლეგენდა, რომელიც, პირველ ყოვლისა, სწორედ კოლხეთთან და ქუთაისთანაა დაკავშირებული. ამ ლეგენდის გეოგრაფიული სარბიელი და მის წიაღში დაბადებული და საქვეყნოდ ცნობილი მძლავრი პოეტურ-რომანტიკული ტრადიციები განააჰკარად არ მიგვანიშნებენ იმაზე, საიდან მომდინარეობს ჟურნალის სახელწოდება?!

„ოქროს ვერძმა“ გამოსვლისთანავე მოიპოვა ფართო პოპულარობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მე-2 ნომერში დაბეჭდილი სარედაქციო წერილი „პირველი ნაბიჯი“, რომელშიც ნათქვამია: „თუმცა რიცხვით ჩვენი ჟურნალი განსაზღვრულზე მეტი დაისტამბა, მაგრამ ახლა კანტორაში თითქმის სულ აღარ არის ეგზემპლარები. აგენტები ყოველდღე გვთხოვენ დეპეშებით, თუ წერილობით ჟურნალის ხელმეორეთ გამოგზავნას“.

„ოქროს ვერძის“ ასეთი პოპულარობა, მისი დახვეწილი ლიტერატურული დონე და მაღალი პროფესიონალიზმი, მთლიანად აქარწყლებდა იმ სკეპტიკურ თვალსაზრისს, რომელსაც პირველივე ნომერში აკრიტიკებდა რედაქცია (იხ. წერილი „ორი სიტყვა რედაქციისა“). ეს იყო სკეპტიციზმი იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილისა, ვინც თვლიდა, რომ „საქართველოში წმინდა ხელოვნება ვერ იარსებებს, ჩვენში მას ნიადაგი არა აქვს“.

მართალია, „ოქროს ვერძის“ რედაქტორ-გამომცემლად ჟურნალში ბიკტორ ჯაიანია დასახელებული, მაგრამ, როგორც ითქვა, ნამდვილი რედაქტორი პაოლო იაშვილი იყო. პაოლოს მოუხსენიებლობას რედაქტორად ჟურნალის გარეკანის მხატვარ-გამფორმებელი ვლადიმერ ჯაფარიძე იმით ხსნის, რომ იგი „იმ დროს გიმნაზიაში სწავლობდა და მოწაფის

რედაქტორად გამოცხადება დაუშვებელი იყო. ბესო ჯაიანი კი მხოლოდ „ოფიციალური რედაქტორი იყო, ის საადგილმამულო ბანკში მუშაობდა ქუთაისში და პაოლოს ეხმარებოდა როგორც ახალგაზრდა ლიტერატორს. ჟაქტობრივი რედაქტორი კი პაოლო იყო და ჟურნალისთვის საჭირო ყველა საქმეს თვითონ წარმართავდა, მით უფრო, რომ რედაქცია თავის სახლში ჰქონდა (ყოფილი კაზაკოვის, ამჟამად პ. იაშვილის ქუჩის 32-ე ნომერში — ა. ნ.), რათა საჭირო ხარჯებისათვის მისივე ოჯახი დახმარებოდა, უფრო კი მამა, რომელსაც ეკუთვნოდა ლამაზი ორსართულიანი სახლი განიერი, მწვანე, ხეხილით სავსე ეზოთი“ (ვლადიმერ ჯაფარიძე, წარსულის გახსენება, „კრიტიკა“, 1976 წ. № 3, გვ. 168).

ჟურნალის მაღალი პროფესიული დონე, უპირველეს ყოვლისა, პ. იაშვილის, როგორც რედაქტორის, დამსახურების შედეგი იყო. ვ. ჯაფარიძისავე ცნობით, ამ საქმეში მას, ჟაქტობრივად, „თითქმის არავინ დახმარებია“. იგი ძალასა და ენერჯიას არ იმურებდა ჟურნალის ირგვლივ ჩვენი მწერლობის სასიქადულო წარმომადგენელთა შემოსაკრებად. ამაზე მეტყველებს მის მიერ მწერლებისადმი გაგზავნილი პირადი წერილები, რითაც თანადგომასა და აქტიურ თანამშრომლობას სთხოვს მათ. აი, რა ბარათი მოუწერია, მაგალითად, პაოლოს ვაშა-ფშაველასადმი:

„საყვარელო ვაჟა!

ეს ერთი თვეა გეძებთ თუ წერილობით, თუ ისე გამოკითხვით და ვერსად გიპოვეთ. ესლა გორიდან მწერს მიხეილ რაზიკაშვილი, ფშავეში იქნებაო და ნეტავი მართლა. ჩვენი რედაქციის მინდობილობით გთხოვთ თანამშრომლობას. ჟურნალი წმინდა სალიტერატურო და ხელოვნებისაა. პირველი ნომერი გამოვა 12 მაისს და თქვენი მასალა აუცილებელი საჭიროებაა, ჰონორარს მიიღებთ ლექსის პწკარში 5 კაპიკს, მოთხრობაზე შევთანხმდებით ბოლოს. ველით ლექსს. ამ წერილის მიღებისთანავე თუ გამოგიგზავნით, დროზე მოვა.

მარად ერთგული და მოყვარული რედაქციის გამგე პ. იაშვილი (ზ. კიკნაძე, „პაოლო იაშვილის ორი წერილი ვაჟა-ფშაველასადმი“, იხ. გაზეთი „ლიტ. საქ.“, 1971 წ. 22 სექტემბერი).

იგივე თხოვნა მეორდება პაოლოს მეორე წერილშიც, რომელიც მან ვაქას „ოქროს ვერძის“ პირველ ნომერთან ერთად გაუგზავნა.

მსგავსი თხოვნით არაერთგზის მიმართა პაოლომ აკაკის, გ. ტაბიძეს, ბაჩანას, თ. რაზიკაშვილს, ი. გრიშაშვილსა და სხვებს.

ჟურნალში დასტამბულ მასალათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა პოეზია. რედაქციის კოლექტივის შეუმცდარი ალლოთი და მკაცრი პოეტოვნობით შეურჩევია ლექსები იმხანად ჯერ კიდევ ახლად ფეხადგმული იმ ნიჭიერი პირებისა, რომელნიც სულ მალე წამყვან ადგილს იმკვიდრებენ ქართულ პოეზიაში. მათგან, პირველ ყოვლისა, უნდა მოგინსენიოთ გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც „ოქროს ვერძში“ სამი ლექსი დასტამბა: „ქალი და ხელოვნება“ (№ 1), „უხილავი“ (№ 2) და „მე და ღამე“ (№ 4).

ეს ის დროა როდესაც გალაკტიონი უკვე ემზადება თავისი პირველი წიგნის გამოსაცემად. რედაქციის ცნობით (№ 1), რ. დათეშიძე შედგომია კიდევ მისი ლექსების კრებულის გამოცემისათვის სამზადისს.

პოეტური ტრაფარეტისა და შაბლონის საგრძნობი მოძღვების უაქს, რითაც მკაფიოდ ხასიალდება 900-იანი წლების ქართული ლიტერატურული პროცესი, გ. ტაბიძის ლექსები ეროვნული პოეზიის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო.

მათი უკვე ნათლად ჩანს ენერგიული ოსტატობით გამოვლენილი ის ნატიფი ხაზები, რითაც გალაკტიონმა თავისი დიდი პოეტური სამყაროს პირველი შთამბეჭდავი კონტურები მოხაზა. სამივე ლექსი ერთი და იმავე რიტმულ-ვერსიფიკაციული საზომითაა შესრულებული. ეს სალექსო ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული ამდროინდელ ჩვენს პოეზიაში, იმდენად ფართოდ, რომ იგი ხშირ შემთხვევაში ინტონაციური მონოტონურობითაც კი ემუქრებოდა ქართული ლექსის მრავალხმიანობას. მაგრამ რიტმული ტრაფარეტის ასეთი არასასიამოვნო შეგრძნება იმთავითვე იმსხვრევა, როგორც კი გ. ტაბიძის დასახელებულ ლექსებს მაშინდელი ბევრი ავტორის ნაწარმოებებს შევუპირისპირებთ.

დახვეწილი პოეტური ოსტატობის ხარისხი, ელვარე მხატვრულ სახეებში განსხეულებული მძაფრი ემოცია, ლირიკული განცდის სიღრმე

და ფილოსოფიური განზოგადებულობა ამ ლექსებს მკაფიოდ გამოსარჩევს ხდის მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაში.

ამ თვალსაზრისით, მათგან, პირველ ყოვლისა, „მე და ღამე“ უნდა ჯამოიყოს, როგორც ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში მართებულად შეინიშნეს, ეს ახალი დროის „სული თბოლი“ (რ. თვარაძე).

„მე და ღამის“ ელემენტურ განწყობილებას თავისებურად შეესატყვივებს აგრეთვე „ქალი და ხელოვნების“ ნაღვლიანი ტონიც. ლექსი ოთხი ნაწილისაგან შედგება და მასში ჩანაფიქრი კონტრასტის, დაპირისპირების ფორმითაა გადმოცემული. ნაწარმოების მიზანდასახულებას განსაზღვრავს ხელოვნებასა და მიწიერ ვნებებს შორის არსებული კონფლიქტი. ამ კონფლიქტის საფუძველი კი პირველის მარადიულობა და მეორის წარმავლობაა. სწორედ ამ აზრის მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენს ლექსის ოთხივე ეპიზოდში მოხაზული დრამატული სიუჟეტური ფრაგმენტები.

ჟურნალში დასტამებულია აგრეთვე გ. ტაბიძის მესამე ლექსი — „უხილავი“. რედაქციის ცნობით, ეს ლექსი გაგზავნილი იყო შარშან (ე. ი. 1912 წ.) გაზეთ „თემის“ მიერ გამართულ კონკურსში, სადაც „აბაშელის ლექსის შემდეგ ყველაზე მეტი ხმა მიიღო“. აღნიშნული ცნობა, გარდა იმისა, რომ აზუსტებს გ. ტაბიძის სარეცენზიო ლექსის დაწერის თარიღს, მნიშვნელოვანია პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის გასათვალისწინებლადაც. იგი ნათლად მიგვანიშნებს იმ ინტერესზეც, რასაც ახალგაზრდა პოეტის პირველივე ლექსები აღძრავდა ლიტერატურულ წრეებში.

„ოქროს ვერძის“ პირველი ნომერი იხსნება ალ. აბაშელის ლექსით „ტბაზე“. ეს ის პერიოდია, როცა ის-ის იყო უნდა გამოსულიყო პოეტის ლექსების გახმაურებული წიგნი — „მზის სიცილი“. მართალია, ჟურნალში გამოქვეყნებული ლექსი ალ. აბაშელის პოეტურ მიღწევათა პირველ რიგში არ დგას, მაგრამ ნაწარმოები მაინც ნათლად მიგვანიშნებს ავტორის პროფესიულ ოსტატობასა და ნიჭიერებაზე.

ჟურნალის მეორე ნომერში ვინმე ვ-ს ხელმოწერით დაბეჭდილია რეცენზია იოსებ გრიშაშვილის ლექსებზე, ხოლო მესამე ნომერში პოე-

ტის ერთი ლექსია გამოქვეყნებული. ნ. გრიგორაშვილის აზრით, რეცენზენტი პ. იაშვილია („სკოლა და ცხოვრება“, 1989 წ. № 12). მიუხედავად იმისა, რომ ეს პატარა მიმოხილვა არ გამოირჩევა პროფესიული გაწაფულობითა და დასაბუთებულობით, ყურადღებას იპყრობს პოეტის მისამართით გამოთქმული ასეთი შენიშვნა. „ამ ურითმო ლექსებში, — ხაზგასმულია რეცენზიაში, — ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი ნიჭი გაცილებით ნაკლებად მოჩანს, ვიდრე მის ლირიკულ პიესებში. ამ შვიდ მინიატურაში, რომელიც ავტორს პატარა წიგნაკ „ბროლის ღიმილში“ მოუთავსებია, ჩვენ ვერც ერთს ვერ ამოვარჩევთ იმ გვარს, რომ გრიშაშვილის ლექსების შთაბეჭდილება მოახდინოს“.

რაც შეეხება მესამე ნომერში დასტამბულ ი. გრიშაშვილის ლექსს — „სხივთა წვიმა“, იგი არც მხატვრული დონით და არც შინაარსობრივი თვალსაზრისით არ გამოირჩევა ავტორის ადრინდელ ნაწარმოებთაგან.

იგივე ითქმის ჟურნალის მეხუთე ნომერში დასტამბულ პ. იაშვილის ერთადერთ ლექსზე — „მეორეს“, რომლის დაწერის სურვილს ასე გვიმჟღავნებს თავად პოეტი: „მე მსურს ყველამ გაიგონოს შეყვარებულ მგოსნის ლექსი“. როგორც მართებულად შენიშნა ლ. ავალიანმა, ეს ლექსი ნაკლებ საინტერესოა თემატურადაც და მხატვრული გამოსახვის საშუალებათა სიახლითაც (ლ. ავალიანი, პაოლო იაშვილი, 1977. გვ. 21). გავისხენოთ ფრაგმენტი ლექსიდან: „მზე მოკვდება ერთის წუთით, ერთის წუთით დაიძინებს — ნაცვლად ვარსკვლავს გამოგზავნის: ის ცის ფსკერზე გაიცინებს, ამ დროს კოცნით ლაწვს დაგიწვავ, გადაგაქცევ მზიან ვნებათ. უხმოთ წავეალ წყლის ნაპირას მყუდრო ბინის მისაგნებათ. და რაც რომ ჩემს სიჭაბუკეს შერჩენია კიდევ ვნება, შენს თეთრ სხეულს ჩემო სატრფო ცეცხლის ალათ მოედება“.

გარდა დასახელებული ლექსებისა, ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე ნაწყვეტი ს. შანშიაშვილის პოემიდან „მეფე მგოსანი“, ნ. ჩხიკვაძის „სიყვარული“, ვ. რუსაძის „მაისის დილა ხარობდა“, იასამნის „შობა პანგისა“, კ. აბაშისპირელის „პოემიდან „ორი რაინდი“, პ. ჰაინეს, რ. თაგორის, ი. სვეერიანინის თარგმნილი პოეტური ნაწარმოებები და სხვა მასალები.

თარგმნებიდან მკითხველის ყურადღებას მივაქცევ პ. იაშვილის მიერ თარგმნილ იგორ სვერიანინის ლექსს „გაზაფხულის დღე“, რომელსაც მთარგმნელის შემდეგი მინაწერი ახლავს თან: „ეს ლექსი ავტორმა ჩვენს ჟურნალს დაუტოვა ქ. ქუთაისში ყოფნის დროს“ (№ 2). რედაქცია დაინტერესებული იყო ახლო კავშირურთიერთობა დაემყარებინა რუსულ მწერლობასთან და შეძლებისდაგვარად გამომხაურებოდა იმ პოეტურ სიახლეებს, რომელთა დასამკვიდრებლად იმხანად თავგამოდებით იღვწოდნენ რუსული და ევროპული ლიტერატურის წარმომადგენლები.

ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართული მწერლობის ჟანრობრივად მრავალფეროვან სამყაროს ერთი ახალი ჟანრიც შემოემატა. ლექსი პროზად — ასე განსაზღვრავენ ამ ფორმით შექმნილ ნაწარმოებთა ჟანრობრივ სტრუქტურას მათი ავტორები. პროზით დაწერილი ლექსები საკმაო რაოდენობით გამოაქვეყნეს ამ დროისათვის ნიკო ლორთქიფანიძემ, ჭოლა ლომთათიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, იოსებ გრიშაშვილმა და სხვებმა: ამ ტიპის რამდენიმე საინტერესო ნიმუში შექმნა აგრეთვე ტიციან ტაბიძემ.

„ოქროს ვერძში“ დასტამბული ტ. ტაბიძის ამ პოეტური მინიატურების შეფასების დროს (№ 1) ყურადღებას სწორედ მათი ფორმისეული ორიგინალობა იქცევს: მათში თითქმის ხელაღებითაა უარი ნათქვამი სიუჟეტზე და მხატვრული წარმოსახვის საგნად ქცეულია ლირიკული გმირის განწყობილებისა და შინაგანი განცდების მძაფრი ემოციურობით გამოხატვა.

ამ მინიატურების („პირველი სევდა“, „ყოფნის აღქმა“) სტრუქტურული ბუნება და ნააზრვეის გადმოცემის არქიტექტონიკა ლირიკული ლექსისთვის სპეციფიკური თვისებებითაა აღბეჭდილი. მათ მხოლოდ ერთი ნიშანი თუ აკავშირებთ პროზასთან — გრაფიკული გამოსახვის ფორმა. რაც შეეხება იმას, რომ მათში ავტორის მიერ უარყოფილია რითმა და რიტმის კლასიკური გაგება, ეს გარემოებას არ ცვლის. ამ ტიპის ნაწარმოებებით ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობა დასაყრდენს უმზადებს მოგვიანო პერიოდის ქართულ პოეზიაში აღმზავალი ძა-

ლით მიმდინარე ვერსიფიკაციული განახლების პროცესს, კერძოდ, ვერ-
ლიბრის, ანუ თავისუფალი ლექსის დაფუძნება-დამკვიდრებას.

ამ ტიპის ნაწარმოებთა დახასიათების დროს მინდა გავიხსენო აგ-
რეთვე პირველ ნომერში დასტამბული მინიატურა სერგო კლდიაშვილი-
სა — „იყავით მარტო“. რამდენიმე სტრიქონისაგან შემდგარ ამ ჩანა-
ხატში ავტორი ლირიკული ლექსის ძალით გამოხატავს მარტოობისა და
საზოგადოებისაგან განდგომის აპოლოგიას. საყურადღებოა, რომ მასში
დაკვირვებული მკითხველი აშკარად გამოვლენილ იმ საწყისებსაც შენიშ-
ვნავს, რომელზედაც ცოტა მოგვიანებით ს. კლდიაშვილის შემოქმედები-
სთვის დამახასიათებელი სიმბოლისტური ტენდენციები დაფუძნდა.

პროზაულ ნაწარმოებთაგან „ოქროს ვერძში“ გამოქვეყნებულია აგ-
რეთვე ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა — „გულთამხილავის მსჯავრი“
(№ 3), ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ვაიმე რომ ნამდვილია“ (№ 1, 2)
და სხვა.

„ოქროს ვერძში“ აქტიურად თანამშრომლობდა გრიგოლ რობაქიძე.
მესამე ნომერში მან დასტამბა წერილი „ბარათები“, მეოთხეში —
რ. თაგორის „გიტანჯალის“ თარგმანი, ხოლო მეხუთეში — მინიატურა
„ბარათები ფიორდების ასულს“. ამათ გარდა, სარედაქციო ქრონიკებსა
და მიმოხილვებში ხშირად მახვილდება ყურადღება მასზე, როგორც მწე-
რალსა და ორატორზე. მაგალითად, მე-3 ნომერში დასტამბული ქრონი-
კიდან ვგებულობთ, რომ გრ. რობაქიძის მიერ წაკითხულ ლექციებს ჭი-
ათურასა და ზეტაფონში ხალხის დიდი დაინტერესება გამოუწვევია.
ჟურნალის მე-5 ნომრიდან კი ვტყობილობთ: „განსაკუთრებული აღფრთო-
ვანებით შეხვდა საზოგადოება გრ. რობაქიძის ლექციას შოთა რუსთა-
ველზე. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ასეთის აღტაცებით რობაქიძეს
თავისი ლექცია არასოდეს წაუკითხავს“.

ამავე წერილიდან („ჩვენი ხელოვნება“) ისიც ირკვევა, როგორ
ხშირად იწვევდნენ მწერალს ლექციების წასაკითხად საქართველოს სხვა-
დასხვა კუთხეში. ასეთი თხოვნით მიუმართავთ, მაგალითად, მისთვის
რაჭიდან, ათი ივლისიდან კი, — წერს რედაქცია, — „დაიწყება ტურნე
რობაქიძის და გრიშაშვილისა. მათ განზრახვა აქვთ შემოიარონ შემდეგი

ადგილები: სურამი, ბორჯომი, ცაგერი, ცემი, ბაკურიანი, აბასთუმანი და სხვა“, ამ ინფორმაციებით ნათლად დასტურდება რობაქიძის დიდი პოპულარობა საქართველოში. ჟურნალის მესამე ნომერში დასტამბულია მისი წერილი „ბარათები“, რომელშიც „ოქროს ვერძის“ წინა ორი ნომერია მიმოხილული იმდროინდელ ლიტერატურულ სიახლეებთან კავშირ-ურთიერთობაში. „მართალი გითხრათ, საკვირველი ჟურჯერობით არა არის რა და არც მგონია ასეთი ვერძისათვის იაზონმა მოაცუროს თავისი გემი კოლხეთის ნაპირსო, — შენიშნავს ავტორი ჟურნალის წინა ორ ნომერში დასტამბულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით, — მაგრამ მასში არის ისეთი რაღაც, ხელუხლებელი, გამოუთქმელი, რომელიც სიამოვნებას ჰგვრის ხელოვნების მოყვარულს: ეს არის ყვავილოვანი სიყმაწვილე, რომლის ლაღად ნაკვეთ შუბლზე ჯერ კიდევ არ გაურბენია ჭკნობის ფიქრის ფრთას“.

წერილის უმთავრესი ღირსება, ჩემის აზრით, ის არის, რომ ავტორი მართებულ შეფასებას აძლევს ქართული მწერლობის წიაღში იმხანად გამოვლენილ ლიტერატურულ ტენდენციებს და ამბობს: „საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო“. მართალია ეს რენესანსი ჯერ მხოლოდ ჩასახვის მომენტში იმყოფებოდა და ერთმანეთს ებრძოდა ფორმა და ქაოსი, მაგრამ გრ. რობაქიძემ შეუმცდარად იგრძნო, რომ იმდროინდელი ქართული ხელოვნება თვისებრივი განახლების სტადიაში შედიოდა. ეს წინასწარმეტყველება სულ მალე დაადასტურა დრომ. სარეცენზიო წერილში თუმცა ამ სიახლეებზე კონკრეტული და არგუმენტირებული საუბარი არ გაუმართავს ავტორს, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული დასკვნები თავისი განზოგადებულობითა და მასშტაბურობით დღესაც საინტერესოა და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იმდროინდელ ქართულ მწერლობაზე.

გრ. რობაქიძე კრიტიკული თვალთახედვით აფასებს იმხანად ფართოდ გავრცელებულ ზოგიერთ ლიტერატურულ ტენდენციას. ასეთია, მაგალითად, ქართული ლექსის პოეტური კულტურის დაბალი დონე, რისი შედეგიცაა ის, რომ „ჩვენში უმეტეს წილ ვარჯიშობაა“, „უახლეს ხელოვნებას კოჭლობა“ ეტყობა, ზოგიერთი მწერალი ერთმანეთში ურევს

ლექსისა და პროზის რიტმს, „მთლიანი მგოსნური ხატის მაგიერ ჩვენ სშირად მის ნაცრეცებს ვხედებით ხოლმე“ და ა. შ.

ჟურნალი ცდილობდა მკითხველისათვის გარკვეული წარმოდგენა შეექმნა თავისი ავტორების შემოქმედების მხატვრულ თავისებურებებზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სარედაქციო წერილი „ჩვენი ხელოვნება“ (მე-5 ნომერი). მაგალითად, სტატიის ავტორის აზრით, „როგორც მრისხანე გამოძახილი დემონის ხმისა მიუვალ მთებში, ისეთი არის სიტყვა ნ. ჩხიკვაძისა“, გ. ტაბიძის ლექსი „სისხლის წვეთებითაა დაწერილი“, ს. შანშიაშვილის პოეტური სიტყვა „ოცნების ბალშია დაბადებული“ და „მისი ზღაპარი მამულის სევდითაა მწუხარ-ნაღლიანი“. აქვეა დასახელებული ალ. აბაშელიც, რომელიც „საუკეთესო ხელოვანია ლექსისა“, იგი „საოცარი ძლიერებით ჩაწვდა ბუნების საიდუმლოებას, შეიქმნა მისი სილამაზის საუკეთესო მგოსანი... მგოსანი თანდათან უახლოვდება მზეს. „მზე“ და „მზის სიცილი“ საბოლოოთ ამკვიდრებენ მის სახელს ჩვენს ლიტერატურაში“.

რახან წერილებზე გავამახვილე ყურადღება, აქვე მოკლედ მინდა ორიოდ სიტყვით შევეხო მ. წულუკიძის სტატიას „ხელოვნება და კრიტიკა“ (№ 3), რომელშიც ავტორი ერთმანეთს უდარებს და უპირისპირებს ორ ფართოდ გავრცელებულ ესთეტიკურ თვალსაზრისს — ხელოვნება ხალხისათვის და ხელოვნება ხელოვნებისათვის. კრიტიკოსის აზრით, ორივე შეხედულება ცალმხრივია და ნაკლოვანი. პირველი პრინციპი — „ხელოვნება ცხოვრებისათვის“, რომელიც ჩვენში განსაკუთრებით სამოციან და ოთხმოციან წლებში იყო გავრცელებული, ნატურალიზმს უხსნის გზას, ხოლო მეორე პრინციპი — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ნაყოფია „უკანდახვევისა, რეაქციისა, საზოგადოებრივ ძალთა მოდუნებისა“, რომელიც ხელოვნებაში ხელს უწყობს „ესთეტიკური იდეალიზმისა და მისტიციზმის გაბატონებას“.

მიუხედავად ზოგიერთი მახვილგონივრული მინიშნებისა, რითაც წერილი ხასიათდება, მ. წულუკიძე გამარტივებულად წარმოგვიდგენს სხე-

ნებულ ესთეტიკურ თეორიათა არსს და მათ ტენდენციურ, ცალმხრივ დახასიათებას გვთავაზობს. ერთ რაიმეში კი იგი, ვფიქრობ, უთუოდ მართალია, როცა აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება ამ ორი პრინციპის ურთიერთშერწყმის შედეგად შეიძლება შეიქმნას მსოლოდ. „შემოქმედება ხელოვანისა, — წერს იგი, — მშვენიერების განსორციელებაა. მშვენიერება იგი იქმნება სუბიექტის და ობიექტის ერთი მეორეზე გავლენით. მარტო ხელოვანი რეალობას, სინამდვილეს, ცხოვრებას მოკლებული ვერ შექმნის მშვენიერ ხელოვნურ ნაწარმოებს ისე როგორც სინამდვილე, რეალობა პიროვნების შემოქმედებრივ ძალას მოკლებული მკედარი მასალა, თავისთავად შეიძლება ლამაზი, მშვენიერი, სულის დამტკბობი.

ხელოვნება ფოტოგრაფია არ არის — ხელოვანის შემოქმედება, მისი ესთეტიკური განცდა, თუ ის ნამდვილი მხატვარია, თავდებია ამისი. განცდა სინამდვილისა, მისი თავისადქმნა, გრძნობა-გონებაში გაერთიანება — აი რა აყისკროვნებს, კშობს ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს, — აი, რა ქმნის მშვენიერებას, საჭურვტად ტკბილს, საოცნებოს...

ხელოვნება არ არის ტრანსცენდენტალური ფორმა რეალობას მოკლებულ შინაარსისა. მას აცოცხლებს, შინაარს აძლევს უტყუარი სინამდვილე — ცხოვრება ბუნებისა — და საზოგადოებისა — ადამიანისა“.

ეს ამონაწერი, ვფიქრობ, ნათლად გვამცნობს წერილის ავტორის ესთეტიკურ თვალსაზრისს ჭეშმარიტი ხელოვნების არსების შესახებ.

გარდა განხილული ნაწარმოებებისა, ჟურნალში სხვა მასალებიცაა დასტამბული. მაგრამ მათზე საგანგებო ყურადღების შეჩერება ამჟერად საჭიროდ აღარ მიმაჩნია. ჩემი მიზანი იყო წინა პლანზე მსოლოდ ის ნაწარმოებები წამომეწია, რომელნიც ამ პერიოდული ორგანოს ლიტერატურულ სახეს განსაზღვრავენ. დაინტერესებული მკითხველი ალბათ ამ მოკლე ანალიზითაც ნათლად დარწმუნდება იმაში, რომ ჟურნალმა „ოქროს ვერძმა“ საგულისხმო როლი შეასრულა ათიანი წლების ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

შურნალი „ცისფერი ყანაბი“ და ლიტერატურული საზოგადოება

ათიანი წლების ქუთაისი...

ამ დროისათვის აქ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ეროვნული კულტურის გამოჩენილი ოსტატები. ძალუმად ისმის ქართული მწერლობის გულისცემა. ჩვენი ლიტერატურის თვისებრივი განახლების განმსაზღვრელი ბევრი ტენდენცია სწორედ აქ იღებს სათავეს. გამოდის მრავალი დასახელების ჟურნალი და გაზეთი. იბეჭდება წიგნები.

ასე რომ, ყველა პირობა არსებობს დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის.

ეს რაც შეეხება ქალაქის შემოქმედებით და კულტურულ ცხოვრებას.

მაგრამ, ამის საპირისპიროდ, არსებობს მეორე ქუთაისიც, კონსერვატული ყოფითი ჩვეულებებითა და პროვინციული ცხოვრების წესით შებოჭილი საზოგადოების საასპარეზო ქალაქიც. ხაფიან ყოფასა და ერთფეროვან მოწყენილობას შეჩვეული ადამიანები ამრეხით სვდებიან ყოველგვარ სიახლეს. დაკვირვებული თვალი კარგად ამჩნევს იმ შინაგან განთიშულობასა და დაპირისპირებულობას, რომელიც საზოგადოების ლიტერატურულ ნაწილსა და კულტურულ-შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორის არსებობს. ამ დაპირისპირებას განსაკუთრებით ამძაფრებენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც გაბედულად მოითხოვენ ცხოვრების დახავესებული ნორმების მსხვრევას.

მაშინდელ ქუთაისში შექმნილ ამგვარ ვითარებას კარგად ახასიათებს ამ მოვლენათა ერთ-ერთი აქტიური თანამონაწილე სერგო კლდიაშვილი: „გვალისიანებდა და გვაფორიაქებდა ქუთაისის შედარებითი სიმშვიდე, რომელიც საღათას ძილად გვეჩვენებოდა. ქალაქი აივსო ჩარჩებითა და ვაჭრუკანებით, რომელნიც ქვეყნის გასაჭირით სარგებლობდნენ და ამაზე აშენებდნენ კეთილდღეობას. აშკარა სპეკულაციამ ფანტასტიკური ხასიათი მიიღო. თვითონ სპეკულანტები, ისეთი პირები, რომლებსაც პატიოსანი მოქალაქენი გუშინ თავს არიდებდნენ, ახლა ყველგან მიღებული

და ანგარიშგასაწვევი გახდნენ. ისინი უკვე ტონს აძლევდნენ ქალაქის სა-
ზოგადოებრივ ცხოვრებას.

ლიტერატურა და ხელოვნება აბუჩად იყო აგდებული. მას ახლა
მხოლოდ ერთ მოთხოვნილებას უყენებდნენ: გულგრილნი და მაძლარნი
უნდა ვაქრო.

...გონებრივ საზრდოს მოკლებული ქუთათურები ოჯახებში „ფრა-
პით“ ერთობდნენ თავს. საზოგადო საკრებულოში კი გაჩაღებული იყო
„ბაქარას“ თამაში და ორი დიდი დარბაზი სავსევ იყო ბედის მცდელე-
ბით“ (ს. კლდიაშვილი, თხზ. ტ. III, 1975 წ. გვ. 471).

ასეთი იყო ის საერთო საზოგადოებრივი განწყობილება, რომელიც
ქუთაისში სუფევდა იმ ხანად. მაგრამ, როგორც ითქვა, ეს ყველაფერი
მაშინდელი ქუთაისის მხოლოდ ერთი მხარე იყო. მის გვერდით და მას-
თან დაპირისპირებულად კი არსებობდა მეორე ქუთაისი. დიდი ინტე-
ლექტუალური პოტენციითა და აქტიური შემოქმედებითი ენერგიით სავ-
სე ქალაქი, სადაც უკვე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ, ანდა ის-ის იყო
ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიოდნენ მეოცე საუკუნის ქართული
მწერლობის ისეთი დიდოსტატები, როგორებიც არიან: გალაკტიონ ტა-
ბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან
გაფრინდაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვები.

აქ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში, საერთოდ, ქართულ პრესაში,
სისტემატურად იბეჭდებოდა მათი ნაწარმოებები. ქუთაისის სისხლსავსე
ლიტერატურულ ყოფასთან ახლო შემოქმედებით კავშირურთიერთობას
ამყარებენ ის მწერლებიც, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებში
კხორობენ.

სწორედ, აქ, ამ ქალაქში, მომზადდა მყარი შემოქმედებითი საფუ-
ძველი „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის შესაქმნელად. გ-
მოვიდა მათი არაერთი ჟურნალი, გაზეთი და წიგნი. ამ საქმის მოთა-
ვეობა წილად ხვდა პაოლო იაშვილს, რომლის რედაქტორობით გამოსუ-
ლმა პირველმა სიმბოლისტურმა ჟურნალმა „ცისფერმა ყანწებმა“ უჩვეუ-
ლო აჟიოტაჟი და აზრთა შესლა-შემოსლა გამოიწვია საზოგადოებაში.

როგორც ითქვა, ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ 1916 წელს გამოიცა ქუთაისში (გამოვიდა სულ ორი ნომერი). ჟურნალის ირგვლივ ძირითადად შემოკრებილი იყვნენ ის მწერლები, რომლებმაც, ამ დროიდან მოყოლებული, ჩვენს მწერლობაში დააფუძნეს თვისებრივად ახალი ლიტერატურული მიმართულება — „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი. მათი შემოქმედებითი მოღვაწეობა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიული განვითარების უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპია. „ცისფერყანწელთა“ პირველხარისხოვანი როლი შეასრულეს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, სათავე დაუდეს ახალ ტენდენციებსა და მოტივებს.

პაოლო იაშვილის ღვაწლი ამ თვალსაზრისით განუზომლად დიდია. მან, როგორც „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის თავკაცმა და პირველი ჟურნალის რედაქტორმა, უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ქართული სიმბოლიზმის დამკვიდრებასა და განვითარებაში.

ახალი ლიტერატურული ჟურნალის გამოცემის თაობაზე ფართო საზოგადოებას თავდაპირველად 1915 წლის შემოდგომაზე ემცნო. პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ უახლოეს პერიოდში გამოვიდოდა ქართულ ფუტურისტთა ლიტერატურული ალმანახი „ცისფერი ყანწები“.

პ. იაშვილმა, როგორც რედაქტორმა, დიდი წინასწარი მუშაობა გაწია ამ მიმართულებით. ეს ნათლად ჩანს პოეტის ბიოგრაფიიდან. 1915 წლის 19 ოქტომბერს იგი იოსებ გრიშაშვილისადმი გაგზავნილ პირად წერილში წერდა: „მეგობარში“ წაიკითხავდი, რომ ქუთაისში ვაპირებთ ლიტერატურული ალმანახის გამოცემას. ალმანახში მონაწილეობას მიიღებენ უკანასკნელი დროის გამოჩენილი მწერლები: შენც დაგვამშვენებთხოვ, რაც შეიძლება მალე გამოგზავნე ლექსი, უფრო ლალი და გაბედული, ვიდრე ყველა შენი ლექსები. იცოდე, რომ ჩვენი ალმანახი იქნება გასახარელი ყველასთვის, ვინც გრძნობს ნამდვილ სილამაზეს თანამედროვე შეოქმედებაში.

ალმანახის ბეჭდვას დავიწყებთ ამ თვის დამლევს (იხ. ნოდარ გრიგორაშვილი, პაოლო იაშვილის წერილები იოსებ გრიშაშვილისადმი, „მნათობი“, 1986 წ. №10, გვ. 147.)

იმავე თხოვნას იმეორებს პოეტი გრიშაშვილისადმი მიწერილ სხვა ბარათებშიც. მაგალითად, 9 ნოემბერს გაგზავნილ წერილში ატყობინებდა, რომ მისი ლექსი „მამა“ გაზეთმა „მეგობარმა“ „წაართვა“ დასაბუჟდად და თხოვდა „ცისფერი ყანწებისთვის“ სასწრაფოდ ჩამოეტანა ახალი ლექსი.

როგორც ამ ბარათებიდან ირკვევა, ი. გრიშაშვილი მხოლოდ რიგითი ავტორი და თანამგრძობი არ ყოფილა ჟურნალისა. მას აქტიური მონაწილეობა მიუღია „ცისფერი ყანწების“ გამოცემისა და შემდგომ მისი გავრცელების საქმეშიც. 19 ნოემბერს გაგზავნილი წერილიდან პაოლო დასტურს იღებს მეგობარი პოეტისაგან, აღმანახის თანამშრომელთა რიცხვში ისიც გამოაცხადონ. „როგორ შეიძლება უშენობაო“, — წერდა პ. იაშვილი და კვლავ დაბეჯითებით უმეორებდა თხოვნას დაეჩქარებინა ლექსის გამოგზავნა.

ჟურნალის გამოცემისთვის გაწეული სამზადისის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე „ცისფერი ყანწების“ მხატვარ-გამფორმებელი ლადო (ვლადიმერ) ჯაფარიძე, რომელთანაც პაოლომ შენობმუღებიანი თანამეგობრობა ჯერ კიდევ მისი პირველი ჟურნალის — „ოქროს ვერძის“ გამოცემის დროს დაამყარა. იმ ხანად ლ. ჯაფარიძე ფოთში ცხოვრობდა. 1915 წლის ზაფხულში პაოლო სპეციალურად წვევია მას ვალერიან გაფრინდაშვილთან და ივანე ყიფიანთან ერთად, გაუცნია თავისი გეგმები ახალი ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით და მეგობარი მხატვრისთვის გარეკანის მხატვრული გაფორმება უთხოვია („კრიტიკა“, 1976 წ. № 3).

„ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოცემა, როგორც ვნახეთ, 1915 წლის ნოემბერში იყო თავდაპირველად განზრახული, მაგრამ ტექნიკური და ფინანსური სირთულეების გამო მიზნის მიღწევა მხოლოდ 1916 წლის 27 თებერვალს მოხერხდა. ასევე დაგვიანდა მომდევნო ნომრის გამოცემაც.

„ცისფერი ყანწების“ მეორე ნომრის გამოსვლის შესახებ განცხადებები პრესაში 1916 წლის ნოემბრის დასაწყისიდან ქვეყნდება. მაგრამ ჟურნალის გამოცემა ამჟერადაც შეფერხდა და იგი დეკემბრის

ბოლოს მიიღო მკითხველმა. პირველი ნომრისაგან განსხვავებით, ჟურნალის მეორე ნომერს ადრინდელი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია. მღელვარებისა და კრიტიკული განქიქების პირველი მძაფრი შემოტევები უკვე გადავლილი იყო, თუმცა არც შემდგომში მოკლებიათ პაოლოსა და მის მეკობრეებს ტენდენციური შეფასებანი და უმართებულო თავდასხმები.

ზემოთ მოხსენიებული წერილებით ნათელი ხდება, როგორ გვარდებოდა ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებული ბევრი ტექნიკური პრობლემა. როგორც ირკვევა, მათი მოგვარების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიუღია ი. გრიშაშვილსაც. მიუხედავად იმისა, რომ იგი „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის წევრი არასოდეს ყოფილა, თბილისში მას დაუმზადებია ჟურნალის კლიშეები, რაც საკმაოდ დიდ სიძნელეებთან იყო იმხანად დაკავშირებული. ეს კარგად ჩანს შემდეგი ბარათიდან:

„ძვირფასო ძმაო სოსო!

გიგზავნიტ „ცისფერი ყანწებისთვის“ დამზადებულ ვინიეტკას და ყდის ასოებს. დიდათ გთხოვ, რომ მიღებისთანავე საჩქაროდ გააკეთებინო კლიშეები. თუ ხუთშაბათს დილით აქ არ გვექნება, მაშინ ალმანახი კიდევ ვერ გამოვა და ხომ იცი, ცუდი იქნება.

ძველი კლიშე ულამაზო გამოდგა და მიტომ არის, რომ ასე დავიგვიანეთ. ასოები უნდა გასწორდეს იმ ზომისვე, როგორც დახატულია, აგრეთვე კლიშე მთლიანი უნდა იყოს... რაც შეეხება ვინიეტკას, ის გააკეთებინე იმ ზომით, როგორც დანიშნულია ამ ნახატის უკან პირზე.

სისო! უნდა მოახერხო როგორმე და ორივე კლიშე გამოატანო გაზეთს კვიცარიძის კანტორაში ისე, რომ ხუთშაბათს დილით მივიღოთ, რადგან პარასკევს უკეი დღეა და ორზომი დაგვიჯდება იმ დღეს ბეჭდვა. კლიშეების ფასი არ ვიცი და არც არაფერს გიგზავნი. შემდეგ კვირაში მივდივარ თბილისს, შეიძლება ალმანახიც მე წამოვიღო და მაშინ გაუსწორდები როგორც თქვენს კანტორას, ისე ცინკოგრაფიასაც. ასე ჩემო სოსო! მთელ იმედს ვამყარებთ შენზე“ („მნათობი“, 1986, № 10, გვ. 148).

3. იაშვილის თხოვნით, ი. გრიშაშვილს სარეკლამო განცხადება უნდა დაებეჭდა აგრეთვე „სახალხო გაზეთში“ და აქტიურად ეზრუნა თბილისში ჟურნალის გავრცელებაზე. რაც შეეხება ქუთაისს, იქაურ პრესაში (გაზეთები „მეგობარი“, „სამშობლო“) რამდენჯერმე გამოქვეყნდა განცხადება ახალი აღმანახის გამოცემის შესახებ. „სოსო, — წერდა პაოლო მიგობარს, — ამისრულე შემდეგი თხოვნა, — „სახალხოში“ გადაბეჭდე „ყანწების“ განცხადება სამჯერ — პარასკევს, შაბათსა და კვირას ომ სახით, როგორც „მეგობარშია“ დაბეჭდილი. მომწერე ფასი. ვფიქრობ, რომ ჩვეულებრივზე ნაკლებ ფასს წაიღებენ. გარდა ამისა, მომწერე საჩქაროთ, რამდენი ცალი გამოვგზავნო თბილისში ან ვის გავუგზავნო. შენ რომ აიღებდე შენს თავზე, მეტად კარგი იქნება. იმედია იკაცი ხარ. ვფიქრობ, რომ ორასი ცალის გაყიდვა შეიძლება მანდ, იქნებ მეტიც! ყოველი მომწერე როგორ მოვიქცე“ (იქვე, გვ. 148).

როგორც ცნობილია, „ცისფერი ყანწების“ პირველმა ნომერმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში. ახალ ჟურნალს ბევრი მოწინააღმდეგე და მოქილიკე გამოუჩნდა. ამის თაობაზე პაოლო გულისტკივილით შესჩივის თავის მეგობარს და იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ, ამდაგვარი შემოტყეების მიუხედავად, „უკვდავია ჩვენი სურვილი საქართველოს გაცოცხლებისა და გეწამს, რომ იგი გაცოცხლდებაო“.

ქუთაისის მეშინურ საზოგადოებასთან ჟურნალის რედაქტორისა და მისი თანამოაზრეების კონფლიქტი იმდენად გამწვავებულა, რომ აგრესიულად განწყობილ მოწინააღმდეგეებს გადაუწყვეტიათ მათი ქალაქიდან გასახლება. „აპირებენ ჩვენს გაძევებას, მაგრამ რაინდული სული ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენშიო“, — წერს პაოლო ი. გრიშაშვილს.

ამდაგვარმა შემოტყეებმა კი არ დააცხრეს შემოქმედებითი ძიების ვრძნობა, პირიქით, კიდევ უფრო გაუცხოველეს იგი ახალგაზრდა პოეტს, რომელმაც განიზრახა ჟურნალთან ერთად საკუთარი გაზეთის დაარსებაც, მაგრამ ამ სურვილის განხორციელება იმხანად ვერ მოხერხდა.

მიუხედავად საზოგადოების კონსერვატული ნაწილის კრიტიკისა და წინააღმდეგობებისა, პაოლო და მისი თანამოაზრენი უკან არ იხევდნენ და მტკიცედ იცავდნენ თავიანთ შეხედულებებს. ეს დასტურდება პრესაში

თი ჯგუფის წევრებთან, არამედ სსვებთანაც. გავიხსენოთ, მაგალითად, მისი, როგორც რედაქტორის, დამოკიდებულება გ. ტაბიძესთან, გ. რობაქიძესთან, ნ. ლორთქიფანიძესთან, ი. გრიშაშვილთან და სხვებთან. თუ ლექსს შენით არ გამომიგზავნი, პირადად ჩამოვალ თბილისში და ძალით წაგართმევო, — წერდა იგი ერთ-ერთ ბარათში ი. გრიშაშვილს.

მაგრამ, ასეთი პატივისცემის მიუხედავად, ლიტერატურულ ავტორიტეტებსა და საყვარელ პოეტებს იმასაც გულწრფელად ეუბნებოდა, რაც არ მოსწონდა. ასეთი თავაზიანი და ტაქტიანი შენიშვნები არც თუ იშვიათად გვხვდება ხოლმე მეგობრებისადმი მიწერილ ბარათებში. მაგალითად, ერთ-ერთ პირად წერილში პაოლო მიუკიბ-მოუკიბავად უწუნებს გრიშაშვილს გამოსაქვეყნებლად გაგზავნილი ლექსის რითმებს, პოეტურ სახეებს, უადგილოდ ხმარებულ ზოგიერთ სიტყვას და თხოვს მათ ტექნიკურ დახვეწას (იხ. დასახ. ჟურნალი, გვ. 149).

აქვე ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას „ცისფერი ყანწების“ ტექნიკურ-სარედაქციო ხარვეზებზეც. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ზოგიერთი ის შეუსაბამობა, რაც ჟურნალის სარჩევსა და რეალურად დაბეჭდილ ნაწარმოებთა შორის არსებობს. მაგალითად, პირველი ნომრის შინაარსი გვამცნობს, რომ მასში ელენე დარიანის ორი ლექსია („უვერტიურა“ და „პირამიდები“) დასტამბული. სინამდვილეში კი დაბეჭდილია მესამეც — „უსათაურო“ („უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი“...).

ასევეა მეორე ნომერშიც. სახელდობრ, შინაარსში მითითებული არაა სარედაქციო წერილი „ყვითელ მტრებს“, რომელიც რედაქტორის დაწერილი ჩანს. აგრეთვე, სარჩევის ცნობით, ჟურნალში ვ. გაფრინდაშვილის მხოლოდ ერთი ლექსი („ძონძებში“) უნდა იყოს დაბეჭდილი, სინამდვილეში კი, ამის გარდა, კიდევ სამი ლექსია დასტამბული: „სხვანაირი ტრფობა“, „მაღალი მთვარე“, „სონეტი“ („დღეს კლავიშები დაუფარავს მთართოლვარე ტალღებს“).

მსგავსი ხასიათის შეცდომებია დაშვებული გრიგოლ რობაქიძის, ლელი ჯაფარიძისა და თვით პაოლოს ნაწარმოებთა დასახელების დროსაც.

ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი იხსნება პაოლოს მიერ დაწერილი „პირველთქმით“, რომელიც ქართული მწერლობის ისტორიაში ახალი ლიტერატურული დაჯგუფების დამკვიდრების მაცნე პირველი საპროგრამო დოკუმენტია. სპეციალისტთა ერთსულოვანი აღიარებით, „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი ასოციაცია საკუთარი საპროგრამო მანიფესტებით, ჟურნალ-გაზეთებითა და გამომცემლობებით გამორჩეულ ადგილს იჭერს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

და ყოველივე ამის პირველ დოკუმენტურ საბუთად და საწყის ქრონოლოგიურ მიჯნად პ. იაშვილის „პირველთქმა“ იქცა, რომლითაც განისაზღვრა ჯგუფის ძირითადი პრინციპები და მიზანდასახულება. თუმცა განისაზღვრაო, — რომ ვამბობთ, მთლად ზუსტი გამოთქმა არაა, რადგანაც ხსენებული „მანიფესტი“ მხოლოდ პირობითად თუ ასრულებს ან ფუნქციას. მასში ჯგუფის ესთეტიკურ საპროგრამო დებულებებსა და სამომავლო ლიტერატურულ გზებზე, ფაქტობრივად, მხოლოდ დეკლარაციულადაა საუბარი.

„პირველთქმამ“, მისმა პრეტენზიულმა ტონმა და წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ, საზოგადოების ერთი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. განსაკუთრებული გულისწყრომა დაატყდა თავს რედაქტორს, კერძოდ კი მის „პირველთქმას“. ბევრი გააღიზიანა ახალგაზრდა მწერლის თვითდაჯერებულმა ტონმა, მისმა პრეტენზიულმა მოთხოვნებმა და იმ როლის მაქსიმალისტურმა დეკლარირებამ, რომლის შესრულების პრეტენზიითაც ეს ახალი ლიტერატურული ჯგუფი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. მკითხველთა კონსერვატული ნაწილისთვის, ფაქტობრივად, მიუწვდომელი აღმოჩნდა „ცისფერყანწელთა“ ნამდვილი შემოქმედებითი მიზანსწრაფვა და ამ ახალგაზრდული სითამამის მიღმა არსებული ჭეშმარიტების არსი — დაუცხრომელი ბრძოლა ლიტერატურულ შტამმთან და ქართული მწერლობის განახლების გზათა გაბედული ძიება ევროპულ მოდერნისტულ ხელოვნებასთან წჭედრო კავშირში.

„მანიფესტის“ ავტორი თავიდანვე საზოგადოებრივი პრეტენზიულობით ამცნობს საზოგადოებას ახალი ლიტერატურული სკოლის დაფუძნებას „ინტერ მზით გამთბარ ქვეყანაში“. მისი შეფასებით, „საქართველოს ლიტერატურა არსებას“ ამ დაკავშირების წარმომადგენლები „ახალი სხივოსი-ლებით“ მოველინენ, რათა „ოცნებადაკარგული ხალხისათვის“ ესწავლებინათ გზა „მომავალი ცისფერი ტაძრისაკენ“. ასეთი თამამი, არტისტიკული, ზეწეული ტონით იწყება „პირველთქმა“, როგორც მიმართვა საქართველოს ყველა მგოსნისადმი და მეოცნებისადმი, საერთოდ, მთელი ქართველი ხალხისადმი.

ეს პათეტიზმი და სიტყვიერი არტისტიზმი ბოლომდე გასდევს ამ „მანიფესტს“, რომელსაც ავტორი ქადაგებასაც უწოდებს. პაოლო ერთმანეთისაგან მიჯნავს უტილიტარისმსა და წმინდა ხელოვნებას, რომლის ქურუმებადაც სახავენ ის და მისი თანამოაზრენი თავს. იგი დიდ ადგილს უთმობს წმინდა ხელოვნების სპეციფიკის დახასიათებას და მისთვის ნიშანდობლივ თვისებებად გამოყოფს სიტყვიერ ფერადოვნებასა და ბრწყინვალებას. მის მიერ იდეალად დასახული ახალი ხელოვნება, პოეტის წარმოსახვით, მზითა და ფერადი ლამპიონებით აციაგებულ თეატრის სცენას მოგვაგონებს, რომლის შუაგულში დგანან „ახალი სილამაზის“ მადიდებელი „უკვდავი ძმები“. მათ თან მოაქვთ „ნათელი იდუმალება“ და „სიმღერა, რომელიც ამიერიდან იქნება მარადი ისე, როგორც ჩვენნი ქვეყანა“.

ფარდა ამ ზღაპრული სცენისა, რომელზეც „ოქროთი შემოსილი განახლების აქტიორები“ — ახალგაზრდა სიმბოლისტი პოეტები დგანან, „ნიმფებმა ასწიეს“. მათი „პირველთქმა“ არის „შხამური. იგი ფოლადივით დასწვავს“ უწმინდესი ხელოვნების მტერთა გულებს. ესენი ის ადამიანები არიან, „ვისაც არა სწამთ ხელოვანის მეფობა და მისი მაღალი ტასტის წინაშე არ აღიარებენ სამუდამო ქვეშევრდომობას“. ასე იყოფა, ქადაგების ავტორის აზრით, საზოგადოება ორ ნაწილად. მის ერთ მხარეს „ახალი სილამაზის მადიდებელი უკვდავი ძმები“ დგანან, მეორეზე კი „ცისფერი ტაძრისკენ გზადახსული ოცნებადაკარგული“ ადამიანები.

„ცისფერყანწელთა“ მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური თვალ-საზრისის გასააზრებლად უაღრესად მნიშვნელოვანია „მანიფესტის“ შემდეგი ადგილი: „ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა. შიშის სამყარო სიბნელეა — ჩვენ ნათელში ვცხოვრობთ. ვცხოვრობთ ნათელში და სიმთვრალეში. გვწამს ყოველგვარი ორგია. ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას, უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე დამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დავიწყების ზღვაში“.

ამ ფრაგმენტში, როგორც ვხედავთ, ნათლად განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ახალი ხელოვნების ძირითადი ნიშან-თვისებები. ესენია: წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ხელაღებით უარყოფა; სიმთვრალისა და ყოველგვარი ორგის განდიდება, რაც შემდგომ ბოქმური ცხოვრების კულტში გადაიზარდა; დამსხვრევის მშვენიერება და განდიდება...

მაგრამ ახალი ლიტერატურული ჯგუფის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა-დახასიათება ამით არ მთავრდება და მას უშუალოდ მოსდევს კრიტიკული მიმართება ტრადიციულად გაგებულ რომანტიკასთან და იდეალურ სიმშვიდესთან, რასაც ურბანისტული ცხოვრების განდიდება უპირისპირდება. ამ დაპირისპირების არსი საკმაოდ კონტრასტულად და მწვავედ ვლინდება შემდეგ ფრაგმენტში: „ყოველი სიმშვიდე, სიჩუმე და მთვარის სინაზით გაშუქებული მშვენიერება დავივიწყეთ ჩვენ, — მღელვარების, ხშიერობის და სიჩქარის მადიდებლებმა. ვისაც სურს, მან უმღეროს გაზაფხულის ყვავილებს, მთვარეს და საღამოს მყუდროებას, დამშვიდებულს და ტკბილ სიყვარულს, ტყის იდუმალებას და ფრინველთა გალობას. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ხმაურობა შესცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას“.

ასე იმსხვრევა ტრადიციული მშვენიერების რომანტიკული გაგება და ხდება ძველი ესთეტიკური პრინციპების რადიკალური გადაფასება, რის შედეგადაც „ის ტაძარი, რომელშიც ხალხი უკანასკნელ ცოცხალ ძალას ნოსლიან ლოცვაში კლავდა“, „ბოროტების სახლად“ ცხადდება.

როგორც უკვე ზემოთ ჩამოთვლილ ნიშან-თვისებათაგანაც ადვილად დანახავს მკითხველი, პაოლოს „პირველთქმის“ ბევრი დებულება აშკარად ენათესავება „ფუტურისტების“ მანიფესტს. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი ის გარემოება, რომ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის მწერლებს თავდაპირველად, საკმაოდ დიდხანს, ფუტურისტებსაც უწოდებდნენ ხოლმე.

რომ უფრო ნათელვყოთ ეს მსგავსება, გავიხსენოთ ამ ორი ლიტერატურული მიმდინარეობისთვის საერთო ის ნიშან-თვისებები, რომლებიც „პირველთქმაშია“ გამოკვეთილი. ესენია: წარსულის უარყოფის მოთხოვნა, ურბანისტული ცხოვრების კულტი, „დამსხვრევის მშვენიერება“, ტრადიციულად გაგებული რომანტიკული გრძნობის უარყოფა და მის ნაცვლად „ახალი ესთეტიკური სილამაზის“ განდიდება (მღელვარება, ხშიერება, სიჩქარე, ცოცხალი ქუჩების ხმაურობა ნაცვლად „ყვავილოვანი ველების ზურმუხტობისა“, გაზაფხულის ყვავილებისა, მთვარისა და საღამოს მყუდროებისა, დამშვიდებული და ტკბილი სიყვარულისა, ტყის იდუმალებისა და ფრინველთა გალობისა...).

შემდეგი ნიშანი, რომელიც „პირველთქმის“ ფუტურისტების მანიფესტს ანათესავებს, ესაა სწრაფვა „გაუგებარი და საოცარი სიტყვების“ შექმნისაკენ. მართალია, ეს ტენდენცია, ისევე როგორც ბევრი ზემოთ ხაზგასმული სხვა ნიშანიც, „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში ისეთ უკიდურესობამდე არ მისულა, როგორც ფუტურისტებთან, მაგრამ ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ „პირველთქმაში“ მათი დეკლარირება საკმაოდ კატეგორიული ფორმითაა მოცემული: „ჩვენ გვსურს შევექმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები. ჩვენს სიმღერებში თქვენ დანახავთ მრავალფერებს, რომელთა ხალისიანი ცეკვა გააგიჟებს თქვენ მიძინებულ თვალთა ცქერას“.

მაგრამ, ფუტურისტების პრინციპებთან ამგვარი სიახლოვის მიუხედავად, „პირველთქმაში“ ახალი ლიტერატურული ჯგუფის წარმომადგენლებისთვის სათაყვანო მწერლებად და ლიტერატურულ კერპებად ფრანგი სიმბოლისტი პოეტები: ვერლენი, ბოდლერი, მალარმე, არტურ რემბო ცხადდებიან, ხოლო უწმინდეს ქალაქად სიმბოლიზმის აკვნად აღი-

არებული პარიზი და სახელმწიფო: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდე, ხალხო, ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობდნენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე. სიტყვების მესაიდუმლე არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“.

ამ განცხადებით პაოლო არაორაზროვნად ამცნობდა საზოგადოებას, რომ მათი შემოქმედების მასაზრდოებელ-მასტიმულირებელი წყარო, უპირველეს ყოვლისა, ფრანგული სიმბოლიზმი იყო. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ისიც ასრულებდა, რომ ამ ლიტერატურული სამყაროს მადლსა და იდუმალებას იგი უშუალოდ იყო ნაზიარები პარიზში სწავლის წლებში.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, როგორც ცნობილია, უდიდესი ექსტაზითა და ემოციური სიმძაფრით დაწერილი „პირველთქმის“ ბევრმა დებულებამ რეალიზება ვერ პოვა და მხოლოდ სიტყვიერ დეკლარაციად დარჩა. არც ისაა საკამათო, რომ თუ რომელიმე სიმბოლისტმა პოეტმა თქვა უარი თავის შემოქმედებაში ამ პრინციპების დაცვა-გამოყენებაზე, მათ შორის, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ „მანიფესტის“ ავტორი უნდა დავასახელოთ. იგი არასოდეს მისულა ისეთ შემოქმედებით უკიდურესობამდე, მან რომ გამოაცხადა ახალი ლიტერატურული სკოლის ძირითად პრინციპად: „შეითვისეთ: უარყოფის სილამაზე, გმირული სიჩქარე, განათებულ სიმაღლის სიყვარული, მღელვარების სიდიადე, დამსხვრევის იდუმალება. გიყვარდეთ მეხური მისტერიები, ცეცხლის მოკიდება მისი, რაც წარსულმა გაადიდა, გაუღიმეთ სიკვდილის ძახილს, დაივიწყეთ სნეულნი და მახინჯნი, უარყავით ლმობიერება და ქალური სინაზე... ცეცხლი, ცეცხლი ყველაფერს, რაც შობს მწუხარებას და დაღლილობას“.

თავისი ლიტერატურული ჯგუფის დიდ მომავალში ღრმად დარწმუნებული პაოლო მოუწოდებს „ახალი სილამაზის“ დამამაკვიდრებელ „უკვდავ ძმებს“ ერთიანად დაწვან და დაამხონ ძველი ესთეტიკური სამყარო, დაუნდობლად შეუტონ „საცოდავ საჭურისებს“, „საცოდავ მომ-

ღერლებს ავადმყოფ ჩანგებით“ და გადაჰყარონ ისინი „უთვალო უფს-
კრულში“.

ასეთი იყო ძირითადი არსი პაოლოს „პირველთქმისა“, რომელიც საზოგადოებას ახალი ლიტერატურული სკოლის დაბადებას ამცნობდა. როგორც ამ მოკლე ანალიზიდანაც ჩანს, „პირველთქმაში“, ისევე როგორც ჟურნალში დაბეჭდილ სხვა მასალებშიც, საძებარი არ ყოფი-
ლა „მოუზომავი“ და ზომიერების საზღვრებს გამამცდარი მსჯელობის მაგალითები. ამის თაობაზე თვით პაოლომაც არაერთგზის გამოთქვა შემდეგ გულწრფელი სინანული. კერძოდ, იმავე 1916 წელს, გაზეთ „ჩვენს მეგობარში“ (1916 წ. № 79), ხაზგასმით განაცხადა, რომ მის მიერ დაწერილ მანიფესტში „ყველაფერი არ იყო მოზომილი და ზო-
გიერთ შემთხვევაში ერთგვარ გადაჭარბებასაც“ ჰქონდა ადგილი, რასაც იმით ხსნის, რომ ეს საზოგადოების დასაინტერესებლად და ყურადღე-
ბის გასამძაფრებლად იყო შეგნებულად გაკეთებული.

„პირველთქმაში“ ზოგიერთი რამ გარეგნული პოზითა და უცხოური ლიტერატურული პრინციპებისადმი განუსჯელი მიმბაძველობით რომ იყო განპირობებული, ეს ნათლად ჩანს იმ შინაგანი წინააღმდეგობებითაც და გაორებული პოზიციითაც, რითაც პოეტის იმეამინდელი შემოქმედება ხა-
სიათდება. ამ მხრივ ყველაზე მეტად იქცევეს ყურადღებას ახალი ესთე-
ტიკური მოძღვრების უმთავრეს პრინციპად ქცეული წარსულის კულტუ-
რული მემკვიდრეობის უარსაყოფი მოთხოვნის სრული შეუსაბამობა იმ
დიდ პატივისცემასთან, რითაც სინამდვილეში თავად იგი იყო განწყობი-
ლი ჩვენი დიდი წარსულისადმი. მაგალითად, ამის დასტურად აქ გავიხ-
სენებ პოეტის თაყვანისმცემლურ დამოკიდებულებას აკაკისადმი.

ერთი წლით ადრე, ვიდრე პაოლო და მისი ჯგუფის წევრები „დი-
ნამიტებით მიაღებოდნენ წარსულს“ ასაფეთქებლად, მან აქტიური მო-
ნაწილეობა მიიღო აკაკის დაკრძალვაში. ამის თაობაზე საკმაო ინფორ-
მაციას გვაწვდის მაშინდელი პრესა. გავიხსენოთ კონკრეტული ფაქტები.
გაზეთ „სამშობლოში“, 1915 წლის 4 თებერვალს, პ. იაშვილმა დასტამ-
ბა წერილი „ცხედარი გამბრწყინებლისა“, სადაც უდიდესი მოწიწებით
საუბრობს აკაკის ღვაწლსა და პოეზიაზე. ის და მისი მეგობრები დიდი

მ-მულიშვილის გარდაცვალების შეტყობისთანავე ეწვივნენ სხვიტორს, რათა უკანასკნელი მიწიერი ვალი მოეხადათ საყვარელი მწერლის ხსოვნის წინაშე.

ცნობილია ისიც, რომ პაოლომ აქტიური მონაწილეობა მიიღო აკაკის ცხედრის თბილისში გადმოსვენების ცერემონიაშიც. სწორედ ამ დროს მიღებული შთაბეჭდილებანი ირეკლება ზემოთ დასახელებულ წერილში, სადაც ნათქვამია: „გამბრწყინებელი, მარად მომღერალი ერის ძლიერებისა, თეთრებით დაფარული მისცემია შეუკრთობელ ძილს... როგორც სიცოცხლეში, ახლაც ისე მომღიმარია მისი სახე, ოღონდ უფრო ნათელი, ისე როგორც მთვარე, როდესაც იგი შუა ცას მიაწევს ხოლმე“.

პაოლო აღტაცებული საუბრობს იმ დიდ სიყვარულზე, რითაც მუხლმოდრეკილი ხალხი ეთხოვებოდა სათაყვანებელ მგოსანს. მისმა გარდაცვალებამ ცრემლი მოჰგვარა მთელ საქართველოს. ამ ცრემლს ახალგაზრდა პოეტის გულწრფელად დაღვრილი კურცხალიც შეერია. აკაკის ნეშტის თბილისში გადმოსვენების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გაზეთ „სამშობლოს“ 1915 წლის 6 თებერვლის ნომერიც. სხვიტორიდან წამოსვენებული პოეტის გვამი მისივე სახელობის საჩხერის სამკითხველოსთან შეუჩრებიათ. გამოსათხოვარი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ კი კუბო შეუსვენებიათ საგანგებო მატარებლის „დიდებულათ მორთულ ვაგონში, რომელიც მოურთავს ბ. პ. იაშვილს“.

„ცისფერ ყანწებში“, გარდა ამ ლიტერატურული ჯგუფის წევრებისა, სხვა ავტორთა ნაწარმოებებიც უხვად იყო დაბეჭდილი (მაგალითად, გლაკტიონ ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი...), რითაც რედაქტორმა ცადა კიდევ უფრო აემალღებინა აღმანახის მხატვრული დონე და ლიტერატურული ავტორიტეტი.

ჟურნალში დასტამბულ პოეტურ ნაწარმოებთაგან, პირველ ყოვლისა, უნდა გამოიყოს გლაკტიონის ლექსები. როგორც ცნობილია, „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში მისი ორი ლექსია დაბეჭდილი — „ლურჯა ცხენები“ და „მთაწმინდის მთვარე“. ამის შემდეგ გლაკტიონს „ცისფერყანწელებთან“ შემოქმედებითი თანამეგობრობა აღარ გაუგრძელებია და მათ ჟურნალ-გაზეთებში აღარაფერი დაუსტამბავს. უფრო მეტიც,

მასა და „ყანწელებს“ შორის დროდადრო მწვავე პიროვნული უთანხმო-
ებანიც იჩენდა ხოლმე თავს. ამის შესახებ თვით გალაკტიონი გვაწვდის
საგულისხმო ცნობებს როგორც პირად ჩანაწერებში, ასევე ოლია ოკუ-
ჯავასადმი გაგზავნილ პირად წერილებშიც.

* * *

როგორც ითქვა, „ცისფერი ყანწების“ გამოსულას ლიტერატურული
წრების მწვავე რეაქცია მოჰყვა. საზოგადოება, ფაქტობრივად, ორ ნაწი-
ლად გაიყო. უმეტესობა აღმფოთებული შეხვდა ახალ ჟურნალს. მკაც-
რად აკრიტიკებდნენ მასში დაბეჭდილ ნაწარმოებებს, ხელაღებით გმობ-
დნენ ახალგაზრდა ავტორთა „თაყბედურ“ და კადნიერ მოთხოვნებს, გა-
ღიზიანებულნი აქილიკებდნენ მათი შემოქმედების არა მარტო ლიტერა-
ტურულ, არამედ ზნეობრივ-მოქალაქეობრივ მხარესაც. მეტად მრავალ-
ფეროვანი იყო მოწინააღმდეგეთა წრე. მასში შედიოდნენ ლიტერატუ-
რული საზოგადოებრიობის ყველა თაობის წარმომადგენლებიცა და მწერ-
ლობის არსში სათანადოდ გაუცნობიერებელი უბრალო მკითხველებიც.
განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა საზოგადოების მეშჩანური ნაწი-
ლი — ე. წ. ფსევდოელიტა და ვაჭრები, რომელთა აგრესიულ შემოტე-
ვებს მძაფრი და გონებაშახვილური ეპიგრამებით პასუხობდნენ პაოლო და
მისი მეგობრები.

ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი, ვინც მკაცრად გაილაშქრა „ცის-
ფერყანწელთა“ (ბევრი იმდროინდელი ოპონენტის სიტყვით, ქართველ
„ფუტურისტთა“) წინააღმდეგ, ფილიპე მახარაძე გახლდათ. ამისი ნა-
თელი დადასტურებაა 1916 წლის 10 მარტს გაზეთ „თანამედროვე აზრში“
დასტამბული მისი წერილი „საბრალონი“. ფ. მახარაძემ „ცისფერყან-
წელთა“ ჯგუფი ჩვენი მწერლობის რეაქციულ შენაკადად გამოაცხადა.
მისი შეფასებით, „ცისფერი ყანწები“ არა მარტო „დუხჭირი მოვლენაა
ჩვენს ცხოვრებაში, უდიდესი ლიტერატურული დანაშაულიცაა“.

განსაკუთრებული სიმკაცრით შეუტია კრიტიკოსმა პაოლო იაშვილის
„პირველთქმას“. „ეს არის ნამდვილი ბოღვა ბურანში მყოფი ადამიანი-

სა, — წერდა იგი. — ჩვენ ვკითხულობთ ამ ბოლშევიკს და თვალწინ გვედგა მისი ავტორი, რომელიც ლაპარაკობს არა ენით, არამედ ხელების და ფეხების ქნევით, თვალების ბრიალით და პირის სახის საშინლათ გრეხაპრანჭვით, თითქოს ხელ-ფეხში ბორკილი აქვს შეყრილი და ცდილობს იქიდან თავი გაითავისუფლოს“.

„ცისფერყანწველებისადმი“ ფ. მახარაძის ამდაგვარი კრიტიკული დამოკიდებულების საფუძველი, პირველ ყოვლისა, მისი პარტიულ-პოლიტიკური მსოფლმხედველობით იყო განპირობებული. იგი, უწინარესად, სწორედ ამ პოზიციებიდან აფასებდა და გამობდა ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურულ ძიებებს. მათი სახით კრიტიკოსმა პოლიტიკაში გამოვლენილი რეაქცია დაინახა, რეაქცია, რომელიც, მისი მტკიცებით, მოწოდებული იყო არევ-დარევა და გახრწნილება გაემეფებინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში. „რეაქცია, — წერს ის, — მარტო პოლიტიკური სფეროთი კი არ კმაყოფილდება, პოლიტიკიდან იგი გადადის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და ყოველგან არევ-დარევას, საერთო დაცემას და გახრწნილებას იწვევს, ვინაიდან საზოგადოების ყველა ნაწირალებს, ყველა ზნეობრივად და გონებრივად მახინჯ ელემენტებს რეაქციის მეოხებით საშუალება ეძლევათ თავისუფლათ ითარეშონ. რეაქციის დამლუპველ გავლენას ვერ ასცდა, რა თქმა უნდა, ლიტერატურაც — ლიტერატურა ხომ საზოგადოებრივი ცხოვრების სარკეა. და აი, რეაქციონური ხანის სიტყვა-კაზმული მწერლობა — ბელეტრისტიკა და პოეზია — საშინლად დაეცა და გახრწნილების გზას დაადგა“.

ასეთ აგრესიულობას იჩენდა ფ. მახარაძე არა მარტო „ყანწველებისადმი“, არამედ, საზოგადოდ, იმდროინდელ ჩვენს მწერლობაში გამოვლენილი სხვა ლიტერატურული სიახლეებისადმიც. ეს სიახლენი — დეკადენტობა, მოდერნიზმი და ფუტურნიზმი, — ბევრი მაშინდელი და მოგვიანო პერიოდის კრიტიკოსის მსგავსად, მას ლიტერატურულ ტრადიციათა დაცემად, შემოქმედებით უბადრუკობად, ზნეობრივ გარყვნილებად და მოქალაქეობრივი გადაგვარების გამომხატველ მოვლენად მიაჩნია როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიც.

ამ ვითარების პოლიტიკური შეფასების შედეგად გამოტანილი დასკვნა კი ასეთია: „გრიშაშვილ-იაშვილების და რობაქიძეების მოვლინება ქართულ ლიტერატურაში მჭიდროდ დაკავშირებულია... რეაქციის გამარჯვებასთან. ისინი ბნელი ხალხის ღვიძლი შვილებია და ამავე ძალებს ემსახურებიან და გუნდრუკს უკმევენ. მაგრამ მათი დღესასწაული და ვაკხანალია დიდხანს ვერ გაგრძელდება“.

როგორც ციტირებული ფრაგმენტებითაც ნათლად დაინახავს მკითხველი, ფ. მახარაძის სტატიისთვის მკაფიოდაა დამახასიათებელი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ტონი და მკვეთრად გამოხატული პარტიულ-პოლიტიკური ტენდენციურობა. რევოლუციის შემდგომ პერიოდში ეს ტენდენცია არნახული ძალით აღზევდა და ე. წ. „საბჭოური აზროვნების“ ერთადერთ მსოფლმხედველობრივ პრინციპად იქცა, რომელმაც მთლიანად განსაზღვრა არ მარტო ფ. მახარაძის, არამედ ბევრი ჩვენი იმდროინდელი მწერლისა და პუბლიცისტის შემოქმედებითი მოღვაწეობის ხასიათი.

ათიანი წლების ჟურნალ-გაზეთებიდან „ცისფერყანწელთა“ მიმართ განსაკუთრებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა ქუთაისში გამოშვებული გაზეთი „სამშობლო“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ია ეკალაძე (ცინცაძე). მასში სისტემატურად იბეჭდებოდა ამ ჯგუფის წარმომადგენელთა შემოქმედების განმაქიქებელი მასალები. რედაქცია, მის ირგვლივ შემოკრებილი ავტორები, მკაცრად აკრიტიკებდნენ „ყანწელთა“ შემოქმედებით ძიებებს და გმობდნენ მათ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებისადმი.

გაზეთი „სამშობლო“, მტკიცედ იდგა რა ამ ტრადიციათა დაცვის პოზიციაზე, ხელალებით აკრიტიკებდა ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებს და ვერავითარ დადებითს ვერ ამჩნევდა მათ შემოქმედებაში.

აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ გაზეთის ამდაგვარი კრიტიკული დამოკიდებულება „ცისფერყანწელებისადმი“ ხშირად სცილდება ლიტერატურული პაექრობის ფარგლებს და პიროვნულ შეხლა-შემოსლაშია გადაზრდილი. ეს ნათლად ჩანს „სამშობლოში“ დასტამბულ როგორც ცალ-

კველ ავტორთა წერილებიდან, ისე სარედაქციო მინაწერებიდანაც. ქვე-
მოთ გაეხსენებ ზოგიერთ მათგანს.

1916 წლის 9 მარტის გაზეთში დაიბეჭდა ვინმე „სტუდენტის“
წერილი „კიდევ ყანწების გამო“, რომელსაც რედაქციის შენიშვნაც ახ-
ლავს თან. შენიშვნიდან მკაფიოდ ჩანს გაზეთის პოზიცია — ახალგაზრდა
მწერალთა მისწრაფება ლიტერატურული განახლებისაკენ ჰეროსტრატეს
დიდებასთან გააიგივოს. ნიჭილიზმითა და მძაფრი სატირული პათოსით
განმსჭვალული ეს მინაწერი ნათლად გამოხატავს რედაქციის კოლექტი-
ვის უარყოფით დამოკიდებულებას „ცისფერი ყანწებისადმი“: „როდესაც
გადარეულმა ჰეროსტრატმა დასწვა დიდებული ტაძარი ეთესისა, იმედი
ჰქონდა, რომ ისტორიაში „უკვდავი“ იქნებოდა. როდესაც ყანწების შემ-
თხზველნი საქვეყნოდ გამოდიოდნენ, ალბათ, სურდათ ჩვენ მწერლობაში
„უკვდავება“ მოეპოვებინათ. შეიძლება მიზანს მიაღწიეს კიდევ! ეს აღ-
შფოთება „უკვდავ“ ჰყოფს მათ“.

სარედაქციო შენიშვნის ამ განწყობილებას მთლიანად შეესაბამება
„სტუდენტის“ წერილის პოზიცია. სტატია პირდაპირ ლანძღვით იწყე-
ბა და ჟურნალის („ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის) ავტორები
ჭკვათამყოფელ პიროვნებებად არც კი არიან მიჩნეული. კრიტიკოსის აზ-
რით, მათი სახით ჩვენს მწერლობაში უნაყოფო ხე ამოიზარდა. „ვანი,
ბარათაშვილს, ილიას, აკაკის და მათ პირველ მოციქულებს, — წერს
იგი, — თუ მათმა დაუზოგავმა და დაუღალავმა შრომამ ისე უნაყოფოდ
ჩაუარა, რომ მათ თესლზე ასეთი ნაყოფი აღმოცენდა“.

„სტუდენტის“ შეფასებით, „ცისფერი ყანწები“ ლიტერატურული
ცხოვრების „გაკოტრების ნიმუშია“, ამ ახალი დაჯგუფების საპროგრამო
მანიფესტი — პ. იაშვილის „პირველთქმა“ — კი „როშვაა“, უაზრო
ბოდვა, რომელმაც „თავისი აბდა-უბდით და გარყვნილებით დიდაც რომ
ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“. „ყანწელთა“ ლანძღვა-გინებაში
ავტორი იქამდეც მიდის, რომ მთელი ახალგაზრდობის სახელით უცხა-
დებს ანათემას მათ. ამდაგვარი აღშფოთების უმთავრესი საფუძველი ისაა,
რომ ისინი „ანგრევენ იმ ეროვნულ სახლს, რომლის ვითომდაც ამბლლება

და დამშვენება სურთ“. ასე რომ, კრიტიკოსის დასკვნით, „ცისფერყან-
წელები“ ჩვენი მომავალი თაობის დაკნინებასაც უწყობენ ხელს.

ავტორის გულისწყრომა ზომიერების ყოველგვარ საზღვარს გადადის. იგი აღმანახში ვერც ერთ გონივრულ სტრიქონს ვერ პოულობს, მთელ ამ პროდუქციას „ლიტერატურულ ნაგავს“ უწოდებს და მიმართავს მკითხველებს, „ცეცხლს მისცენ“ ჟურნალი, „არამც და არამც ოჯახში არ შეიტანონ“, საზოგადოებიდან მოიკვეთონ და „განდევნონ იაშვილები“.

საგანგებოდ გამოყოფს „სტუდენტი“ ელენე დარიანს, აღმანახის ერთადერთ ქალ ავტორს, რომელმაც, მისი აზრით, თავისი უზნეობით „ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“ და ეჭვდება მის ქართველობაში. „ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ქართველი ქალი ამრიგათ დაცემულიყო-
სო“, — აღნიშნავს იგი.

ერთადერთი პოეტი, ვისი ლექსების ჟურნალში დასტამბვის გამოც სინანულს გამოთქვამს სტატიის ავტორი, გალაკტიონია (როგორც ითქვა, „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში გ. ტაბიძის ორი ლექსია დაბეჭდილი). „ვწუხვართ და ჩვენს გულის წუხილს ვუცხადებთ მგოსან გალაკტიონ ტაბიძეს, რომ ასეთ უნიადაგო და გარყვნილ ჟურნალში მონაწილეობა მიიღო“, — აღნიშნავს რეცენზენტი.

როგორც ცნობილია, გარდა „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის ახალგაზრდა ავტორებისა და გ. ტაბიძისა, პირველ ქართულ სიმბოლისტურ ჟურნალში იმხანად უკვე საკმაოდ პოპულარული და ფართოდ აღიარებული სხვა მწერლების (ნ. ლორთქიფანიძე, ი. გრიშაშვილი...) ნაწარმოებებიც იყო დაბეჭდილი. „სტუდენტის“ გულისწყრომა ასევე გადაწვდა მათაც.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, საკმარისია საიმისოდ, დასახელებული წერილი „ყანწელთა“ აღმანახის მეტად ტენდენციურ და არაობიექტურ შეფასებად მივიჩნიოთ. სტატიის კრიტიკულ პათოსს ლიტერატურულ შეხედულებათა განსხვავებულობა კი არ განსაზღვრავს, არამედ პიროვნული ემოციებით განპირობებული დამოკიდებულება მწერლობაში ახლად მოკლენილი „თავხედი“ ახალგაზრდებისადმი.

„სტუდენტის“ წერილმა „ცისფერყანწელთა“ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით განარისხა ამ ფაქტმა პაოლო იაშვილი, რომელმაც შურისძიების უკიდურეს ფორმას მიმართა: „ქუთაისში ახლად გამოცემული „სოციალისტ“ ფუტურისტების აღმანახის „ცისფერი ყანწების“ ხელმძღვანელმა პ. იაშვილმა, — იუწყება გაზეთ „თანამედროვე აზრის“ 18 მარტის ნომერში დასტამბული ინფორმაცია, — დუელში გამოიწვია „სამშობლოს“ რედაქტორი ია კვალაძე-ცინცაძე ხსენებულ გაზეთში მის შესახებ ერთ-ერთი წერილის მოთავსების გამო. კვალაძე თანახმაა“.

აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით მეორე დღესვე, „სამშობლოს“ 314-ე ნომერში, გაზეთის რედაქტორმა გამოაქვეყნა „იძულებითი განმარტება“, რომელშიც მკითხველს აუხსნა ვითარების ნამდვილი არსი. როგორც წერილიდან ირკვევა, „გასულ კვირას, დღის 11 საათზე, მასთან რედაქციაში მისულა პაოლოსაგან გაგზავნილი ორი თავადი, რომელთაც განუცხადებიათ: „პ. იაშვილი თქვენგან შეურაცხყოფილად სთვლის თავს და დაკმაყოფილებას თხოულობსო“. იას თანხმობა განუცხადებია, მე მზად ვარ, სადაც სურს და როცა უნდა, ნებისმიერი იარაღით შეგებრძოლები, ოღონდ მითხარით, არის თუ არა პასუხის ღირსი „ისეთი პიროვნება, რომლის შესახებაც აი რას სწერენო“ და თავადებისთვის უჩვენებია გაზეთი, სადაც დაბეჭდილი იყო „ქალთა ერთი წრის წარმომადგენლის აღშფოთებული წერილი“ „ცისფერი ყანწების“ შესახებ. ეს წერილი მათ წაკითხული არ ჰქონიათ.

ამის შემდეგ თავადებს რედაქტორისთვის უთხოვიათ დაესახელებინა „სტუდენტის“ ვინაობა, მაგრამ ია ამაზე არ დათანხმებულა და ერთხელ კიდევ გაუმეორებია, რა საჭიროა ავტორის ვინაობა, პასუხისმგებლობას მე ვკისრულობო. ამის მერე პაოლოს მიერ მოგზავნილი პირები წასულან. „მას შემდეგ აგერ მეორე კვირა მოდის და იაშვილის მოციქულების პასუხი არ ვიციო“, — დასძენს „იძულებითი განმარტების“ დასასრულს ი. კვალაძე.

„ცისფერყანწელებისა“ და მათი თავკაცისადმი „სამშობლოს“ რედაქტორის ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება რომ მოულოდნელი არ ყოფილა, ეს, როგორც ითქვა, ნათლად ჩანს მისი ავტორობით დასტამბული სხვა მასალებიდანაც. ამისი დადასტურებაა, მაგალითად, ი. ეკალაძის წერილების სერია „სამი ჟურნალი“, რომელიც ათ სტატიად გამოქვეყნდა „სამშობლოს“ 1916 წლის № 308-341 ნომრებში. მათში, ქართული მწერლობის ისტორიული მონაპოვრის საფუძვლიანი მიმოხილვის ფონზე, კრიტიკულადაა შეფასებული ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ და მასში დასტამბულ ლექსებს კრიტიკოსი „სქესობრივ ნიადაგზე დაავადებულთა პოეზიად“ მიიჩნევს. მისი აზრით, „ცისფერი ყანწები“ „არც ფუტურისმია, არც სიმბოლიზმი, მითუმეტეს, არც ახალი მიმართულება ჩვენ მწერლობაში... გათენდება, ამოვა მზე და ჩვენებური „ფუტურისტ-სიმბოლისტები“ თავის ვეჟილებით გრ. რობაქიძითა და იმ კრიტიკოსით, რომლის სულშიც არც ერთი თეთრი არ გვულება ბ-ნ რობაქიძეს, ისე გადნება, როგორც შარშანდელი თოვლი“.

1916 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისის თეატრში გაიმართა პოეზიის საღამო, სადაც „ცისფერყანწელებთან“ ერთად რუსი პოეტი ვასილ კამენსკიც გამოვიდა (იხ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. № 179, 180). ამ საღამომ, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო პაოლომაც, საზოგადოების ერთი ნაწილის გულისწყრომა გამოიწვია. ახალგაზრდა „ქართველი ფუტურისტების“ წინააღმდეგ კვლავ მწვავედ გაილაშქრა გაზეთმა „სამშობლომ“. კერძოდ, გაზეთის რედაქტორი ია ეკალაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა: „აფსუს შოთავ, აფსუს აკაკი... ვაჟავ, აფსუს ჩვენო დიდებულო ხალხურო პოეზიავ, რომ შენ ადგილს რაღაც უაზრო ბოდვასა, ხმის უცნაურ აწევ-დაწევასა და „ნიფხავ-პანტალონების“ ხოტბა-დიდებას აჭერინებ....“

ეს სწორედ მეორედ მოსვლის ნიშნებია!...“ („სამშობლო“, 1916 წ. 15 ოქტომბერი).

ოპონენტთა აზრით, „ცისფერყანწელთა“ შემოქმედება უცხოური ზეგავლენის ნაყოფია და იგი მოწყვეტილია ეროვნულ ნიადაგს. ვინის ფსე-

ვდონიებით გაზეთ „ახალ კვალში“ (1916 წ. 13 ივნისი) გამოქვეყნებულ წერილში, მაგალითად, მათ შესახებ ნათქვამია, რომ ჩვენში სიმბოლიზში „ძალით გადმოტანილი“ ლიტერატურული მიმდინარეობაა, „ავადმყოფური სულის განდიდების სურვილის ნაყოფი“, რომელიც არ შეიძლება დამკვიდრდეს. საამისოდ „შესაფერი ნიადაგი“, კრიტიკოსის მტკიცებით, ჩვენს ლიტერატურაში არ არსებობს.

„ცისფერყანწვლთა“ წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში აქტიურად იყო აგრეთვე ჩართული ლეო შენგელაიაც. როგორც „სამშობლოში“ გამოქვეყნებული მისი სტატიებიდან ჩანს, მასაც ასევე მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ეჭირა „ყანწვლთა“ მიმართ. ამისი დადასტურებაა, მაგალითად, მისი წერილი — „ლიტერატურული მეშჩანობის პირველი მერცხლები“ (№ 363). ავტორის აზრით, „ცისფერი ყანწვები“ „ლოლიკური დასკვნაა იმ იდეურ ამჩატებისა, რომელიც ჩვენ მხატვრულ მწერლობას ამ ბოლო ხანებში დაეცყო“. კრიტიკოსი ზოგადად კი არ გმობს უცხოელ ავტორთა მიბაძვას, არამედ მათი შემოქმედების ბრმა გაფეტიშების წინააღმდეგია. მისი აზრით, „ყანწვლთა მთავარი შეცდომა ისაა, რომ მათ უცხოური ლიტერატურული სიახლენი განუსჯელი თავყვანისცემისა და მიბაძვის საგნად აქციეს. „თუ ჩვენი მწერლები მაინცდამაინც ბოდლერს წაბაძვენ, — წერდა იგი, — ჩვენი სურვილია მისგან ვისესხოთ და გადმოვიტანოთ მხოლოდ „მარგალიტები“ და არა ორგია და უაზრობა“.

რაღა თქმა უნდა, მართებული შენიშვნაა, მაგრამ „ყანწვლთა“ პირველი ლიტერატურული აღმანახი ასეთი მკაცრი განაჩენის გამოტანის საფუძველს ნამდვილად არ იძლეოდა. ლ. შენგელაიამ, როგორც ეს დასახელებული წერილით დასტურდება, სიღრმისეულად ვერ გაიაზრა ის ტენდენციები, რომელთაც პაოლო და მისი მეგობრები ამკვიდრებდნენ იმხანად ჩვენს მწერლობაში. იგი მათი ჟურნალის მხოლოდ ზედაპირულ მხარეს შეეხო და ზოგიერთი არარსებითი დეტალი განაზოგადა, რის შედეგადაც მცდარი შეფასება მისცა ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურულ ძიებებს. აღმანახის ქვაკუთხედად ქცეული მრწამსი, მის ფურცლებზე გამოვლენილი შემოქმედებით სიახლეთა არსი კი, რომელიც

ეროვნული მწერლობის ტრადიციათა თვისებრივად ახალი ტენდენციებით გამდიდრებას ისახავდა მიზნად, მისთვის, ისევე როგორც ბევრი სხვა იმდროინდელი ავტორისთვის, მიუწვდომელი დარჩა.

განსაკუთრებული სიმკაცრით გაილაშქრა ლ. შენგელაიამ ელენე დარიანის წინააღმდეგ და მისი ლექსების საერთო ხაზად პორნოგრაფია გამოაცხადა. „ელენე დარიანის მდგომარეობა, — წერს იგი, — ფრიად საშიშია. მას ტემპერამენტი აწეული აქვს... სულიერი საუნჯე ელენე დარიანს არ გააჩნია... ქალური მასში არაფერია: არც სინაზე, არც უმანკობა, მოკრძალება, ტლანქია!

ჩვენს პოეზიას ის ვერაფერს შეჰმატებს. სულით ღატაკმა და ტანით შიშველმა ან რა უნდა მოგცეს?!“

დღეს უკვე სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ დარიანული ციკლის ლექსების ამდაგვარი შეფასება ყოვლად უსაფუძვლოა და მიუღებელი. ეს თვალსაზრისი, იმხანად ბევრის მიერ გამოთქმული, დრომ, მომავალმა მკითხველმა, არ გაიზიარა. პირიქით, ელენე დარიანის ავტორობით ცნობილი პაოლოს ლექსები მეოცე საუკუნის ათიანი წლების ქართული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო მონაპოვრად და აღიარებული და მათ ღირსებებად სწორედ ქალური სინაზე, ემოციურობა, შინაგანი სულიერი დრამატიზმი, ადამიანური ვნებათა ღელვის ნატიფი პოეტური ხელოვნებით გამოსხატვას მიჩნეული (გ. მერკვილაძე, გ. ასათიანი, ლ. ავალიანი...).

მართალია, „ცისფერყანწელთა“ ასოციაცია სიმბოლისტური დაჯგუფება იყო, მაგრამ ლიტერატურული საზოგადოების უმეტესობა, როგორც ითქვა, პ. იაშვილსა და მის თანამოაზრეებს ათიან წლებში ფუტურისტებად მიიჩნევდა. ეს მკაფიოდ ვლინდება მათი შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილებით. დამოკიდებულების ასეთ გაორებას დიდად უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ „ყანწელთა“ საპროგრამო წერილებსა და ლექსებში თავისებური ფორმით ფუტურისტების მანიფესტებში გამოთქმული ზოგიერთი დებულებაც ირეკლებოდა ხოლმე. როგორც უკვე ითქვა, ამისი დადასტურებაა პ. იაშვილის „პირველთქმა“, ახალი ლიტერატურული ჯგუფის დამამკვიდრებელი პირველი თეორიული საპროგრამო მანიფესტი ჩვენში.

სწორედ პაოლოს ეს წერილი ჰქონდა, პირველ რიგში, ლ. შენგელაიას მხედველობაში, როცა „ცისფერი ყანწების“ შემოქმედებით მიმართულებად ფუტურშიზმი გამოაცხადა. თვით კილო ამ ლიტერატურული მანიფესტისა, — წერდა ის „პირველთქმის“ შესახებ, — „წარსულის უარყოფა და ცეცხლის მოკიდება იმისი, რაც წარსულმა გაადიდა, ცხოვრების ზღვაში გადაისროლა და სხვა, ეს ყველა ფუტურშიზმა“.

საზოგადოების განსაკუთრებული აღშფოთება, როგორც ვხედავთ, პირველ რიგში, პ. იაშვილის „პირველთქმამ“ გამოიწვია. მართალია, ალმანახში დასტამბულ სხვა მასალებსაც არ მოკლებია კრიტიკა, მაგრამ მთავარი სამიზნე მანაც ეს წერილი იყო. რომ არა ხსენებული საპროგრამო სტატია, რომელიც პრეტენზიულად ამცნობდა ქვეყანას ახალი ლიტერატურული ჯგუფის მოვლინებას, ხაზგასმული ნიჰილიზმით უარყოფდა წარსულს და მომავალი კულტურული განვითარების სანიშანსვეტო მიჯნად სამოღვაწეო ასპარეზზე მათ გამოსვლას სახავდა, „ცისფერყანწელებისადმი“ გამოვლენილი აღშფოთება ასეთ ფართო მასშტაბებს თავიდანვე, ალბათ, არ შეიძენდა.

მაგრამ პაოლომ და მისმა მეგობრებმა ქედი არ მოუხარეს ამგვარ კრიტიკას, არ დათმეს პოზიციები და ალმანახის მეორე ნომერში უფრო მკვეთრად გამოკვეთეს თავიანთი შემოქმედებითი პრინციპები. ამის დადასტურებად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ ტ. ტაბიძის წერილი „ცისფერი ყანწებით“, რომელშიც წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების პრინციპი ავტორმა კადნიერად მიმართა ეროვნული მწერლობის ისეთი უდიდესი ოსტატების წინააღმდეგ, როგორებიც ილია და აკაკი იყვნენ. ამან კიდევ უფრო გაამძაფრა საზოგადოების გულისწყრომა „ფუტურისტი“ პოეტებისადმი. ხალხი აღშფოთებული იყო მათი პრეტენზიულობით, „მკრეხელური“ აზრებითა და შემოქმედებით ძიებათა უცნაურობებით. ამას ემატებოდა ლიტერატურულ შეხვედრებზე პაოლოსა და მისი მეგობრების გამომწვევი საქციელი. ერთი სიტყვით, საზოგადოების კონსერვატული ნაწილი ლამის შეთქმული აღმოჩნდა მათ წინააღმდეგ.

როგორც ითქვა, „ყანწელებისადმი“ ამდაგვარ კრიტიკულ დამოკიდებულებას, პირველ ყოვლისა, პ. იაშვილის „პირველთქმა“ და, აგრეთვე, ჟურნალში დასტამბული მისივე ლექსი — „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტი“ განაპირობებდა, რადგანაც მათში ყველაზე მკვეთრად და გარკვევით იყო გაცხადებული ახალი ლიტერატურული ჯგუფის ნიჰილისტური მიმართება წარსულთან. თავდაპირველად საზოგადოების დიდმა ნაწილმა სწორად ვერ გაიცნობიერა ნამდვილი ქვეტექსტი ამ ნიჰილიზმისა, ვერ გაიაზრა, რით იყო იგი განპირობებული და რა მიზანსწრაფვა იკვეთებოდა მის მიღმა. თავისთავად, პირდაპირი მნიშვნელობით თუ გავიგებთ, წარსულისადმი ამდაგვარი დამოკიდებულება არათუ გაუმართლებელი და დასაგმობია, არამედ დიდი მკრეხელობაცაა. მაგრამ სინამდვილეში ეს პაოლოსა და მისი მეგობრების თავხედობის გამოვლენა კი არ იყო, არამედ, ერთის მხრივ, თავისებური ფორმით გამოხატული ბრძოლა ყოველგვარ ლიტერატურულ შაბლონთან და ტრაფარეტთან, ხოლო, მეორეს მხრივ, ახალი თაობის შემოქმედებითი პერსპექტივებისა და პრინციპების პრეტენზიული გამოცხადება მკითხველისათვის.

ამიტომაც, ალბათ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ლ. შენგელაიას წერილი, მასში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების თავისთავადი სისწორის მიუხედავად, სწორად ვერ წვდება „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ შეხედულებათა არსს, მართებულად ვერ აფასებს მათი შემოქმედებითი ძიებების ჭეშმარიტ ბუნებას. ამიტომაც უნდა ჩაითვალოს, ჩემი აზრით, პაოლოს მსოფლმხედველობრივი მრწამსის ცალმხრივ შეფასებად კრიტიკოსის თავისთავად სწორი ასეთი შენიშვნა: „შექსპირს უარი, ამბობთ თქვენ. მაშ, უარი გიოტეს, შილლერს, შოთას, აკაკის, უარი ყველას, ბოდლერსა და ვერლენსაც — არა?! ცეცხლი ყველაფერს, რაც წარსულმა გაადიდა, ამბობთ თქვენ. ვერ დაგეთანხმებით. ცეცხლი მხოლოდ იმას, რაც უგუნურმა გაადიდა და გონიერმა უარყო...“

იგივე თვალსაზრისი ლ. შენგელაიამ „ცისფერყანწელთა“ მიმართ სხვაგანაც გაიმეორა. კერძოდ, „სამშობლოს“ 1916 წლის 475-ე ნომერში ის წერდა: „როცა „ახლად მოსულნი“ გვეუბნება ძირს შაბლონი,

შექსპირი, გაუმარჯოს ბოდლერსო — ეს იგივეა, რომ ვთქვათ: ძირს სხვისი შ ა ბ ლ ო ნ ი, გა უ მ ა რ ჯ ო ს ჩ ე მ ს შ ა ბ ლ ო ნ ს ო, რად-გან დღეს მომავალი პოეზიისთვის ბოდლერი და თვით ბალმონტიც ისეთივე შაბლონი არის, როგორც შექსპირი, შილლერი და სხვები“.

როგორც ვხედავთ, ლ. შენგელაიამ ცალმხრივად შეაფასა პ. იაშვილის ლიტერატურული მანიფესტი და მის მხოლოდ გარეგნულ მხარეს — წარსულისადმი აგრესიულ დამოკიდებულებას — მიაქცია ყურადღება. ის კი გამორჩა მხედველობიდან, სინამდვილეში რამ დაბადა პოეტის ლექსსა და წერილში გამოხატული ასეთი მკვეთრი ნიჰილიზმი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ერთი მართებული შენიშვნა უთუოდ იყო გამოთქმული ლ. შენგელაიას წერილებში: ერთი შაბლონის წინააღმდეგ ბრძოლა მეორე შაბლონის გაფეტიშებით არ უნდა შეცვლილიყო. ეს შენიშვნა საფუძველს მოკლებული რომ არ იყო, ნათლად ჩანს „ცისფერყანწელთა“ ზოგიერთი ლექსიდანაც და წერილიდანაც, რომლებშიც, შიგადაშიგ, აშკარად ვლინდება საფრთხე უცხოური ლიტერატურული შეხედულებების მექანიკური გადმოღებისა და მიბაძვისა. „ყანწელთა“ ძირითადი მიზანსწრაფვა — მოეხდინათ ეროვნული ფესვებისა და ევროპული პოეტური სიახლეების ბუნებრივი შერწყმა-შესისხლხორცება ერთმანეთთან — ყოველთვის ვერ იძლეოდა სასურველ ნაყოფს, რის შედეგადაც ჩნდებოდა საშიშროება სიმბოლისტური მიმდინარეობის გამოჩენილ ოსტატთა ლიტერატურული პრინციპების მექანიკური გადმონერგვისა ქართულ პოეზიაში.

მიუხედავად იმ პოლემიკას, რომელიც „ცისფერყანწელებს“ გაუმართეს 1916 წელს „სამშობლოს“ ფურცლებიდან.

გაზეთის 373-ე ნომერში, ხელმოწერით „ისევ-ის“, დაიბეჭდა წერილი „სადღეისო (ძღვნად ჩვენს ფუტურისტებს)“, რომელშიც ავტორი ახალ-ახალ ბრალდებებს უყენებს „ყანწელებს“. „ჩვენი „ფუტურისტები“ აღარ ისვენებენ! — წერს ანონიმი კრიტიკოსი, — მათზე ვერ გასჭრა ვერც აღშფოთებამ ხალხის დაკვირვებულ შვილებისამ. ვერ იმოქმედა ვერც ჩვენი პრესის დიდმა ნაწილმა, გულის ხმაში ვერ ჩააგდო იგინი ვერც უბრალო, სულ უბრალო მოთხოვნილებამ ზრდილობისამ...“

როგორც ვხედავთ, სტატიის ავტორი კიდევ უფრო განავრცობს იმ ბრალდებებს, რომელთაც „ცისფერყანწილებს“ უყენებდნენ. ამ ბრალდებათა ერთი ნაწილი სცილდება ლიტერატურული შენიშვნების ფარგლებს და ზნეობრივ-მოქალაქეობრივ მხარეს შეეხება. კრიტიკოსისეული შეფასებანი მეტისმეტად მკაცრია და გამანადგურებელი. მისი აზრით, „ყანწელთა“ „მოვლენა დაცინვაა ჩვენი ლიტერატურისა“, „გათახსირებაა ჩვენის სიტყვაკაზმულობისა, შეგინება არის ჩვენის წმინდათა წმინდისა“.... მკაცრად არიან გაკრიტიკებული არა მარტო „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის წევრები, არამედ მათი დამცველ-თანამშრობხველებიც.

ესენი იყვნენ: გრიგოლ რობაქიძე — „თვითონ ფუტურისტ-პარნოგრაფისტი“ და კიტა აბაშიძე, რომელმაც უნდა იცოდეს, რომ „ფუტურისტობა“ ეს არის „გამაძღარ-გადახვავებულ-ნერვებ მოდუნებულ-ცხოვრება მოყირჭებულ — სქესობრივ ნიადაგზე დაავადებულ ბურჟუა კაპიტალისტებ მეშჩანებისა და ხალხის გამრყენელი ხელოვნება, რომელსაც ვერც ერთი მკვლევარი ქართულ მწერლობისა მხარს ვერ დაუჭერს, თუკი იგი მტერი და მოლალატე არ არის ხალხის უკეთესის მომავლისა“.

ამ აგრესიული კრიტიკული „ლაშქრობის“ შედეგად ანონიმი ავტორის მიერ გამოტანილი განაჩენი, საკმაოდ პათეტიკური და ზეაწეული ტონით რომ ცხადდება სტატიის ბოლოს, ასეთია: „შორს ჩვენგან ყოველივე „მოდერნიზმ-დეკადენტობა ბოდლერიზმი“ — ეს „პოეზია“ ნერვებაშლილ ვნებიანთა და გაუმარჯოს ავადმყოფთა ხელოვნებას კი არა, გაუმარჯოს ხელოვნებას, საღს, წმინდას, მართალს“.

ასე მძაფრად და გააფთრებით ებრძოდა ლიტერატურული საზოგადოების ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი, ნაწილი მწერლობის განახლების პროცესს, კარს უხშობდა ახალ ტენდენციებს, გამოდიოდა ტრადიციათა ნიღაბს ამოფარებული „ბატონი შაბლონის“ ერთგულ ქომავად.

„ცისფერყანწელთა“ წინააღმდეგ მიმართულ სტატიებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურული თანამოაზრისა და უფროსი მეგობრის გრიგოლ რობაქიძის კრიტიკას. მართალია, გრ. რობაქიძე ამ ჯგუფის უშუალო წევრი არ ყოფილა, მაგრამ საზოგადოებისთვის ფართოდ იყო ცნობილი „ყანწელთა“ უდიდესი სი-

ყვარული და პატივისცემა მისადმი. თავისი ლიტერატურული წერილებით, ლექციებითა და შემოქმედებითი ავტორიტეტით გრ. რობაქიძე „ცისფერყანწელებისათვის“ საიმედო ქომაგი და დასაყრდენი იყო. „ერთი ძრავალთაგანის“ აზრით, იგი გახლდათ „ცისფერი ყანწების“ აპოლოგეტი.

სტატიის ავტორი მკაცრად აკრიტიკებს ამ „ფოკუსნიკი“ მწერლის ერთ-ერთ ლექციას, სადაც გრ. რობაქიძემ საჯაროდ დაიცვა და მაღალი შეფასება მისცა ქართველი სიმბოლისტების პირველ ჟურნალს. კერძოდ, 1916 წლის 6 აპრილს ქუთაისში გამართულ ლექციაზე მას განუცხადებია: „ცისფერი ყანწების“ მანიფესტი შაბლონის წინააღმდეგია. მრავალია დღეს შარლატანი ხელოვნებაში, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან, რომელთა ლექსთა წყობა შაბლონია. მანიფესტი ამ შარლატანების წინააღმდეგ ამხედრებაა ტაბუკური ტემპერამენტით და სხვა არაღწერი“ (გაზ. „სამშობლო“, 1916 წ., № 340).

სტატიის ანონიმი ავტორი არ ეთანხმება გრ. რობაქიძის ამ თვალსაზრისს და დაასკვნის, რომ იგი „ტერმინებით აყუყურობს ხალხს“ (იქვე).

მაგრამ, მოწინააღმდეგეებთან ერთად, პაოლოსა და მის მეგობრებს თანამოაზრენიცა და დამცველებიც ჰყავდნენ. მათგან, პირველ ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, რომელსაც მრავალი უსიამოვნებაც შეახედრეს „ცისფერყანწელებისადმი“ თანადგომის გ.მ.ო. მაგალითად, 1916 წელს ქუთაისში გამომავალ გაზეთ „თანამედროვე აზრის“ 59-ე ნომერში დაისტამბა ვინმე „რას-ინის“ წერილი — „კიტა აბაშიძე პონოგრაფისტების დამცველის როლში“. სტატიაში ასეთი ფაქტია მოთხრობილი:

ქუთაისში 6 მარტიდან მოქმედება დაუწყია „საკონდიტეროს — „ფინჯანი ჩაი“, სადაც ტრადიციად დაუმკვიდრებიათ ახალგაზრდა მწერალთა მოწვევა და მათი შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოების გამართვა. 3 მარტს მოწყობილ ერთ-ერთ ამდაგვარ საღამოზე კ. აბაშიძეს განუცხადებია: „ჩვენს ლიტერატურაში გაჩნდა ახალი მიმართულება. მას საზოგადოების ერთი ნაწილი გულის წყრომით იხსენიებს და პროტესტს უცხადებს, მაგრამ განა ჩვენი დიდებული მგოსნების ილიას და

აკაკის პირველათ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლას მაშინდელი საზოგადოება ასევე არ შეხვდა...”

კ. აბაშიძის ამ განცხადებას საზოგადოება უკმაყოფილოდ შემოიღობდა. ცნობილი კრიტიკოსისათვის პატივი უციათ და არაფერი უკადრებიათ, მაგრამ ჯავრი პ. იაშვილზე უყრიათ. როგორც კი პაოლოს ლექსის კითხვა დაუწყია, დარბაზში შექმნილა ერთი ალიაქოთი — ზარის რეკვა, სტვენა, ხმაური. განსაკუთრებულ აგრესიულობას თურმე ქალები იჩენდნენ, რომლებიც მოითხოვდნენ პოეტის გარეთ გაძევებას. პაოლოს შემდეგ ვ. გაფრინდაშვილს დაუპირებია გამოსვლა, მაგრამ არც მას დააყენეს ნაკლები დღე. ბოლოს აღშფოთებული ხალხი მიცვივდა გამგეს და მოთხოვა ჩამოეხსნა კედელზე ჩამოკიდებული შოთა რუსთაველის სურათი, რომელიც ჟურნალ „ცისფერ ყანწების“ მხატვარ-გამფორმებლის — ლადო ჯაფარიძის მიერ იყო დახატული.

„ყანწულებმა“ სცადეს წინ აღდგომოდნენ დარბაზის აგრესიას. კ. აბაშიძის სიტყვით გათამამებულმა პაოლომ საპასუხო გამოსვლაში ხალხს ლიტერატურის უცოდინარობა და ჩამორჩენა უკიჟინა თურმე. „თქვენ რა გესმით პოეზიისო, — განუცხადებია მას, — როდესაც ისეთი ლიტერატურის მცოდნე, როგორიც კიტაა, ჩვენ გვაქებს, თქვენისთანა პოეზიის მცოდნეთათვის მე დამიფურთხებიაო“. აზღაგვარმა განცხადებამ კიდევ უფრო მძაფრი აღშფოთება გამოიწვია და საღამო ლამის ცემა-ტყეპაში გადაიზარდა.

სტატიის ავტორი გულის ჯავრს, პირველ ყოვლისა, კ. აბაშიძეზე იყრის და აღშფოთებული შენიშნავეს: „ნეტავი იმ ქართულ ლიტერატურას, რომელსაც კიტასთანა „კრიტიკოსები“ ამშვენებენო!“

„ცისფერყანწულთა“ ერთ-ერთი ასეთი საღამოს შეფასებას წარმოადგენს აგრეთვე თ. ჭუმბურიძის წერილი „კიდევ ცისფერი ყანწულები“, რომელიც „თანამედროვე აზრის“ 19 ივნისის ნომერშია დასტამებული. სტატიაში ავტორი გვიამბობს პაოლოსა და მისი მეგობრების მიერ ქუთაისში გამართულ „კურიოზულ“ საღამოზე, სადაც ამ „თავხედმა და უტიფარმა“ ადამიანებმა, „მეცნიერულად სრულიად მოუშადალებლებმა“,

თავი მოუყარეს უამრავ ხალხს და საუბარი გაუმართეს მათ „ისეთ ძნელ და სერიოზულ პრობლემებზე“, როგორც არის ხელოვნების პრობლემა, მაგრამ ამ „სუკულტურო და ავანტიურისტმა“ პოეტებმა, კრიტიკოსის შეფასებით, თავი ვერ მოაბეს საღამოს და ხალხი აღაშფოთეს თავიანთი უვიცობით. თ. ჭუმბურიძე ცალმხრივად, მეტად ტენდენციურად, აღწერს შეხვედრას და გულისწყრომას ვერ იოკებს საღამოს მონაწილეებისადმი.

განსაკუთრებულ აღშფოთებას იჩენს იგი პ. იაშვილისადმი, როგორც ახალი ლიტერატურული ჯგუფის თავკაცისა და „პირველთქმის“ ავტორისადმი, და მკაცრად აკრიტიკებს მას.

გავიხსენოთ ფრაგმენტი სტატიიდან. „სცენა პირველსავე შეხედვით ნამდვილ სამსხვერპლოს მოგაგონებდათ. ეს იყო, რომ მოელოდა ხელოვნების „იდუმალ მოგვს“, რომელიც უნდა შესდგომოდა „საიდუმლო ლოცვას“, „ჭვრეტას უძირო საიდუმლოებისას“. და აჰა, მოგვევლინა „მოგვი იგი იდუმალი“ — იაშვილი პაოლოდ წოდებული. ჩვენ მომხსენებელს სავსებით შეუთვისებია თვის „ღირსეულ მასწავლებლის“ გრ. რობაქიძის მანერები ლექსის „მისტიური“ კითხვიდან დაწყებული უკანასკნელ ხელის მოქნევამდის“.

რა ავლა-დიდებით წარსდგა საზოგადოების წინაშე „პირველთქმის“ ავტორი? — აღშფოთებით კითხულობს თ. ჭუმბურიძე და თავადაც დაასკვნის, რომ მისი გამოსვლა იყო სრული უაზრობა და რაღაც აბღაუბდა. „მთელი სამი თუ ოთხი საათის განმავლობაში“ ორატორმა „თავი მოაბეზრა“ საზოგადოებას, რასაც კრიტიკოსი სავსებით ლოგიკურ მოვლენად მიიჩნევს, რადგანაც „არ შეიძლება მოსთხოვო სერიოზული რამე ისეთ ადამიანს, რომელსაც არა აქვს არავითარი სისტემატიური მეცნიერული მომზადება და ცოდნა“.

როგორც ვხედავთ, სტატიის ავტორმა პ. იაშვილი სრულიად გაუნათლებელ, უვიც პიროვნებად მონათლა და მკაცრად გააკრიტიკა მისი არა მარტო პოეზია, არამედ ლიტერატურული განსწავლულობაც. თავისი მოხსენების პირველ ნაწილში ორატორი შეხებია სიმბოლიზმის, როგორც შემოქმედებითი მიმართულების, არსის განმარტება-დახასიათებას, სადაცო, — შენიშნავს სტატიის ავტორი, — „ჩვენ გავხდით მოწმე

მისი სრული უვიცობისა ამ სფეროში“. მართალია, მომხსენებელი ხშირად ასახელებდა ევროპულ სიმბოლისტთა სახელებს, მაგრამ მათი შემოქმედების შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი თქმულაო.

ხსენებული სტატიის მეორე ნაწილშიც, რომელიც გაზეთის მომდევნო ნომერში დაისტამბა, თ. ჭუმბურიძე ახალ-ახალი არგუმენტების მოშველიებით აგრძელებს შეტევას „შავი ნიღაბის“ მატარებელ შემოქმედთა წინააღმდეგ, აღშფოთებული გმობს პაოლოსა და მისი მეგობრების „მოვლინებას მათ სატახტო ქალაქ ქუთაისში“, ირონიულად აქილიკებს „ყანწელთა“ „ლაყუ აზრებს“ და დაცინვით შენიშნავს: „პ. იაშვილი ძლიერ შეწუხებულია იმით, რომ მათსა და საზოგადოებას შორის ხიდი ჩატყდა, მაგრამ თავს იმით ინუგეშებს, რომ ასეთი გაუგებრობა ხვედრია ყოველი გენიოსისა, რეფორმატორისა, ახლის მთქმელი-სა“.

როგორც ვხედავთ, „ცისფერ ყანწების“ გამოსვლავ დიდი აჟიოტაჟი და ცხოველი რეაქცია გამოიწვია არა მარტო ლიტერატურულ წრეებში, არამედ ფართო საზოგადოებრიობაშიც. „ყანწელთა“ საწინააღმდეგო განწყობილებას თავიანთ გულისწყრომას ისეთი ადამიანებიც უერთებდნენ, რომელთათვისაც მწერლობა უბრალო თავშესაქცევი საქმე იყო და მეტი არაფერი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ თურმე ქალები. ისინი მძაფრ აგრესიულობას იჩენდნენ პაოლოსა და მისი მეგობრების მიმართ. ეს აგრესია, როგორც მაშინდელი პრესიდან ნათლად ჩანს, მწვავე ირონიასა და ცინიზმში გადაიზრდებოდა ხოლმე.

კლასიკურ პოეტურ პრინციპებზე აღზრდილი მკითხველები „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ ნოვაციებს ესთეტიკური თავხედობისა და მკრეხელობის გამოვლინებად მიიჩნევდნენ. ამიტომაც შეუტიეს ასეთი გააფთრებით მათ „ფუტურისტულ“ ძიებებს. აღშფოთებას კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ ახალი ლიტერატურული ჯგუფის თავკაცად მოვლენილი ახალგაზრდა რედაქტორი უბოდიშოდ ხელყოფდა კლასიკურ საგანძურს და არაორაზროვნად უარყოფდა მას. ეს პოზიცია ნათლად მჟღავნდებოდა „ცისფერი ყანწების“ პირველივე ნომერში დაბეჭ-

დილ პაოლოს როგორც საპროგრამო წერილში, ისე ლექსშიც („პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე“...).

შალვა აფხაიძე იგონებს: აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ ბევრი ქალიშვილი ამ ლექსის ავტორთან და მის მიგობრებთან შეხვედრა-ურთიერთობასაც კი სამარცხვინოდ თვლიდაო. ერთხელ გელათში უნდა წავსულიყავით ექსკურსიაზე. ახალგაზრდების წრეში კოლაუ და პაოლოც ყოფილან. ეს რომ გაუგიათ, ქალიშვილების ნაწილს უარი უთქვამს მათთან ერთად წასვლაზე. მაშინ პაოლო და კოლაუ ჩამოშორებიან ჯგუფს, ცალკე გამგზავრებულან და გელათში შეხვედრიან ექსკურსანტებს. რაღას იზამდნენ. მოწინააღმდეგე ქალიშვილები იძულებული გამხდარან მათთან ერთად დარჩენილიყვნენ. პაოლოსა და კოლაუს თავიანთი საუბრებითა და ქცევებით იმდენად მოუხიბლავთ გოგონები, რომ სულ მალე გულითადად დამეგობრებულან (შ. აფხაიძე, ადამიანები და წიგნები, 1964 წ. გვ. 55).

მაგრამ ამდაგვარი კონფლიქტები ყოველთვის როდი მთავრდებოდა ასე კეთილად. ბევრი მანდილოსანი ბოლომდე დარჩა მტრულად განწყობილი ამ „ქარაფშუტა“ ახალგაზრდებისადმი და გაღიზიანებული იყო მათი „ფუტურისტული“ პრინციპებით.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურობდა თურმე ქუთაისელ ქალბატონთა წინამძღოლი კატო მიქელაძე.

ყოველივე ზემოთქმულის გამო რა გასაკვირია, რომ მემჩანურ საზოგადოებას და „ყანწილებს“ შორის მდგომარეობა უფრო და უფრო გამწვავებულიყო. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ დაპირისპირებულობაში, კონსერვატულად განწყობილი ლიტერატურული საზოგადოების გვერდით, განსაკუთრებით გააქტიურდნენ ქუთაისელი ვაჭრები. „გაზეთებში კრიტიკოსები რომ თავს გვესხმოდნენ, — იგონებს ს. კლდიაშვილი, — ვაჭრებმა ეს თავისებურად გაიგეს. გაიგეს იმდაგვარად, თითქოს პრესა ვიდაც ბოროტმოქმედებს ებრძოდა. ხელისუფლების მხარდაჭერით გათამამებულნი, ისინი იქამდე მივიდნენ, რომ ადმინისტრაციას აიძულებდნენ მკაცრი ზომები მიეღო ჩვენს წინააღმდეგ (ს. კლდიაშვილი, თსუ. ტ. III, 1979 წ., გვ. 485).

განსაკუთრებით უტყვედნენ პაოლოს, რომელიც თავისი დაუნდობელი და მახვილგონიერული ეპიგრამებითა და ექსპრომტებით ანადგურებდა მოწინააღმდეგეს. ბევრი მათგანი, ამის გამო ბოლმით გულგასიებული, საშინლად ბორგავდა და მის მკაცრ დასჯას მოითხოვდა. და აი, 1918 წლის ზაფხულში, ს. კლდიაშვილის ცნობით, ქალაქის ხელისუფლებამ პ. იაშვილს ქუთაისიდან გასახლება მიუსაჯა. „ამ განკარგულებას უმაღვე იმით ვუპასუხეთ, რომ სასწრაფოდ დავბეჭდეთ და გავავრცელებთ საპროტესტო ფურცლები ჩვენი და რამდენიმე ადგილობრივი ჟურნალისტის ხელმოწერით, — გვიამბობს ს. კლდიაშვილი. — ამ ფურცლებმა... ისეთი აურზაური გამოიწვია, რომ ჩვენი თანამგრძობი ერთი ცნობილი ჟურნალისტი და ფედერალისტების ლიდერთაგანი დაფრთხა და გაზეთში მოათავსა წერილი რედაქციის მიმართ, თითქოს მისი თანხმობის გარეშე მოგვეთავსებინოს ესეი გვარი საპროტესტო ფურცელზე“ (იქვე, გვ. 487).

სასჯელისაგან პაოლოს გასათავისუფლებლად მწერლებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. კერძოდ, ქუჩაში დაწოლილებმა გზა გადაუკეტეს რესპუბლიკის თავკაცის — ნ. ჟორდანიას ეტლს. იგი იმხანად წყალტუბოში ისვენებდა და სტუმრად ჩამოვიდა ქუთაისში. ჟორდანიამ გამოიკითხა თურმე აქციის მომწყობთა პრეტენზიები, მაგრამ საქმეში არ ჩაერია და განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი: პაოლო ქუთაისიდან გაასახლეს.

როგორც ვნახეთ, „ცისფერყანწელთა“ წინააღმდეგ მიმართული წერილები მრავლად იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში. მაგრამ პაოლო და მისი მეგობრები გულს არ იტეხდნენ, ამდაგვარ შემოტევებს ქედს არ უხრიდნენ და დაბეჯითებით მიილტვოდნენ თავიანთი მიზნისაკენ. საამისო ძალასა და ენერგიას სძენდათ რწმენა იმისა, რომ მათ მიერ არჩეული გზა სწორი იყო. გარდა წმინდა შემოქმედებითი მოღვაწეობისა, ისინი ხშირად სვდებოდნენ საზოგადოებას, აწყობდნენ პოეზიის საღამოებს, გამოდიოდნენ ლექცია-საუბრებით, სადაც განმარტავდნენ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის არსსა და პრინციპებს. როგორც ვნახეთ, ასეთ შეხვედრებს ზოგჯერ არასასიამოვნო ექსცესებიც ას-

ლდა ხოლმე თან, მაგრამ ამის გამო გული არ გაუტეხავთ და სასოწარ-კვეთილებამდე არ მისულან. პირიქით, ამგვარი წინააღმდეგობანი უფრო მეტად უღვივებდათ შემოქმედებითი ძიების გრძნობას.

მართალია, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის წარმომადგენლები თავდაპირველად ქუთაისში მოღვაწეობდნენ, მაგრამ ისინი ცდილობდნენ მთელი საქართველო მოეცვათ და ფართო პოპულარობა გაეწიათ თავიანთი შემოქმედებისათვის. ამ მიზნით პაოლო და მისი მეგობრები ხშირად მართავდნენ პოეზიის საღამოებს თბილისში, სენაკში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ფოთში, გორში...

ამ საღამოების აქტიური მონაწილენი იყვნენ პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ს. ცირეკიძე, კ. ნადირაძე... თავიანთი უცნაური ლექსებითა და საუბრებით ისინი აღიზიანებდნენ ლიტერატურულ სიახლეთა არსში სათანადოდ გაუცნობიერებელ მსმენელებს, რის გამოც ბევრი უსიამოვნებაც შეხვედრიათ და ასეთი შეხვედრები ჩხუბითა და აურჯაურით დამთავრებულა. ამის შესახებ საკმაო ინფორმაციას გვაწვდის ათიანი წლების მეორე ნახევრის ქართული პრესა.

მაგრამ ხშირი იყო საპირისპირო შემთხვევებიც, როცა საზოგადოება აღფრთოვანებული მიესალმებოდა ახალგაზრდა მწერალთა გამოსვლებს, მხარს უჭერდა, ამხნევებდა და რწმენას განუმტკიცებდა მათ. ამ შეხვედრათა სული და გული ყოველთვის პაოლო იყო. თავისი ცეცხლოვანი გამოსვლებითა და მახვილგონივრული ექსპრომტებით, გრძნობებააზვირთებული ლექსებითა და პოეტური ტემპერამენტით, იგი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე.

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ცნობით (№ 87), ერთ-ერთი ასეთი საღამო „ცისფერყანწელებს“ 1917 წლის 20 ივლისს გაუმართავთ ზესტაფონში. შეხვედრაზე „მხურვალე მამულიშვილური საზეიმო სიტყვა“ წარმოუთქვამს პ. იაშვილს. „აღსანიშნავია, რომ პაოლო იაშვილის სიტყვა, — წერს კორესპონდენტი, — ძლიერ მოქმედებს ადამიანის გრძნობაზე. თვითული მისი სიტყვა იყო ღრმად განცდილი და მეტად გულწრფელი. მისმა მტკვერმეტყველურმა უნარმა დაიმონა მთელი აუდიტორია და სმენად აქცია. სიტყვა კაი ხანს გაგრძელდა და მათზე საზოგა-

დოება აღტაცებული ტაშის ცემით და თანაგრძნობით შეხვდა პაოლო იაშვილს“.

ასეთივე წარმატებები მოკყოლია ამავე წლის 9 აგვისტოს სენაკში გამართულ საღამოსაც. როგორც ითქვა, ამდაგვარი შეხვედრების უპირველესი მიზანი იყო იმ ახალი ლიტერატურული პრინციპების პროპაგანდა, რომელთაც „ცისფერყანწელები“ ამკვიდრებდნენ ჩვენს მწერლობაში. ამის გამო აუცილებელი ხდებოდა საღამოს დასაწყისში მსმენელთათვის ამ სიახლეთა შესახებ პოპულარული ენით საუბარი. პაოლო და მისი მეგობრები ხალხს განუმარტავდნენ სიმბოლიზმის არსს, აცნობდნენ მის ძირითად პრინციპებს და მხოლოდ ამის შემდეგ კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს.

ასე მომხდარა ამჯერადაც. პირველი სიტყვა პაოლოს წარმოუთქვამს. „ჩვენი ქვეყნის“ კორესპონდენტი აღფრთოვანებულია ახალგაზრდა პოეტის გამოსვლით და აღნიშნავს, რომ იგი არის „ნამდვილი ხელოვანი არსებით“, „მეტად გრძნობიერი მეტყველი მგოსანი“, „ორატორული ნიჭით მდიდარი“ და „სიტყვა გრძნობიერი“ შემოქმედი, რომელიც „იტაცებს დამსწრეთა სმენას თავისი პათეტიკური სიტყვითა და ლამაზი თხრობით“ (გაზ „ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ. 9 აგვისტო).

პ. იაშვილმა, წერილის ავტორის ცნობით, განმარტა თავისი გამოხატვის მიზანი და აღნიშნა, რომ „ისინი არიან ერთად ერთი წმინდა და მსახურნი ნამდვილი ხელოვნებისა და თუ ამ გზაზე ჩვენ დავვცით და ვერ მივიტანეთ აწეული დროშა დასახულ მიზანთან, სხვები ჩვენი თანამოაზრენი მიანც შეასრულებენ ამ მოვალეობასო“. იაშვილის სიტყვის შედეგად იყო მსურველე ტაშისცემამო, — დაასკვნის კორესპონდენტი.

ამ ლიტერატურულ საღამოებს, მეტი ეფექტურობისა და შთამბეჭდაობის მიზნით, „ცისფერყანწელები“ სშირად გარეგნულადაც უცნაურ სახეს აძლევდნენ სოლმე. ამით ისინი ცდილობდნენ ხაზი გაესვათ თავიანთი შემოქმედების ორიგინალობისა და არატრადიციულობისთვის, არტისტიკული დახვეწილობით ბაძავდნენ ევროპელ მასწავლებლებს, ესწრაფვოდნენ ამდაგვარი თეატრალიზებული შეხვედრების განუყოფელ ნაწილად ბოკემური ცხოვრების აზარტული ნიუანსებიც ექციათ.

ამის შესახებ ბევრს წერენ „ყანწულთა“ თანამედროვენი. გაეხსენოთ, მაგალითად, ტიცვიანის მეუღლე — ნინო ტაბიძე, რომელიც მრავალ შთამბეჭდავ ეპიზოდს იხსენებს თავის შეხანიშნავ წიგნში „ტიციანი და მისი მეგობრები“ (1985 წ.). აი, ერთი მათგანიც — „ცისფერყანწულთა“ პოეზიის საღამო თბილისის კონსერვატორიაში: „სცენაზე ფარჩაგადაფარებული მაგიდა დგას, მაგიდაზე — ოცი ჭიქა წითელი ღვინო. მაგიდას უსხედან: შუაში — წითელ ქულაჯაში გამოწყობილი პაოლო. თვალები უცნაურად უელავს. მის გვერდით ერთ მხარეს კოლაუ ზის, სახე თითქოს ქვისაგან აქვს ნათალი. მეორე მხარეს — თალხებში შემოსილი თმანუჭუჭა ვალერიანი... ჭკვიან თვლებს აქეთ-იქით აცეცებს. უმანკო ქალიშვილივით იღიმება. აქვეა ლელი ჯაფარიძე, ცისფერი პერანგი აცვია, ყელს მარჯნისფერი ბაფთა უმშვენებს, უცნაური სანახავია. შალვა კარმელს ფერმკრთალი, ნაღვლიანი სახე აქვს...

სკამებზე იების ზღვაა. დარბაზში ცვივა და ცვივა იები.

მაგიდაზე თითოეულის წინ წითელი ღვინით სავსე ჭიქა დგას.

საღამო პაოლო იაშვილმა გახსნა, ლექსებიც პირველად იმან წაიკითხა.

დიდებულად კითხულობდა, აღტკინებით, გატაცებით. გეგონებოდათ, დარბაზს ფრინველები შეესივნენო“ (ნ. ტაბიძის წიგნი, გვ. 11). ასეთი თეატრალიზებული შეხვედრები მრავალგზის გაუმართავთ „ცისფერყანწულებს“. ეს თეატრალობა მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. თითქოს ყოველდღიურ ურთიერთობებშიც მსახიობები იყვნენ, სცენაზე იმყოფებოდნენ და პოეტური რომანტიკით სავსე როლებს ასრულებდნენ. ეს აშკარად იგრძნობა მათ არა მარტო შემოქმედებაში, არამედ გარეგნულ სახეშიც — ჩაცმაში, ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, ხაზგასმულ დარდიმანობასა და ბოჰემურ დენდობაში. ამისი დამადასტურებელი მაგალითები ფოტოსურათებსაც შემოუნახავთ ხაზგასმული თეატრალური ექსტებით აღბეჭდილი პოზების სახით.

ეს არტისტიკაში „ყანწულებს“ ქართული ბუნების შემადგენელ ორგანულ ნაწილად მიაჩნდათ. ამბობდა კიდევ ერთგან ტიცვიანი, „ქართველ ხალხში სცხოვრობსო უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუ-

დამ სხვა იყოს. იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების... ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბიო“ (იხ. ტ. ტაბიძის წერილი „ცისფერი ყანწებიო“, ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1916 წ. № 1). ეს სული მძლავრად იყო გამოვლენილი პაოლოსა და მის მეგობრებში. ამაზე განსაკუთრებით ნათლად მეტყველებს მათი მოღვაწეობის სიმბოლისტური პერიოდი.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ბევრს მათი არ ესმოდა. ყოფითი ყოველდღიურობით დატვირთულ და გრძნობებგაუხეშებულ საზოგადოებას ეს ყველაფერი ყალბ პოზიირობად მიაჩნდა და აღიზიანებდა, მით უფრო იმიტომაც, რომ ამ თეატრალურ ქესტებსა და შეხვედრა-სალამოებს თან ახლდა პრეტენზიული საუბრები საკუთარ ლიტერატურულ მიღწევებზე.

ამიტომაც უმართავდნენ ხოლმე სშირად დებოშებს. ასე მოხდა ნ. ტაბიძის მიერ აღწერილ სალამოზეც. ხალხი აღშფოთებული შეხედა გამომსვლელებს, მაგრამ ისინი ამას თურმე აინუშშიც არ აგდებდნენ. „პაოლო ხალხს მშვიდად არწმუნებდა, დღეს თუ ხვალ მაინც მოგიხდებათ ამ ახალი ხელოვნების შეყვარებაო. ეს რწმენა შეუძლებელს აკეთებინებდათ და ყოველგვარ წინააღმდეგობას აძლევინებდათ.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამ რწმენამ შეკრა „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი ერთ მძლავრ სამეგობრო წრედ. განსაცვიფრებელი სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთისა, უღალატო ძმობა და ურთიერთთანადგომა. იცოდნენ. მათ მეგობრულ ერთობაზე დღეს უკვე ისე საუბრობენ, როგორც ლამაზ რომანტიკულ ლეგენდაზე. ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ალბათ, უპრეცედენტოა მსგავსი სიყვარული და ურთიერთთანადგომა. შემოქმედებითი ინდივიდუალობით ერთმანეთისაგან განცალკავებულნი, ერთ ლიტერატურულ მთლიანობად მკვიდრდებოდნენ ჩვენი მწერლობის ისტორიაში. ძმობისა და მეგობრობის მტკიცე ადამიანური გრძნობით შედუღაბებულებს ჭირი და ლხინი განუყოფელი ჰქონდათ, ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ერთიმეორეს ამაგრებდნენ, განადიდებდნენ. არავის ერთმანეთზე ამდენი ლექსი და წერილი არ დაუწერია, ამდენი საქებარი სიტყვა არ უთქვამს...

მაგრამ ამ ქება-დიდების გვერდით შემოქმედებითი პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობაც მუდამ თან ახლდათ. შექება დაუსაბუთე-

ბელ სოტბასა და ლაქუცში არ გადაიზრდებოდა, ძიების სურვილს ვერ აცხრობდა, თვითკმაყოფილების ჭაობში არ ითრევდა მათ შთაგონებას.

არც ვიწრო კასტური მასშტაბებით შემოფარგლულა ოდესმე მათი ძმობა. ნიჭის განმადიდებლები, აღფრთოვანებით ხედებოდნენ ხოლმე ნიჭიერი ავტორების გამოჩენას და საქებარ სიტყვას არ იშურებდნენ მათთვის. ეს განსაკუთრებით ითქმის პაოლოზე, რომელმაც თავისი რედაქტორობის დროს, ორივე ჟურნალში, ლიტერატურული პრინციპების განსხვავებულობის მიუხედავად, ფართოდ გაუხსნა კარები ქართული მწერლობის ბევრ ნიჭიერ, იმხანად არცთუ ცნობილ შემოქმედს. ჩვენი საუკუნის პირველი ოცწლეულის ახალგაზრდა მწერალთაგან (განსაკუთრებით, პოეტთაგან), რომლებიც მალე მხატვრული სიტყვის გამოჩენილი რესტატები გახდნენ, ცოტა თუ მოიძებნება ისეთი, ვინც „ოქროს ვერძსა“ და „ცისფერ ყანწებში“ არ დასტამბულიყოს.

ერთი სიტყვით, ის ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც პაოლო და მისი მეგობრები ამკვიდრებდნენ, ვიწრო კასტური მასშტაბებით შემოფარგლული წრე არ ყოფილა. მათთან, შესხედულებათა განსხვავებულობის მიუხედავად, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ისეთი გამორჩეული ხელწერისა და მრწამსის მწერლებს, როგორებიც იყვნენ: ნ. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ა. აბაშელი, კ. მაყაშვილი...

რასაკვირველია, იყო დისკუსიებიც, მწვავე ურთიერთობანიც, შეხლა-შემოხლაცა და ერთმანეთთან დაუბრებაც. მაგრამ ამაში მოულოდნელი არაფერია. მსგავსი წინააღმდეგობანი, შიგადაშიგ, თვით „ცისფერყანწელთა“ შორისაც იჩენდა ხოლმე თავს, მაგრამ წყენის ღრუბელი მალე განქარდებოდა და პოეტი-ძმები კვლავ ერთად იყვნენ. აზრთა ჭიდილი და დაპირისპირებულობა კი აფხიზლებდათ, შემოქმედებითი ძიების უნარს სიმძაფრეს სძენდა, კრიტიკული თვითგანჯის გრძნობას აღიერებდა, თვითკმაყოფილების ჭაობისაგან განარიდებდათ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლას ლიტერატურული საზოგადოების კონსერვატული ნაწილის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. მაგრამ ახალგაზრდა მწერალთა გაბედულ შემოქმედებით ძიებებს მხარდამჭერნიც ჰყავდნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „ჩვენ მეგობარში“ გამოქვეყნებული მასალები. განსხვავებით ბევრი იმდროინდელი გაზეთისაგან, ამ პერიოდული ორგანოს დამოკიდებულება „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული სიასტეებისადმი უფრო პოზიტიური და მხარდამჭერი იყო. მართალია, „ჩვენი მეგობრის“ ფურცლებზე დასტამბულ წერილებშიც საკმაოდ გვხვდება „ყანწელთა“ შემოქმედების კრიტიკული შეფასებანი, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ ეს კრიტიკა არაა ტენდენციური და სუბიექტური ფაქტორებით განპირობებული.

მაგალითად, გაზეთის 1916 წლის მე-20 ნომერში დაბეჭდილ დალის წერილში „იძულებითი განმარტება“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში დასტამბულ პ. იაშვილის „პირველთქმის“ გამო ატეხილ „დიდ აურზაურსა და განგაშზე“ და აღნიშნავს, რომ ისიც მხარს უჭერს ამ სტატიის მიმართ საზოგადოების მიერ გამოთქმულ გულისწყრომას. „ვინც ბოროტი ანგარიშით არ ხელმძღვანელობს, — წერს ავტორი, — ის იტყვის, რომ ჩვენც არ შეგვიძლია მოწონების ტაში დაუკრათ იმ პირს, რომელიც „წარსულის ძვირფას მარგალიტებს დავიწყების ოკეანეში გადაისვრის“. მაგრამ კრიტიკოსი იქვე იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჟურნალში დასტამბული მასალების ხელალებით განქიქება მკრეხელობაა, რადგანაც მასში წარმოდგენილი მწერლები და მათი ნაწარმოებები ასეთი დამოკიდებულებისთვის საფუძველს არ იძლევიან. „გარდა „პირველ თქმისა“, — შენიშნავს ავტორი, — იქ არიან სახელები, რომელთაც მშობლიურ ლიტერატურას ღრმა კვალი დააჩინეს, რომელნიც ეროვნულ შემოქმედების საუკეთესო წარმომადგენლებად ითვლებიან, რომელთა სახელებს ქართველი ერის ისტორიიდან ველარავინ ამოშლის და იმათი ასე ცინიკურად მოპყრობა განა ეპატიება ვინმეს?..“

სტატიის ავტორი საგანგებოდ ექომაგება კიტა აბაშიძეს, რომელსაც ბევრი უკიჟინებდა „ყანწულებთან“ დამეგობრებას და ბრალს დებდა „გაფუტურისტებაში“. კონსერვატული საზოგადოების წარმომადგენლებმა მცდარად, დამახინჯებულად გაიგეს კრიტიკოსის პოზიცია, არ ესმოდათ, რისთვის უჭერდა მხარს კ. აბაშიძე ახალი ლიტერატურული ჯგუფის დამკვიდრებელთ და მკაცრად შეუტიეს მას.

კ. აბაშიძეს თავისი კეთილგანწყობითი დამოკიდებულება „ცისფერყანწულებისადმი“ არაერთგზის გამოუხატავს როგორც სიტყვით, ისე წერილობითაც. მაგალითად, 1916 წლის 17 მარტს „ჩვენს მეგობარში“ დასტამბულ წერილში — „გონს მოდით“ მან ცადა საზოგადოებისთვის განემარტა ნამდვილი არსი სიმბოლისტებთან მისი ურთიერთობისა და ერთხელ კიდევ ნათლად აჩვენა მკითხველს, რა მოსწონდა მას მათი შემოქმედებითი ძიებებიდან და რა არა, აგრეთვე დააზუსტა მის ირგვლივ ატეხილი აურზაურის ფარული საფუძვლები.

ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ სტატიის ფრაგმენტები: „ერთი აკალ-მაყალია, ერთი ყაყანია, ერთი დავიღარაბა!

დაუძინებელი ჩემი მტრები ყვირიან: კიტა აბაშიძე „ფუტურისტია“, კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ მფარველობს და სხვ.

კიტა აბაშიძე რა არის, რომ ვისმე ეინტერესებოდეს, მაგრამ კიტა აბაშიძეს ხომ ფედერალისტებთან აქვს დამოკიდებულება. თუ კიტა აბაშიძე „ფუტურისტია“, გაიძახის ბ. შაბლონი, მაშასადამე, ფედერალისტებიც ფუტურისტებია — ჰკა მაგათო“.

როგორც უკვე აღინიშნა, „ცისფერყანწულებს“ ათიანი წლების საზოგადოების დიდი ნაწილი ფუტურისტებად იხსენიებდა. კ. აბაშიძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დაბეჯითებით უარყოფდა ასეთ თვალსაზრისს და აცხადებდა, რომ სინამდვილეში ისინი სიმბოლისტური სკოლის მიმდევარნი იყვნენ. „კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ არ მფარველობს იმიტომ, რომ არ ვიცის სად არიან ჩვენში ფუტურისტები, ამ აზრის ეგროპიელი მნიშვნელობითო, — წერდა იგი ხსენებულ სტატიაში. — თუ „ცისფერი ყანწუბის“ მწერლებზე ბრძანებთ, ისინი თავის თავს სიმბოლისტებათ სთვლიან და არა „ფუტურისტებათ“.

კ. აბაშიძის კეთილგანწყობითი დამოკიდებულება ახალი ლიტერატურული ჯგუფის დამამკვიდრებლებისადმი, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ ცნობილმა კრიტიკოსმა მათში დიდი პოეტური პოტენცია დაინახა და უცდომელი ალლოთი იგრძნო მათ მიერ არჩეული გზის სასიცოცხლო როლი ჩვენი მწერლობის თვისებრივი განახლების საქმეში. ევროპული შემოქმედებითი სიახლეების არსში მალაპროფესიულად განსწავლულმა ლიტერატორმა კარგად იცოდა ამ სიახლეთა ფასი და მათი მნიშვნელობა ეროვნული შემოქმედებითი აზროვნების განსავითარებლად. ამიტომაც მიესალმა იგი „ცისფერყანწელებს“ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე და მხარი დაუჭირა მათ პოეტურ ძიებებს.

ამ მხარდაჭერის საფუძველი ისიც იყო, რომ ქართველ სიმბოლისტთა პირველ ჟურნალში იმდროინდელი ჩვენი მწერლობის სხვა გამოჩენილ წარმომადგენელთა ნაწარმოებებიც იყო დასტამბული. წერდა კიდევ თავად ამის შესახებ. „განა შემიძლია თანადგომით არ მოვეკიდო იმ მწერალთა ჯგუფს, რომელთა შორის არიან გრიშაშვილი, რობაქიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ჭუმბაძე, ტაბიძე და სხვა. და როდის იყო, რომ მათ თანადგომით არ ვეკიდებოდი“ („ჩვენი მეგობარი“, № 15). კ. აბაშიძე ჯერ კიდევ მანამდე წერდა მათ შემოქმედებით დამსახურებაზე, სანამ „ცისფერყანწელთა“ ჟურნალი გამოვიდოდა. თავისი მახვილგონივრული ლიტერატურული ალლოთი მან, ერთ-ერთმა პირველთაგანმა, სწორად შეაფასა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში გამოვლენილი შემოქმედებითი სიახლენი და აქტიურად დაუჭირა მათ მხარი.

ამ თანადგომის გამოვლინებაა კრიტიკოსის მიერ „ცისფერყანწელთა“ მიმართ გამოხატული ყურადღებაც. „ის მიმართულება, რომელსაც ეს მწერლები ემსახურებიან და გამოხატავენ, — წერდა ის იმავე წერილში ქართველ სიმბოლისტებზე, — მიმაჩნია ჩვენი მომავალი ლიტერატურის ერთ ფრთად მნიშვნელოვან საძირკველად.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მომწონდეს „ცისფერ ყანწებში — არა, არ მომწონს: ყველაზე პირველად იმიტომ, რომ ზოგიერთი

დებულება ყოველივე ესთეტიკის წინააღმდეგია და როგორც ლიტერატურის მოსიყვარულეს, ის რაც არღვევს მშვენიერებას, მეზიზღება“...

მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებულობისა, კ. აბაშიძე პიროვნულადაც მეგობრობდა მათთან, საერთოდ, ახალგაზრდობასთან. ნიჭის დიდად დამფასებელი და პატივისმცემელი, არასოდეს ყოფილა კონსერვატორი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის თბილი მოგონება, მასზე რომ გვაწვდის გამსახურდია, რომელსაც ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლის დროს გაუცვნია კრიტიკოსი და დაახლოებია მას. თავის მოგონებათა წიგნში — „ლანდებთან ლაციცი“ იგი წერს: „ჩემთვის მარად დაუკვიწყარი იქნება კიტა აბაშიძის მეგობრული და ფაქიზი დამოკიდებულება. ქუთაისის ქუჩებზე როგორც შემხვედებოდა, მკლავზე ხელს წამავლებდა და ტოლივით მებაასებოდა. საერთოდ, ისე მექცეოდა, თითქოს მე იმისი ტოლი ვყოფილიყავი“...

ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა კ. აბაშიძეს „ყანწელებთანაც“, ხშირად გამოდიოდა მათ სადამოებზე, უჭერდა მხარს, უღვივებდა შემოქმედებითი ძიების წყურვილს. ეს მხარდაჭერა, იმ გამძაფრებულ წინააღმდეგობათა ფონზე, საზოგადოების კონსერვატულ ნაწილში რომ აწყდებოდნენ ახალბედა მწერლები, მათთვის დიდი სტიმული იყო. მართალია, როგორც ითქვა, კრიტიკოსს ყველაფერი არ მოსწონდა თავისი უმცროსი კოლეგების შემოქმედებიდან და პირუთვნელად ეუბნებოდა კიდევ მათ ამის თაობაზე, მაგრამ „ყანწელები“ ამით კი არ ღიზიანდებოდნენ, არამედ, პირიქით, ენდობოდნენ და გულით უსმენდნენ მას, რადგანაც გრძნობდნენ, რომ ეს იყო კეთილად განწყობილი კაცის რჩევა.

როგორც ითქვა, კ. აბაშიძის ზოგიერთმა მოწინააღმდეგემ ცადა პოლიტიკური თვალსაზრისით აეხსნა და შეეფასებინა მისი კეთილი დამოკიდებულება: „ყანწელებისადმი“, რაც არაა სწორი. წერდა კიდევ ამასთან დაკავშირებით კრიტიკოსი: „გონიათ, რომ „ცისფერი ყანწების“ მწერლები ფედერალისტები არიან, თუმცა იქ არიან ისეთები, რომელნიც ფედერალისტებს, სიამოვნებით, პირველ ხეზე ჩამოახრჩობენ, რომ შექცდნენ“ („ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. № 15).

„ცისფერყანწელთა“ მიმართ გაჩაღებულ შეხლა-შემოხლას, გარდა წმინდა ლიტერატურული მიზეზებისა, საფუძვლად იმხანად ჩვენში მომრავლებულ პარტიებს შორის მიმდინარე მწვავე მსოფლმხედველობრივი ბრძოლებიც რომ ედო, ეს კარგად ჩანს აგრეთვე დალის წერილიდან — „იძულებითი განმარტება“ („ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. № 20). მისი აზრით, ზოგიერთი კრიტიკოსი „ყანწებთან“ ბრძოლის საშუალებით ცდილობს „პარტიული ანგარიშები“ გაუსწოროს მოწინააღმდეგეს. სტატიის ავტორი თვლის, რომ ეს დიდი შეცდომაა, რადგანაც „ლიტერატურულ მოვლენას პარტიულ ცხოვრებასთან არაფერი საერთო არა აქვს... არცერთი სოციალისტური პარტია ვერ იკისრებს ხელოვნების ჯალათობას და ჩვენც არ შეგვიძლია ზიზღით არ შევხედოთ იმათ განზრახვას, რომ „ლსიკ ცდილობენ თავს მოგვახვიონ ასეთი შეუფერებელი მოვალეობა“.

როგორც ჩემს მიერ დამოწმებული მასალებიდანაც დაინახავს მკითხველი, „ცისფერყანწელთა“ პირველი ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა და დიდი გამოხმაურება და ცხოველი პოლემიკა მოჰყვა საზოგადოებაში. განსაკუთრებული სიმძაფრე ამ დამოკიდებულებამ ქუთაისში შეიძინა, იმ ქალაქში, სადაც წარმოიშვა ეს ლიტერატურული მიმდინარეობა. საზოგადოება ორ მკვეთრად დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო, რაც ნათლად ჩანს იმხანად აქ გამოცემული პრესიდანაც. „ეს ერთი ხანია, — წერს „ჩვენი მეგობრის“ უცნობი რეცენზენტი გაზეთის მე-20 ნომერში, — ქუთაისში „შუბებს ამტვრევენ“ „ცისფერი ყანწების“ გარშემო და განსაკუთრებით ყალყზე დგება გაზეთი „სამშობლო“ და მისი ხელმძღვანელი. მოხუცმა თუ ხანში შესულმა, ახალგაზრდამ თუ უსუსურმა, დაკარგეს სულის სიმშვიდე და ქუთაისში... მართლაც ომია, ქუჩაში გაპართული ომი“.

ამ დაპირისპირების, ასეთი ფართო დაინტერესების საფუძველი, როგორც ითქვა, მოწინააღმდეგეთა პოლიტიკური შეხედულების განსხვავებულობაცა და შეჯახებაც იყო. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციათა დამცველი და გამომხატველი გაზეთები — „სამშობლო“ და „ჩვენი ქვეყანა“ „ცისფერი ყანწების“ წინააღმდეგ გაჩა-

ღებულები პოლემიკით, იმავდროულად, ფედერალისტებსა და მათ გაზეთს — „ჩვენ მეგობარსაც“ ებრძოდნენ და უპირისპირდებოდნენ.

პაოლო და მისი მეგობრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ ბრძოლებში, უღალატოდ იცავდნენ თავიანთ შეხედულებებს, აწყობდნენ შეხვედრებსა და საღამოებს, სადაც ხალხს განუმარტავდნენ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის არსსა და პრინციპებს. მაშინდელი პრესა სისტემატურად გვაწვდის ცნობებს ამდაგვარი შეხვედრების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი საღამო „ცისფერყანწილებს“ 1916 წლის 7 ივნისს გაუმართავთ ქუთაისის თეატრში. ეს იყო საჯარო პაექრობა, რომელზეც მთავარი მოხსენება თემაზე — „ჩვენი მოსვლა, ჩვენი ყოფნა, ჩვენ მომავალში“ — პაოლო იაშვილმა გააკეთა. იმისათვის, რომ საზოგადოებაში ინტერესი უფრო გაეღვივებინათ, გაზეთ „ჩვენ მეგობარში“ (№ 76) მოხსენების გეგმაცაა დასტამბული.

გაზეთის 79-ე ნომერში კი უკვე იბეჭდება ამ საღამოს ვრცელი ანგარიში. კორესპონდენტის ცნობით, შეხვედრას საზოგადოება „საკმარისათ დაესწრო“. პ. იაშვილმა „ჩვეული ენაწყლიანობით დაახასიათა ხელოვნება წარსულში და დღეს, ახალის მოვლენა და ყოფილის დანიშნულება, სიმბოლიზში, მარადი საფუძველი ხელოვნებისა, საფრანგეთის სიმბოლიზში, სიმბოლისტები ბელგიაში, სიმბოლიზმის სკოლა და სიმბოლიზმი როგორც აუცილებლობა. მხედარნი სიმბოლიზმისა რუსეთში“. საგანგებოდ შეეხო მომხსენებელი ფუტურიზმთან „ცისფერი ყანწების“ დამოკიდებულების საკითხს და „სავსებით უარყო ის ცილისწამება“, თითქოს ამ ჯგუფის წევრები ფუტურიზმის მიმდევარნი ყოფილიყვნენ ჩვენში.

რაც შეეხება „პირველთქმას“ — „ცისფერ ყანწებში“ დასტამბულ საპროგრამო მანიფესტს, რომელმაც ყველაზე მეტი ვნებათა ღელვა გამოიწვია, პაოლომ განმარტა, რომ წერილისთვის დამახასიათებელი აგრესიული ტონი იმით იყო განპირობებული, უფრო მძაფრი და დაუნდობელი შეტევა განეხორციელებინათ ლიტერატურული ტრაფარეტის წინააღმდეგ. „მართალია, აქ გადაჭარბებას ადგილი აქვსო, — უთქვამს შეხვედრაზე მას, — მაგრამ ეს მოხდა იმისთვის, რომ იარაღის სახე მისცემო-

და ჩვენს გამოვლას და დაგვემსხვრია არსებული შაბლონი და საზოგადოების: ყურადღება მიგვეპყრო“.

ასეთ შეხვედრა-საღამოებში ხშირად მონაწილეობდნენ უცხოელი მწერლებიც. მაგალითად, „ჩვენი მეგობრისავე“ ცნობით (№ 179, 180), იმავე წლის 13 ოქტომბერს ქუთაისის თეატრში გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომლის პროგრამაც ამგვარი იყო: „სიტყვა ქართულად პაოლო იაშვილისა: „აინთეთ თავზე ოქროს გვირგვინები. სახელგანთქმული მგოსანი — ფუტურისტი ვასილ კამენსკი წაიკითხავს: „აი რა არის ნამდვილი ფუტურიზმი“... დასასრულ ვასილ კამენსკი შეასრულებს თავის ლექსებს მუსიკალურ საკრავებზე და წაიკითხავს ლექსებს საქართველოზე“.

ამდაგვარი შეხვედრების მთავარი მიზანი ახალი ლიტერატურული მიმართულების პრინციპთა პროპაგანდა იყო. მართალია, ამ საქმეში მათ გვერდით ედგათ უფროსი თაობის მწერალთა რამდენიმე თვალსაჩინო წარმომადგენელი და აქტიურად უჭერდათ მხარს ზოგიერთი პერიოდული ორგანო, მაგრამ „ყანწლები“ თვლიდნენ, რომ ეს საკმარისი არ იყო. აბიტომაც განიზრახეს ქუთაისში გამოეცათ საკუთარი ყოველკვირეული გაზეთი „ცისფერი ყანწები“, რომელშიც ცნობილ მწერლებთან ერთად, სათანამშრომლოდ იწვევენ უცნობ ახალგაზრდა ავტორებსაც.

გაზეთის დაარსების აუცილებლობა იმ გამძაფრებულმა პოლემიკამაც განაპირობა, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოცემას რომ მოჰყვა თან. „მღელვარება, რომელიც გამოიწვია „ცისფერმა ყანწებმა“, საზოგადოებაში მეტად იზრდება, — წერდა ჟურნალის რედაქტორი და ჯგუფის თავკაცი პაოლო იაშვილი წერილში „ჩვენი განმარტება“ („ჩვენი მეგობარი“, 1915 წ., 15 მარტი). — ჩვენი ყოფა გადაქცეულა ერთგვარ ტანჯვათ მრავალ ფაქიზ და პატიოსან არსებისათვის. ჩვენ გვინდა უფრო ვრცლად ვსთქვათ ყოველივე ის, რისთვისაც ასე გიჟურად სწყყვლის ჩვენს ალმანახს აღელვებული ხალხი. ქართულ გაზეთებს საერთოდ და კერძოდ „მეგობარს“ ჩვენ არ გვინდა დავავალოთ მეტად მძიმე საქმე. ვრცელი ადგილის დათმობა მისთვის, რაც მოითხოვს სრულიად განცალკევებულ პირობებს. ამიტომ ჩვენ ვაარსებთ საკუთარ ლიტერატურულ ორგანოს,

რომელშიც ვეტყვით მონა პროტესტანტებს დაურიდებელ პასუხს ყველა იმ საოცარ წყევლისათვის, რომლის საგნათ გახდა ჩვენი ალმანახი. ჩვენი გაზეთი იქნება ყოველკვირეული და გამოვა აპრილის პირველ რიცხვებში“.

მაგრამ აპრილში დანაპირების განხორციელება ვერ მოხერხდა, თუმცა პაოლო გულს მაინც არ იტეხდა და ყოველნაირად ცდილობდა მიზნის აღსრულებას. და აი, „ჩვენ მეგობარში“ (№ 66-70) კვლავ იბეჭდება განცხადება გაზეთ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის 29 მაისს გამოსვლის შესახებ. მაგრამ განზრახვა ამჯერადაც განზრახვად დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ სიმბოლისტთა თავკაცი გულით იყო მოწადინებული, ტექნიკური და ფინანსური სირთულეების გამო მიზნის განხორციელება იმ ხანად მაინც შეუძლებელი გახდა.

„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის თავკაცობა

„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ასოციაციის დაარსების იდეა ერთბაშად არ გაჩენილა. იგი თანდათანობით ყალიბდებოდა და ისხამდა ზორცს პაოლოს ირგვლივ შემოკრებილ თანამოაზრეთა წრეში. მათი შეხვედრები ხან სად იმართებოდა და ხან სად. სპეციალური თავშეყრის ადგილი, ფაქტობრივად, მათ ქუთაისში არც ჰქონიათ. ქალაქის ბულვარი, საერთო საცხოვრებელთა სადარბაზოები, რესტორნები, პაოლოსა და მისი ნეგობრების ბინები... სად არ იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ თავიანთ თამამ ლიტერატურულ გეგმებზე... ამის თაობაზე უაღრესად საინტერესო ნეშტარულ მასალებს ვხვდებით სერგო კლდიაშვილის, კოლაუნდირაძის, შალვა აფხაიძისა და სხვათა მოგონებებში.

მართალია, პაოლო ასაკით „ყანწელთაგან“ თითქმის არ განსხვავდებოდა, მაგრამ საოცარი მოკრძალებითა და ავტორიტეტით იყო თურმე გარემოსილი, რასაც მისი ადამიანური ბუნების გამორჩეულობა განაპირობებდა. სწორედ ამ გამორჩეულმა თვისებებმა განსაზღვრეს ის ფაქტი, რომ იგი ერთხმად იქნა აღიარებული ახალი ლიტერატურული ჯგუფის თავკაცად. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თეორეტიკოსებმა და ლი-

ტიერატურული პრინციპების მქადაგებლებმა, ტიცთან ტაბიძემ და ვალერ-
იან გაფრინდაშვილმა უფრო მეტი ამაგი დასდეს „ცისფერყანწელთა“
სკოლის ჩამოყალიბებას, წინამძღოლის როლი მაინც პაოლოს ქქონდა
ერთსჯლოვნად მიკუთვნებული.

„ცისფერყანწელები“ დიდად ამაყობდნენ იმით, რომ მათი ჯგუფის
დამკვიდრებამდე „ლიტერატურული სკოლა ამ სიტყვის სწორი მნიშვნე-
ლობით საქართველოში არ არსებობდა“ (ვ. გაფრინდაშვილი, იხ. გაზ.
„რუბიკონი“, 1923 წ. № 8). ქართველი სიმბოლისტების მოღვაწეობა
თუმცა შინაგან წინააღმდეგობებსა და ეკლექტიკურ შეხედულებებს მოკ-
ლებული არ არის, დღეს არავინ კამათობს იმაზე, რომ მათ პირველსა-
რისსოვანი როლი შეასრულეს მეოცე საუკუნის ეროვნული მწერლობის
განვითარების საქმეში. გარდა წმინდა შემოქმედებითი მოღვაწეობისა, ამ
შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია „ყანწელთა“ მეგობრული ერთობა
და ადამიანური სიახლოვე. ამ თვალსაზრისით, ეს ლიტერატურული ასო-
ციაცია უპრეცედენტო დაჯგუფებაა ჩვენი მწერლობის ისტორიაში.

აი, რას წერდა გაზეთ ბარრიკადში“ ამ მეგობრული ერთობისა და
უზარკრთთანადგომის შესახებ „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი და-
ჯგუფებრი არსებობის შვიდი წლისთავზე, 1924 წელს, მათი თავკაცი:

„შვიდი წელიწადი გავძელით ჩვენ გაუძლებელ საქართველოში,
რადგან სიყვარულის გარდა ვიცოდით ერთმანეთის პატივისცემა. ნურავი-
თარი სკოლა მწერლობაში ნუ დარწმუნდება, რომ გასტანს, თუ არ ექნება
შინაგანი ერთობა. მხოლოდ ადამიანური ერთობა პოეტებისა ქმნის მათი
სკოლის შინაარსს“.

მაგრამ ერთმანეთისადმი ამდაგვარი პატივისცემა და სიყვარული
სრულებითაც არ ზღუდავდა მათ იმაში, საჭიროების შემთხვევაში ერთი-
მეორის მიმართ საკმაოდ კრიტიკულნიც ყოფილიყვნენ ხოლმე. რაც დრო
გადიოდა, მათი შემოქმედებითი ინდივიდუალობა და ლიტერატურულ-
მსოფლმხედველობრივი პრინციპები უფრო და უფრო იმიჯნებოდა ერთმა-
ნეთისაგან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მათს მეგობრულ-ადამიანურ ერ-
თობას ბზარი არ გასჩენია და ერთიმეორისადმი პატივისცემა სიცოცხლის

ბლომდე გაჰყავთ. ამიტომაც დარჩენენ სიკვდილამდე ერთმანეთის უღალატო ჭიმაგებად და როცა მათ ჯგუფს გარედან ვინმე შემოუტყვედა, ერთგულად იცავდნენ ხოლმე თავიანთ საერთო ლიტერატურულ ინტერესებს.

იმი დროსაც კი, როდესაც, ფაქტობრივად, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი უკვე ორგანიზაციულად დაშლილიც იყო, თანამედროვეთა გადმოცემით, პაოლო მაინც ინარჩუნებდა თავკაცისა და წინამძღოლის როლს. სანდრო ცირეკიდის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ჯგუფის არსებობის მთელ მანძილზე სწორედ იგი ყოფილა უცვლელი „დირიჟორი ყველგან... გაბედული არქიტექტორი ორდენისა“ და „ატლანტიკით ორივე ხელით ეჭირა ცისფერყანწელების სიმძიმე“.

როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის მწერლებს თავიდანვე ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაზე მკაცრი კრიტიკოსებიც კი იძულებულნი ხდებოდნენ ელიარებიანთ მათი უდავოდ დადებითი როლი ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში. მაგალითად, 1923 წელს გაზეთ „კომუნისტში“ (№ 84) შ. დუდუჩავა წერდა, რომ „სიმბოლიზმის გაღლენას ვერ აცდა ვერც ერთი ჯგუფიო“. ამას აღიარებდა კრიტიკოსი, რომელიც სიმბოლისტებს პრალს დებდა უიდეობასა და თვითმიზნურ ფორმალისტურ ძიებებში, თუმცა აშკარად გრძნობდა იმასაც, რომ მათ „ლექსის ტექნიკის გამშვენიერება უმაღლეს ხარისხამდის აიყვანეს“.

ზოგიერთი კრიტიკოსი „ცისფერყანწელებს“ იმაშიც ადანაშაულებდა, რომ ისინი კოსმოპოლიტები იყვნენ და მყარ ეროვნულ ნიადაგზე არ იდგნენ. ჰ. იაშვილი და მისი მეგობრები პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ ამ თვალსაზრისს თავიანთი შემოქმედებითაც და პრაქტიკული ნოდვაწეობითაც. „პროვოკატორები აქ იტყვიან, — წერდა პაოლო 1924 წელს გაზეთ „ბარრიკადის“ პირველ ნომერში, — თითქოს ჩვენ ერის წინაშე მოვალეობას მეორეხარისხოვან საკითხად ვთვლიდეთ. ე. ი. თითქოს ჩვენთვის არ არის მთავარი მიზანი ის, რომ ვიყოთ პოეტები მხოლოდ ჩვენი ერისა და ჩვენი ერისთვის... პოეტი, რომელსაც შემოქმედების ია-

რადღაც ალებული აქვს მშობლიური სიტყვა, რჩება თავის ხალხის პოეტად, თუნდაც მთელი ერი მისი წინააღმდეგი იყოს...“

აქვე, ამავე წერილში, პაოლო იმასაც ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ასეთი პოზიცია არამც და არამც არ ნიშნავდა ეროვნულ ნაჭუჭში ჩაქვტვას. პირიქით, მათი ფიქრი გაბედულად იყო „მიმართული პოეზიის მსოფლიო არესაკენ“. ისინი „სინდისიერად ცდილობდნენ და ამუშავებდნენ ყველა იმ პრობლემას, რომელიც იმხანად არსებობდა მსოფლიო პოეზიაში“ (იქვე). პ. იაშვილის მიერ ასე ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეს შეხედულება ახალი არ ყოფილა იმ დროისათვის. ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურული სიახლეებისადმი ამდაგვარი დამოკიდებულება სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე იქცა „ცისფერყანწულთა“ ლიტერატურული საქმიანობის უმთავრეს პრინციპად. ამის დამადასტურებელ მაგალითებს უხვად შევსვდებით მათ როგორც საპროგრამო ხასიათის წერილებში, ისე მხატვრულ შემოქმედებაშიც.

მრავალრიცხოვან ოპონენტთა კრიტიკული თავდასხმები და აგრესიული შემოტევები ვერ აფრთხობდნენ პაოლოსა და მის სულიერ თანაზრახველებს. მტკიცე ლიტერატურულ ჯგუფად შეკავშირებულნი, ისინი ჯიუტად და უღალატოდ ერთგულებდნენ თავიანთ პრინციპებს და დაუინებით მისწრაფოდნენ დასახული მიზნისაკენ.

„ხანწულები“ ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე ქუთაისის ბულვარში და ეპოეზებლად საუბრობდნენ ლიტერატურაზე. ცივ და წვიმიან ამინდში კი მათი მყუდრო თავშესაფარი სადარბაზოები ყოფილა, სადაც მრავალი ღამე გაუთევიათ გულითად და გაცხარებულ საუბრებში. როგორი სიღვარულითა და სინანულით იხსენებს იმ დღეთა რომანტიკას კოლაუ ნადირაძე თავის ლექსებსა და წერილებში! ამ თვალსაზრისით რად ღირს, თუნდაც, ჩისი შესანიშნავი ლექსი „ქუთაისის სადარბაზოებს“. „სადარბაზოებში შეხიზნულნი, — წერს პოეტი ერთგან, — აბეზარ ყოველდღიურობას და უფასურ სინამდვილეს განშორებულნი, ჩვენ სულ სხვა სამყაროში ვგრძნობდით თავს... ვინ იცის, რამდენი ღამე გაგვითევია ჩვენ იქ! ვინ იცის, რამდენ ბედნიერებაზე ოცნებას, სიყვარულზე, სამშობლოსოვის თავდადებაზე მოუჯადოებია, ნეტარებით დაუთვრია ჩვენი გული და

ჩვენთან ერთად აქ ჩასძინებია“ (კ. ნადირაძე, რაც ლექსად ვერ ვთქვი, 1984 წ., გვ. 5).

ასეთი შეკრებები, განსაკუთრებით ზაფხულის თბილ ღამეებში, სშირად იმართებოდა აგრეთვე ქუთაისის ცენტრში მდებარე, აწ უკვე დანგრეული ტაძრის — „სობორის“ შესასვლელ კიბეებზე, მდინარე წყალწითელაზე აგებულ წისკვილებში, ხან სად და ხან სად... ეს შეკრებები და ღამისთევები სავსე იყო რომანტიკული თავგადასავლებით, რაზეც სიყვარულით წერენ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის სხვა წევრებიც. სწორედ ამდავევარ შეხვედრებში იწვალდებოდა ქართული ლექსის თვისებრივი განახლების გზები, საფუძველი ეყრებოდა ახალ ლიტერატურულ ტენდენციებს, იბადებოდა შემოქმედებითი და პიროვნული თანამეგობრობის ურვეულო და აწ უკვე ლეგენდად ქცეული რომანტიკა.

ძიების წყურვილს კიდევ უფრო ამძაფრებდა ევროპული ლიტერატურული სიახლეების საფუძვლიანი ცოდნა. პაოლო და მისი მეგობრები ცდილობდნენ ორგანულად შეეისხსლხორცებინათ ეს სიახლეები ეროვნულ პოეტურ ტრადიციებთან. ამდაგვარი შეხვედრების ექსტაზსა და შთამბეჭდაობას აძლიერებდა სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან შესმულ სადღეგრძელოთა მადლი. თავისი ენაწყლიანობით, იუმორითა და ექსპრომტებით პაოლო ამ მეგობრული შეკრებების სული და გული იყო. განსაკუთრებით სწამდათ და სჯეროდათ მისი ავტორიტეტული სიტყვისა.

უშურველად ახარებდათ ერთმანეთის შემოქმედებითი წარმატებანი. შ. აფხაიძის მოგონებით, კვირაში ერთხელ მორიგეობით იკრიბებოდნენ ვინმესთან ახალი ლექსების წასაკითხად და განსახილველად. საკუთარი პოეტური არჩევანის სისწორეში ღრმად დარწმუნებულნი, მეტად თამამები და ხელგაშლილები იყვნენ ერთმანეთის ქებაში. მაგრამ არც კრიტიკული სჯაბაასი ყოფილა ამდაგვარი შეხვედრა-საუბრებისთვის უცხო. ერთმანეთს არც იმას უმაღავდნენ, რაც არ მოსწონდათ.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა თურმე პაოლო, რომელიც არასოდეს კარგავდა ზომიერების გრძნობას: შ. აფხაიძე იგონებს: ერთხელ ჩემთან შევიკრიბეთ და საუბრის დროს ერთმა ჩვენთაგანმა ილიას გა-

უტოლა თავიო. პაოლომ თურმე ჯერ მოთმინებით უსმინა, მერე კი მკვახედ შეუტია ამ თავხედობისათვის და პროტესტის ნიშნად მაგიდა მიატოვაო. კლასიკოსთაგან განსაკუთრებით ყვარებია აკაკი, რომლის პოეზიის უდიდესი პატივისმცემელი და დამფასებელი ყოფილა. ვერ იტანდა მიმბაძველებსა და უნიჭო ეპიგონებს.

პაოლო იაშვილის გამორჩეულ როლს მის ირგვლივ შემოკრებილ მეგობრულ წრეში, თანამედროვეთა მოგონებით, დიდად განსაზღვრავდა ის გარემოება, რომ საოცრად კომუნიკაბელური ყოფილა. ლეგენდები ვრცელდება აგრეთვე მასზე, როგორც ექსპრომტების არაჩვეულებრივ ოსტატზე. თანამედროვეთა შორის ამ მხრივ მას ბადალი არ ჰყოლია. წუთში, ყოველგვარი წინასწარი მზადების გარეშე, შეთხზავდა თურმე პოეტურად დასვეწილ, მახვილგონივრული მიგნებებითა და იუმორით სავსე ექსპრომტს. ეს ექსპრომტები, რომლებსაც ხშირად წარმოთქვამდა ხოლმე პოეტი ყოველდღიურ ურთიერთობებში, კიდევ უფრო ამბლლებდა პაოლოს ავტორიტეტს.

სამწუხაროდ, მათი უდიდესი ნაწილი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სამუდამოდ დაეკარგა შთამომავლობას. აქაც, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც, საოცარ დაუდევრობასა და უგულისყურობას იჩინდა. ამ ექსპრომტებმა შემოქმედებითად საკმაოდ განძარცვეს და გააღარიბეს პაოლოს ელვარე ნიჭი. რა დასანანია, რომ მისი პოეტური შთაგონების ეს გონებამახვილური გამობრწყინებანი უკვალოდ დაიკარგა და განიავდა.

„პაოლოს ექსპრომტები რომ ვისმე ჩაეწერა, საკმაოდ მოზრდილი ტომი გამოვიდოდა. საკვირველად დაუზოგველი მფანტველი იყო მარგალიტებისაო“. — სინანულით აღნიშნავს სერგო კლდიაშვილი.

სამწუხაროდ, პოეტის თანამედროვეებმა და მეგობრებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო ყურადღება. „ჩვენ ვერ გავუწიეთ ისეთი მეგობრობა, როგორიც ნიკა აგიაშვილმა გაუწია ლადო ასათიანსო“, — გულისტკივილით აღნიშნავს შალვა აფხაიძე. ნაგვიანევი და გამოუსწორებელი სინანულია. ეს ექსპრომტები, რომლებშიც შთამბეჭდავად ირეკლებოდა პა-

ოლოს სულის წახანაგები, მისი ადამიანური ბუნება და ხასიათი, სამუდამოდ დაეკარგა მომავალ თაობებს.

თანამედროვეთა მოგონებით, ისინი არა მარტო ცალკეულ პიროვნებებს ეძღვნებოდა, არამედ იმ პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენებსაც. მათში თავისებური ფორმით ირეკლებოდა დროის განწყობილება, საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილის ფსიქოლოგია, აზრთა ჭიდილი და დაპირისპირებულობა.

როგორც ითქვა, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლამ დიდი აქტიურობა გამოიწვია ხალხში. საზოგადოების ნაწილი ათვალწუნებით შესვდა ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებით ძიებებს. განსაკუთრებით გამოხდნენ ჟურნალის რედაქტორს. პაოლო გაბედულად აღუდგა წინ მოწინააღმდეგეთა გააფთრებულ შემოტევას. მისი და მისი თანამოაზრეების სოხიუკიების განსამტკიცებლად იგი მოხერხებულად იშველიებდა ხოლმე ექსპროკტებსაც, რითაც შთამბეჭდავად უხდიდა სამაგიეროს ოპონენტებს.

ამ ექსპროკტებითა და ეპიგრამებით გაღიზიანებული მოწინააღმდეგენი ხშირად აღშფოთების უკიდურეს ზღვარსაც აღწევდნენ. პაოლოსა და მისი მეგობრების მიერ მოწყობილ ლიტერატურულ შეხვედრებს ამის გამო, არცთუ იშვიათად, სკანდალური სახეც მიუღია. ქუთაისის საზოგადოების კონსერვატიული ნაწილი აღშფოთებას ვერ მალავდა ამ „თავხედი ახალგაზრდა პოეტების“ „ხულიგნური“ საქციელის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ „ცისფერყანწელთა“ მიერ არჩეული ლიტერატურული განახლების გზა მხოლოდ ეროვნული ტრადიციების ჩარჩოებში არ იკეტებოდა და სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ევროპული მწერლობის სიახლეებთან, ისინი მკაცრად ილაშქრებდნენ ხოლმე უცხოური ხელოვნებისადმი ბრმა მიმბაძველობის წინააღმდეგ. პაოლო და მისი მეგობრები არ ყოფილან ყოველივე უცხოურისადმი მონურად ქედმოდრეკილი შემოქმედნი. ამ შემთხვევაში მათ ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია ჰქონდათ. ისინი თავგამოდებით ებრძოდნენ უცხოეთიდან შემოსულ მდარე ხელოვნებას, რომელიც დაბლა სცემდა და აქვეითებდა ეროვნულ კულტურას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა გავიხსენოთ, თუნდაც, ერთი კარ-
ად ცნობილი ფაქტი, რომელსაც შალვა აფხაიძე იგონებს. ქუთაისში
რომელიღაც დასს საგასტროლოდ ჩამოეტანა ოპერეტა „არშინ მალ ალა-
ნი“. პაოლოს თაოსნობით „ყანწილებს“ გადაუწყვეტიათ „ობსტრუქცია
მოეწყოთ“ თეატრში დასისათვის. „შევიარაღდით მყრალი სითხით. ერთ-
ერთს დაევალა ელექტრომავთულების გადაჭრა. დაიწყო წარმოდგენა.
რეცრად ჩაქრა სინათლე. შეიქმნა აურზაური. სპექტაკლი ჩაიშალა. ვაჭ-
რების ჩივილს ეს სკანდალიც დაემატა და ქალაქის მესვეურებმა დაადგი-
ნეს ჩვენი ქალაქიდან გამოსახლება“ (შ. აფხაიძე, „დამიანები და წიგ-
ნები“, 1964 წ., გვ. 58). მაგრამ უზრუნველსა და თანამოაზრეთა გა-
მოსარჩლებით, ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება შეცვალა.

მართალია, პაოლოსა და მისი მეგობრების ამდაგვარი თავგადასავ-
ლები გარეგნულად ზოგჯერ მართლაც იღებდა „ხულიგნურ“ სახეს, მაგ-
რამ მთავარი ამ შემთხვევაში მაინც ისაა, რომ ამ „სკანდალურ“ გამოს-
დომათა ძირითადი მიზანსწრაფვა მემჩანური და დახვავებული ცხოვრე-
ბისეული ნორმების წინააღმდეგ იყო მიმართული. „ყანწილები“ გაბედუ-
ლად უპირისპირდებოდნენ სულიერ და ყოფით პროვინციალიზმს, მოი-
თხოვდნენ არა მარტო შემოქმედებით განახლებასა და განვითარებას, არა-
მედ ყოფითი ჭაობისაკენ დაქანებული მემჩანური ცხოვრების გაჯანსა-
ღებასაც.

„არშინ მალ ალანის“ წინააღმდეგ გალაშქრებაც ამდაგვარი სული-
ერი გამოფიტულობის დასაგმობად და ეროვნული თავმოყვარეობის გან-
სამტკიცებლად მიმართული ქმედება იყო. მაღალ სულიერ ღირებულებ-
ებსა და შემოქმედებით იდეალებზე მეოცნებე ახალგაზრდებმა ამით პრო-
ტესტი გამოუცხადეს ვულგარულ და მდარე ხელოვნებას.

როგორც ითქვა, პ. იაშვილმა „პირველთქმაში“ არაორაზროვნად
გამოხატა წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტური
დამოკიდებულება. ამ შემთხვევაში იგი გამონაკლისი არ ყოფილა და ეს
თვალსაზრისი სხვა „ციხფერყანწილებსაც“ აქვთ გამოთქმული.

მაგრამ პაოლო ამ საკითხზე მსჯელობის დროს თანმიმდევარი აზრისა არ ყოფილა. სიმბოლისტური პერიოდის მის შემოქმედებაში ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობენ ჩვენი კლასიკოსებისადმი როგორც ნიჰილისტური დამოკიდებულების გამომხატველი წერილები, ისე უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით სავსე სახოტბო ჩანაწერებიც.

მოვიშველით კონკრეტული მაგალითები: 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონის“ პირველ ნომერში დასტამბულ წერილში — „პოეტი საქართველოში“ პაოლომ კიდევ უფრო გააღრმავა „პირველთქმაში“ გამოთქმული წარსულის უარსაყოფი ზოგადი თვალსაზრისი და კონკრეტული ფაქტებით ცადა მისი განმტკიცება. პოეტის აზრით, ლიტერატურულ კერპებად აღიარებული ბევრი მწერლის შემოქმედება დიდი ხანია მოძველდა და გაუფასურდა. მაგალითად, „ბარათაშვილის მერანი დაიღალა ორმოცდაათი წლის ჭენებით. ახლა ის ბებერი, ტყავამხმარი და ფერდებჩაცვნილი ჭაკი ცხენია... მისი უნაგირი ჩიმჩმა დახრა და მხედარიც ხერხემალმოდუნული, უკანასკნელ დასვენებას ელოდება. „ქართველის დედას“ ძუძუები დაუშრა, ისინი ჰკიდიან გალურჯებულ გულის ტყავზე, როგორც ორი რკინის ლაფათქა... საიდუმლო ბარათს ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს და აღმართ-აღმართ სიარული ისე ნელი იყო, რომ მწვერვალამდის ვერ მიაღწია, მეოთხედ გზაზე სიბერე დაეწია პატიოსან მოგზაურს“...

ასე ფასდება ახალი ესთეტიკური პოზიციებიდან მე-19 საუკუნის სამი უდიდესი წარმომადგენლის — ნ. ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობის ქრესტომატიული ნიმუშები. მათ საპირისპიროდ პაოლო გამოჰყოფს გრ. ორბელიანსა და ვაჟა-ფშაველას, რომელთა მიმართ იგი საზგასმულ .პატივისცემას ამჟღავნებს. „გრიგოლ ორბელიანის აბღავლება, — მისი სიტყვით, — ჯერ კიდევ აზანზარებს ყურებს“, „გველისმჭამელით“ ვაჟა კი მეოცე საუკუნეს შერჩება როგორც „ბახტრიონის დევი, დაუბერებელი მოახლე ლაშარის გორის და დიდხანს დააფეთებს თავისი ველური აბჯრის ხმაურობით პოეზიის წვრილფეხა წუკალებს“. ვაჟა-ფშაველასადმი ამდაგვარი თაყვანისმცემლური დამოკიდებულება კიდევ უფრო ღრმავდება ქვემოთ, სადაც ნათქვამია, რომ

მასზე „ძლიერი პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს“, რომ „მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება“.

წერილის ავტორი არ ივიწყებს იმასაც, რომ საუკუნეების მანძილზე ჩვენში მტკიცედ იყო დამკვიდრებული რუსთველის კულტი. მაგრამ საერთო განმაზოგადებელი დასკვნა, რომელიც უმკაცრეს ბრალდებად წაუყენა მან მთელ ჩვენს მწერლობას და საფუძვლად დაუდო სტატიის სექტიკურ განწყობილებას, მკაფიოდ ვლინდება შემდეგ სტრიქონებში: „ვერაინ შეება ქართული სიტყვის უღელს ისე, რომ გადაეცილებინა იგი სამშობლოს საზღვრებს და მიეთრია რომელიმე ევროპის ქალაქის მოედნამდე“. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ „ვერაინში“ პაოლო მის მიერ შექმბულ პოეტებსაც გულისხმობს.

წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი ამგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულების ტენდენციამ პაოლოს პოეზიაშიც კპოვა გამოხატულება. გავიხსენოთ, მაგალითად, მისი ლექსი — „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე“, რომელიც „პირველთქმასთან“ ერთად დაისტამბა 1916 წელს „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში.

პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე.
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი,
რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთხოვენი მხოლოდ ყოფ არი
და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამარი.

წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი ზემოთ ხაზგასმულმა ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ, სავსებით ბუნებრივად, ფართო საზოგადოების დიდი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. მაგალითად, გაზეთ „ბახტრიონში“ დასტამბული პაოლოს წერილი ჟურნალ „ილიონის“ 1922 წლის პირველ ნომერში მკაცრად გააკრიტიკა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელიც „ყანწელებს“ ბრალს დებდა იმაში, რომ მათ „ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის ლანძღვა მონოპოლიად“ გაიხადეს. საერთოდ, როგორც ცნობილია, კ. გამსახურდიასა და „ცისფერყანწელებს“ შორის ოციან წლებში საკმაოდ მწვავე კულტიკური გაიმართა ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივ შეხედულებათა განსხვავებულობის გამო. ამ პოლემიკაში პაოლოც იყო ჩართული.

კ. გამსახურდია „ყანწელებს“ ეკამათებოდა ეროვნული პოზიციის გამო, უკრიტიკებდა ესთეტიკურ პრინციპებს, ბრალს დებდა წარსულისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებაში. ჩვენი ეროვნული ლიტერატურული კერპების ხელყოფა, მწერლის აზრით, უდიდესი მკრეხელობა იყო და ამ ფაქტს იგი პეროსტრატეს დიდებასაც ადარებდა. კლასიკოსთა ლანძღვისა და გაქიპების ამდაგვარი „თავხედური“ სურვილი, კ. გამსახურდიას შეფასებით „ყანწელებს“ მათი სახელის სენსაციური აღიარების ვნებათა ლელვამ გაუჩინა. მისი აზრით, ამავე სურვილით გონებადამბრმავებულები გამოვიდნენ ასპარეზზე „პოეზიის ეს წვრილფეხა წუკალები“ და იმავეს აკეთებენ „სიკვდილის ჟამს“ 6-7 წლის შემდეგაც. „ეს არის შემოქმედება? ეს არის სიახლე პოეზიაში?“ — აღშფოთებით კითხულობს კ. გამსახურდია და თავადვე სცემს არაორაზროვან პასუხს ამ კითხვას: „ცისფერყანწელთა“ მიერ გამოცემული ეს ახალი გაზეთიც („ბასტრიონი“) „ოხუნჯი ხალხის ბაქიაობაა და მეტი არაფერიო“ და იქვე ირონიულად დაასკვნის, თავიანთი შემოქმედების ბეჭდვის მაგივრად „კარგი რქნება გაზეთი „ბასტრიონი“ განცხადებებს დაუთმობდეს ოთხივე გვერდს. ისინი საერთოდ აღლოს ამლები ხალხია და დღეს ჩვენში ხომ ახალი ეკონომიური პოლიტიკააო“ (გვ. 59).

კ. გამსახურდია იმდენად კრიტიკულად იყო განწყობილი „ცისფერყანწელთა“ მიმართ, რომ მათს შემოქმედებას იგი მხოლოდ უცხოური ლიტერატურული მოვლენების უნიჭო ეპიგონობად მიიჩნევდა. მისი მტკიცებით, „ყანწელთა“ შემოქმედებითი მოღვაწეობა სიმბოლიზმის ბრმა მიმბაძველობის ფარგლებს ვერ ცილდებოდა. „ცისფერყანწელებს“, — კ. გამსახურდიას შეფასებით, — არათუ შემოქმედებითი პრინციპები ჰქონდათ ევროპელი სიმბოლისტების ნააზრვეიდან მექანიკურად გადმოღებული, არამედ თვით სახელებიც კი გადაიკეთეს უცხოურ ყაიდაზე და სინიმუშოდ ასახელებდა პაოლოს, ტიცინანს, კოლაუს არაქართული კონსტრუქციის სახელებს.

კ. გამსახურდიას ეს პოლემიკური წერილები უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ პაოლოსა და მის მეგობრებს. საპასუხო სტატიებში ისინი, თავის მხრივ, მრავალ კრიტიკულ შენიშვნას გამოთქვამდნენ ოპონენტის

მისამართით და, კონტრშეტევაზე გადასულნი, ათასგვარ ბრალდებას უყენებდნენ მას. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საკმაოდ მწვავედ მიმდინარე ეს პოლემიკა არაა მოკლებული პიროვნულ შეურაცხყოფებსაც. მასში, დღევანდელი გადასახედიდან, ბევრი რამაა ტენდენციური. მაგალითად, კ. გამსახურდია ჟურნალ „კავკასიონში“ დასტამბულ წერილში აღნიშნავდა (1924 წ. № 3-4): „სიმბოლიზმის ეპიგონებს ლექსის კულტურა ტიპოგრაფიულ ნიშნებით ვარჯიშობამდის დაჰყავთ. აქ აშკარად იგრძნობთ ლექსის ინსტრუმენტისადმი დამონებულ პოეზიას“.

ეს შენიშვნა, ბუნებრივია, სხვა „ცისფერყანწელებთან“ ერთად, პაოლოსაც შეეხება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსაზრებას ისეთი დიდად ავტორიტეტული მწერალი გამოთქვამს, როგორც კ. გამსახურდია, ეს თვალსაზრისი თავისი მკვეთრი ტენდენციურობის გამო სრულიად არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გამწვავედა ეს პოლემიკა და რა ხასიათი მიიღო მან, მინდა მკითხველს შევახსენო აგრეთვე ფრაგმენტი კ. გამსახურდიას სხვა წერილიდან (გაზ. „ლომისი“, 1922 წ. № 1), რომელშიც იგი აღმუშოთებული წერს: „თუ ლიტერატურული ბრძოლა გაინტერესებთ ჩვენთან, კეთილ ინებეთ და რიგიანობის ფარგლებში დაეტიეთ. თუ პირადი შუღლი და მტრობა გაქვთ ჩვენთან, ამისათვის არსებობს დამბაჩა და ხმალი. იცოდეთ, ჩვენ არც ერთ თქვენგანს არც კალამში და არც ხმალში არ გავუქცევით“.

ეს მწვავე პოლემიკა „ყანწელებსა“ და კ. გამსახურდიას შორის დიდხანს არ გაგრძელებულა, ოციანი წლების შუა ხანებში შეწყდა და მას რაიმე არასასიამოვნო და მძიმე შედეგი არც ერთი მხარისთვის არ მოჰყოლია. ასე რომ, საბედნიეროდ, ეს პაექრობა არ გადაზრდილა ისეთ დაპირისპირებაში, რისი მაგალითებიც საძებარი არაა ამ პერიოდის ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

„ყანწელები“ მალე დარწმუნდნენ იმაში, რომ წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ხელალებითი უარყოფა შეცდომა იყო და რადიკალურად შეცვალეს პოზიცია. შიგადაშიგ, ამდაგვარი რეციდივები მათს ნაზრევში მოგვიანებითაც იჩენდა თავს, მაგრამ მთავარი მანინც ის იყო,

რომ ისინი შეეცადნენ, პირველ ყოვლისა, სწორედ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში მოედებნათ მათი შემოქმედებითი პრინციპების საფუძვლები. ამ შემთხვევაში, უწინარესად, მათ რუსთველს მიაპყრეს მზერა და იგი თავიანთ შორეულ წინამორბედად გამოაცხადეს: შალვა აფხაიძე, მაგალითად, წერდა: „შოთა რუსთველიდან დაიწყო გზა ძვირფასი კენჭებით მოკირწყლული. უხსოვარ დროში დაიკარგა იგი. „ცისფერმა ყანწებმა“ მოძებნა და განიზრახა მასზე სიარული“ (ქურნ. „მეოცნებე ნიამორები“, 1919 წ. № 1).

რუსთველთან ერთად, თავიანთ უშუალო ლიტერატურულ წინაპრებად „ცისფერყანწლებმა“ აგრეთვე გურამიშვილი, ბესიკი და ვაჟა-ფშაველა გამოაცხადეს. მათ, განსაკუთრებით კი ვაჟა-ფშაველამ, „ყანწელთა“ აზრით, მყარი ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი საფუძვლები მოუმზადეს ქართულ მწერლობაში სინბოლიზმის დამკვიდრებას. ამიტომაც აღიარა პაოლომ ვაჟა-ფშაველა „თავის საყვარელ ფალავნათ“. ამ თვალსაზრისით,, შოთა რუსთველი და ვაჟა-ფშაველა მისთვის წინაპართაგან ყველაზე სათაყვანებელი მწერლები იყვნენ. „ქართველი პოეტებისათვის, — წერდა ის 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონის“ პირველ ნომერში, — საამაყოდ დარჩება ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩვენში არსებობდა რუსთველის კულტი... ჩვენს საუკუნეს შერჩა ბახტრიონის დევი, გველის მჭამელი, ვაჟა-ფშაველა... ვაჟა-ფშაველაზე ძლიერი პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს. ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას“.

ასეთი იყო, პაოლოსა და მისი თანამოაზრეების შეფასებით, ის ტრადიციული მაგისტრალური ხაზი, რომლის გენეტიკურ გაგრძელებასა და განვითარებას წარმოადგენდა ჩვენს მწერლობაში „ცისფერყანწელთა“ შემოქმედება.

გარდა დასახელებული მაგალითებისა, პარლოს სიმბოლისტური ნააზრვეისთვის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობას მკაფიოდ ავლენს აგრეთვე ეს ფაქტიც: როგორც ცნობილია, „პირველთქმაში“ მან არაორაზროვნად, საკმაოდ კატეგორიული ტონით, დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული ახალი ლიტერატურული ჯგუფის

ერთ-ერთი მიზანდასახულება გაუგებარი სიტყვების შექმნაც იყო. „ჩვენ, — პირდაპირ წერდა ის მანიფესტში, — გვინდა შევექმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვებით“. მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მანვე სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისი გამოთქვა. კერძოდ, 1924 წელს გაზეთ „ბარრიკადის“ პირველ ნომერში აღნიშნავდა: „ცისფერყანწლები“ არასოდეს არ მივლენ იქამდე, რომ სიტყვას აზრი და შინაარსი დაუკარგონ. ამისთვის ჩვენ სიტყვა მიგვაჩნია თავისთავად მეტად გამძლე და უკვდავ ფენომენად“. როგორც ვხედავთ, პირველ ციტატაში გამოთქმულ მოწოდებას გაუგებარი სიტყვების შექმნისაკენ მეორეგან პოეტმა აზრობრივი სინათლისა და შინაარსობრივი სიცხადისკენ მიზანმიმართული მისწრაფება დაუპირისპირა.

პაოლო არ ყოფილა ბრმა გამფეტიშებული სიმბოლიზმის ლიტერატურული პრინციპებისა. პირიქით, ზოგჯერ, თავადვე აკრიტიკებს ამ მიმდინარეობის მიმდევართა შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ ნაკლოვანებას. ასეთია, მაგალითად, აზრობრივი ბუნდოვანება და დაზინდულობა, რაც შიგადაშიგ თავს იჩენდა ხოლმე „ცისფერყანწელთა“ ლექსებში.

ამ თვალსაზრისით მინდა გავიხსენო 1923 წელს დაწერილი წერილი, რომელიც ტრაგიკულად დაღუპულ სიმბოლისტ პოეტს — შალვა კარმელს ეძღვნება. უდროოდ გარდაცვლილი ამ ნიჭიერი შემოქმედის ლექსების ღირსებათა დახასიათებასთან ერთად პაოლო იმასაც შენიშნავს, რომ „მისი ლექსი ხშირად გაუგებარი იყო“.

იგივე შენიშვნაა გამოთქმული 1922 წელს გაზეთ „პოეზიის დღეში“ დასტამბულ წერილშიც, სადაც ნათქვამია: „რაც შეეხება ახალ მწერლობას (იწყება მსოფლიო ომთან ერთად), მისი ენა სხვაგვარია, ძნელია და გაუგებარი და გასაკვირველი არ არის, თუ აქამდის არ მოხდა შეერთება ხალხთან“.

ამ გაუგებრობასა და ბუნდოვანებას სიმბოლიზმით გატაცების წლებში ვერ აცდნენ „ცისფერყანწლები“, მათ შორის, პაოლოც, რომლის ზოგიერთი ლექსი მოკლებულია მისი პოეზიისათვის ჩვეულ სინათლესა და გამჭვირვალობას.

პაოლოს სწამდა, რომ ლიტერატურული ჯგუფებისა და შეხედულებების სხვადასხვაობა განვითარების აუცილებელი პირობა იყო. იგი, „ცისფერყანწელთა“ სკოლის თავკაცი, ენერგიულად ექომაგებოდა და უჭერდა მხარს ჩვენს მწერლობაში განსხვავებული დაჯგუფებების არსებობას, თვლიდა, რომ ამით ქართული მწერლობის არც მთლიანობა ირღვეოდა და არც პრესტიჟი ილახებოდა. რაც უფრო მეტი იქნებოდა ამდაგვარი განსხვავებული მხატვრულ-ესთეტიკური პოზიციების გამომხატველი ჯგუფები, მით უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა განვითარებისთვის და ლიტერატურული ცხოვრებაც უფრო საინტერესო, სისხლსავსე გახდებოდა.

პოეტს ეს თვალსაზრისი ნათლად ვლინდება მის წერილებშიც და განსხვავებული შეხედულებების მქონე მწერლებთან შემოქმედებითს და ცხოვრებისეულ თანამეგობრობაშიც. 1923 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში ის, მაგალითად, პირდაპირ აცხადებდა, რომ „ქართული მწერლობის დაყოფას ლიტერატურულ ჯგუფებად აქვს უსათუოდ გამართლება. სხვანაირად მწერლობის განვითარება წარმოუდგენელია“. ოღონდ ეს იყო, რომ მის გულისტკივილს იწვევდა ამ ჯგუფებს შორის არცთუ იშვიათად არსებული არასასურველი დაპირისპირება, რაც მოკლებული იყო „წმინდა ლიტერატურულ ნიადაგს“ და ხშირად პიროვნულ შეურაცხყოფასა და მტრობაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

პ. იაშვილი მწერალთა კავშირის აუცილებელი ზრუნვის საგნად თვლიდა იმას, რომ ცალკეულ ლიტერატურულ დაჯგუფებებს ჰქონოდათ საკუთარი პერიოდული გამოცემები. მისი აზრით, ეს ხელს შეუწყობდა თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მაგრამ საბჭოური სინამდვილე აზრის ამდაგვარ თავისუფლებას დღითიდღე ზღუდავდა, რის გამოც ყოველგვარ ჯგუფობრიობასა და შემოქმედებით-მსოფლმხედველობრივი პრინციპების განსხვავებულობას მთლიანად ეცლებოდა საფუძველი.

ჰ. იაშვილის, როგორც ქართულ ლიტერატურაში სიმბოლიზმის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი მწერლის, ესთეტიკური პრინციპების გასარკვევად და დასახასიათებლად, „პირველთქმასთან“ ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ 1924 წლის 6 იანვარს დაწერილ წერილს „შვიდი წელიწადი“. ეს სტატია ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლის და, ამდენად, ამავე სახელწოდების ლიტერატურული ჯგუფის დაარსების მეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით დაიწერა. ეს შვიდი წელიწადი იყო დრო აქტიური შემოქმედებითი ძიებებისა, მნიშვნელოვანი წარმატებებისა და შინაგანი წინააღმდეგობებისა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ დაზუსტდა და გამოიკვეთა, მოხდა ზოგიერთი აღრინდელი შეხედულების გადაფასებაც.

ამდენად, ხსენებულ წერილს, რომელშიც ჯგუფის თავკაცის მიერ ერთხელ კიდევ შეფასებულია და განსაზღვრული „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული სკოლის ძირითადი შემოქმედებითი პრინციპები, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ „შვიდი წელიწადი“, „პირველთქმის“ მსგავსად, გარკვეულწილად, საპროგრამო მიზანდასახულობის წერილიცაა.

ამ შვიდი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა შემოქმედებითადაც და პოლიტიკური თვალსაზრისითაც. პირველ ყოვლისა, საქართველომ დაჰკარგა ეროვნული თავისუფლების ის სამწლიანი ბედნიერი ხანა, რომელიც სიზმარივით მოველინა საუკუნოვანი ტყვეობით განაწამებ ერს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ეს წამიერი გამონათება წითელი დროშების ფრიალით მომხდურმა სისხლიანმა ბოლშევიზმა დააბნელა. „ხალხის ბედნიერებისა“ და „ეროვნული თავისუფლებისათვის“ მებრძოლი ეს ბნელი ძალა მსოფლიოს ისტორიაში ენობილ არცერთ მწაგვრელს არ ჰგავდა. იგი თავისი მზაკვრული პოლიტიკის შესანიღბად სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაცდური ლოზუნგებით თავგზას უბნევდა ხალხს.

ბევრი ადამიანი დააბნია ასეთმა პოლიტიკამ. ეს დაბნეულობა და მსოფლმხედველობრივი გაორება აშკარად შეიმჩნევა იმდროინდელ მოღვაწეთა ნააზრევში. ამ გაორების ანარეკლი იგრძნობა პაოლოს შემოქმედებაშიც, მათ შორის ხსენებულ წერილშიც, რომელშიც თავისებური ფორმით ვლინდება ახალ ვითარებასთან თანამშრომლობის აუცილებლობა.

ამ შეიღმა წელიწადმა, პაოლოს შეფასებით, შემოქმედებითი ძიების სურვილი ჩკუფის წევრებში კი არ გაანელა და ჩაკლა, პირიქით, კიდევ უფრო გაამძაფრა. თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რომელიც „ცისფერყანწელთა“ წრეში სუფევდა იმხანად, უნდა ვთქვათ, რომ ეს სიტყვები უფრო დეკლარაციული განცხადებაა და რეალურ სინამდვილეს ნაკლებად შეესაბამება. ოციანი წლების შუა ხანებიდან აშკარად ცხრება „ყანწელთა“ აღრინდელი შემოქმედებითი ალტკინება და იწყება ძველი შეხედულებების რადიკალური გადაფასება. ეს არის დრო მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური გარდატეხის დაწყებისა, როცა მწვერვალ იჩინს თავს შემოქმედებითი უკმარობის გრძნობა და საგრძნობლად იზრდება დიდიკრიტიკული განსჯა საკუთარი ლიტერატურული ნაღვაწისა.

პაოლო და მისი მეგობრები დღითი დღე უფრო და უფრო რწმუნდებიან იმაში, რომ მოსაძებნია ახალი პოეტური გზები, რომ ჯერ კიდევ არა აქვთ ნაღონი საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამომვლენი ყველაზე ეფექტური და შთამბეჭდავი ფორმები, რომ ჯერ კიდევ შორსაა იდეალად დასახული მხატვრული თვითმყოფადობა...

ეს ყველაფერი აშკარად იჩინს თავს „ცისფერყანწელთა“ ამდროინდელ შემოქმედებაში, მათ შორის, პაოლოსთანაც. მაგრამ ამ განწყობილებას რამდენადმე ეწინააღმდეგება „შვიდი წელიწადის“ სულისკვეთება, სადაც მხოლოდ ყრუდ და შენიღბულად ისმის ზემოთხაზვასმული შემოქმედებითი კრიზისის მსუბუქი გამოძახილი. რით უნდა აიხსნას ეს ფაქტი? ვფიქრობ, ხსენებული წერილი თვითრწმენის განსამტკიცებლად ნათქვამი გამამხნეველი სიტყვა უფროა, თავისებური ნოსტალგია ძველი ლიტერატურული პრინციპებისადმი.

სინამდვილეში კი სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. უკვე დაწყებულია შემოქმედებითი ჯგუფის როგორც ორგანიზაციული, ისე ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი დაშლის პროცესი. მართალია, ძველპური პიროვნული თანამეგობრობა კია შენარჩუნებული, მაგრამ ლიტერატურული პრინციპების გამიჯვნა აშკარად საგრძნობი ხდება. ტიცინი, მაგალითად, „დადაიზმს“ მიმართავს, იმ „დადაიზმს“, რომელიც სწორედ იმხანად პაოლომ — მისმა სულიერმა ძმამ და თანამოაზრემ — „გახრწნილების იდეოლოგიად“ გამოაცხადა.

მიუხედავად ძველი, მოდერნისტული შეხედულებების დეკლარაციული დიდებისა, პაოლომ ამ წერილში შინაგანად იმისი სევდაც იგრძნობს, რაც ახლავს „არქეთან მიახლოებას“, ისტორიის დაწერას, რომანტიკულ ფიქრს წარსულის აღტაცებულ დღეებზე და ოხვრას იმაზე, თუ რანი ვიყავით“. პოეტი გრძნობდა, რომ თავისი ჯგუფის ყველაზე ბედნიერი დღეები უკვე გარდასული იყო და მათ დაბრუნებაზე ფიქრი უნადაჯო რომანტიკული ოცნება გახლდათ.

„შვიდი წელიწადი“ თავისებური შეჯამებაცაა, რაც „ცის-უგრ-ყანწელებმა“ გააგეთეს ამ ხნის მანძილზე, მკითხველისადმი მიცემული ერთგვარი ახგარიში და ახსნა-განმარტება იმისა, რით იყვნენ შთაგონებულნი ამ ახალი ლიტერატურული ჯგუფის შემოქმედნი, როცა ასპარეზზე გამოდიოდნენ. „ჩვენ გვინდოდა მწერლობის ატმოსფეროს გაწმენდა, იმ ნიდავისა, რომელზეც გვიხდება ჩვენ შემოქმედება, როგორც ქართულ პოეტებს“. ეს მიზანი მათ წარმატებით შეასრულეს. ქართული მწერლობა ახალი ტენდენციებით გაამდიდრეს, გზა გადაუკეტეს შტამპსა და ტრაფარეტს, გამძაფრეს შემოქმედებითი ძიების სულისკვეთება

აქედან მათ უბიძგებდათ შეგნება იმისა, რომ საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობას შემოქმედებითი კრიზისის სანა უდგა. „ჩვენს მწერლობას, — წერდა პაოლო 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონის“ 13 ნომერში, — თითქოს ჭია შეეპარა, დასნეულდა და გაყვირდა. საჭიროა თერგის ღრიალი და არა წყაროს რაკრაკი, საჭიროა გრიგალი და არა სიოს სიამოვნება, საჭიროა სიცოცხლე და არა საფლავის ტერილი“

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე „ცისფერყანწელებმა“ მიზნად დაისახეს თავიანთი წვლილი შეეცანათ ამ შემოქმედებითი კრიზისის დაძლევის საქმეში. მათ ღრმად სწამდათ, რომ „შინჩაკეტილობა და საკუთარ წვენიშნზე დუღილი“ (პ. იაშვილი) დამღუპველია ლიტერატურისათვის. ამიტომაც მიაპყრეს ასე თამამად მზერა „პოეზიის მსოფლიო არესაკენ“. ეს მისწრაფება ახალი შემოქმედებითი ენერჯის მოკრების მძაფრი სურვილითაა ნაკარნახევი.

„შივდ წელიწადში“ პაოლომ ერთხელ კიდევ დასვა საკითხი იმის თაობაზე, როგორი უნდა ყოფილიყო მათი ორდენის მომავალი. თვითდასამკვიდრებლად და დასახული მიზნის მისაღწევად კვლავაც ბევრი რამ იყო სახვალოდ გასაკეთებელი. პოეტმა კარგად იცოდა, რომ „მარტო სახელწოდება ვერ მისცემდა შკოლას ახალ შინაარსს“. მიუხედავად იმისა, რომ, მისი განცხადებით, „არც ერთი შკოლისთვის არ არის სავალდებულო ის სწორდეს შემოქმედების კონსტიტუციას“, მან, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის აღიარებულმა თავკაცმა, მოკლედ, ზოგად შტრიხებში მიანიც მოხაზა თავისი სკოლის ძირითადი შემოქმედებითი პრინციპები. თუმცა ეს პრინციპები არათუ სხვებისთვის, საკუთარი თავისთვისაც კი არ გაუხდია სავალდებულოდ. ამიტომაც არ ჩაკეტილა მათს ტყვეობაში.

და ეს ყველაფერი კეთდებოდა იმის ღრმა რწმენით, რომ ჭეშმარიტი შემოქმედებითი პროცესი არ შეიძლება წინასწარ იყოს დაპროგრამებული. ნამდვილი შთაგონება „იღბლიანი წუთის“ გამოცხადებაა და იგი არავითარ სქემებსა და დოგმებს არ ემორჩილება. პაოლოს რწმენით, წინასწარ არავის შეუძლია იმისი განსაზღვრა, „როგორი ლექსია საჭირო ხვალ“. ეს ხელოვნების, ცხოვრების დიდი საიდუმლოებაა, რომელიც მხოლოდ ამ „იღბლიანი წუთის“ ჟამს გახდება ცხადი ცაგახსნილი შემოქმედისათვის.

ამიტომაც მოიაზრება პოეტის ნიერ შემოქმედებითი პროცესი მარადიულ განახლებად და „ახალი სიტყვის პერმანენტულ რევოლუციად“. „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის თავკაცის პოეტური მოღვაწეობა ამ უწყვეტი „რევოლუციური პროცესის“ ორგანულად შემადგე-

ნელი ნაწილია, ერთი საგულისხმო ნაბიჯია შემოქმედებითი წინსვლისა და განვითარების მარადიულ გზაზე.

* * *

ცნობილია, რომ „ცისფერყანწველთა“ ლიტერატურული ჯგუფის წევრებს პირველ ხანებში ქართველი ფუტურისტების სახელითაც მოიხსენიებდნენ ხოლმე. ეს გარემოება იმით იყო განპირობებული, რომ მათი შესუბუღებანი ზოგ შემთხვევაში ემთხვეოდა, ანდა რამდენადმე ემსგავსებოდა ფუტურისზმის საპროგრამო დებულებებს. ეს მსგავსება აშკარად გამოჩნდა ჟურნალ „ცისფერ ყანწვების“ პირველივე ნომერში დასტამბული ზოგიერთი მასალით. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ პ. იაშვილის „პირველთქმა“ და ლექსი „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტი“.

ეს ფაქტი მრავალგზის იქნა ხაზგასმული მაშინვე. იგივე შეხედულება გაიმეორეს შემდგომში სხვებმაც. აღნიშნულ მსგავსებას საგანგებო ყურადღება მიექცა ბოლო დროის ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაშიც. მაგალითად, ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ლალი ავალიანისა და ქართული ავანგარდიზმის უცხოელი მკვლევრის — ლუიჯი მაგაროტოს დიალოგი, რომელიც 1988 წლის პირველ აპრილს გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

1979 წელს ბერგამოსა და ვენეციაში გამართულ ამიერკავკასიის კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილ პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ლ. მაგაროტომ განავითარა მოსაზრება პ. იაშვილის „პირველთქმისა“ და იტალიური ფუტურისზმის ზოგიერთი საპროგრამო დებულების მსგავსების შესახებ. თბილისში სტუმრად მყოფ უცხოელ მეცნიერს ამასთან დაკავშირებით ესაუბრა მკვლევარი ლ. ავალიანი. რამდენადაც ამ დიალოგში წამოჭრილი პრობლემები უაღრესად მნიშვნელოვანია პ. იაშვილის ლიტერატურულ შეხედულებათა დასახასიათებლად, შევჩერდეთ მასზე შედარებით ვრცლად.

ლ. ავალიანი ლ. მაგაროტოსთან საუბარში საგანგებოდ მიაქცია ყურადღება იმას, რომ იტალიურ ფუტურიზმთან „პირველთქმის“ მსგავსების საკითხი ჩვენში ჯერ კიდევ 1916 წელს დაისვა. კერძოდ, ერთმა ქართველმა კრიტიკოსმა „პირველთქმას“ „სიმბოლისტური მართლწერის მიხედვით შესწორებული მარინეტი“ უწოდა (გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ. № 457).

ბ. იაშვილის „პირველთქმაზე“ მარინეტის ზეგავლენას ლ. ავალიანი იმითაც ხსნის, რომ იმ დროის საქართველოში დაინტერესებულ პირთ ხელი ადვილად მიუწვდებოდათ რუსი ფუტურისტი მწერლის ვადიმ შერშენევიჩის მიერ 1914 წელს თარგმნილ და მოსკოვში გამოცემულ წიგნზე «Манифесты итальянского футуризма». ეს წიგნი მაშინ საკმაოდ პოპულარული ყოფილა ჩვენში. „ერთმა იმდროინდელმა ქართულმა გაზეთმა საჭიროდ მიიჩნია გაეცნო მკითხველისათვის მარინეტის ზოგიერთი მანიფესტის თარგმანი“.

ასე რომ, ლ. ავალიანის აზრით, „პირველთქმის“ ზოგიერთი ადგილი მართლაც სიტყვა-სიტყვით ემთხვევა მარინეტის, აგრეთვე იტალიელ მხატვარ-ფუტურისტთა და ფრანგი ფუტურისტი ქალის ვალენტინა დე სენ პუანის მანიფესტებს. იზიარებს რა ამ შეხედულებებს, ლ. მაგაროტო ფუტურიზმით პაოლოს გატაცების განმაპირობებელ ფაქტორთა შორის ასახელებს აგრეთვე პარიზში სწავლის ფაქტსაც. „ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ მარინეტის ცნობილი მანიფესტი თავდაპირველად სწორედ აქ დაიბეჭდა 1909 წლის 20 თებერვალს გაზეთ „ფიგაროში“. რაც შეეხება პაოლო იაშვილის მანიფესტს — „პირველთქმას“, — განაგრძობს მსჯელობას იტალიელი ქართველოლოგი, — მასში შეინიშნება ევროპული და რუსული ორივე მიმართულების — სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის ელემენტების თანაარსებობა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ პაოლო იაშვილის მანიფესტი შეიცავდა ყველა იმ ნიშან-თვისებას, რაც დამახასიათებელი იყო სწორედ ავანგარდისტული დაჯგუფებისათვის და არა სიმბოლისტური სკოლისათვის. „პირველთქმის“ ლექსიკური და სტილისტური ფაქტორაც (კონტრასტულობა, გამოსატვის ერთგვარად არაბუნებრივი, სქლოგ-

ნური მანერა, ეზოტერული ენა გასაგები მხოლოდ „განდობილთათვის“, აშკარა, თუმცა ახლებური მიბაძვა სიმბოლიზმისა და სხვა) დიდად იყო დავალებული იტალიელი თუ რუსი ფუტურისტების მოწოდებებისაგან.

პაოლო იაშვილმა განახორციელა პოსტსიმბოლისტური თეორიული ოპერაცია, რათა შეერწყა ახალი ავანგარდისტული მიღწევანი სიმბოლიზმის საუკეთესო მონაპოვართან“.

ლ. მაგაროტოს მიერ გამოთქმული ეს თვალსაზრისი, როგორც თავადვე ამბობს, ერთი ძირითადი საყრდენი დებულებაა 1982 წელს ვენეციაში გამოცემული მისი წიგნისა „ავანგარდიზმი თბილისში“. როგორც ვხედავთ, იტალიელი მეცნიერის საინტერესო მსჯელობა „ცისფერ-ჯანწელთა“ ესთეტიკურ პრინციპებზე რამდენადმე ეხმიანება და აღრმაგებს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულ თვალსაზრისს.

ასევე საყურადღებოა ლ. მაგაროტა მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ პაოლოსათვის „სიმბოლისტური თეორიები საწყისია, ერთგვარი მყარი საფუძველია, ამასთან — სტიმულია აშკარად ავანგარდისტული შეხედულებების ქადაგებისათვის“. ხოლო რას გულისხმობს იტალიელი ქართველოლოგი ავანგარდიზმის ცნებაში, თავადვე გვარკვევს, როცა დაასკვნის: „ავანგარდიზმის ხელოვნება“ შემოიღეს საყოველთაოდ გავრცელებული „დეკადენტიზმად“ წოდებული მიმართულების გაქრობის შემდეგ, ჩვენი საუკუნის დასაწყისში წარმოქმნილ ახალ მხატვრულ-ლიტერატურულ მიმდინარეობათა აღსანიშნავად... იმავე ფენომენის აღსანიშნავად საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრდა ტერმინი „მოდერნიზმი“, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა სოციალისტურ რეალიზმს. ამდენად, ტერმინმა შეიძინა უარყოფითი, დამამცირებელი მნიშვნელობაც, რამეთუ ეს მოდერნიზტული მიმდინარეობანი თითქოსდა მხოლოდ ძირმომპალი ბურჟუაზიული წყობილებისათვის იყო დამახასიათებელი“.

როგორც ვხედავთ, ლ. მაგაროტოს შეხედულებანი, ხშირ შემთხვევაში, ძირითადად, ზოგიერთი ნიუანსის გარდა, ემთხვევა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეთა თვალსაზრისს; ოღონდ რამდენადმე, როგორც თავადაც აღნიშნავს, შეინიშნება ტერმინოლოგიური განსხვავება, მაგრამ ეს ვითარების არსს ვერ ცვლის.

საუბრის დროს, მართებულად, კიდევ ერთხელ აღინიშნა ისიც, რომ ტერმინი ქართული სიმბოლიზმი პირობითი გამოთქმაა და რომ „ცისფერყანწელთა“ „მხატვრულ შემოქმედებაში უფრო ხშირად უგულვებელყოფილია სიმბოლიზმის დოგმატი, ვიდრე დაცული; მათს თეორიულ წერილებშიც სიმბოლიზმის მტრები თუმცაღა დიდი აღშფოთებით იხსენიებიან, თვით ლიტერატურული მიმდინარეობისადმი ერთგულება არ ჩანს“.

ასე რომ, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი მსოფლმხედველობრივად საკმაო შინაგანი წინააღმდეგობებით ხასიათდება, შეინიშნება „ეკლექტიზმი, თანმიმდევრული იდეურ-ესთეტიკური სისტემის უქონლობა და ურთიერთგამომრიცხავ, ზოგჯერ საწინააღმდეგო მოსაზრებათა სიუხვე“. ლ. ავალიანის ამ სიტყვებში, ვფიქრობ, მართებულადაა შეფასებული როგორც, საერთოდ, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფების ძირითადი პრინციპები, ისე მათი თავკაცის ე. წ. სიმბოლისტური პერიოდის შემოქმედების არსებითი თავისებურებანიც.

ეს საკითხები უფრო ადრე მეტი სიღრმითა და დასაბუთებულობით გააანალიზა ლ. ავალიანმა პ. იაშვილზე დაწერილ მონოგრაფიაში. მისი აზრით, „ქართულმა სიმბოლიზმმა ვერ შეძლო ნათლად ჩამოეყალიბებინა თავისი კრედო, მოეცა შემოქმედებითი ნააზრვეის ერთიანი სისტემა, — მხატვრული პროდუქციით დასაბუთებული თეორია. ამიტომ „ქართული სიმბოლიზმი“, ძალიან მკაცრად თუ განესჯით, პირობით ტერმინადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან არ არსებობს ლიტერატურული მიმართულება ფილოსოფიური მრწამსის გარეშე“ (ლ. ავალიანი, პაოლო იაშვილი, 1977 წ. გვ. 69).

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პ. იაშვილი, ისევე როგორც „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის სხვა წევრები, სიმბოლიზმით ყველაზე მეტად გატაცების წლებშიც კი არ შეიძლება მხოლოდ ამ მიმდინარეობის „კანონიკური ჩარჩოებით“ შემოფარგლოთ და მათში ჩაკეცოთ.

სიმბოლიზმი მათთვის, როგორც უკვე აღინიშნა, შემოქმედებითი სტიმულის მიმნიჭებელ ძალად იქცა, რითაც სრულყოფილად გაეხსნა გზა

პოეტურ შთაგონებას. ამიტომ არაფერია უხერხული და მოულოდნელი იმის აღიარებაში, რომ გარდა სიმბოლოზმისა, პაოლოსა და მისი მეგობრების შემოქმედებაზე სასიცოცხლო ზეგავლენა მოახდინეს ევროპული პოდერნიზმის სხვა მიმართულებებმაც; თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ყველა ეს სიახლე მათ პოეზიაში ორგანულადაა შესიხლხორცებული ეროვნულ ფენომენტან და მხოლოდ ამ გზით გარდაიქმნება პოეტური შთაგონების მასაზრდოებელ და მასტიმულირებელ ენერგიად.

* * *

ოციანი წლების შუა ხანებში, მრავალი მიზეზის გამო, პაოლოს აშკარად ეტყობა, რომ ძველი შემოქმედებით პრინციპებით გატაცება და აღტკინება გაუნელდა და დაუცხრა. მიუხედავად იმისა, რომ კვლავინდებურად უცვლელია „ცისფერყანწილებთან“ მისი მეგობრული ურთიერთობა, ლიტერატურული ჯგუფის თავკაცის ცხოვრებაში უკვე შეიმჩნევა არსებითი ხასიათის ცვლილებანი და ძვრები. ხდება ძველი შეხედულებების ნებსითი თუ შექმნილი პოლიტიკური ვითარების კარნახით გადაფასება. სიმბოლოზმით გატაცების პერიოდი განვლილ შემოქმედებით ეტაპად იქცევა.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან ჯგუფის სხვა წევრებიც. ამიტომაცაა, რომ არც „ცისფერყანწელთა“ თავკაცი და არც სხვები ძველებურ ერთგულებასა და დაინტერესებას სიჭაბუკისდროინდელი ლიტერატურული შეხედულებებით აღარ იჩენენ; თუმცა ერთი გაბრძოლება კიდევ გაუბრძოლებიათ და უცდიათ ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ მესამე ნომრის გამოცემა, მაგრამ პაოლოს შეუკავებია თავი, რადგანაც თვლიდა, რომ უკვე გამართლება აღარ ჰქონდა მათ ამ სურვილს. ლადო გუდიაშვილი იგონებს: „1925 წელს „ცისფერყანწილებმა“ გადაწყვიტეს თავიანთი ჟურნალის გადახალისება... შეაგროვეს მასალები, დაწერეს ახალი დეკლარაცია... მხატვრული გაფორმება კი მე დამაკისრეს. გავაკეთე კიდევ ჩანახატები, მაგრამ კრებულის გამოცემა ვეღარ მოხერხდა... საქმე ის იყო,

რომ ამ პერიოდში „ცისფერი ყანწები“ უკვე კრიზისს განიცდიდა... ეს გამოწვეული იყო მწერლობაში ახალი თაობის მოსვლით, სულ სხვა მხატვრული პრინციპებით, რომელიც ახალ საბჭოთა სახელმწიფოს მოჰყვა.

პაოლო ამბობდა:

— ჩვენ ერთხელ მოვახდინეთ პოეზიაში გარდატეხა, ახლა ახალი თაობა მოდის და სიტყვა მასზეაო“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1976 წ. № 11, გვ. 80-81).

ასე გადიოდა დრო, ცხრებოდნენ თავდაპირველი ემოციები, უფრო და უფრო მძაფრდებოდა ცოტა ხნის წინათ დიდი ენთუზიაზმით ნაქადაგევი ლიტერატურული პრინციპების კრიტიკული თვითგანსჯა. პაოლო დღითიდღე რწმუნდებოდა იმაში, რომ „მარნასთან ომი ჯერაც გადაუხდელი“ იყო, რომ ჯერ კიდევ მოსაძებნი იყო „ახალი გზები“. მაგრამ „ცისფერყანწელთა“ თავდაპირველი „გამწვევი ბრძოლის“ შენელებასა და „ხელჩართული ომის“ დაცხრობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მისი აზრით, „უკანასკნელი წლების დიპლომატობაც“ უწყობდა ხელს. ეს „დიპლომატობა“ პირდაპირი შედეგი იყო გასაბჭოებულ საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციისა. მძაფრი შინაგანი სექსპტიციზმის გამომხატველი ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი წერილიც („7 წელიწადი“) ხომ იმ წელს დაიწერა (1924 წელს), როცა ეროვნული თავისუფლების დასათრგუნად ბოლშევიზმის ბრძოლა თვისებრივად ახალ სტადიაში შევიდა.

ყოველივე ეს ანელებდა ადრინდელ ენთუზიაზმს, თრგუნავდა ძიების სულისკვეთობას, რაც, პოეტის სიტყვებით, ნიშნავდა „არქივთან მიახლოებას და რომანტიკულ ფიქრს წარსულის ალტაცებულ დღეებზე“.

პაოლოსათვის პრინციპულად მიუღებელი იყო ლიტერატურული მიღწევებით თვითკმაყოფილება, რადგანაც შემოქმედებით პროცესს ახლის მარადიულ დაუცხრომელ ძიებად მიიჩნევდა. ამიტომაც აცხადებდა იგი ხაზგასმით, პოეზიაში „მე მომხრე ვარ პერმანენტული რევოლუციისო“ და მოითხოვდა მოემზადებინათ მასალები „ცისფერი ყანწების“ მესამე ნომრის გამოსაცემად. მაგრამ საქართველოში უკულმა დატრიალებულმა მოვლენებმა მალე დაარწმუნა ამ განზრახვის უსაფუძვლობაში.

ასე ჩნდება „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის თავკაცის წერილებში, ოცი-
ანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული, თვითდაექვება. ცხრება ძვე-
ლი ლიტერატურული პრინციპებით ემოციური აღტკინება, აშკარად იგრ-
ძნობა მძაფრი შინაგანი სევდა მიულწვევლ ოცნებათა გამო, შეუსაბამობა
უმთავრეს შემოქმედებით იდეალად დასახულ მიზანსწრაფვასა და რეა-
ლურად მიღწეულს შორის.

როგორც ცნობილია, 1932 წლის 23 აპრილს საკავშირო კომპარ-
ტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო სა-
ლიტერატურო საქმიანობის გარდაქმნის შესახებ. ამ დადგენილებამ კიდევ
უფრო გააძლიერა პარტიული დიქტატი მწერლობისადმი და შემოქმე-
დებითი აზროვნება მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოაქცია. ეს იყო
ხელისუფლების მიერ ლიტერატურისა და ხელოვნებისთვის იმ მინიმალური
თავისუფლების წართმევა, რომელიც მას ჯერ კიდევ ჰქონდა ძველი
ინერციით შემორჩენილი. პარტია სულ უფრო და უფრო ამკაცრებდა
ღონისძიებებს ამ თვალსაზრისით და ისე წარმართავდა მწერლობის გან-
ვითარების პროცესს, რომ იგი გაბატონებული იდეოლოგიის რუპორად
და მესოტბედ ქცეულიყო.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში ლიტერატურაში ყოველგვარი ფრაქ-
ციულობისა და ჯგუფობრიობის არსებობა აზრსაც კარგავდა და ფორმა-
ლურადაც კი არ შეიძლებოდა ყოფილიყო დასაშვები. ამიტომაც ამგვარმა
ჯგუფებმა შეწყვიტეს არსებობა და „უდიდესი ენთუზიაზმით“ შეუერთ-
დნენ საბჭოთა მწერლების ერთიან კავშირს, რომელსაც პარტიამ ნათლად
განუსაზღვრა და დაუკანონა ლიტერატურული აზროვნების ისეთი ფუძემ-
დებლური პრინციპები, როგორებიცაა: პარტიულობა, კლასობრიობა, ახა-
ლი იდეოლოგიისადმი მონური ერთგულება და მესოტბეობა.

ასე შედის ახალ, საბედისწერო ფაზაში გააფთრებული ბრძოლა იმათ
წინააღმდეგ, ვინც ამ პრინციპებს თუნდაც ფარულად, შინაგანადაც კი,
არ იზიარებს. ისინი ხალხის მტრებად და ქვეყნის მოღალატეებად ცხად-
დებიან და მათ მკაცრად უსწორდებიან. არც ძველი ცოდვებია დავიწყებული.
იდეოლოგიური ზედამხედველობის მექანიზმი მთელი ძალით მოქმედებს
მწერლობაშიც. 1932 წლის აპრილის დადგენილებას მალე, 1934 წლის

ზაფხულში, საკავშირო მწერალოა პირველი ყრილობაც მოჰყვა, რომელმაც ახალი „ფუძემდებლური“ გადაწყვეტილებანი მიიღო ლიტერატურის განსავითარებლად და შემოქმედებითი აზროვნების ძირითად მიმართულებად სოციალისტური რეალიზმი გამოაცხადა.

მოვლენების ამდაგვარი განვითარება აუცილებელს ხდიდა ძველ „მცდარ“ შეხედულებათა გადახალისებას. პაოლოს მსოფლმხედველობაში ოციანი წლების დასასრულიდან უკვე აშკარად შეიმჩნევა ადრინდელი ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი პრინციპების გადაფასება, ანგარიში ეწევა ვითარებას, კეთდება მდგომარეობის შესატყვისი და სიტუაციით ნაკარნახევი დასკვნები. იმხანად სხვა გზა, სხვა არჩევანი, ფაქტობრივად, არ იყო. იწყება იძულებითი კომპრომისის დრამატული პერიოდი, როცა ერთმანეთისაგან ითიშება რწმენა და რეალობა. მთელ ქართულ მწერლობაში არნახულ აღზევებას იწყებს კონიუნქტურული ტენდენციები.

ეს ყველაფერი რამდენადმე უსწრებს წინ „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის ორგანიზაციულ დაშლას. ოციანი წლების დასასრულისთვის ეს ჯგუფი ნომინალურად თულა განაგრძობს არსებობას. იმ პერიოდისათვის „ყანწელებს“, რომ იტყვიან, უკვე გადალახული აქვთ რუბიკონი და ხელისუფლებასთან ლოიალური თანამშრომლობის გზაზე დგანან. მაგრამ ფორმალურად „ცისფერი ყანწების“ ლიკვიდაცია ჯერ კიდევ არ გამოუცხადებიათ.

ეს ოცდაათიანი წლების დასაწყისში მოხდა, როგორც ასახელებენ 1931 თუ 1932 წელს, უფრო საფიქრებელია, 1932 წელს, პარტიის მიერ 23 აპრილის დადგენილების მიღების შემდეგ, რომელმაც, როგორც ითქვა, აკრძალა ყოველგვარი ჯგუფობრიობა მწერლობაში.

„ცისფერყანწელები“, მათი თავკაცის ხელმძღვანელობით, ერთხელ კიდევ შეიკრიბნენ ამ ისტორიულ სხდომაზე, რათა შეექმნათ უკანასკნელი დოკუმენტი, რითაც ჯგუფის თვითლიკვიდაცია გამოცხადდა.

ჩვენამდე მოღწეული ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, როგორ ცდილობენ ისინი განმარტონ და დაასაბუთონ ასეთი გა-

დაწვევებილების მიღების აუცილებლობა. უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა იმ გარემოებას, რომ ჯგუფის ლიტერატურული პრინციპები და შექმედებითი მოღვაწეობა აღარ შეესაბამება „რეკონსტრუქციის პერიოდის მოთხოვნილებებს“. თუ რა მოთხოვნილებებიც იგულისხმება ამ შემთხვევაში, ეს, ვფიქრობ, ადვილი მისახვედრი იქნება საქმის არსში ჩახედულ მკითხველთათვის.

აქვე აღნიშნული იყო ისიც, რომ „ყანწელთა“ იდეური და ესთეტიკური კრედო უკვე „არ გამოხატავდა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების იმ გაგებას, რომელიც იმჟამად ახასიათებდა ჯგუფში შემავალ წევრებს“. ასე მიზანწინაფულად და თანმიმდევრულად მტკიცდებოდა იდეოლოგიური დიქტატურა მაშინდელი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, მწერლობაშიც და ყველაფერი კეთდებოდა თავისუფალი შემოქმედებითი აზრის დასათრგუნად.

ძველი შეხედულებების დაგმობისა და ჯგუფის თვითლიკვიდაციის გამოცხადების შემდეგ, საბჭოთა ეპოქისათვის მეტი ერთგულების დასამტკიცებლად, ჯგუფის წევრებმა დაადგინეს ახალი კრებულის გამოცემა. მასში უნდა შესულიყო აწ უკვე ყოფილი „ცისფერყანწელების“ შემოქმედებითი ნიმუშები, „აგებული ახალი სოციალისტური ცხოვრების თემატიკაზე“...

საბედნიეროდ, განზრახვა განზრახვად დარჩა და ეს კრებული, რომელიც, ალბათ, აშკარად უსიამოვნო დისონანსს შეიტანდა ამ ლიტერატურული ჯგუფის რომანტიკულ ისტორიაში, აღარ გამოცემულა.

მიღებულ დოკუმენტში ხაზგასმით იყო აღნიშნული ისიც, რომ „ჯგუფი საჭიროდ და აუცილებლად თვლის ძველი გზის რევიზიას“, აღიარებს ძველ შეცდომებს, რომლებიც „წვრილბურჯუაზიული გადახრების პერიოდში“ ახასიათებდათ მის წევრებს. ამას მოსდევს იმისი ფიცი, რომ „ჯგუფი შეეცდება მომავალში ამ შეცდომების აღმოფხვრას პროლეტარული ლიტერატურის დახმარებით, ამხანაგური ზეგავლენით, რათა გახდეს მისი მოკავშირე თავისი შემოქმედებით“.

და ვისი მოკავშირე უნდა გამხდარიყვნენ პაოლო, ტიცვიანი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე?... ვისი ზეგავლენით უნდა განთავი-

სუფლებულიყვენ ისინი ძველი შეცდომებისაგან და ეპოვათ ჭეშმარიტი ხელოვნების გზა? იმათი დახმარებით, რომელთა ნაწილი მაუზერიტა და ადმინისტრაციული მეთოდებით იბრძოდა „იდეოლოგიური სიჯანსაღისათვის“.

დასასრულ, მკითხველს ხსენებული დოკუმენტის იმ სტრიქონებსაც შევახსენებ, რითაც ისინი ერთხელ კიდევ ვფიცებიან ერთგულებას ხელისუფლებას: „ორი სამყაროს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, კაპიტალიზმის ნაშთებსა და სოციალიზმის სისტემებს შორის გამძაფრებულ ბრძოლაში, მთელი ჩვენი ძალღონით და შეგნებით ვდგევართ უკანასკნელის, მუშათა კლასის მოწინავე პოზიციებზე, კაპიტალიზმის მესაფლავის პროლეტარიატის საამაყო ბარიკადებზე“.

ამ დოკუმენტის პირველად გამომქვეყნებელი, ყოფილი „ცისფერყანწელი“ შ. აფხაიძე ზემოთ დასახელებული კრებულის გამოცემის „განზრახვის ჩაფუშვის თაობაზე წერს: „ასეთი კრებული არ გამოცემულა. ჩანდა, რომ შინაგანი კრიზისი ძლიერდებოდა, ცხოვრება უკვე აღარ მოითხოვდა ჯგუფის ცალკე ორგანოთი გამოსვლას. ამას კარგად გრძნობდა პაოლო. მან უფრო კარგად აულო ალლო სინამდვილეს და ჯგუფის ცალკე გამოსვლას გულგრილად უყურებდა, უაზრობადაც თვლიდა“ (შ. აფხაიძე, ადამიანები და წიგნები, 1964 წ. გვ. 99).

ვინ იცის, ფარულად, სინამდვილეში, რას თვლიდა პაოლო უაზრობის საფუძვლად, რატომ არ აქტიურობდა, რა აღარ იზიდავდა... იმ რთულ ვითარებაში, როდესაც, ტიცციანის სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთარ ძმასაც კი ვერ გაუმხელდი გულში ჩაკირული ბალღამის სიმწარეს, გულწრფელობა არა თუ სახიფათო იყო, არამედ უდიდეს რისკთანაც გახლდათ დაკავშირებული. რომ იტყვიან, ეშმაკს არ ეძინა და გაფაცვიცებულად იყო მიყურადებული, ვინ რას იტყოდა და როგორ.

სწორედ ამ თვალყურგაფაცვიცებული ეშმაკის საფრთხე დავინახე განხილულ დოკუმენტშიც, რომელიც დიდი ხნის შემდეგ, 60-იან წლებში, გამოაქვეყნა პირველად შ. აფხაიძემ.

დადგენილების დასკვნით ნაწილში ხაზგასმით ეწერა:

-გაუქმებულ იქნას „ცისფერი ყანწილების“ ლიტერატურული ჯგუფის არსებობა, რათა სრული საშუალება მიეცეს მის მონაწილეებს, მეტი ტემპებით განაგრძონ თავისი ფსიქო-იდეოლოგიური გარდაქმნა დამკვერელი ეპოქის პერიოდში უშუალოდ ჩარევისათვის“.

ასე დაასრულა „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულმა სკოლამ არსებობა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. თუმცა, როგორც ითქვა, ფაქტის დაფიქსირება და ჯგუფის თვითლიკვიდაციის დოკუმენტალური გაფორმება უფრო გვიან მოხდა, ვიდრე იგი რეალურად დაიშლებოდა. „ყანწელთა“ ლიდერი პაოლო იაშვილი, რომელიც ნომინალურად ამ დროისთვისაც ისევ ითვლებოდა ჯგუფის თავკაცად, შემოქმედებითად კარგხნის ჩამოშორებული იყო „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ ასოციაციას; თუმცა „ყანწელებთან“ პიროვნული სიახლოვე და მეგობრობა მას სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია.

„ქმოზის უემპკრალი“

პაოლო და მისი თანამოაზრენი თავიანთი ლიტერატურული პრინციპების დასამკვიდრებლად მარტო მანიფესტებითა და მხატვრული შემოქმედებით როდი იღვწოდნენ. ამ საქმეში ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მეგობრულ კავშირ-ურთიერთობებსაც, რაც მძლავრად გამოვლენილი რომანტიკულობით ავსებს მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას. უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ერთმანეთისადმი მიძღვნილი მათი ლექსები და წერილები, რომლებშიც დიდი სიყვარულითა და ხაზგასმული პატივისცემითაა წარმოჩენილი ერთიმეორის შემოქმედებითი მიღწევები და წარმატებანი.

მოვიგონოთ, მაგალითად, ტიცციანის წერილი „პოეტები სტამბაში“, სადაც, სხვებთან ერთად, პაოლოცაა დახასიათებული შემოქმედებითი მუშაობის პროცესში. ტიცციანი მკითხველს აცნობს, როგორ, რა ვითარებაში,

წერდა პაოლო მის ცვეცხოვან ლექსებს: „პაოლო იაშვილს არ დაუწერია არც ერთი ლექსი, რომელიც ან სტამბაში არ დაეწერა — ან ხელმეორედ არ გაესწორებია. სტამბაში დაწერილ ლექსებში ჯერჯერობით პირველობა მაინც ერთ ლექსს რჩება „ფარშავანგები ქალაქში“... პაოლო იაშვილი პირველათ სტამბაში მიხვდება, რომ საჭიროა ლექსის წერა. რასაკვირველია ისეთი ლექსის, რომელსაც ის დაბეჭდავს და არა იმ ექსპრომტების, რომლითაც ის ყველა სადამოებზე აპურებს ფილისტერულ საზოგადოებას“ („მოცნებე ნიაბორები“, 1921 წ. № 6, გვ. 16). ასევე მნიშვნელოვანია ავტორის მიერ წერილში ხაზგასმით აღნიშნული პაოლოს ადამიანური ბუნებისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიისთვის დამახასიათებელი ის ფაქტიც, რომ „დაბეჭდვის შემდეგ მისთვის დაბეჭდილი არ არსებობს“. როგორც ითქვა, ამ დაუღვერობის მიზეზით, სამწუხაროდ, პოეტის არაერთი ლექსი გაიბნა და სამუდამოდ დაეკარგა შთამომავლობას.

სხვაგან კი პაოლოს შემოქმედებითი მუშაობის პროცესი ტიცციანმა შემდეგნაირად დაახასიათა: „პაოლო იაშვილი ქიმერიონში ზის, ტურებს ისწორებს ენით. ის უფრო ხშირად დღე სწერს თავის ლექსებს, როდესაც აღუღებულია ჰაერი. წერის დროს ისწორებს ამხანაგებს და მას არ სჭირდება მარტოობა იმისთვის, რომ დასწეროს „წერილი დედას“. კალმისტარი და მელანი უფრო აღელვებს, ვიდრე ფანქარი. შეიძლება გენოსია, შეიძლება უბრალო მოშაირეა. ხმაურს არ ერიდება და უყვარს პოეტის სახელი, როგორც კეთილშობილი ღერბი. ლამაზი რითმები მოწყენილი აქვს, მაგრამ დაუღალავი აქტიორია. რამოდენიმეთ ნერონია, რომელიც ვერც ერთმა მწერალმა ვერ დაგვიხატა. ეს შეეძლო შექსპირს“ (გაზ. „ბარრიკადი“, 1920 წ. 8 ნომბერი).

ბევრი თქმულა და დაწერილა ტიცციანისა და პაოლოს მეგობრულ ურთიერთობაზე. სიამის ტყუაებად შერაცხული პოეტი-ძმების ადამიანური სიახლოვე შთამომავლობის ხსოვნას ლამაზ რომანტიკულ ლეგენდად შემორჩა. როგორც სერგო კლდიაშვილი აღნიშნავს, „ორი პოეტის დაახლოებას იშვიათად თუ გაუკეთებია. ლიტერატურის განვითარებისათვის იმდენი, რამდენიც ტიცციანისა და პაოლოს მეგობრობამ შეძლო. ხელი-

ხელჩაკიდებულნი, ისინი შეეჭიდნენ გამეფებულ რუტინას და ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლა გააჩაღეს“ (ს. კლდიაშვილი, თხზ. ტ. III, 1975 წ. გვ. 478).

ეს მეგობრობა ბოლომდე დარჩა წმინდა და შეუბღალავი. მათი უშურველი, ნათესაურ ურთიერთობად გარდაქმნილი მეგობრული კავშირი ოჯახური სიახლოვითაც იყო განმტკიცებული. ამ მეგობრული სიყვარულის დამადასტურებელ მაგალითებს უხვად გვაწვდის ორივე მათგანის ცხოვრება და შემოქმედება. „სიამის ტყუპი სიამითაც ვიყოთ ტყუპებიო“, — მიმართავდა ტიცციანი პაოლოს ერთ-ერთ ლექსში და სულისა და ინტერესების ეს ერთობა მათ მართლაც შეინარჩუნეს სიცოცხლის ბოლომდე.

რა შხამი და სამსალა არ შეასვა ორივე მათგანს ცხოვრებამ, რა გამოცდისა და განსაცდელის წინაშე არ დააყენა მათი მეგობრობა, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წელს, მაგრამ ვერაფერი დააკლო. ამ სიყვარულის წმინდა ნათელი ფარავდა მათ ოჯახებს 1937 წლის ტრაგიკულ დღეებშიც, როცა აღზევებული ბოროტება ყოველივე სპექტაკის ხელყოფას ცდილობდა.

სწორედ ამ სულიერი სიმტკიცისა და სიწმინდის აპოლოგიაა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში პაოლოსადმი მიძღვნილი ტიცციანის ლექსი, რომელშიც თითქოს ნაწინასწარმეტყველებია მათი ცხოვრების ტრაგიკული ფინალი, როცა ნათქვამია, რომ გაეტყდებით, მაგრამ არასოდეს მოვიღუნებითო. არც „გაღუნულან“. ცხოვრების სიმკაცრემ და დავიდარაბამ კიდევ უფრო გამოაწრთო მათი ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად ედო იმ საქმის უღალატო რწმენა, რასაც ორივენი ემსახურებოდნენ. ეს იყო ქართულ პოეზიაში თვისებრივად ახალ გზათა გასაწალდად გაწეული თავდადებული შრომა და ძველი პოეტური ფორმების წინააღმდეგ გაბედული ბრძოლა.

სხვა მეგობრებმა და პოეტმა გეადარა აღმასი, ვიცო, გავტყდებით და არასდროს მოვილუნებით, ძველ პოეზიას კადნიერად ვახეურავთ ჩალმას, მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უპები.

ქართულ პოეზიაში ძველი პოეტური ფორმების მსხვრევისა და ასა-ლი შემოქმედებითი ტენდენციების მიგნებასა და დამკვიდრებაში, ტიცია-ნის აზრით, უდავო იყო პაოლოს, როგორც წინამძღოლის, როლი.

სწორედ ამ როლის ხმამალალი აღიარება და ღირსეული დაფასება იგრძნობა ამ სტრიქონებშიც:

წითელი ხარის გამძლება მაგარი ჯიში
და იალაზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრად.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ერთმანეთის განსაღიღებლად დაწერილ ლექსებსა და წერილებში ხშირად ჰქონდა ხოლმე ადგილი გა-დაჭარბებასა და საქებარი სიტყვის ჰიპერბოლური თქმის შემთხვევებს. სწორედ ამდაგვარი განსჯის მაგალითად შეიძლება მოვიშველიოთ ტ. ტა-ბიძის ერთ-ერთ წერილში („წელიდან წლამდის“, გაზ. „პოეზიის დღე“, 1922 წ.) პაოლოს პოეზიის შესახებ გამოთქმული შემდეგი შეფასებანი: „პაოლო იაშვილი მოულოდნელობის გენიაა“. „პირველად მან შექმნა ქართულ პოეზიაში შედევრები. პირველად მან დაწმინდა ლექსი და მის-ცა უეცარი გაქანება... სანამ იარსებებს „ცისფერი ყანწები“, პაოლო იაშ-ვილი იქნება მეთაური და იმედი როგორც ამ ჯგუფის, ისე ქართული პო-ეზიის“.

პაოლოსადმი ასეთ ტენდენციურ დამოკიდებულებას, გარდა „ყანწე-ლი“ მწერლებისა, არცთუ იშვიათად, სხვებიც იჩენდნენ ხოლმე. მაგალი-თად, ცნობილმა კრიტიკოსმა ივანე გომარტელმა თავის ერთ-ერთ წერილ-ში (გაზ. „ქართული სიტყვა“, 1924 წ. 18 მაისი) პაოლო იაშვილს „დაუგემელი ვეფხვი ზემო-იმერეთისა, ცუცხლიანი, ხშირად მოქნილი, ნაზად მეოცნებე, ოხუნჯი, ენა-მახვილი“ პოეტი უწოდა. ამ დახასიათე-ბაში ნათლად გამოიკვეთა პ. იაშვილის პოეტური ბუნებისათვის დამახა-სიათებელი რამდენიმე არსებითი ნიშან-თვისება.

გასაოცარი მეგობრული უნარით დაჯილდოებულ პაოლოს ზოგიერ-თები ქართული პოეზიის ავთანდილს უწოდებდნენ. ამ შეფასებაში გან-საზღვრულ როლს, პირველ ყოვლისა, მისი უღალატო მეგობრული გრძნო-

ბ. ასრულებდა. უაღრესად ფართო და მრავალფეროვანი იყო პოეტის სამეგობრო წრე. „ცისფერყანწელების“ გარდა, იგი ლიტერატურული პრინციპებით რადიკალურად განსხვავებულ მწერლებთანაც მეგობრობდა და არალიტერატორებთანაც. მათ შორის მრავლად იყვნენ უცხოელებიც.

თითქოს რაღაც ანდამატური ძალა ჰქონდა ნიმიადლებული; ყველას ზიზღავდა და იზიდავდა თავისი ხელგაშლილობით, მიმტევებლობით, გულითადობითა და უანგარობით. პოეტის თანამედროვენი ხაზგასმით აღნიშნავენ მისი ადამიანური ბუნებისთვის დამახასიათებელ ისეთ დადებით ნიშან-თვისებებს, როგორებიცაა: ენამზიანობა, უშუალობა, თავმდაბლობა, სილაღე, სიხალისე, გულგახსნილობა...

პაოლო ადუღაბებდა ჩვენს ძმობასა და მეგობრობასო, — სიყვარულით იგონებს კოლაუ ნადირაძე. ლხინის თავი იყო, სმისა და ქეიფის მოყვარული, სანაქებო თამადა და თანამეინახე. თუმცა ღვინო მისთვის უფრო გულის გადასხნისა და ემოციური სჯა-ბაასის განმაპირობებელი საშუალება იყო და არა თვითმიზანი.

ასე უშურველად და დაუზოგავად გაცემული მეგობრული გულითობის სანაცვლო სითბოს თავადაც უხვად ღებულობდა მეგობრებისაგან, უპირველეს ყოვლისა კი „ცისფერყანწელთაგან“. ამის ნათელსაყოფად აქ მინდა მკითხველს შევახსენო მისადმი მიძღვნილი კოლაუ ნადირაძის შესანიშნავი ლექსის ფრაგმენტი, სადაც მეგობრული სიყვარულის გრძნობა ასეთ შთამბეჭდავ გამოვლენას პოულობს:

პაოლო, ჩემო სისხლო და ხორცო,
დაე, მე მომხვდეს მრისხანე მენი!
მინდა მაგ თვალზე ცრემლი მოგზოცო
და მწარედ დალილს დაგბანო ფეხი!

ძალზე იზიდავდა თურმე უბრალო ხალხში ყოფნა, უჩინარ ადამიანებთან გაშინაურება და სიახლოვე. შ. აფხაიძის მოგონებით, განსაკუთრებით ყვარებია ჭკუაშერეკილებთან და მათხოვრებთან საუბარი. მისი ხასიათის ეს თვისება შემოქმედებაშიც გამოვლინდა. ამ თვალსაზრისით რად ღირს თუნდაც შესანიშნავი მოთხრობა „ფერადი ბუშტები“.

ერთხელ, თურმე, რესტორან „სიმპატიასში“ ჩადიოდა დასანაყრებლად, თან თონის პური მიჰქონდა. უეცრად ვიღაც მივარდნია, პური ხე-

ლიდან გამოუგლეჯია და გაქცეულა. პაოლო დადევნებია და დაუჭერია. მოძალადე მათხოვარი აღმოჩენილა. პაოლოს შეცოდებია, რესტორანში ჩაუყვანია და კარგად გამასპინძლებია.

მათხოვრებს შორის მეგობრებიც ჰყოლია. განსაკუთრებით ყვარებია ვინჩე ლეონტი კაჩერგა. სწორედ მასზე აქვს დაწერილი „ფერადი ბუშტები“. ერთხელ, — იკონებს ნინო ტაბიძე, — მეფისნაცვლის ყოფილ სასახლესთან მივსეირნობდითო. დიდებული საღამო ყოფილა. უეცრად კაჩერგას შეხვედრიან. არც ერთს არ აღმოჩენია ფული... მაშინ პაოლოს ქუდი მოუხდია და გამვლელებისათვის მიუმართავს:

— არუქეთ ხელმოკლე პოეტს ფული ღვინისათვის!...

ქუჩაში უამრავი ხალხი ირეოდა. გამვლელები იღიმებოდნენ და ქედში ფულს უყრიდნენ პოეტს. ოციოდე წუთში საკმაოდ დიდი თანხა მოგროვდა. ფული მათხოვარს გადასცა და დაემშვიდობა. სარდაფშიც, სადაც კაჩერგა ცხოვრობდა, არაერთხელ მძუკითხავს თურმე.

შთამომავლობის ხსოვნაში ამგვარი რომანტიკული და აწ უკვე ლეგენდად ქცეული თავგადასავლები განუყოფელადაა დაკავშირებული პაოლოსა და მისი მეგობრების სახელებთან. მათში ზოგჯერ ბევრი რამაა შეთხზულიცა და გაზვიადებულიც, რითაც ეს რომანტიკული თავგადასავლები მეტ მიმზიდველობასა და შთამბეჭდაობას იძენენ. ამ ტენდენციის გაღრმავებასა და მათ მიმართ ამგვარი დამოკიდებულების დამკვიდრებას თავის მხრივ თვით „ყანწულებიც“ უწყობდნენ ხელს და მიზანსწრაფულად ცდილობდნენ მათი ცხოვრებისა და შემოქმედების ესა თუ ის მხარე ლეგენდარულ ფაქტად ექციათ, რომანტიკული საბურველით შეემოსათ და ამით მკითხველის ინტერესი კიდევ უფრო გაეზარდათ.

ამის შესახებ გარკვევით წერდა „მეოცნებე ნიამორებში“ ვ. გაფრინდაშვილი (1922 წ. № 7, გვ. 12): „ყანწულები არ უცდიან მომავალ პოეტებს, რომელნიც გააზღაპრებენ მათ, როგორც ღმერთებს და გმირებს და ოკითხონ შეჰყავთ პოეზიაში ერთმანეთის პიროვნება, როგორც პოეტური სხე; თვითონ ქმნიან ერთმანეთის მითებს და სიმბოლოებს. მაი იდეალია ფანტასმაგორია და მითი“.

ამდაგვარი „გაზღაპრებისა“ და მითად ქცევის სამაგალითო ფაქტად ვ. გაფრინდაშვილი ასახელებს პ. იაშვილს, რომელმაც „ელენე დარია-ნის მითი“ გამოიგონა.

ბუნებით ხალისიან პაოლოს, შიგადაშიგ, უნებურად, რაღაც სევდა დარევდა თურმე ხელს, გარინდებოდა, განმარტოვებოდა და ერთბაშად ჩაინაცრებოდა. ამ შინაგან, განუშორებლად თანამდეგ სევდას ბევრი ხილული თუ უხილავი საფუძველი ჰქონდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ამ სევდამ თითქმის ერთიანად მოიცვა მისი სული.

ადრეულ პერიოდშიც, მძლავრი შემოქმედებითი თვითრწმენის მიუხედავად, მოწინააღმდეგეებთან პოლემიკით გაღიზიანებულს, არცთუ იშვიათად შეახსენებდა ხოლმე თავს პოეტური უკმარობის წიაღში შობილი ნაღველი და სინანულით იტყოდა: „საქართველოში არ იწამეს ჩემი დენდობა“.

ამ სევდას კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ ძალზე მგრძობიარე და ემოციური პიროვნება ყოფილა. ყოველდღიურმა ადამიანურმა ურთიერთობებმა და შეხვედრებმა რაშიც თურმე თავდაიწყებამდე ერთვებოდა პოეტი, შემოქმედებითად განძარცვა და გააღარბა იგი. ამის შესახებ სინანულით წერენ თანამედროვენი. „დიდ დროს ფლანგავდა, რამდენი შთაგონებული წუთი გაუშვა ხელიდან, რამდენი ოცნება დარჩა ხორცშეუსხმელი, — იგონებს შ. აფხაიძე, — დარდიმანდი და ოქროპირი, მომლხენი, რომელიც მოხდენილ სიტყვებს უხვად ფანტავდა, შეუდარებელი თამადა, სუფრის მშვენება — ასეთი იყო პაოლო ცხოვრებაში. მისი ექსპრომტები, ქართულად და რუსულად თქმული, სუფრაზე გაოცებას იწვევდნენ დამსწრეთა შორის. ასეთ ბრწყინვალე, მაგრამ წარმავალ დიდებაში ესარჯებოდა ძვირფასი დრო“ (შ. აფხაიძე, ადამიანები და წიგნები, 1964 წ. გვ. 82-83).

პაოლოს შინაგანად რთული ადამიანური ბუნების დასახსნაობებლად მეტად საინტერესოა ასევე მისადმი მიძღვნილი ირაკლი აბაშიძის ლექსი, რომელიც მძაფრი ემოციური შთამბეჭდაობით აცოცხლებს სახეს პოეტისას, რაინდობისა და მეგობრული უმწიკვლოების ლეგენდარულ ხატებად რომაა დამკვიდრებული ბევრი ჩვენთაგანის წარმოსახვაში.

შენ კაცი იყავ,
 გქონდა კაცის ყველა თვისება,
 წლობით შეგეძლო
 გემიჯნურა.
 გეგრძნო,
 გელოთა.
 კეთილ ვარსკვლავზე,
 ბედნიერ დღეს დაბადებული,
 ყველა სიკეთის მომხვეპელი,
 ცაში დამპყერი,
 მუდამ ზეიმაღ,
 მუდამ ლხინად გამზადებული,
 ძმობის შემყვრელი,
 სუფრის თავი,
 ბექის დამპყრელი;
 შეყვარებული მოქნილ სიტყვას,
 მოძმის ქებასა,
 სულ უზრუნველი,
 სულ პარალი,
 სულ უდარდელი.
 გადაყოლილი მრუდს და მართალს...
 პაი, დედასა!
 ასე გიცნობდა,
 თუ გიცნობდა
 სადმე ქართველი.

ასე გიცნობთ ჩვენც, პაოლოს შთამომავალნი, მას დღეს მისი შემოქმედებითა და თანამედროვეთა მოგონებებით. ეს ის ნიშან-თვისებებია, რომლებიც ლეგენდარულ ფაქტებად და რომანტიკულ თავგადასავლებად დამკვიდრდა თაობათა ცნობიერებაში. სწორედ ასეთია ჩვენთვის პაოლო — მის ცეცხლოვან სტრიქონებში სულგანფენილი, მიწიერი ყოფითობის ჭუჭყისაგან განწმენდილი და ამალღებული შემოქმედი.

იგი იყო პოეტი არა მარტო თავისი შემოქმედებით, არამედ პიროვნული ცხოვრებითაც, კაცი ვნებებმღელვარე და გრძნობებმოუთოკავი, ბავშვივით მიმნდობი და გულუბრყვილო. „შთაგონების ღმერთთან მეომარი“ მგოსნის სიცოცხლის დრამატიზმსა და სულიერ დაძაბულობას ორი საქართველოს საბედისწერო შეჯახებაც ედო საფუძვლად. აი, როგორ გამოხატავს პოეტის გახლენილი სულის ამ ტრაგიკულ კენესას ირ. აბა-შიძე პაოლოსადმი მიძღვნილ ლექსში:

ორ საქართველოს
დაჯახების მოხვედი მიჯნაზე,
ბრძოლა ფიცხელი
ნახე, ძველზე ახლის ჯობნების,
შენ ორთავე ქვეყნის
ტრფობა გეკრა გულისფიცარზე,
როგორც ყმაწვილ კაცს
სიყვარული გაყრილ მშობლებს

ამ ორი საქართველოს სიყვარულში, მათ ურთიერთჭიდილსა და ერთგულებაში განვლო მთელმა მისმა ცხოვრებამ. ამ ბურუსიან და დრამატულ გზაზე იყო შეცდომებიც, კალმის უნებლიე გადაცდომებიც, კონიუნქტურაც, შინაგანი რწმენისაგან იძულებითი უკანდახევაც, მაგრამ არამც და არამც ღალატი და ორგულობა იმ უზენაესი ღვთაებისადმი, რასაც საქართველო ჰქვია სახელად.

პაოლოს ადამიანური ბუნების შესაცნობად ასევე საინტერესოა მისადმი მიძღვნილი ვალერიან გაფრინდაშვილის სონეტი „პაოლო იაშვილს“ (1920 წ.), სადაც მეგობარი მგოსნის პიროვნული ინდივიდუალობის განმსაზღვრელი მრავალი ნიშან-თვისებაა პოეტური ფორმით დასახიათებული.

„ცისფერყანწელთა“ ჯგუფის თავკაცის შემოქმედებითი და ადამიანური ბუნების დახატვის დროს, ლექსში, უპირველეს ყოვლისა, ის მომენტებია ხაზგასმული, რომელნიც პაოლოს, როგორც სიმბოლიზმით გატაცებული მგოსნის, შემოქმედებით მისწრაფებებს განსაზღვრავენ. ვკითხულობთ ნაწარმოებს და ჩვენს წარმოსახვაში ცოცხლდება პოეტი თავისი მკვეთრად ინდივიდუალური არტისტული ბუნებით:

ღღესასწაულად ეს ცხოვრება აქცია გინდა,
შენში ნებიერობს ავზიანი ზღვის მღელვარება,
გეადვილება მზით დაცხრილულს აელვარება
და მეგობრობა გააღმერთე ვით ხატი წმინდა.
მაგრამ მარადი ზეიმობა შენ სულს მოსწყინდა,
როგორც ჭეირანს, მოგიტაცებს სხვა შეყვარება.
ტყვილად იფრქვევა განთიადი წითელ ღვარებით,
ახლა შენ სულში ოპიუმის მზე ამობრწყინდა.
ყანწს მოგაწოდებს თვალბედიით ხარბი სკანდალი,
შენი მაყარი უცაბელი ცეცხლისფერ დროშით.

და ძვირფას კაფეს შენ დაამსხვრევ, როგორც ვანდალი.
მოგენატრება აპაშებთან ცეკვა, ზარზოში,
დაუდგრომელი როგორც რემბოს გიხმობს პარიზი —
შენი ყოფილი იალალი და ასპარეზი.

პაოლოს თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავენ მის არაჩვეულებრივ ყურადღებიანობასა და მზრუნველ დამოკიდებულებას მეგობრებისადმი. ანდრეი ბელი წერს: „ყურადღების ნამდვილი გამოსატრელება“ იყო, „მის ძალზე კეთილ, მუდამ ოდნავ ნაღვლიან თვალებს ვერაფერს გამოაპარებდი“, ყველაფერს შეამჩნევდა და თავის ადგილს მიუჩენდა, „გონიერების, სიზუსტის, თავაზიანობის გამოსატრელება“ იყო, „სულით ხორცამდე ქართველი და თავით ფეხებამდე ევროპიელი“ (ნ. ტაბიძე, ტიცინი და მისი მეგობრები, 1985 წ. გვ. 59).

ამგვარ ყურადღებასა და მზრუნველობას იგი იჩენდა არა მარტო მეგობრებთან ურთიერთობაში, არამედ სრულიად უცნობ ადამიანებთან დამოკიდებულების დროსაც, რითაც ბევრი ზედმეტადაც კი სარგებლობდა თურმე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა სერგო კლდიაშვილის მოგონება: პაოლო თბილისში ერთხანს ენგელსის ქუჩაზე ცხოვრობდა და ერთი დიდი ოთახი ჰქონია. ეს ის დრო იყო, როცა ძალიან ჭირდა ბინა. თბილისში ჩამოსულები ძნელად თუ ასერხებდნენ თავშესაფრის შოვნას. ასეთ ვითარებაში პაოლოს ბინაში გამოუღვევლად იყვნენ თურმე სტუმრები. პოეტის ოთახის კარები მუდამ ღია ყოფილა. „ქურდი რომ შესულიყო, მოსაპარავად მაინც ვერაფერს იპოვიდა (იმ დროს უცოლო იყო — ა. ნ.). ვინც იმერეთიდან ჩამოდიოდა, უპირველეს ყოვლისა, პაოლოს მიაკითხავდა და თუმც მასპინძელს ვერ ნახულობდა, თავისუფლად იკალათებდა თბილ ოთახში. ხშირად, როცა პაოლო ღამით შინ დაბრუნებულა, დაუნახავს: რამდენიმე კაცს იატაკზე ქვეშსაგები გაუშლია და არხეინად სძინავს. ამას ისე იყო შეჩვეული, რომ ყურადღებას აღარ აქცევდა“ (ს. კლდიაშვილი, თხზ. ტ. III, 1975 წ. გვ. 494).

„ცისფერყანწელთა“ ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობა, ალბათ, ყოვლად წარმოუდგენელია მათი ყოველდღიური ბოჰემური ურთიერთო-

ბებისა და თავგადასავლების გახსენების გარეშე. ამ გაუთავებელი შეხვედრა-საუბრებისა და ღამისთევების მიზანი უბრალო დროსტარება როდი იყო. პაოლოსა და მისი მეგობრების ამდაგვარი ურთიერთობებისა და სჯა-ბაასის შედეგად ქართულ ლიტერატურაში საფუძველი ეყრებოდა ევსიებრივად ახალ ტენდენციებს და პოეტური სიტყვა სასიცოცხლო ენერჯიას იძენდა. ეს იყო გაბედული სწრაფვა ევროპულ ლიტერატურულ სი-ახლეებთან ზიარებისაკენ, თამამი ცდა ქართული ლექსის ახალ შემოქმედვით ასპარეზზე გაყვანისა.

როგორც ითქვა, პ. იაშვილისა და მისი თანამოაზრეების შემოქმედებით ძიებებს საფუძვლად ედო შეუვალი რწმენა იმისა, რომ მათ მიერ არჩეულ გზას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობის განვითარებისათვის, რომ ლიტერატურული ტრადიციების ტყვეობაში მოქცეულმა ლექსმა დიდი ხანია ამოწურა თავისი თავი და ახლა საჭირო იყო ამ დახშული სივრცის გახსნა. საამისო შემოქმედებით იმპულსებს სიმბოლიზმით გატაცების წლებში ისინი, უწინარეს ყოვლისა, ევროპულ მოდერნიზმთან დაახლოებით ესწრაფოდნენ.

ამიტომაც ეჭირა თავიდანვე პაოლოსა და მისი თანამოაზრეების შექმედებით ძიებებში ესოდენ დიდი ადგილი ტრადიციებთან „აგრესიულ“ დამოკიდებულებას. თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ტენდენცია არამც და არამც არ მისულა უკიდურეს ნიჰილიზმამდე და მათი ლიტერატურული მოღვაწეობის საფუძვლის დამდებ პრინციპად ეროვნული ფენომენისა და ევროპული შემოქმედებითი სიახლეების ერთმანეთთან ბუნებრივი შერწყმა-შესისხლხორცების მოთხოვნა იქცა.

უცხოური ლიტერატურული სიახლეებით „ცისფერყანწელთა“ განსაკუთრებული დაინტერესება, როგორც ითქვა, პირველ ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ, პაოლოსა და მისი მეგობრების აზრით, მეოცე საუკუნის დასაწყისის „ქართული ლექსის ფორმა, მისი ჟღერადობა და კულტურა დაკნინებას განიცდიდა და აკაკი წერეთლის მიერ სავსებით ამოწურული ლექსის სტრუქტურა, აკაკისებური ლექსთწყობა გადაიქცა შტამპად, შაბლონად“ (კ. ნადირაძე, რაც ლექსად ვერ ვთქვი, 1984 წ. გვ. 19).

თავდაპირველად ამ შტამპისა და შაბლონის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი მეტისმეტ სითამამესა და „აგრესიულობას“ იჩენდნენ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მათი მაქსიმალიზმი იქამდეც კი მიდიოდა, რომ წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობის განურჩეველ და ხელაღებით უარყოფასაც არ ერიდებოდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ნიჰილიზმი სულ მალე განქარდა და მას რაიმე არსებითი უარყოფითი ზეგავლენა „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაზე არ მოუხდენია.

ცალკე, საგანგებო აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ თავიდანვე, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, პაოლომ აქტიურად იკისრა ქართული კულტურის დესპანის როლი რესპუბლიკის გარეთ, პირველ ყოვლისა კი რუსეთში და მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატებით ზიდა ეს საპატიო ტვირთი. მან მაღალმხატვრულად თარგმნა ქართულად ა. პუშკინის, კ. ბალმონტის, ვლ. მაიაკოვსკის, ი. სევერიანინის, ვ. სოსიურას, ვაგიფის, შ. ბოლდერის, ა. რემბოს, ე. ვერპარნისა და ო. უაილდის ნაწარმოებები; დიდად შეუწყო აგრეთვე ხელი ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების თარგმნას უცხო ენებზე, პირველ რიგში კი რუსულად. მისი უანგარო ზრუნვითა და მეგობრული კონტაქტების წყალობით არაერთი უცხოელი მწერალი დაუახლოვდა საქართველოსა და ქართულ კულტურას.

ამ თვალსაზრისით მრავალი საინტერესო ფაქტის გახსენება შეიძლება კ. ბალმონტთან, ს. ესენინთან, ბ. პასტერნაკთან, ვ. მაიაკოვსკისთან და სხვა გამოჩენილ მწერლებთან მისი ურთიერთობიდან. მოვიგონოთ ერთი მათგანი:

1915 წელს, როგორც ცნობილია, საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელი კონსტანტინე ბალმონტი, რომლის შემოქმედების ცალკეული ნიმუშების თარგმანებს იმხანად უკვე იცნობდა ქართველი მკითხველი. პაოლომ ბალმონტისადმი ინტერესი ჯერ კიდევ „ოქროს ვერძის“ რედაქტორობის პერიოდში გამოიჩინა. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაღრმავდა შემდგომ წლებში, რასაც ნათლად ადასტურებს რუსი პოეტის ლექსების მისეული მშვენიერი თარგმანები.

საქართველოში სტუმრად მყოფი კ. ბალმონტი ქუთაისსაც ეწვია. ეს ფაქტი ფართოდ გახმაურდა იმ პერიოდში. ამას ადასტურებს მაშინდელ პრესაში დასტამბული ინფორმაციები. 1915 წლის 4 ოქტომბერს, როგორც გაზეთი „მეგობარი“ იუწყება (№ 3), პ. იაშვილს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნია რუსი პოეტისათვის: „ძველი ქალაქი ოქროს ვერძის ქვეყნისა აღტაცებით მოგესალმება და მოუთმენლად მოგელის შენ, მზის, სიჭაბუკისა და ნეტარი ოცნების შუქმოსილო მარადო მომღერალო“.

გაზეთის 7 ოქტომბრის ნომერი კი იუწყება, რომ ბალმონტი უკვე ჩამოსულია ქუთაისში და მას პ. იაშვილი ჰყავს უპირველეს მასპინძლად: „კ. ბალმონტი იაშვილისა და რამდენიმე პირის თანხლებით გუშინ დადიოდა ქალაქში და მის განაპირებში ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად“. ქალაქის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ აღფრთოვანებული შეხვედრები მოუწყო რუს პოეტს. პ. იაშვილი ამ შეხვედრების აქტიური მონაწილე იყო.

როგორც ცნობილია, „ცისფერყანწელები“ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ დაკავშირებულნი გრიგოლ რობაქიძესთან, რომელიც მათი უფროსი მეგობარი, თეორეტიკოსი და ლიტერატურული მასწავლებელი იყო. ეს თაყვანისცემა ნათლად ვლინდება ყოველი მათგანის შემოქმედებაში. ამისი დამადასტურებელი მასალა უხვად გვხვდება „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებასა და იმდროინდელ პრესაში. ქართველი სიმბოლისტები ხშირად უძღვნიან ხოლმე თავიანთ უფროს მეგობარს ლექსებს, სიყვარულით აანალიზებენ და ხოტბას ასხამენ მის ნაწარმოებებს, უდიდესი მოკრძალებით ეკიდებიან სახელოვანი მწერლის ლიტერატურულ ავტორიტეტს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა პაოლოს შემოქმედებაც. ნათქვამის დასტურად მკითხველს შევახსენებ რამდენიმე საგულისხმო ფაქტს. 1922 წლის 22 იანვარს, გაზეთ „ბარრიკადში“ გამოქვეყნებულ წერილში „ყანწელები 1921 წელში“ პ. იაშვილმა დიდი ადგილი დაუთმო გრ. რობაქიძესაც. პაოლო ჩამოთვლის ათი „ყანწელის“ გვარს და მათ შორის, პირველ რიგში, გრიგოლს მოიხსენიებს.

გრ. რობაქიძისადმი პ. იაშვილის დამოკიდებულების შესაცნობად კიდევ უფრო საინტერესოა გრიგოლისადმი მიძღვნილი პაოლოს ლექსიც, რომელიც გაზეთ „რუბიკონშია“ (1923 წ. 18 თებერვალი) დაბეჭდილი:

ჩვენ, როცა გაეჩნდით შეადლის საქებათ
ჩამოყვდენ მზიდან სვეტები,
ხვატი, მდულარე პაპანაქება,
ტვინს გვიდუღებდა ოქროს წვეთებით.
კიდევ გვაბრმავებს — ზეცის განგებით
ჩამონგრეული მადნის წყალობა!..
მე ტან-ანთებულ ფარშავანგებით,
მოგართვი შეადლის კარდინალობა.
ატეხილია მიწა ზვიადი,
კენტავრის სირბილს — „ლილეს“ აყოლებ.
ატარებ როგორც ალკივიადი
ცხელ, გახურებულ დერიდახოლებს,
სკრი ლექსებს, მაგარს რკინის ლვედებით,
და გვაბარბაცებ სიტყვის შანთებით;
საქართველო კი გვიმედება
ირრუბაქიძის გადანათებით.

საპასუხო ყურადღებასა და პატივისცემას პაოლოსა და მისი ჯგუფის წევრებისადმი თავის მხრივ, უშურველად იჩენდა გრიგოლ რობაქიძეც. ამაზე ნათლად მეტყველებს, მაგალითად, პ. იაშვილისადმი მიძღვნილი მისი სონეტი (გაზ. „საქართველო“, 1919 წ. 2 მარტი), რომელშიც ზეგობარი პოეტის პიროვნული ხასიათისა და შემოქმედების არაერთი საგულისხმო შტრიხია წარმოჩენილი: პოეტური სიტყვის ჯადოქრული ძალა და ვნებიანობა, თავადური სილადე და რაინდული სიგოროზე, უცნაურობა და თვითდაჯერებულობა... საგანგებოდ ესმება აგრეთვე ხაზი პაოლოს „აგრესიულ“ დამოკიდებულებას ძველი პოეტური კერპებისადმი, მისი ლექსის სითამამესა და სიფიცხეს:

ჯადოქარობით ეზიარე ვრანელ დავრიშს,
სავენებო ცეცხლით შეიზარდე მზის თაყვანება,
კაფეს ხმაურში გამოსკერი ლალი ზმანება.
ნათელი ლექსი უთავაზე პარიზს და თავრიზს.
გიყვარს ტოლობა თავადობა ამაყი მთვარის.
თან გეხამება ჯამბაზური შენ გაქანება,
ხარ უცნაური, ქედმაღალი, ურჩი, თავნება,
გმვენის ყივილი და ნავარდი დაქრილ კენტავრის.

პოეზიაში შემოიქერ როგორც ბანდიტი,
ერთი შეძახით შეარყიე მრავალი ტახტი.
უდარლო ხელით მოაბნე თვალმარგალიტი.
შორს გადისროლე მოულვარე მაგარი ლახტი,
მხოლოდ სიმთვრალე შაირისა გულით დაინდე.
მოწითურ რაშსა მიაქანებ თეთრი რაინდი.

ახლა მოკლედ გ. ლეონიძისა და პ. იაშვილის ურთიერთობის შესახებ.

როგორც ცნობილია, გოგლამ პაოლოს „ნაღმიანი სიტყვის პოეტი“ უწოდა, „გაბედული მხატვარი, ვაჟკაცური ხმის პატრონი, პატრიოტი, დაუდგრომელი, ლალი, გულითადი, მეგობრობაშიც გულუხვი, ოპტიმისტი, სიცოცხლის სტიქიით სავსე, ამხანაგებისთვისაც და სხვებისთვისაც „გაჭირვების ტალკვესი“, ახოვანი, შევეგრემანი, ბრინჯაოსავით ჩამოსხმული, რიხიანი, ალერსიანი ადამიანი, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე, სიხარული, სამშობლო, ბავშვები... იგი იყო ქართული პოეზიის განმადიდებელი ახალი მეტრებით, სმენით შეყვარებული რითმაზე, ფაქიზი ისტატი“ („ლიტერატურული საქართველო“, 1964 წ. 12 ივნისი).

ამ სიტყვებში ზედმიწევნითი სიზუსტითაა შეფასებული პ. იაშვილის პოეტური ბუნება, მისი ღვაწლი ქართულ პოეზიაში. პაოლოს პოეტური სტიქიისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა არსებითი ნიშანთვისება გოგლამ მისთვის ჩვეული სიტყვიერი სინოყვირით გამოხატა, რითაც კიდევ უფრო მეტი შთამბეჭდაობა და სინათლე შესძინა ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრებული პოეტის შემოქმედებით პორტრეტს.

პაოლოსადმი, მისი პოეზიისადმი ამდაგვარ სიყვარულსა და თავჯანისცემას კიდევ უფრო განამტკიცებდა ის მეგობრული სიახლოვე, რომელიც არსებობდა გოგლასა და პაოლოს შორის. ამ სიახლოვის დამადასტურებელია თუნდაც, ის ფაქტიც, რომ გ. ლეონიძის ქორწილში 1921 წელს, პაოლო მეჯვარე ყოფილა. „და არა მარტო მაშინ, — შენიშნავს იქვე ამასთან დაკავშირებით გოგლა, — ის მეთაური იყო ჩვენი მეგობრობისა, სიყვარულისა, პოეზიისა“.

პაოლოსა და გოგლას ბევრი რამ აკავშირებდათ ერთმანეთთან შემოქმედებითადაც და პიროვნულადაც. ამ სიახლოვეს ადვილად იგრძნობს მათი შემოქმედების მკითხველი. საამისო საფუძველს ქმნის მათ პოეზიაში

მძლავრად გამოვლენილი სიმშვიდის ნაპირებს გადამცდარი პოეტური ტემპერამენტი, სიტყვიერი სინოყიერე, გრძნობებმოუთოკველი ემოციურობა, სიცოცხლის ხალისი და სიხარული, მიწის ბარაქა და ფერების სიუხვე, მოულოდნელი და ელვარე პოეტური სახეებით ლექსების „დანადგვა“...

პოეტურ ბუნებათა დამაახლოებელ ამ ნიშან-თვისებებს კიდევ უფრო განამტკიცებდა პაოლოსა და გოგლას მეგობრული ერთობა, ერთ ლიტერატურულ ჯგუფში ყოფნა, ხშირი ურთიერთშეხვედრები და რომანტიკული თავგადასავლები... რამდენიმე ასეთი ბიოგრაფიული ეპიზოდი მათ ლექსებშიც აღიბეჭდა და სამუდამოდ შემორჩა ჩვენს პოეზიას. ამისი ბრწყინვალე დადასტურებაა გ. ლეონიძის ლექსი „ნინოწმინდის დამე“, რომელსაც საინტერესო შემოქმედებითი ისტორია აქვს.

კერძოდ, გ. ლეონიძე იგონებს: 1926 წელს, 26 მარტს, მისი სულიერი ძმები — ტიცციანი და სანდრო შანშიაშვილი გოგლას მის დედულში — ნინოწმინდაში მიუპატიჟებია. აქ, მე-5 საუკუნეში აგებული ტაძრის ეზოში, მეგობრებს დიდი ნადიმი გაუმართავთ. შუა ქეიფის დროს პაოლო ავარდნილა ტაძრის სამრეკლოზე და იქედან დაუწყია ლექსების კითხვა. შემდეგ მას ტიცციანიცა და გოგლაც აჰყოლიან. ეს იყო პაოლოს საოცარი რეჟისურა, რომელიც განუმეორებელ სურათს ქმნიდაო, — აღნიშნავს გ. ლეონიძე. სწორედ ამ სადამოს შთაბეჭდილებანია ასახული „ნინოწმინდის დამეში“.

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...
გალავანში — ჯამი აქაფებულო;
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ — ვეფხვი დაქალაბულო...
საზანდარმა დამე ,ააცახცახა.
აუთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა — ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...
ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარაჟი

ასეთი იყო პაოლო, არტისტული ბუნებისა და ბავშვური გულუბრყვილობის კაცი, გულით მიმღობი, მეოცნებე და მიაშიტი. ამ რომანტიკ-

კულ თავგადასავლებში განფენილია მისი სული, შთამბეჭდავი ფორმითაა გამოვლენილი მისი პიროვნული ხასიათისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშან-თვისებანი.

პაოლო და გოგლა პირველად 1917 წელს შეხვედრიან ერთმანეთს, იმ დროს, როცა უკვე გამოსული იყო „ცისფერი ყანწების“ ორივე ნომერი. იმხანად გ. ლეონიძესაც გამოცემული ჰქონდა ლიტერატურული ალმანახი „საფირონი“. მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთმანეთთან მანამდე პირადი ურთიერთობა არ ჰქონიათ, საერთო ლიტერატურული ინტერესების საფუძველზე იმთავითვე დამეგობრდნენ და ეს მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გააყვათ.

ამ უღალატო მეგობრობის უღელს სისხლიანმა ბედისწერამ ნაადრევად გამოსხნა პაოლო. გოგლა კი შემორჩა და ცალად სწია ცრემლითა და ნაღველით დამძიმებული მეგობრობის წმინდა ჭაპანი. თუმცა პაოლო გამონაკლისი არ ყოფილა. სიჭაბუკის მეგობრებისადმი ეს სიყვარული, როგორც გულში ღრმად ჩამარხული და ჩაკირული ტკივილი, მთელი ცხოვრების მანძილზე ატარა გ. ლეონიძემ. და მან განსაკუთრებული ძალით გამოჟონა სიცოცხლის მიმწუხრის ჟამს დაწერილ მის ლექსებში. ამისი ნათელი დადასტურებაა, თუნდაც ეს ცრემლიანი სტრიქონებიც:

უძოზე ისევ მღერის ბუღბუღო,
ისევ მაისის ჩახჩახებს ლამე,
თქვენ კი სადა ხართ გადაბუგულნი,
გადაფერულინი, — ძმებო, ხმა გამეთ.
თქვენმა წამებამ გული დასერა
და უთქვენობა ვით არ შეძნელოს.
თუ ლვინომ ყანწი ვერ გაასველა,
ცრემლით ავაესებ თქვენს საღმეგრძელოს.
ნეტავ რა გქონდათ შესანდობარი
და რით ვაწვეთებ მე პურზე ლვინოს?
ჰეი, ტიცოან, სად ხარ მღუშარი,
ჰეი, პაოლო, რად ხარ უღვინოდ...

სიმბოლიზმით გატაცების წლებში, როგორც ითქვა; პაოლოს ესთეტიკურ ნააზრევში თავი იჩინა წარსულისადმი ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ. მაგრამ ეს ნიჰილიზმი, გარდასულ საუკუნეთა კულტურული მემკვიდრეობისადმი „დინამიტებით“ ამგვარი მიდგომა რომ მისი ბუნებიდან არ მომდინარეობდა და ე. წ. „მოდური“ მისწრაფების ნაყოფი

იყო, ამის დასტურად გ. ლეონიძის მიერ მოწოდებული ასეთი ფაქტიც გამოდგება: საბას საფლავის პოვნით დაინტერესებულ გოგლას მოსკოვში მიმავალი პაოლოსთვის უთხოვია, იქაურ ქართულ ტაძარში, ვსესვიატსკოეში, შეიარე და იქნებ დიდი წინაპრის დაკარგული სამარე მოიძიო. ამასთან დაკავშირებით პაოლო მოსკოვიდან გოგლას წერდა: „გწერთ ვსესვიატსკოეს ეკლესიიდან, მე, თამარა და შალვა აფხაიძე. ყველაფერი მოვიარე, რა თქმა უნდა, საბას ძეგლი (საფლავი — გ. ლ.) აღმოჩენილი არ არის და როგორც სჩანს, არასოდეს აღმოჩნდება. 1905 წელში მრწა ამოუთხრიათ, ბევრი ჩონჩხი უნახავთ და მათ შორის უსათუოდ საბაც იყო. არქივი არ არის... მღვდელი ბოგოსლავსკი ამბობს — ბევრი ზომები მივიღე, მაგრამ ვერაფერი ვნახეო“ („ლიტ. საქართველო“, 1964 წ. 12 ივნისი).

ეს ინტერესი, რაზეც შ. აფხაიძეც წერს ერთგან, მარტო მეგობრული დავალების შესრულების სურვილით როდი იყო განპირობებული. იგი, პირველ ყოვლისა, იმ დიდი შინაგანი პატივისცემისა და მოწიწების შედეგია, რითაც პაოლო ჩვენი დიდი წინაპრისადმი, მათ შორის, საბასადმიც იყო განწყობილი. ასე რომ, წარსულის კულტურულ მემკვიდრეობასთან პოეტის დამოკიდებულებაზე როცა ვსაუბრობთ, ამ მსჯელობისთვის უპირველესი საფუძველი სწორედ ამგვარი ფაქტები უნდა გახდეს და არა მის ზოგიერთ წერილში სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით გამოთქმული ნიჰილისტური შეხედულებანი.

ქართული თეატრის მოამბა

პაოლო იაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის დახასიათების დროს მოკლედ უნდა შევეხოთ თეატრთან მის დამოკიდებულებასაც. პოეტს ახლო მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ქართული თეატრალური ხელოვნების ისეთ აღიარებულ ოსტატებთან, როგორებიც კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი იყვნენ. იგი უშუალო თვითმხილველი და თანამონაწილე ყოფილა იმ შემოქმედებითი ჭიდილისა, რაც 20-იან წლებში მიმდინარეობდა ჩვენში

ქართული თეატრის განსავითარებლად. ამ მძაფრი ურთიერთდაპირისპირებისა და შეხედულებათა შეჯახების დროს პაოლო მტკიცედ უჭერდა მხარს ეროვნული ფენომენის განმტკიცებასა და გაძლიერებას თეატრალურ ელოვენებაში.

მან აქტიური როლი შეასრულა ქართულ თეატრში მარჯანიშვილის მოსაწვევად. „განათლების სახალხო კომისარიატის მთავარი სახელოვნო კომიტეტის საგანგებო სხდომაზე, 1922 წლის 11 სექტემბერს, პოეტს საკმაოდ ვრცელი და დასაბუთებული სიტყვა წარმოუთქვამს ამ საკითხზე. ს:მწუხაროდ ამ სიტყვამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, მისი შინაარსი მხოლოდ თათბირის დამსწრეთა მოგონებების მეშვეობით იქნა აღდგენილი“ (შ. მაჭავარიანი, პაოლო იაშვილის ერთი უცნობი წერილი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1964 წ. № 12, გვ. 13).

ცნობილია აგრეთვე ის აღფრთოვანებაც, რომელიც პაოლოს გამოუხატავს 1922 წლის ნოემბერში მარჯანიშვილის მიერ დადგმული „ცხვრის წყაროს“ პრემიერაზე.

შალვა აფხაიძე იგონებს: „პიტნავას პატარა დუქანი (ახლანდელი ნატა ვაჩნაძის ქუჩაზე) იყო მაშინ ჩვენი შეხვედრების ადგილი. ამ დუქანის ხშირი სტუმარი ვიყავით როგორც ჩვენ, ისე მსახიობები, კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი და სუმბათაშვილი-იუჟინიც კი, როცა თბილისს ეწვია. აქ სუფრაზე შლიდა და აწყობდა დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი თავის მომავალი დადგმების გეგმებს, სთხოვდა მწერლებს პრესებს — ორიგინალურს, ვინაიდანო, ამბობდა, ეროვნული რეპერტუარის გარეშე ნაციონალური თეატრი არ შეიქმნებაო“ (შ. აფხაიძე, ადამიანები და წიგნები, 1964 წ. გვ. 89).

მაგრამ მოხდა ისე, რომ პაოლოსა და კოტეს შორის ეს თბილი ურთიერთობა თანდათანობით გაცივებულა, თუმცა პოეტი ბოლომდე დარჩა მარჯანიშვილის თავყვანისმცემლად. დიდი რეჟისორისადმი მისი ამდგვარი დამოკიდებულება — ერთის მხრივ, მოკრძალება და პატივისცემა მარჯანიშვილის ტალანტისადმი, მეორეს მხრივ კი რაღაც ფარული მსუბუქი წყენა, რასაც პაოლოს გულში ოდნავადაც კი არ მიუყენებია ჩრდილი გამოჩენილი ხელოვანის სახელისადმი — იგრძნობა 1934 წელს და-

წერილ მისადმი მიძღვნილ ლექსში. მასში საუბარია იმ სიხარულზე, რომელიც პაოლოს განუცდია მოსკოვში დიდ რეჟისორთან უეცარი შეხვედრის შედეგად. ამ სიხარულს მთლიანად დაუჩრდილავს და გაუქარწყლებია ის „დამღალავი ჭორები“, რამაც ერთგვარად გააცვივა მათი ადრინდელი გულითადი მეგობრული დამოკიდებულება. აი, ეს ლექსიც — „შეხვედრა მოსკოვში“.

როცა ცხენები, ყინვის მკვესავი,
მიჰქროდნენ თოვლზე მკერდბმშილილი,
უეცრად შემხვდა ლამის მზესავით
ნამდვილი კოტე მარჯანიშვილი.

საყვედურისთვის არ იყო მოცლა,
არა ვეგონებდით დამალავ ჭორებს,
და ქართულურმა მხურვალე კოცნამ
გადაგვაკიდა ერთიმეორეს.

კოტე მარჯანიშვილსა და პაოლოს შორის არსებული უთანხმოება ქართული თეატრის განვითარების სამომავლო გზებზე შეხედულებათა განსხვავებულობითაც იყო განპირობებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1927 წლის 3 იანვარს პ. იაშვილის მიერ ს. ახმეტელისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც წერია: „წელს „დურუჯის“ კორპორაციაში მოხდა მნიშვნელოვანი და სამწუხარო ამბავი: კოტე მარჯანიშვილის და რამდენიმე კორპორანტის ჩამოცილება. ეს ამბავი ჩვენთვის მარჯნებელი იყო „დურუჯის“ ნაწილობრივი კრიზისის. კონფლიქტმა გამოიწვია სიხარული თქვენს მოწინააღმდეგეთა შორის. ჩვენ არ ვიყავით მონაწილენი ამ სიხარულისა. ყველა ჩვენთაგანი მომხრე იყო „ზავის“. მიუხედავად იმისა, რომ კოტე მარჯანიშვილის ჩემდამი დამოკიდებულება საკმაოდ გულცივია და ჩემი ფიქრით, თავიდანვე იყო ასეთი, მე მაინც მიმაჩნია მარჯანიშვილი ჩემი გონებით დიდ ხელოვანათ“ (იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1964 წ. № 12. შალვა მაჭავარიანის პუბლიკაცია).

ამ ბარათიდან, როგორც ვხედავთ, აშკარად ჩანს, როგორი მაღალი აზრისაც ყოფილა პაოლო მარჯანიშვილზე. მიუხედავად მათ შორის არსებული უთანხმოებისა და წინააღმდეგობებისა, იგი გულწრფელად წუხს დიდი რეჟისორის განდგომის გამო, რასაც ქართული თეატრისათვის უმნიშვნელოვანეს დანაკლისად მიიჩნევს. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ,

პაოლოს აზრით, კორპორაცია - დურუჯის“ მიერ არჩეული თეატრალური გზა ეს არის „ახალი ქართული ხელოვნების დიდი საქმე“, რომლის როლსა და მასშტაბებს იგი „ცისფერყანწელების“ ლიტერატურულ ღვაწლს უდარებს.

ამ „დიდი საქმის“ დასუსტებად და ძალების დაქსაქსვად თვლის პაოლო იმ კონფლიქტს, რომელიც კ. მარჯანიშვილსა და „დურუჯელებს“ შორის მოხდა. „მე აგრეთვე ვფიქრობ, — განაგრძობს პოეტი ახმეტელი-სადმი მიწერილ ბარათში, — რომ ის (კ. მარჯანიშვილი — ა. ნ.) ჯერ კიდევ საჭირო იყო თქვენი თეატრისთვისაც, და რაც უფრო საგულისხმოა, თქვენ ყველა იყავით საჭირო მარჯანიშვილისათვის. ამ კონფლიქტში მე არ მეშინია თქვენი ბედის. მე მაწუხებს მარჯანიშვილის მარტოობა“.

პაოლოს წუხილს უფრო აძლიერებდა წინასწარმეტყველება და მოლოდინი იმისა, რომ თუ შეთანხმება ვერ მოხერხდებოდა, მარჯანიშვილი იძულებული გახდებოდა დაეტოვებინა საქართველო, რაც აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა ეროვნული თეატრისათვის. „გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება დამშვიდებით შევეურიგდეთ ამ სამწუხარო შედეგს კონფლიქტისას?“ — კითხულობდა იგი და თავგამოდებით ეძებდა წინააღმდეგობის დასაძლევ გზას.

პაოლოს განსაკუთრებით აწუხებდა ის ფაქტი, რომ „მხატვრულ უთანხმოებაზე“ მეტად ამ საქმეში ჩარეული იყო „მდაბალი ადამიანური მიზეზები“ და რომ „საჭირო იყო მათი გადალახვა“. მის მიზანს არ შეადგენდა ამ წვრილმანი ამბების ქექვა და მტყუან-მართლის რკვევა. „მე არ ვეძებ, ვისი ბრალი მეტია. ამას მნიშვნელობა არა აქვსო“, — აღნიშნავდა ის, რადგანაც ღრმად სწამდა, რომ ამგვარი პიროვნული კინკლაობით ქართული თეატრის საქმე ზიანდებოდა.

სამწუხაროდ, ამაო გამოდგა პ. იაშვილის ცდა. დაპირისპირებულ მხარეთა დაზავება არ მოხერხდა და ქართული თეატრი შუაზე გაითიშა. ორი დიდი რეჟისორის — მარჯანიშვილისა და ახმეტელის კონფლიქტმა არც მწერლები დატოვა გულგრილნი. — როცა ზავის დამყარება არ მოხერხდა, — წერს შ. აფხაიძე, — ისინი (პაოლო და ტიცოანი — ა. ნ.)

უფრო ახმეტელს ამოუდგნენ მხარში... პაოლოს, ტიცინანსა და ყველა ცისფერყანწელს კოტეს სიყვარულში ვერავინ შეედავებოდა. პირიქით, ესენი ედგნენ კოტეს მხარში, როცა მის (კოტეს) წინააღმდეგ საზოგადოების ერთმა ნაწილმა გაილაშქრა“ (შ. აფხაიძე, დასახ. წიგნი, გვ. 93). მაგრამ ამჟერად, როცა დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება ვერ მოხერხდა, ისინი ახმეტელის პრინციპებს მიემხრნენ, რადგანაც თვლიდნენ, რომ ეროვნული თეატრის სახვალთო განვითარებისათვის იმ ეტაპზე მის მიერ არჩეული გზა უფრო სწორი და პერსპექტიული იყო.

რკინის ლაგამი

პაოლო იაშვილის, საერთოდ, მთელი ჩვენი მწერლობის წინაშე ახალმა დამთრგუნველმა წინააღმდეგობებმა იჩინეს თავი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე. ეს წინააღმდეგობანი დღითი დღე მწვაავდებოდა, ძლიერდებოდა და იდეოლოგიური დიქტატურის მარწუხებში აქცევდა ყოველგვარ თავისუფლებას. გაჩნდა ახალ-ახალი ზრალდებანი, რომელთაც უფრო და უფრო ხშირად იყენებდნენ პროლეტარული იდეოლოგიის მოწინააღმდეგეთა სამხილებლად და ჭკუის სასწავლად: ხალხის მტერი, მოლაღატე, აგენტი, ჯაშუში, ნაციონალისტი, ფაშისტები... ვინ მოთვლის, რამდენი ჭემმარტი მამულიშვილისათვის მიუკერებიათ 20-30-იან წლებში ამდაგვარი იარლიყი!

პარტია და ხელისუფლება არაორაზროვნად აფრთხილებდა და ემუქრებოდა: ურჩ მწერლებს, თუ ისინი ჭკუას არ ისწავლიდნენ და საბჭოთა ეპოქის სამსახურში არ ჩადგებოდნენ, ყველანაირად შეეცდებოდნენ მათ ჩაწოშორებას გზიდან. სწორედ ასეთ მკაცრ გაფრთხილებას წარმოადგენს 1924 წლის 5 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებიდან სერგო ორჯონიკიძის მიერ გაკეთებული ამდაგვარი განცხადება: „ქართული ინტელიგენციის ნაწილი განზე დგას, გაბუტულია. ჩვენი ინტელიგენცია თავის ბუტიაობას ეროვნულ ქურქში ახვევს, მაგრამ ეს გარეგნული სამოსელია. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. ან მტრობა, ან მოყვრობა. რა თქმა უნდა, მტერს მტრულად მოვეპყრობით, მოყვარეს მოყვრულად“.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რა დროს კეთდებოდა ამგვარი მკაცრი განცხადება. ეს ის დროა, როცა 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სისხლით უკვე მორწყულია მთელი საქართველო. ციხეები სავსეა „ნაციონალისტები“ ქართველებითა და „ხელისუფლების მტრებით“. მათი დიდი ნაწილი სწორედ ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, „ეროვნულ ქუოქში“ გახვეულნი და ახალ დროზე „გაბუტულნი“. მთავრობა ძალისხმევას არ იშურებდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასე დგება ჩვენი ინტელიგენცია მკაცრი ალტერნატივის წინაშე: ან იქით, ან აქით! ამ არჩევანის დროს ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში დარჩენა რისი მომტანიც იქნებოდა სისხლიანი რეპრესიების არნახული აღზევების ამ საწყის ეტაპზევე, ამისი განსჯა და დანახვა არ იყო ჰს; ლი. ამაში დასარწმუნებელი არგუმენტების საძიებლად პაოლოს შორს წასვლა არც ჭირდებოდა. 1924 წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა უშუალოდ მის ოჯახსაც დასცა თავზარი. კერძოდ, პოეტის ძმა, 22 წლის ვასილი, სწორედ ამ წლის სახალხო აჯანყებაში მონაწილეობის გამო დახვრიტეს ვინდალურად შორაპანში.

ქვეყანაში შექმნილმა ასეთმა უმძიმესმა მდგომარეობამ, სავსებით ბუნებრივად, ბევრი პიროვნება დააფიქრა, შეაკრთო და უკანაც დაახევინა. მრავალი მამულიშვილი გახდა იძულებული, გაეთვალისწინებინა შექმნილი ვითარების კატასტროფულობა და რადგანაც იმხანად სხვა გზა, სხვა გამოსავალი არ არსებობდა, ეპოქის სამსახურში ჩამდგარიყო.

ეს ყველაფერი აქ იმიტომ გავიხსენე, რომ ამ მოვლენებმა წარუშლელი დაღი დაასვეს პ. იაშვილის ცხოვრებასაც და შემოქმედებასაც.

უმთავრესი ბრალდებანი, რომელთაც პაოლოს, საერთოდ, „ცისფერ-ყანწელებს“, უყენებდნენ ახალი იდეოლოგიის მიმდევარნი, მათი სიმბოლისტური წარსული და ხალხის ინტერესებისაგან განხე დგომა იყო. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს აკრიტიკებდნენ მშრომელთა ინტერესებისადმი გულგრილობის გამო, გმობდნენ მათ „უიდეო, დეკადენტურ, ცხოვრებას მოწყვეტილ, ავადმყოფურ“ შემოქმედებას, რომელშიც ვერაფერს ხედავდნენ სასარგებლოსა და მისაღებს, მშრომელთა მისწრაფებებს თუნდაც რალაციით მაინც რომ გამოადგებოდა. ამგვარი ბრალდებანი წაუყენა, მა-

გალიოად, „ყანწელებს“ ისეთი დახვეწილი გემოვნების კრიტიკოსმაც კი, როგორც ივანე გომართელი იყო. „სიმბოლისტიების პოეზია, — წერდა ის ჟურნალ „ცისარტყელაში“ 1921 წელს (№ 14, გვ. 79), — თავისი შინაარსით გამოხატავს ბურჟუაზიის სულისკვეთებას და რეაქციონურია: ქართული მუშათა კლასი მას ვერ მიიღებს და არ მიიღებს“.

ხოლო ვასილ წერეთლის შეფასებით, „ცისფერყანწელთა“ ლექსებს ახსიათეპს აზრის, იდეის არარაობა... უცნაური თავის ქება, განდიდების მანია“. მათი ლექსები „გაუგებარი სიტყვების ხროვაა“ (ჟურნ. „უქიმე-რიონი“, 1922 წ. № 2).

„ყანწელებს“ ბრალს დებდნენ აგრეთვე ფორმალიზმში, თვითმიზნუ-რობაში, სიტყვიერ ჯამბაზობაში, ცხოვრებიდან განდგომაში, უიდეობასა და მსგავს „იდეოლოგიურ დანაშაულობებში“.

მაგალითად, 1923 წელს ჟურნალ „კოლხეთის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ზემოთ უკვე მოხსენიებული კრიტიკოსის — ვასილ წერეთ-ლის წერილი „ძველი და ახალი“, რომელშიც მკვეთრად გამოვლენილი ტენდენციურობითაა შეფასებული „ცისფერყანწელთა“ შემოქმედება. წე-რილის ავტორი ქართული მწერლობის ამ ახალ ნაკადში ვერავითარ და-ღებით მომენტს ვერ ხედავს და გამოაქვს სავალალო განზოგადებული დასკვნა იმის შესახებ, რომ „ქართული ლიტერატურა დაქვეითდა, აღარ არის აღმაფრენა, აღარც აზრის მუშაობა, აღარც ვნებათა ღელვა, არც ფართო გონებრივი თვალთახედვა, არც იდეალი. არის მხოლოდ ბუნდო-ვანება, გაუგებრობა, სიტყვიერი ჯამბაზობა, უშინაარსობა“ (გვ. 47).

ამ სავალალო დასკვნის გაკეთებამდე კრიტიკოსი მიდის იმ პერიო-დის ქართულ მწერლობაში დამკვიდრებულ სიახლეთა განსჯა-შეფასების შედეგად. ამ სიახლეთაგან მისი განსაკუთრებული გულისწყრომის საგნად „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაა ქცეული, უპირველეს ყოვლისა კი ტ. ტაბიძისა და პ. იაშვილის პოეზია. „ტიციან ტაბიძის ლექსი — „ღვდე-ლი და მალარია“, — ვ. წერეთლის შეფასებით, — ნამდვილი ბოდვაა, იდეათა ასოციაციის უცნაური არევაა...“

შეუძლებელია გაიგოს კაცმა აგრეთვე პაოლო იაშვილის ლექსის — „ალი არსენიშვილის“ — შინაარსი. აქაც იმგვარივე არევაა იდეათა

ასოციაციის, როგორც ტიცინან ტაბიძის ლექსშია“ (გვ. 51). გასაკრიტიკებლად შერჩეული ეს ლექსები კრიტიკოსს ჟურნალ „შვილდოსნიდან“ (1920 წ.) აქვს აღებული.

ვ. წერეთლის წერილის კრიტიკული პათოსი იმ კრიტიკოსთა სულისკვეთების გაგრძელება და გამოხატულებაა, რომლებიც „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში მხოლოდ ნაკლსა და თვითმიზნურ, უაზრო ძიებებს ხედავენ.

ასეთივე აზრისაა სიმბოლისტების შემოქმედებაზე ის. მანწყავაც. მისი შეხედულებით, სიმბოლიზში ესაა „არა რენესანსის, არამედ დეკადანსის, დაცემის ხანა“ პოეზიაში (ჟურნ. რიჟრაჟი“, 1921 წ. № 1, გვ. 13).

სიმბოლიზმისადმი, საერთოდ, ე. წ. მოდერნისტული ლიტერატურული მიმდინარეობებისადმი, ამდაგვარი უარყოფითი დამოკიდებულება პროლეტარული იდეოლოგიის აღზევების ხანაში კიდევ უფრო გამკაცრდა და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების განვითარების შემბოჭველ ძალად იქცა.

„ცისფერყანწელთა“ ბევრი კრიტიკოსი ამ შემთხვევაში მხოლოდ გარეგნულ მხარეს ხედავდა და სიღრმისეულად ვერ აფასებდა მათ მიერ მოტანილ და დამკვიდრებულ ლიტერატურულ სიახლეებს. მათთვის ისინი მხოლოდ უცნაური პოეტური სიახლეებისადმი ბრმად და მონურად ქედმოდრეკილი პოეტები იყვნენ, რომლებიც თავიანთი „მანიფესტებითა“ და „პერმანენტული კონფერენციებით“ ომს უცხადებდნენ მთელ მკითხველ საზოგადოებას და „ძველ“ პოეზიას. ის კი ავიწყლებათ, რომ „პოეზიის სამყაროში მარტოდენ „მანიფესტებითა“ და ძველის უარყოფით შეუძლებელია ადგილის მოპოვება“, — ბრუტუსის ამ სიტყვებში („ალიონი“, 1922 წ. № 1, გვ. 52) ნათლადაა გაცხადებული „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებისადმი კრიტიკულად განწყობილი ლიტერატურული საზოგადოებრიობის თვალსაზრისი.

კრიტიკის საგნად იყო ქცეული მათი არა მარტო შემოქმედებითი ნააზრევი, არამედ „სახელთა უცნაურობაც“: ტიცინანი, კოლაუ, პაოლო და სხვა. „რა ბრმა წაბაძვაა აქაც! — აღშფოთებით წერდა იგივე ავტორი, —

ძველია, თარგმნილია ყველაფერი ეს. ასეთი სულიერი მონობა ჩვენი „სიმბოლისტიების“ მოუშწიფებლობის ნაყოფია მხოლოდ“.

პროლეტარული კრიტიკოსების მიერ პაოლოსადმი წაყენებული ბევრი ბრალდება თავისი შიშველი „იდეურობითა“ და მკვეთრად გამოსატყულებელი რევოლუციურ-სოციალური შინაარსით დღეს მწარე გულსტიკივილს იწვევს მკითხველში. საძებარი არაა იმისი მაგალითები, როცა პოეტის სწორედ ის ლექსებია ქცეული კრიტიკული განსჯის ობიექტად, რომლებიც ყველაზე სრულყოფილად ავლენენ ავტორის შემოქმედებით შესაძლებლობებს. ნათქვამის დასტურად მოვიშველიებ ერთ ასეთ კონკრეტულ ფაქტს:

ბ. ბუაჩიძემ მკაცრად გააკრიტიკა პ. იაშვილის ლექსი „თბილისი“ (იხ ჟურნ. „დინამიტი“, 1924 წ.) იმის გამო, რომ პოეტების „დიდი სატახტოსადმი“ მიძღვნილ ამ ლექსში ავტორმა მთლიანად აუარა გვერდი „მკერდ მიჟანგული“ რევოლუციური მუშათა კლასის ინტერესების გამოსატყვას. და ეს, მისი აზრით, ხდება იმიტომ, რომ „პოეტი უცხო წრისაა“. ის რომ პროლეტარული წრის წარმომადგენელი ყოფილიყო, მაშინ სულ სხვა ვითარებასთან გვექნებოდა საქმე. კერძოდ, მის „მზერას ქალაქში პირველად მოიტაცებდა „მკერდ მიჟანგულ“ კუნთ მაგარ მუშათა რიგი და ამ რევოლუციის ბუდეში ლექსები კი არ უნდა დაეწყოს, არამედ როგორც მაშხალამ, აფეთქების მაგვარობით უნდა დასეროს ჩამოწოლილი ნისლი“.

სამწუხაროდ, მსგავსი „კრიტიკული“ მსჯელობის მაგალითები საძებარი არ არის 20—30-იანი წლების ჩვენს ლიტერატურაში. მათ კრიტიკულ პათოსსა და სულისკვეთებას მთლიანად განსაზღვრავს საბჭოთა ეპოქის იდეოლოგიზებული პოლიტიკა.

რაც დრო გადიოდა, „ცისფერყანწელთა“, საერთოდ, ყველა ე. წ. რ.პოზიციონერი მწერლის წინააღმდეგ ბრძოლას უფრო ორგანიზებული ხასიათი ეძლეოდა. 30-იანი წლების პრესისა და საარქივო დოკუმენტების გაცნობა ნათლად გვარწმუნებს ამას. ცალკეულ მწერალთა და პარტიულ მუშაკთა დამრიგებლური და დამტუქსველი წერილების გვერდით, ხშირად იქმნებოდა ხოლმე კოლექტიური მიმართვები, რომლებშიც დაგმობილი იყო ასეთ „ურჩ“ მწერალთა ძველი და ახალი იდეო-

ლოგიური შეცდომები. ამ დოკუმენტებს მეტწილად ულტიმატუმის ფორმა ჰქონდა მიცემული.

მკითხველს მივაწვდი ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს მწერალთა კავშირის პრეზიდუმის კომფრაქციისადმი მიმართულ მწერალთა ჯგუფის განცხადებას „ცისფერყანწელთა“ შესახებ. განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ დ. შენგელაია, კ. კალაძე, ფრ. ნაროშვილი, ა. მაშაშვილი, ირ. აბაშიძე, გ. კაჭახიძე და ს. ჩიქოვანი, აღნიშნულია: „ცისფერი ყანწების“ მიერ შექმნილი ატმოსფერა გადადის და ქქნის ყალბ ლიტერატურულ ატმოსფეროს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ასეთ მახინჯ მდგომარეობის გამო ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და გამომცემლობებში გამეფებულია ხალტურა, ხდება აშკარა გათანაბრება ხალტურის მწერლებისა და ნამდვილი ოსტატებისა. ყველაფერი ეს შექმნილია ცისფერი ყანწელების მიერ, რომლებიც არსებითად ვერაფერს სწერენ“.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, მწერალთა ჯგუფი კატეგორიულად თხოვს მწერალთა კავშირის პრეზიდუმის კომფრაქციას საჩქაროდ მოიწვიოს სხდომა და განიხილოს „ცისფერყანწელთა“ საკითხი, რათა „ბოლო მოედოს ყანწელთა მიერ შექმნილ ატმოსფეროს“ (სლხცსა, ფ. მ. აღ. 2. საქ. 73).

30-იან წლებში მწერალთა კავშირში ჩატარებულ დისკუსიებზე, პლენუმებსა თუ სხვადასხვა სახის სსდომებზე, როგორც წესი, ხშირად აკრიტიკებდნენ ხოლმე ბალოსა და მისი ჯგუფის წევრებს. კრიტიკული განსჯის საგნად იყო ქცეული როგორც ძველი ლიტერატურული „ცოდვები“ (უპირველეს ყოვლისა, მოღვაწეობის ე. წ. სიმბოლისტური პერიოდი), ისე მომდევნო ხანის შემოქმედებაც. მოკამათენი „ყანწელებს“ ბრალს დებდნენ პოეტურ ფუქსავატობასა და უიდეობაში, მოვლენებისაგან განსე განდგომაში, ე. წ. კამერული, წმინდა ლირიკით გატაცებაში, ლიტერატურული ოსტატობის დაბალ დონეში, მსოფლმხედველობრივ მერყეობასა და მოუმწიფებლობაში... გაგვიხსენოთ კონკრეტული მაგალითები.

1934 წლის 19 აპრილს მწერალთა კავშირში ჩატარდა დისპუტი თემაზე „პოეზიის ფრონტი საქართველოში“ (პირველი სხდომა). დისკუსიაზე მოხ-

სენებით გამოსულმა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა აღნიშნა, რომ საქართველოში „ცისფერყანწელთა“ სკოლის გავლენის ქვეშ მოექცა „ოფიციალურად გაბატონებული დემოკრატიული ლიტერატურა“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 1. საქ. 413. გვ. 17). ამ ზოგადი განცხადების შემდეგ მომხსენებელი კონკრეტულად შეეხო „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებას და მკაცრად გააკრიტიკა ისინი.

გაკრიტიკებულთა შორის, რალა თქმა უნდა, იყო პაოლოც, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ იგი „დიდად ნატანჯი პოეტია“. პ. იაშვილისადმი წაყენებული მთავარი ბრალდება ის გახლდათ, რომ იგი მთელი მონღო-მებით არ მუშაობს, რომ პოეზია მისთვის მსუბუქი, გასართობი და თავშესაქცევი რამაა. ამის დასტურად მომხსენებელმა დაასახელა ცნობილი ლექსი — „მაგიდა ჩემი პარნასი“. ბ. ჟღენტის აზრით, ეს ლექსი, საერთოდ, ის პოზიცია, რომელზეც პ. იაშვილი დგას, მიუღებელია საბჭოთა ეპოქისათვის. იგი გადახვევაა ჩვენი მწერლობის მაგისტრალური გზიდან და ამიტომ ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მას.

„არ არის ორი აზრი იმის შესახებ, — განაცხადა მომხსენებელმა, — პ. იაშვილი დიდად ნიჭიერი პოეტი არის... მაგრამ ცხადია, რომ ეს პოეტი არ მუშაობს ისე, როგორც პროფესიონალი მწერალი უნდა მუშაობდეს თავის დაზგასთან... ის ვალდებულად არ სთვლის, რომ პასუხი გასცეს ჩვენი დროის პროცესებს. მის კონცეპციას ბულბულის ნისკარტად გაგებისას პოეზიისა ჩვენ რასაკვირველია უნდა შევებრძოლოთ, როგორც ერთი მხრივ იდეურ გადახვევას საბჭოთა პოეზიის ამოცანებისაგან და მეორეს მხრივ როგორც დაბალი ხარისხის განმაპირობებელს“ (იქვე, გვ. 28).

ასეთივე დისკუსია გაიმართა 1935 წლის დეკემბერშიც. კერძოდ, მასზე განიხილეს საკითხი „პოეზიის ფრონტი მწერალთა საკავშირო ყრილობის შემდეგ“. 28 დეკემბრის სხდომაზე სიტყვით გამოსულმა კრიტიკოსმა კ. მელაძემ მკაცრად გააკრიტიკა პ. იაშვილი იმის გამო, რომ ერთ-ერთ ლექსში კუბო აქვს ნახსენები. ორატორის მტკიცებით, ამით მას თურმე „სურს ისეთი კუბო დახატოს, სადაც საბჭოთა ხელისუფლება უნდა ჩაასვენოს“.

ამ ბრალდებით აღშფოთებულმა პაოლომ კ. მელაძის გამოსვლას „სა-
შინელი დემაგოგია“ უწოდა და განაცხადა: „რამდენიც გინდათ აგინეთ
ჩემი ლექსი, მაგრამ ნუ შექმნით ისეთ დემაგოგიას, რომ თქვენი სიტყვე-
ბის მოსმენის შემდეგ კაცი წამოვარდეს და საშინელი აზრები იქონიოს
ჩემზე, რომ თუ მაგალითად ხვალვე გაჭირვება მექნება, ვთქვათ ომი გვექ-
ნება გამოვიდეს და დამხვრიტოს. კაცს შეუძლია ასეთი შთაბეჭდილება მი-
იღოს თქვენი ასეთი გამოსვლით“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 1. საქ. 491. გვ.
66).

ასეთი კრიტიკოსები, რომლებიც ათასგვარი საშუალებითა და ცი-
ლისწამებით ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ ჩვენი მწერლობისათვის,
იმხანად, სამწუხაროდ, საძებარნი როდი იყვნენ. მწერლობაში პარტიულ-
იდეოლოგიური დიქტატი ისეთი ძალითაა შემოჭრილი, რომ ლიტერა-
ტურაზე პროფესიული მსჯელობა, ფაქტობრივად, დანაშაულად და სახელ-
მწიფოს ღალატად ითვლება. მომაკვდინებელ ბრალდებებად ქცეულან ისე-
თი უწყინარი, წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი სიტყვები, როგორე-
ბიცაა: მოდერნიზმი, სიმბოლიზმი, ფორმალიზმი...

ასეთი მდგომარეობა, ბუნებრივია, იმხანად მოღვაწე ყველა მწერალ-
ზე ახდენდა ზეგავლენას. ყველა მათგანი იძულებული იყო გარკვეული
ხარკი გაეღო ეპოქის მიერ წამოყენებულ უალტერნატივო მოთხოვნისა-
თვის. ამ თვალსაზრისით არც პაოლოა გამონაკლისი, რომელიც ზემოთ-
ხაზებულ სხდომაზე, ასე მკაცრად და ულმობლად დატუქსული, თავის
გამოსვლაში ქართული საბჭოთა პოეზიის განსაკუთრებულ ღირსებად
„პოლიტიკური ლოზუნგებით“ მის „გაქვლენთვის“ მიიჩნევს.

საბჭოური იდეოლოგია და პოლიტიკა რკინის მარწუხებად შემოე-
სალტა ლიტერატურულ აზროვნებას. მაქსიმალურად შეიზღუდა შემოქმე-
დებითი თავისუფლება. პარტიამ და ხელისუფლებამ მწერლობას, ფაქ-
ტობრივად, ავტოტორისა და პროპაგანდისტის ფუნქცია დააკისრა. მხატ-
ვრული ნაწარმოების უმთავრეს თემად ოფიციალური საბჭოთა ეპოქის „გრან-
დიოზულ მიღწევათა“ მესობტეობასა და კაპიტალისტური სამყაროს გან-
წირულების ჩვენებას სახავდა. მწერლობის ყურადღების ძირითად ობიექ-
ტად უნდა ქცეულიყო „ბედნიერი ქვეყნის“ მშენებელი „ბედნიერი საბ-

ჭოთა ადამიანი“ თავისი გმირული შრომითი მიღწევებით, ამალღებულად გამოვლენილი ნათელი კლასობრივი ცნობიერებითა და საბჭოურ ყაიდა-ზე გარდაქმნილი ზნეობით.

ამ ყალბი პრინციპებისადმი ერთგულებითა და ე. წ. სოციალისტური რეალიზმის მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდის გამოყენებით პროლეტარულ მწერალთა მრავალრიცხოვანმა არმიამ უამრავი უბადრუკი ნაწარმოებით დაანაგვიანა ჩვენი ლიტერატურა. მათზე საუბარი ჩვენი მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს. მე ეს ყველაფერი აქ მხოლოდ ერთი სამწუხარო გარემოებისთვის საზგასასმელად გავიხსენე. ზემოთ აღნიშნულმა ვითარებამ მძიმე დაღი დაასვა იმხანად მოღვაწე ქართული მწერლობის აღიარებულ ოსტატთა შემოქმედებასაც.

მათ შორისაა პაოლო იაშვილიც, რომლის ბოლოდროინდელ ლექსებში მკითხველი ადვილად შენიშნავს ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულ პოეტურ ნაკადს: ერთს ჩვეული შემოქმედებითი გულწრფელობითა და ლიტერატურული ოსტატობით აღბეჭდილს, რომელიც აგრძელებს და აღრმავებს მისი პოეზიის საუკეთესო ტენდენციებს, მეორეს — მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობით განპირობებულს, რომელშიც ზედაპირულად ვლინდება საბჭოთა სინამდვილის კონიუნქტურული ხოტბა.

იმისათვის, რომ მრავალრიცხოვანი ოპონენტებისა და ხელისუფლებისათვის უფრო დამაჯერებლად დაემტკიცებინა ერთგულება, მარტო ამდაგვარი ხარკის მოსახდელი ლექსების დაწერა არ კმაროდა. ძველი ლიტერატურული „ცოდვებისა“ და „იდეოლოგიური შეცდომების“ გამოსასყიდად პიროვნული აქტიურობაც იყო საჭირო. და პაოლოც ყველანაირად ცდილობდა მის ირგვლივ აზვირთებული ავბედითი ჭორებისა და ბრალდებების გაქარწყლებას.

30-იან წლებში მწერალთა კავშირში გამართულ სხდომებზე, სადაც სხვა „საშიშ“ მწერლებთან ერთად მასაც მკაცრად აკრიტიკებდნენ, პაოლო სისტემატურად გამოდის და „მყარი იდეოლოგიური არგუმენტებით“ რცავს თავს. ნათქვამის დასტურად მოვიტან რამდენიმე ამონაწერს იმ ჰეროიდის მწერალთა კავშირის საოქმო ჩანაწერებიდან.

1934 წლის 19 იანვარს ჩატარებულ მწერალთა კავშირის პლენუმზე გამოსვლისას პაოლოს განცხადებია: „თანამედროვე რუსული პოეზია ტორტმანობს ორ კარგ სახელს შორის — პასტერნაკს და დემიან ბედნის შორის. ფორმალურად ეს არის ორი მოწინააღმდეგე ხაზი. ვინც ლაპარაკობს, რომ დემიან ბედნი პოეტი არ არის, იმას არაფერი გაეგება“ (ლხცსა, ფ. 8. აღ. 1. საქ. 386: გვ. 78). პაოლოს აზრით, ბედნი „მილიონები მიაჩვია ლექსებით ლაპარაკს“, თუმცა იქვე არც ის დაუფარავს, რომ მისი პოეტური ოსტატობის ხარისხი პრიმიტიულია და მეტიმეტად მსუბუქი, რომ „ბედნი ემორჩილება უმრავლესობის დაბალ დონეს“.

არა მგონია, საქმეში ჩახედულ მკითხველს იმისი მტკიცება ჭირდებოდეს, რითაა გამოწვეული დემიან ბედნის ქება მაშინ, როდესაც ბედნისა და პაოლოს ლიტერატურული შეხედულებანი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პარტიული იდეოლოგიის მიერ აღზევებული რუსი პროლეტარული მწერლის შექება რომ გარკვეული ვითარებით იყონაკარნახევი, ამის დანახვა პაოლოს გამოსვლიდან არაა ძნელი. ბედნის პოეზიის საპირისპირო მოვლენად იგი ბორის პასტერნაკის შემოქმედებას ასახელებს. პასტერნაკი, მისი განცხადებით, „დიდი პოეტია“, „ინტელიგენციის პოეტი, რომელიც სწერს მას, რაც შეიძლება იშვიათად დაინახო“. და იქვე, უნდა ვიფიქროთ, კვლავ რაღაცის თუ ვიღაცის ანგარიშის გაწვევით, კეთდება განცხადება იმის შესახებ, რომ მათ „სინტეზს“ ჩვენს ლიტერატურაში წარმოადგენს ვლადიმერ მაიაკოვსკი.

დაუსაბუთებელი და ტენდენციური კრიტიკული თავდასხმებით შევიწროებულმა პაოლომ მწერალთა პლენუმზე გულისტკივილით ისიც განაცხადა, რომ მის შემოქმედებაზე „ერთი დადებითი წერილიც“ კი არავის დაუწერია. „მაგრამ მაინც ვიბრძვი, მაინც ვმუშაობო“, — დაამატა იქვე.

მიუხედავად გარკვეული კომპრომისებისა, რითაც პაოლოს გამოსვლები ხასიათდებოდა ხოლმე ბოლო პერიოდის მწერალთა სხდომებზე, ძირითადი სულისკვეთება და მიზანსწრაფვა პოეტის სიტყვებისა ჭეშმარიტი ლიტერატურული ფასეულობების დაცვა და მათთვის ბრძოლაა. მას ყოფ-

წინა პრინციპულობაცა და ვაჟკაცობაც იმ უაღრესად ძნელ სიტუაციებშიც კი არ ეღალატნა პოეტური პრინციპებისათვის და ზურგი არ შეექცია სიმართლისათვის. ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. რაც უფრო ახლოვდებოდა საბედისწერო 1937 წელი, ამის გაკეთება უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა, მაგრამ პოეტი მაინც არჩევდა კვამშირების ბეწვის ზიდზე ევლო.

გავიხსენოთ, მაგალითად, ერთი ასეთი ფაქტი: როგორც ცნობილია, საზღვარგარეთ, ემიგრაციაში წასული გრიგოლ რობაქიძის დასაგმობი კამპანია ფართოდ გაჩაღდა საქართველოში. რას აღარ დებდნენ ბრალად მწერალს. განსაკუთრებით აძულვებდნენ გრ. რობაქიძის მხილებასა და დაგმობას მის ყოფილ მეგობრებს, რომელთა შორის პაოლოც იყო. მკაცრად გმობდნენ რობაქიძის არა მარტო მოღალატეობრივ ქმედებას, არამედ მას უნიჭო მწერლადაც აცხადებდნენ.

საქართველოს მწერალთა კავშირში 1934 წლის 17 ივნისს გამართულ პლენუმზე ამასთან დაკავშირებით პ. იაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ ამდაგვარი რამის თქმა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, პირდაპირ განაცხადა: „ყოვლად შეუძლებელია ითქვას, რომ გრ. რობაქიძე როგორც მწერალი არაფერს წარმოადგენდა, არაფერი იყოვო (ხმა — იყო აბდა-უბდა). ამხანაგებო, მე მინდა ამ საკითხის აქ სერიოზული შეფასება: და არ შემოძლია ვთქვა, რომ ის აბდა-უბდა იყოვო“ (სლხცსა, ფ. მ. აღ. 1. საქ. 384. გვ. 59).

ამ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ ფაშისტად და ხალხის მტრად შერაცხული გრ. რობაქიძის მწერლური ტალანტის გამომქომაგებელი კაცი ვინმე ნეიტრალური პიროვნება კი არაა, არამედ მისი უახლოესი მეგობარი. ეს ფაქტი იმ არეულ ვითარებაში სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, პაოლოც გრიგოლის თანამოაზრედ გამოეცხადებინათ და მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დასმულიყო.

ასევე დიდ რისკთან იყო დაკავშირებული სოციალისტური რეალიზმის აღზევების საწყის ეტაპზე სიმბოლიზმის დაცვა. იმ დროს, როცა

ჩვენი ლიტერატურის იდეოლოგიზაცია და პოლიტიზაცია არნახულ მასშტაბებს იძენს, პაოლოს ყოფნის გამბედაობა გაამართლოს ჩვენს მწერლობაში „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის არსებობის ფაქტი, ჯგუფისა, რომელიც საბჭოთა კრიტიკის მიერ ერთხმად იყო შეფასებული უიდეო, ფორმალისტური, ანტიხალხური სულისკვეთების გამომხატველ და სოციალისტური იდეოლოგიისათვის პრინციპულად შეუთავსებელ შემოქმედებით მიმდინარეობად. „ყოვლად მიუღებელი იქნებოდა, — განაცხადა პაოლომ პლენუმზე, — რომ საქართველოში არ ყოფილიყო ის სკოლა, რომლის წარმომადგენელი მე ვარ. მაშინ არ იქნებოდა თანაბარი განვითარება ჩვენი ქვეყნის კულტურისა, ეს იქნებოდა გათიშვა საქართველოში... მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დღესაც მე ვარ ის, რაც ვიყავი თხუთმეტი წლის წინათ“ (იქვე, გვ. 52).

ამ საჯარო გამოსვლების გაცნობისას დღევანდელი მკითხველი აშკარად დაინახავს პროექტის გაორებულ პოზიციას: ერთის მხრივ — აზრის სითამამე და ჭეშმარიტ ლიტერატურულ ღირებულებებზე პროფესიული საუბარი, მეორეს მხრივ კი „დაშვებულ შეცდომათა“ თვითკრიტიკული აღიარება, ერთგულების ფიცი, საბჭოური იდეოლოგიური პრინციპებისადმი აღვლენილი ხოტბა...

ეს გაორება მით უფრო საგრძნობი ხდება და იხრება კონიუნქტურისაკენ, რაც უფრო იზრდება მის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკული შეტევების სიმძაფრე. იმავე 1934 წლის ივნისის პლენუმზე რამდენიმე გამომსვლელმა განსაკუთრებით მძლავრად შეუტია პაოლოს იმის გამო, რომ იგი პრაქტიკულად არაფერს აკეთებდა საბჭოთა ეპოქის პოეტური განდიდებისათვის. ბენიტო ბუაჩიძემ, მაგალითად, ბრალი დასდო იმაში, თითქოს 1932 წლის 23 აპრილის ცნობილი დადგენილება მან „გაიგო როგორც ამნისტია“, განთავისუფლება ძველი „ცოდვებისაგან“, ხოლო შალვა რადიანმა განაცხადა: „პ. იაშვილისათვის ნათელი უნდა გახდეს ის გარემოება, რომ დეკლარაციებით პროექტს არ შეუძლია დიდხანს ცხოვრება. ჩვენ გვინდა ნამდვილი საბჭოთა შემოქმედება“ (სლხცსა, ფ. 8, აღ. 1. საქ. № 385, გვ. 19).

როგორც ამ ამონაწერებიდანაც მკაფიოდ ჩანს, ორატორები, პოეტის კრიტიკოსები, ხშირად ბრალმდებლის როლში გამოდიან. თითქოს სასამართლოს სხდომის საოქმო ჩანაწერებს კითხულობდე, სადაც ერთნი, პროლეტარული იდეოლოგიის მტკიცე დამცველები, პოეტს ბრალდებებს უყენებენ, ის კი, შემგერთალი და ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდეც მისული, ცდილობს თავისი უცოდველობის დამტკიცებას და ამით მოსალოდნელ სასჯელს იმსუბუქებს. ამიტომაცაა ასე წინააღმდეგობრივი და გაორებული პაოლოს პოზიცია არცთუ იშვიათად. ამ გაორებული პოზიციის მიღმა დაკვირვებული მკითხველი, ვფიქრობ, ნათლად დაინახავს წმინდა ლიტერატურული სინდისისა და შექმნილი პოლიტიკური ვითარებით განპირობებული შეფასებების მძაფრ შინაგან ურთიერთ ჭიდილს.

ამის დასტურად გამოდგება თუნდაც იმავე პლენუმზე პაოლოს მიერ სიმბოლისტური ლიტერატურული მიმართულებისადმი გამოტანილი ის „განაჩენი“, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება თვით მის მიერ რამდენიმე წუთის წინათ გამოთქმულ თვალსაზრისს. მოწინააღმდეგეთა დასასოშმანებლად და მოსაგერიებლად მან ხაზგასმით განაცხადა: „მე შინდა ვიყო თანამედროვე პოეტი. მე არ ვიცი სიმბოლიზმი... სიმბოლიზმის მთავარი ბურჯები იბრძოდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ სიმბოლიზმი ექციათ ნამდვილ რეალიზმად“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 1. საქ. 384, გვ. 55).

ასევე მწვავედ გაილაშქრა პაოლომ ე. წ. „წმინდა ხელოვნების“ წინააღმდეგ და ამ „თვითმიზნური ლოზუნგის“ დამსამარებელ თარიღად რექტორის რევოლუცია გამოაცხადა.

ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელიც პაოლოს ამ პლენუმზე წაუყენეს ზოგიერთებმა (მაგალითად, მალაქია ტოროშელიძემ), მისტიკით მეტისმეტი გატაცება გახლდათ. თავის გამოსვლაში პოეტმა ცადა გაექარწყლებინა ეს ბრალდება. „რა იყო საამნისტიო ჩემს ლექსებში, ამხანაგებო? — გოცებულმა მიმართა პაოლომ დარბაზს ამდაგვარი შეკითხვით და თავადვე განაგრძო: — ამხ. მალაქიამ სრულებით გამოცა, როდესაც ჩემი რეპლიკის საპასუხოდ მესროლა, რომ მისტიკას უნდა დაანებო თავიო. მაინცადამაინც მისტიკა არ მახასიათებდა წინათ... რეცი-

დრვი მქონდა, რა თქმა უნდა, მაგრამ იმ ლექსებში, რომლებიც მე დავ-
ბეჭდვ, ვერც ერთი კრიტიკოსი ვერ დამიმტკიცებს, რომ მე მისტიკოსი
ვარ“ (იქვე, გვ. 53-54).

არ მინდა მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს ხსე-
ნებულ თავყრილობათა მთავარი მიზანი მხოლოდ პ. იაშვილის კრიტიკა
იყო. რა თქმა უნდა, არა. მსგავსი, ზოგ შემთხვევაში კი უფრო მკაცრი
შენიშვნები სხვა „ურჩი“ მწერლების მიმართაც ხშირად გამოითქმებოდა
ხოლმე. მაგრამ მათზე საუბარი ამჟერად ჩემს მიზანს არ შეადგენს.

როგორც ითქვა, მწერალთა კავშირში ჩატარებული პლენუმებისა და
დისკუსიების სულისკვეთებასა და მიზანსწრაფვას ძალზე ხშირად გეზს
პარტია და ხელისუფლება აძლევდა. მთავრობის იდეოლოგიური დირექ-
ტივებით ყველაფერი წინასწარ და ზუსტად იყო განსაზღვრული: ვინ უნდა
გაეკრიტიკებინათ, რაში დაედოთ ბრალი, რა მიმართულებით უნდა წარ-
მართულიყო მსჯელობა და ა. შ. ისინი კი, რომლებიც ხელისუფლების
პოზიციას დაიცავდნენ და თავგამოდებით იბრძოდნენ ზემოდან მითი-
თებული იდეოლოგიური დირექტივების გასატარებლად, როგორც სხვა
სფეროში, არც მწერალთა შორის იყვნენ საძებარნი. ამ თვალსაზრისით
მართო ე. წ. პროლეტარულ მწერალთა მრავალრიცხოვანი არმია რად
ღირდა!

ასეთ ვითარებაში კრიტიკის ობიექტად ქცეული მწერლისათვის თავ-
დაცვის ყველაზე მიღებული ფორმა ძველი „ცოდვების“ მონანიება და
ხელისუფლებისათვის ერთგულების ფიცის მიცემა იყო. 30-იანი წლების
შუა ხანებში ამ პროცესმა არნახული მასშტაბები შეიძინა. ნათქვამი რომ
უფრო კონკრეტული გახდეს, კვლავ მოვიშველიოთ მაგალითები საარქი-
ვო დოკუმენტებიდან.

1936 წლის აპრილში მწერალთა კავშირში რამდენიმე დღეს მიმ-
დინარეობდა დისკუსია თემაზე: „ბრძოლა ფორმალიზმისა და ნატურა-
ლიზმის წინააღმდეგ ქართულ ლიტერატურაში“. მკითხველთათვის, ვფიქ-
რობ, ზოგადად მაინც, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, რა ხასიათს მი-
იღებდა ამ დისკუსიაზე ფორმალიზმისა და მოდერნიზმის ისეთი გამოვ-
ლინებანი ჩვენს მწერლობაში, როგორებიცაა სიმბოლიზმი, იმპრესიონიზ-

მი და სხვ. ბევრი გამომსვლელი მკაცრად აკრიტიკებდა ამ ლიტერატურულ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს. თავად ესენიც გამოდიოდნენ და „გულწრფელად“ ინანიებდნენ ახალგაზრდობის წლებში „დაშვებულ შეცდომებს“.

ნათქვამის დასტურად, გავიხსენოთ რამდენიმე ფრაგმენტი პაოლოს მიერ წარმოთქმული სიტყვიდან: „წაქეზებულებმა მითი, რომ ჩვენ ფორმის ნოვატორებად მოვევლინეთ ქვეყანას, ჩვენს სიტყვასა და ლექსს მხოლოდ სამკაულის მნიშვნელობა მიუზღავით. როდესაც ვსწერდით სონეტებს, ხელს ვაფარებდით ტექსტს და ერთი მეორეს ხშირად მხოლოდ რითმებს ვაჩვენებდით, რადგან ჩვენი აზრით სონეტის გამარჯვება მხოლოდ ახალი რითმების გამარჯვებით იქნებოდა გამართლებული. ვ. გაფრინდაშვილი ოცნებობდა, რომ ჩვენ მის იუბილეზე მას 25 ახალ რითმას მივუძღვნიდით და ეს ყველაზე დიდ საჩუქრად მიაჩნდა“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 1. საქ. 554, გვ. 40).

და რომ მეტი დამაჯერებლობა მიეცა ნათქვამისათვის, მისი და მისი მეგობრების შემოქმედებიდან მოყავდა კონკრეტული მაგალითები. როგორი მძიმე სიტუაცია უნდა შექმნილიყო და რა დღეში უნდა ყოფილიყო პოეტი ჩავარდნილი, რომ მისი ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის სისხლხორცეულ ნაწილად ქცეულ იმ რომანტიკულ წლებზე ასეთი ფორმით ელაპარაკა!

მაგრამ ამითაც როდი მთავრდებოდა ყველაფერი! ამ გამოსვლების მთავარი მიზანსწრაფვა მართო წარსულის დაგმობა და კრიტიკა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ იმისი თვითკრიტიკული აღიარებაც, რომ წარსულიდან დღესდღეობით შემორჩენილ რეციდივებსაც ჩამოვიშორებ და ასე ბოლომდე განწმენდილი ჩავდგები სოციალისტური ეპოქის მესობებეთა რიგებში. მოვუსმინოთ კვლავ პაოლოს: „მე ეს წარსული შეცდომები მიტომ მოვიგონე, რომ შეუძლებელია ჩვენს ახალ ფორმალისტურ რეციდივებში არ იყოს კავშირი ამ წარსულთან. მე არ ვეკუთვნი იმ მწერლების კატეგორიას, რომლებიც ხელაღებით უარყოფენ თავის წარსულს. ჩვენ მოვხვდით ესთეტიკურ აზროვნების ისეთ ტალღაში, რომე-

ლიც ნაკადი იყო მსოფლიო მდინარებისა. წარსულის პრაქტიკა და გაკვეთილები ჩვენი ნორმალური განვითარების გზა იყო. აშკარაა რეალისტური აზროვნების საშუალება ჩვენ მხოლოდ საბჭოთა სინამდვილემ მოგვცა“ (იქვე, გვ. 41).

ამდაგვარ კალაპოტში მოქცეული თვითკრიტიკა იქამდეც მივიდა, რომ პოეტმა, გაიზიარა რა ოპონენტების თვალსაზრისი, თავისი შემოქმედების ისეთი ბრწყინვალე ნიმუშები, როგორებიცაა „მაგიდა ჩემი პარნასი“ და „როგორც აფრის ტკაცუნის“ „ფორმალურ რეციდივებად“ მიიჩნია.

მართალია, ეს ლექსები „კარგად იწერებიან“, მაგრამ თავისი შინაარსით ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებსო“, — აღნიშნა და იქვე ისიც დაუმატა, რომ „ეს უფრო საშიშია, ვიდრე უნიჭოდ დაწერილი ლექსი, მაგრამ შინაარსით მისაღებია“. პაოლოსავე შეფასებით, მიუღებელია ამ ლექსების არა მარტო შინაარსი, არამედ რიტმიც, მხატვრული ოსტატობის დონეც. „განა ეს რიტმია იმისა, რასაც ჩვენ ვხედავთ ჩვენ სინამდვილეში?“ — კითხულობს პოეტი დასახელებული ლექსების პოეტურ რიტმთან დაკავშირებით და თავადვე უპასუხებს, რასაკვირველია, არაო.

ასე თრგუნავდა და „ასატურისებდა“ უღმობელი იდეოლოგიური პოლიტიკა შემოქმედებითი აზრის თავისუფლებას, ფიტავდა და სასიცოცხლო ენერგიას აცლიდა ჭეშმარიტი ლიტერატურის განვითარებას.

პროლეტარულმა კრიტიკამ პაოლო იაშვილს არაერთგზის დადო ზრალი აგრეთვე გრძნობის ზედაპირულობასა და სიმსუბუქეში, იმაში, თითქოს პოეტი მოწყვეტილი იყო ცხოვრების სინამდვილეს და არაფრისმთქმელი, უიდეო ლექსებით უბნედა მკითხველს თავგზას. კამათის საგნად იყო ქცეული მისი შემოქმედების შინაარსიცა და პოეტური ოსტატობის „უმწეობაც“. მაგალითად, აკრიტიკებდა რა პოეტის ლექსს — „მაგიდა ჩემი — პარნასი“, რომელსაც ემოციური ფუქსავატობისა და გრძნობის სიმსუბუქის სამწუხრო ნიმუშად მიიჩნევდა, ბენიტო ბუაჩიძე ამ ნიშან-თვისებებს განზოგადებულად მიაწერდა პაოლოს მთელ პოეტურ შემოქმედებას და წერდა: „პ. იაშვილის კალმის წვერი — ბულბულის

ნისკარტი მღერის და სიმღერა საპნის ბუშტივით ქრება. მას უხარია და აჰ სიხარულს ჩვენ ვერ გვიზიარებს. ის წერს და არაფერს არ ლაპარაკობს. ის ბედნიერია და რატომ, კაცმა არ იცის“ (ბ. ბუაჩიძე, კრიტიკული წერილების კრებული, 1960 წ. გვ. 29), ამიტომაც, დაასკვნინდა იქვე, მისი ლექსები „უკვალოდ იკარგებიან ცარიელ სივრცეში“.

ბ. ბუაჩიძის ეს პოზიცია, შეიძლება ითქვას, ტიპურად გამოხატავს იმ დამოკიდებულებას, რომელიც პროლეტარულ კრიტიკასა და ოფიციალურ ხელისუფლებას ქმონდა პ. იაშვილისადმი, როგორც პოეტისადმი, 20—30-იან წლებში. მაგრამ, სამწუხაროდ, პაოლო გამონაკლისი არ ყოფილა. ანალოგიური კრიტიკული თავდასხმების ობიექტად ამ დროისათვის ქცეულნი არიან ჩვენი მწერლობის სხვა გამოჩენილი ოსტატებიც. როგორ გვანან ეს კრიტიკული შეფასებები ერთიმეორეს თავიანთი განწყობილებით, მიზანდასახულებით, ლექსიკით! ხშირ შემთხვევაში ისინი მხოლოდღა ავტორთა გვარებით თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სხვა მხრივ — პოზიციითაც, პათოსითაც, სულისკვეთებითაც — ტყუპის ცალებივით ერთნაირი არიან.

1931 წელს შ. რადიანმა ჟურნალ „მნათობში“ (№ 4) დასტამბულ წერილში „უახლესი ქართული მწერლობის გზები“ მკაცრად გააკრიტიკა ყოფილი „ცისფერყანწელი“ მწერლები. კრიტიკოსის აზრით, ისინი „მეტად ღარიბნი არიან თეორეტიული ხასიათის მოსაზრებებით“, მათი იდეოლოგია რეაქციულია და უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. „აბსტრაქციული და ფანტასტიური განვითარება თემის, მისწრაფება მისტიურ სახეებისადმი და გნწყობილებებისადმი, გადაჭარბებული იმპრესიონისტული წარმოდგენები, რის გამოც ლექსი ბოდვის და ფანტასტიკის ხასიათს ღებულობდა, არც ისე ადვილად დასაძლევე მემკვიდრეობაა ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის“, — ასეთია შალვა რადიანისეული შეფასება „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებისა.

ცხადია, ამ შეფასების დროს ყურადღების ცენტრში ქართველ სიმბოლისტთა თავკაცის პოეტური მოღვაწეობაც იყო მოქცეული.

ამდგავარი კრიტიკა ხანდახან საბრალდებო დასკვნის სახეს ღებულობდა და ავტორს ისეთ რაიმესაც ღებდნენ ბრალად, რაც მას აზრდაც კი არ შეიძლებოდა მოსვლოდა. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მიხ. კახიანმა ერთ თავის საჯარო გამოსვლაში პაოლო ასეთ რაიმეში დაადანაშაულა: „...ბურჟუაზიულმა, ნაციონალისტურად განწყობილმა პოეტმა პაოლო იაშვილმა, როგორც სწანს, იმ მიზნით, რომ ესიამოვნებინა ჩვენი მთავრობისათვის, სთქვა, რომ საჭიროა ლაზისტანში შეიქმნას აღმასკომი და თავმჯდომარედ იქ იყოს ფილიპე მახარაძეო. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ ყველგან აღმასკომის თავმჯდომარედ ვხედავდეთ ფილიპე მახარაძეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იაშვილმა ეს ფრაზა იმიტომ წამოისროლა, რომ სურს ცოტათი გააფართოვოს საქართველოს საზღვრები, რაზედაც ის და მისი მეგობრები უწინაც ოცნებობდნენ — ცარიზმისა და მენშევიზმის ხანაში“ („მნათობი“, 1928 წ. № 2, გვ. 165).

ასე გაფაციცებით ეძებს ეს ინტერნაციონალისტი უმაღლესი რანგის პარტიული მუშაკი ყველგან და ყველაფერში ნაციონალიზმის ბაცილებს და თავისი „გონებამახვილობის“ წყალობით, რომ იტყვიან, კატას იქაც კი იჭერს, სადაც ის საერთოდ არ არის. მ. კახიანის ეს გამოსვლა ტიპური გამოხატულებაა საბჭოური იდეოლოგიისა, „უკომპრომისო“ ბრძოლა ნაციონალიზმთან, პარტიული დისციპლინის განმტკიცება მწერლობაში, „მავენე“ ეროვნული გრძნობების ალაგმვის გაბედული ბოლშევიკური მცდელობა.

პარტიისა და ხელისუფლების მიერ აშკარად გამოხატულ ამ პოზიციას მტკიცედ იცავდნენ პროლეტარული კრიტიკისა და მხატვრული სიტყვის წარმომადგენლები.

ამ გაუთავებელ, ერთმანეთის დასაბეზღებელ და დასაგმობ გამოსვლებში იშვიათად თუ გაიხშიანებს ვინმეს დასაცავად და მხარდასაჭერად ნათქვამი სიტყვა. მწერალთა კავშირში 1934 წლის ივნისში გამართულ პლენუმზე გამოსვლისას პაოლო გულისტკივილით შეეხო ამ საკითხს და მოუწოდა მწერლებს, მეტი პატივისცემა და სიყვარული გამოეხატათ ერთმანეთისადმი. „ერთი დიდი ნაკლი გვაქვს ქართველ მწერლებს, — სი-

ნანულით აღნიშნა მან. — ჩვენ ვართ ძალიან ცუდი მკითხველები. ჩვენ სრულებით არ ვკითხულობთ ერთმანეთს. ხშირად დიდი გატაცებით ვკითხულობთ რუსულ რომანებს, თარგმნილ რამეს, მაგრამ ქართველი მწერლების შემოქმედებას არ ვკითხულობთ არა იმიტომ, რომ სურვილი ან დრო არა გვაქვს, არამედ ხშირად იმიტომ, რომ რომელიმე მწერლის ან ცხვირი არ მოგვწონს, ან ბანკეტში წავიჩხუბეთ და სხვა წერილმანი“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 1. საქ. 384, გვ. 57).

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ პაოლოს მიერ უდიდესი გულსიტყვილით ნათქვამ ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავთ სიმწვავე და პოეტის მიერ სინანულით გამქლავებულ საყვედურს არც ახლა გასვლია ყავლი.

* * *

მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიებზე მსჯელობის საგნად ხშირად იქცეოდა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისთვის ზრუნვა. სხვებთან ერთად, ამ დისკუსიებში აქტიურ მონაწილეობას პაოლოც ღებულობდა და მრავალ საინტერესო მოსაზრებასაც გამოთქვამდა. მაგალითად, 1934 წლის 24 აპრილს მწერალთა კავშირში სალიტერატურო ენის საკითხების განხილვას სპეციალური პლენუმი მიეძღვნა. კამათში გამოსულმა პ. იაშვილმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ქართულ ენაში ახალი ტერმინებისა და სიტყვების დამკვიდრების აუცილებლობას. მისი აზრით, ეს იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ უცხო ენებიდან, უპირატესად კი რუსულიდან, შემოსული სიტყვები არღვევდნენ და ანაგვიანებდნენ ენის სიწმინდეს.

იმისათვის, რომ ნათქვამისთვის მეტი შთამბეჭდაობა შეეძინა, პაოლომ ასეთი მაგალითი მოიტანა: ქუთაისში, ერთ ყავახანაში, სანოვაგეს არც ერთი ქართული წარწერა არ ჰქონდა გაკეთებული, რის გამოც მას შენიშვნა მიუცია გამყიდველისთვის. „მან მიპასუხა, ჩემი შვილისაგან გამიგონია, რომ თქვენ მწერალი ხართ. მომიტანა ფანქარი და მითხრა, დამიწერეთ, როგორ უნდა იყოს ქართულადო. ოცი წუთი მოუნდი და ვერც ერთი ტერმინი ვერ მივეცი. ამხ. მიხეილ ჯავახიშვილს თავისი თავი ქართული ენის კარგ მცოდნედ მიაჩნია და ვთხოვ ერთ საათში მოგ-

ვცეს პასუხი, როგორი ტერმინები შემოვიღოთ (ამხ. პ. იაშვილი გადასცემს მ. ჯავახიშვილს ბარათს, სადაც ჩამოწერილია სანოვავის სახელე-ბი). მ. ჯავახიშვილი — მე გადავცემ ამას ამხ. ვუკოლ ბერიძეს (ვ. ბე-რიძე — დიდი სიამოვნებით მოგცემთ პასუხს, მხოლოდ იკადრეთ ჩემთან მოსვლა)“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 1. საქ. 411, გვ. 34).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტიდან საკმაო დრო გავიდა და ბევ-რი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა გადაიჭრა ქართული სალი-ტერატურო ენის ლექსიკურ-ტერმინოლოგიური მხარის მოსაწესრიგებლად და დასადგენად, ობიექტურობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ამ მიმარ-თულებით გასაკეთებელი დღესაც ბევრია. დღესაც იშვიათი როდია იმისი მაგალითები, როცა პრაქტიკულად გამოყენებული არა გვაქვს მშობლიურ ენაში არსებული ბევრი გამოთქმა თუ ტერმინი და მათ სანაცვლოდ უცხოურ, უფრო ხშირად კი რუსულ სიტყვებს ვიყენებთ ხოლმე. ეს გან-საკუთრებით ტექნიკურ სფეროს შეეხება.

მივუბრუნდეთ კვლავ ზემოთ ნახსენებ დისკუსიას. პაოლომ დასვა საკითხი, სალიტერატურო ენის განვითარებისა და სიწმინდის საქმეში წესრიგის დასაცავად შექმნილიყო „მეტად ავტორიტეტული ორგანო, რომელიც მოსპობს ენის გარშემო ანარქიზმს საქართველოში, რადგან რამ-დენი ავტორია, იმდენი საკუთარი გაგება აქვთ ქართულ ენისა“ (იქვე, გვ. 35).

* * *

„მწერლობის მოთვინიერების“ (აკაკი ბაქრაძე), თავისუფალი შე-მოქმედებითი აზრის დათრგუნვისა და ხელისუფლების იდეოლოგიურ და-ნამატად მწერლობის გადაქცევის ერთ-ერთი პოპულარული ფორმა, რომელიც უარყოფდა და მკვიდრდა 30-იან წლების ჩვენს ლიტერატურაში, ეს იყო ლექსად დაწერილი კოლექტიური მიმართებები და დეკლარაციები, რისაც ავტორები (და მათი მეშვეობით მშრომელები) ერთგულების ფიცს აძლევდნენ ხოლმე სტალინსა და ხელისუფლებას. ამ გალექსილი მიმარ-თულების შემოქმედნი, ჩვეულებრივ, მაშინდელი ჩვენი მწერლობის გამო-ჩენილი წარმომადგენლები არიან, მათ შორის, პაოლოც.

სტალინისადმი გაგზავნილი ეს პოეტური პატაკები, როგორც წესი, რუსულ-ქართულად იწერებოდა. მათი მხატვრული დონე, მიუხედავად ავტორთა მაღალპროფესიულობისა, არსებითად, არ ცდება ტრაფარეტული ხოტბის ფარგლებს. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ამგვარი მიმართვების დაწერა მწერალთა ჯგუფს ევალებოდა და არა ცალკეულ პიროვნებას. ჯერ ერთი ამით ის კეთდებოდა, რომ ეს „ფრიად საპატიო“ საქმე რომელიმე ერთი პრივილეგირებული პოეტის კომპეტენციისა და ღირსების აღიარებად არ იქცეოდა. მეორეც, ეს მიმართვები მით უფრო მეტ ავტორიტეტსა და ღირებულებას შეიძენდნენ ხოლმე ხალხის თვალში, რაც მეტი გამოჩენილი მწერალი იქნებოდა მათი ავტორი. და მესამეც, ამგვარ პოეტურ მიმართვათა მრავალავტორიანობა, ზოგიერთი ხელმძღვანელის აზრით, თავისებური გამოვლინება იყო იმ პერიოდის ჩვენს ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრებული კოლექტივიზმის პრინციპისა და პიროვნული ინდივიდუალიზმის დათრგუნვისა.

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ერთი ასეთი ფაქტი: „მწერალთა ერთ-ერთ კრებაზე კ. ლორთქიფანიძეს უთქვამს: პ. იაშვილმა და ა. მაშაშვილმა ერთად დაწერეს ლექსი ამხ. სტალინისადმი მიძღვნილი და ეს ლექსი ისე ორგანულად არის დაწერილი, რომ ვერ გაარჩევ სად თავდება ერთი ავტორი და სად იწყება მეორეო“ („ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ. 20 მარტი). მრავლისმთქმელია ის კომენტარი, რომელსაც ა. ბაქრაძე აკეთებს ამ ფაქტთან დაკავშირებით. „როგორ უნდა გათქვეფილიყო ერთმანეთში ორი ძირეულად განსხვავებული პოეტი — ცისფერყანწელი პაოლო იაშვილი და პროლეტ-მწერალი ალიო მაშაშვილი? ეს გათქვეფა ხომ მათი პოეტური ინდივიდუალობის, თავისთავადობის სიკვდილს მოასწავებდა!“ (ა. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, „მნათობი“, 1990 წ. № 5, გვ. 130).

30-იან წლებში სტალინის, ლენინისა და საბჭოთა ხელისუფლების ხოტბამ არნახული მასშტაბები შეიძინა. ფაქტობრივად, არ დარჩენილა იმ პერიოდში მოღვაწე თითქმის არცერთი მწერალი, რომელიც პანეგირიკული მხატვრული სიტყვის ამ დოღში, ნებით თუ იძულებით, არ ყოფილიყოს ჩართული.

საილუსტრაციოდ მოვიშველიებ სტალინისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ ასეთ პოეტურ ბარათს, რომლის თანაავტორი პაოლოცაა. 1936 წ. ჟურნალ „მნათობის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა „საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბელადს დიდ სტალინს — საქართველოს მშრომელთა წერილი ლექსად“. ქართულად გალექსილი წერილის ავტორები არიან: პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკოლო მიწიშვილი და ალიო მაშაშვილი. ქართული ტექსტი რუსულად თარგმნეს ვალერიან გაფრინდაშვილმა, ალექსანდრე ყანჩელმა და გიორგი ცაგარელმა. მიმართვა კრემლში გაიგზავნა საქართველოს გასაბჭოების მე-15 წლისთავთან დაკავშირებით.

ლექსად გამოთქმულ საქართველოს მშრომელთა წერილში დახასიათებულია ქართველი ხალხის განვითარების ისტორიული გზა, ერთმანეთთანაა შედარებული ძველი და ახალი დრო. რევოლუციამდელი პერიოდი ავტორთა მიერ შეფასებულია როგორც უბედურებისა და ტანჯვა-წამების ხანა, ბოლო 15 წელი კი გამოცხადებულია არნახული წარმატებებისა და აღმშენებლობის დროდ. ერთმანეთს ცვლიან კონტრასტული სურათები: ძველი ყოფისა, რომელსაც მხოლოდ ცრემლი და მწუხარება მოჰქონდა ხალხისთვის და ახალი დროებისა, როცა ბედნიერმა ცხოვრებამ გააცისკროვნა საბჭოთა ადამიანების გულები.

მიმართვის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ ბედნიერი ხანის განდიდებისადმია მიძღვნილი. იმისათვის, რომ ეს ხოტბა უფრო შთამბეჭდავი და დასაბუთებული იყოს, ავტორები უხვად აწვდიან ბელადს ინფორმაციებს კონკრეტული შრომითი მიღწევების შესახებ, აცნობენ, ვინ რამდენი ჩაი მოკრიფა, ვინ რამდენი ტონა ყურძენი მოიწია, ვინ რამდენი მარგანეცი ამოიღო და ა. შ. მშრომელები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტად გამოიჩინს შრომაში თავს. ყველა ყველას ეჯიბრება და ქვეყანა ბედნიერი და თავდავიწყებული სოციალისტური შრომის უკიდუგანო ასპარეზადაა ქცეული.

იმის ნიმუშად, თუ როგორ გამოხატავენ საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობისა და განახლების სურათებს ეს სრულიად განსხვავებული სტილისა და პოეტური შესაძლებლობების პოეტები, ამ გალექსილი მი-

მართვით გაზონის გაკრეჭილი ბუნებრივით რომ დამსგავსებთან ერთმანეთს, მოვიშველიოთ ორიოდ ფრაგმენტი:

ლვიის ფერო, იმერეთის არე-მარეს კვამლით ბოლავს,
ლვიის ფერო, ლუმელები ცეცხლის ალში წვრთიან ფოლადს,
რომ ქალაქის მრეწველობას არ მოუხდეს უქმად დგომა,
რომ ქარხნებმა კოლექტივებს მანქანები მისცენ ბლომად.

ანდა:

ლაგოდებში ბატიაშვილს სიხარულით უძგერს გული,
რუას ოცდაათი ერგო მას შრომა-დღე ახლა. სრული,
კოლმეურნემ ოჯახობით შესძლო საქმე არ ნახული —
ათას თუმანს ფულად იღებს, ორას ფუთსაც ჭირნახულით.
იქვე გამეზარდაშვილი ბატიაშვილს უკვე სჯობნის:
ათასსამას შრომადღემდე — ოცდაათი აღარ ყოფნის,
მის ოჯახში მიიღებენ, — შეჭხართან წელს ერთმანეთს, —
შვილსა ათას კილო ხორბალს და თოთხმეტი ათას მანეთს.

ამ ბედნიერი ყოფის დამამკვიდრებლები საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ლენინი და სტალინი არიან. მათი ეს უდიდესი ისტორიული „დამსახურება“ მიმართვაში ასეა გამოხატული:

თვით ლენინმა, შენც ურჩიე, — დააეალა სერგოს, კიროვს,
რომ ქართველი მენშევიზმი ახლა უნდა გაიგმიროს,
მოგვეშველენ: წითელ ლაშქარს გამარჯვება აქვს და ერგოს,
რომ ვარსკვლავი ბოლშევიზმის ყოველ გულში ჩაინერგოს.

პოეტური ბარათის ძირითადი სულისკვეთება მათმა ავტორებმა თავიდანვე, მიმართვისთვის წამძღვარებულ ეპიგრაფშივე გაამჟღავნეს. „ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, — წერენ ისინი, — ქართველმა ხალხმა და საქართველოს ყველა ხალხმა მიაღწიეს განთავისუფლებას და ძლევამოსილად აშენებენ ახალ ბედნიერ, სოციალისტურ ცხოვრებას“. ამ წარმატებათა უშუალო სულისჩამდგმელი სტალინია, „დიდი ბელადი, ბრძენი მასწავლებელი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობარი“.

დასასრულს, ეს ზღვარგადამცდარი პოეტური ხოტბა ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო, ჩვენო დიღო მოამაგე,
გაიშალა ის ნაყოფი, შენ რომ შენის ხელით დარგე,
საბჭოეთის ერთა შორის სხვებთან ერთად ჩვენც ვიკარგეთ,
რადგან შენი ღარიგების ერთი სიტყვაც არ დაკარგეთ.

რა მწვავე ტკივილად აღიქმება დღეს ეს ყველაფერი, ბედის რა მწარე დაცინვად და ირონიად!.. მართლაც რომ „გაიშალა ის ნაყოფი“, რომელიც ერის ამ „დიდმა ინტერნაციონალისტმა“ შვილებმა დარგეს და მათ მიერ საქართველოსთვის თავს დატეხილ ათასგვარ უბედურებას, რაც ამ გალექსილ ბარათში ეროვნული სიამაყის საგნადაა ქცეული, დღეს ეიმკით.

ეს ყველაფერი უდიდესი სინანულითა და ტკივილით გასახსენებელი სამწუხარო ჭეშმარიტებაა, საქართველოს საბჭოური ისტორიის შემადგენელი ღვიძლი ნაწილია. ასე უაზროდ და ფუჭად დახარჯული ენერჯიის სანაცვლოდ, ვინ იცის, რამდენი ლიტერატურული შედეგრი დააკლდა ჩვენს მწერლობას.

„სიტყვის ვადანი“

ქუთაისში, „ქართული დეკადენტური ახალგაზრდობის ამ „მონმარტრში“ თუ „ლათინურ კვარტალში“ (ირ. აბაშიძე), აიღვა ფეხი პაოლომ, როგორც პოეტმა. ლექსების წერა ჯერ კიდევ ბავშვმა დაიწყო. ამის თაობაზე თავადვე წერს ერთგან:

თორმეტი წლიდან აღარ მაკლიდნენ
ცხოვრებას დიდი ოქროს ჩიტები...

ამ დროიდან მოყოლებული, ლექსი იქცა მისი ცხოვრების მარადიულ თანამგზავრად, ბედნიერებადაც და ბედისწერადაც. პოეტის შემოქმედების ადრინდელ ნიმუშებს, რომლებიც მას 21 წლის ასაკამდე დაუწერია, ჩვენამდე არ მოუღწევია. პაოლოს შემოქმედებითი ბიოგრაფია 1911 წლიდან იწყება, როცა დაიბეჭდა ახალგაზრდა ავტორის პირველი ლექსები.

არაა სწორი ზოგიერთი ქართველი კრიტიკოსის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს პ. იაშვილის შემოქმედებითი გზა პირდაპირ სიმბოლისტური ლექსებით დაიწყო. სიმბოლისტური ტენდენციები პაოლოს პოეზიაში ათიანი წლების მეორე ნახევარში იჩენენ თავს, უფრო ზუსტად, 1915 წლიდან, ეს პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება 1916 წლიდან, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლის დროიდან.

მანამდელი მისი ლექსები კი (ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე მათგანია მოღწეული) უფრო მეტად კლასიკური პოეტური ტრადიციებით არიან დაჯალებულნი და ისინი ეროვნული ლიტერატურული საგანძურით უფრო საზრდოობენ, ვიდრე ევროპული მოდერნიზმით. პოეტის ეს პირველი ლექსები, რომლებშიც, საგვებით ბუნებრივად, ჯერაც გაუწაფავი და დაუხვეწავი ფორმით ვლინდება ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, ლალი ავალიანმა პ. იაშვილის პოეტური ბიოგრაფიის ცალკე ეტაპად — „დასაწყისის პერიოდად“ გამოყო (ლ. ავალიანი, პაოლო იაშვილი, 1977 წ. გვ. 10).

პაოლოს პირველი ნაბეჭდი ლექსი იყო ქუთაისში გამომავალ გაზეთ „კოლხიდაში“ 1911 წელს (№ 59) დაბეჭდილი „ღმერთო, ღმერთო“. „მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ცინფერყანწელთა მომავალი თავკაცის პირველ გამოქვეყნებულ ლექსში წარმოჩინდა „თერგდალეულთა“ პატრიოტული ლირიკის ინტონაცია“ (ლ. ავალიანი, იქვე, გვ. 12).

ბედო, რისთვის გამაწამე გული ვერსად დავიამე...
იჩველივ მეფობს ბნელი ღამე. — არსად მოჩანს შუქი მზისა...
ძირი ეტრფის ჩემს ქვეყანას და სიკვდილიც გალობს ნანას...
ხელთ უპყრია შავ სატანას საიდუმლო სიცოცხლისა!

ეს ლექსი თავისი ინტონაციით, პოეტური ხელწერითა და განწყობილებით ტიპურად შეესაბამება იმ პერიოდის ქართული პოეზიის საერთო სულისკვეთებას. მსგავსი ხასიათის ლექსები, რომლებშიც ბედის სიმუხცაღეზე, სულიერ მარტოობაზე, სამშობლოს უიმედო მდგომარეობასა და სოციალურ უსამართლობაზეა ჩივილი, მრავლად იბეჭდებოდა 900-იანი წლების ჩვენს პრესაში. პაოლოს ამ პირველ ლექსებში, შიგადაშიგ, ნაცნობი პოეტური ინტონაციების გამოძახილიც ისმის და ჯერ კიდევ არაა გამოკვეთილი მისი პოეტური ხელწერისთვის მკაფიოდ დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშან-თვისებები.

პოეტის ნაწარმოებები პრესაში ზოგჯერ სხვადასხვა ფსევდონიმებით და კრიპტონიმებით ქვეყნდებოდა. მკვლევარმა ნოდარ გრიგორაშვილმა სპეციალურად შეინწავლა ეს საკითხი და დაადგინა, რომ მას გამოყენებული ჰქონია შემდეგი ფსევდონიმები და კრიპტონიმები: „გ“, „არი-

ელი“, „რ“, „რუბიკონელი“, „პ. ი.“, „ასტამურ“, „ასტამურ შერვაშიძე“ („სკოლა და ცხოვრება“, 1989 წ. № 12, გვ. 64).

ზაურ მეძველია, ამით გარდა, ასახელებს აგრეთვე კრიპტონიმს „...ე...ი“ („განთიადი“, 1982 წ. № 4).

ცნობილია, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობის ადრინდელ ეტაპზე პ. იაშვილი რუსულადაც ბეჭდავდა ლექსებს. ტ. ტაბიძის ცნობით, მისი ზოგიერთი რუსული ლექსი დაბეჭდილია კრეც ხიმერსკის ფსევდონიმით.

სწორედ ზემოთ მითითებული ერთ-ერთი ამ ფსევდონიმის ხელმოწერით (ასტამურ შერვაშიძე) დასტამბა პაოლომ 1917 წლის 2 აპრილს ქუთაისში გამოცემულ გაზეთ „ჩვენს მეგობარში“ ლექსი „ქუჩების ბედნიერება“ (იხ. ნ. გრიგორაშვილის პუბლიკაცია, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1989 წ. № 12). ეს ნაწარმოები უაღრესად მნიშვნელოვანია პაოლოს იმდროინდელი ეროვნული მრწამსის შესაცნობად.

ლექსის განწყობილებას, მის პათოსს, მთლიანად განსაზღვრავს ის პძლავრი ოპტიმიზმი და ეროვნული განთავისუფლების მოლოდინი, რაც თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ დაბადა ქართველ ინტელიგენცი-აში. პოეტის ოპტიმისტურ სულისკვეთებას, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საუკუნოვანი ოცნების აღსრულების იმედს, მყარ საფუძველს უქმნის რუსეთის იმპერიის ზღუდეების მსხვრევა.

პაოლო აღფრთოვანებული შეჭხარის წითელი დროშის შრიალს, დროშისას, რომელიც ლექსში ეროვნული თავისუფლებისა და ბედნიერების ფრთაშესხმულ სიმბოლოდაა დასახული. წითელი ფერის შინაარსობრივ ალეგორიას აქ ჯერჯერობით სრულებით არა აქვს შეძენილი ის სიყალბე და მზაკვრული ილუზიურობა, რაც შემდგომ წლებში, კერძოდ, ოქტომბრის გადატრიალების მერე შეიძინა მან. აქ იგი თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდაა ქცეული.

გალაკტიონ ტაბიძის „დროშები ჩქარასთან“ ერთად, რომელიც 1917 წლის 13 მარტს დაიწერა და ასევე თებერვლის რევოლუციის გამარჯვებით გაჩენილ აღფრთოვანებას გამოხატავს, პაოლოს „ქუჩების ბედნიერებას“ ჩვენს ცნობიერებაში აცოცხლებს იმ მღელვარე დღეების განწყობილებას. ზეაწეული საზეიმო პათეტიზმითა და პუბლიცისტური მგზნე-

ბარებით გაუღწეოდა ამ ლექსში თითქოს მკაფიოდ ისმის იმპერიის ბორკილების მსხვერვის ხმაცა და კარს მომდგარი ეროვნული თავისუფლებით აჩქაროლებული გულების ფეთქვაც. ნათქვამმა რომ მეტი დასაბუთებულობა შეიძინოს, მომყავს ნაწარმოები მთლიანად:

წითელი ფერი! წითელი ფერი!
შეხბარი უხვად დაფანტულ ლალებს!
ბედნიერია დღეს ყველაფერი —
მიტომ რომ დროშა წითლად ფრიალებს.
გამოდით ყველა სიმღერით ქარში;
მღელვარე ქუჩებს მზე ალამაზებს!
მუსიკა მარში! მუსიკა მარში!
მიეცით გზები მოხარულ რაზმებს.
გაშალეთ ფრთები! გაბედულ დროში
წარსული ხალხმა დასწვას და სთელოს;
მივესალმებით უკვდავი დროშით
ჩვენს უკვდავ ერსა და საქართველოს.
დროშები ზევით! დროშები გვერდით!..
ვივიწყებთ ყველა წარსულ შეცდომებს,
მამულის კვალი ერთგული მკერდით
დაუცავს ახალ, უშიშარ ლომებს.
მოგლიჯეთ გვირგვინს მწუხარე თალხი!
დღეს ყველა ერთად და შეთანხმებით!
დაპკარით საყვირს! მზად არის ხალხი,
ახალ დროს ვხედებით ახალი ხმებით.
ბრძანება გვესმის!.. გაბედულ დროში
წარსული ხალხმა დასწვას და სთელოს!
მივესალმებით ამაყი დროშით
ჩვენს უკვდავ ერსა და საქართველოს!

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას „ქუჩების ბედნიერებასთან“ ერთად დასტამბულ ლექსზე — „მდუმარე ვედრება“, რომელიც თავისი განწყობილებითა და გამოხატვის ფორმით რადიკალურად განსხვავდება პირველისაგან. კერძოდ, მასში სათქმელი უფლისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრების სახითაა გადმოცემული. პოეტი შეთხოვს ღმერთს, არ დაივიწყოს მისი სამშობლო, არ დააგდოს მფარველობის გარეშე ქვეყნიერების სიხარულის დაწყების ჟამს და ერთხელ კიდევ გადმოხედოს მას წყალობის თვალთ.

1917 წელს დაწერილი ეს ლექსიც თებერვლის რევოლუციის გამარჯვებითა და ამ ისტორიული მოვლენის შედეგად გულში გაჩენილი თა-

ვისუფლების მოლოდინით სულაფორიაქებული პოეტის ემოციას გამოხატავს, რაც ნათლად ჩანს ამ ფრაგმენტითაც:

ღმერთო! შენ დაამშვიდე ჩემი მამული,
ის არის სისხლით დანამული.
მან არ იცის — სიხარული როგორია!
უფალო! ჩემი ხევეწნა — ამბორია!
წინათ მას სდარაჯობდა ქალწული ნინო,
დღეს კი ქართველი სამშობლოში არი ულხინო!
ღმერთო! სად არი ჩვენი ბედი, ჩვენი იღბალი!
სუსტი ვარ, მაგრამ მე მენატრება გმირების ხმალი!
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი და წმინდა, —
როცა მხურვალედ მომინდება მამულზე ლოცვა.
მაგრამ მე ვიცი, არ დაგეტოვებ; უფალო, ისე. —
რომ კიდევ ერთხელ არ მოვიდეს ახალი ქრისტე;
რომ კიდევ ერთხელ არ ვიხილოთ მტრის მორჩილება
და სიხარულით არ შევიხვიოთ მკერდის კრილობა.
ღმერთო! გვისმინე! ნუ დაგეტოვებ ქართველებს მარტო!
მე აღარ ვიცი, როგორ გითხრა, როგორ მოგმართო!
ქვეყნიერების სიხარული როცა იწყება,
მე მეშინია საქარაველოს გადავიწყება!

როგორ მიესადაგება ორივე ლექსის განწყობილება და ჩანაფიქრი დღევანდელი ქართველი კაცის სულისკვეთებას! როგორ შეესიტყვისება პოეტის მაშინდელი აღფრთოვანება, სიხარული და ღვთაებისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრების შინაარსი იმ მდგომარეობას, რომელიც დღეს სუფევს საქართველოში. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის თანამედროვე მკითხველის ინტერესს პ. იაშვილის ახლადმიკვლეული ამ ლექსებისადმი.

* * *

ზემოთ მე უკვე ვცადე მეჩვენებინა არსი პაოლო იაშვილის სიმბოლისტური თვალსაზრისისა. ამის ნათელსაყოფად შეძლებისდაგვარად გავაანალიზე პოეტის იმდროინდელი წერილები, ნაწილობრივ, ლექსებიც, მოკლედ გავეცანით აგრეთვე „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის შემოქმედებით პროგრამასა და მის წარმომადგენელთა მოღვაწეობის არსებით მომენტებს.

პაოლოს მაშინდელი ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინებით, ქვემოთ შევეცდები მკითხველის ყურადღება მივაპყრო პოეტის ე. წ. სიმ-

ბოლისტური პერიოდის ლექსებისთვის ნიშანდობლივ ძირითად ტენდენციებს.

სიმბოლიზმით პ. იაშვილის გატაცება, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად მის ესეისტიკაში გამოვლინდა, ვიდრე პოეტურ შემოქმედებაში. ყოველ შემთხვევაში, პაოლოს მიერ დეკლარირებულ სიმბოლისტურ ლიტერატურულ პრინციპებსა და ლექსებს შორის ყოველთვის როდი არსებობს სრული შესაბამისობა. თავისი პოეტური ბუნებით, სტილითა და მოვლენათა აღქმის თვითმყოფადობით პაოლოს პოეზია სიმბოლიზმით ყველაზე მეტად გატაცების წლებშიც კი უფრო კლასიკურ პოეტურ ტრადიციებთან და რეალიზმის პრინციპებთანაა გენეტიკურად დაკავშირებული, ვიდრე სიმბოლიზმის ესთეტიკურ მოთხოვნებთან.

მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლიზმით, საერთოდ, ვეროპული მოდერნიზმით გატაცებამ პაოლოსა და მისი მეგობრების შემოქმედებაში ნამდვილად გამოავლინა ზოგიერთი თვითმიზნური და აშკარად ფორმალისტური ტენდენცია, ამ ლიტერატურულმა მიმდინარეობამ არსებითი როლი შეასრულა ათიანი წლების ჩვენი მწერლობისთვის ბრძოლაში განახლების საქმეში. ეს როლი, პირველ ყოვლისა, იმით განისაზღვრა, რომ მან ახალი სასიცოცხლო იმპულსები შესძინა „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებას, ხელი შეუწყო ლიტერატურულ შტამთან დაპირისპირებას და პოეტურ ძიებათა შემდგომ განვითარებას, ეროვნული მწერლობა უფრო სისხლხორცეულად დააკავშირა ევროპულ შემოქმედებით სიახლეებთან...

ვფიქრობ, ქართულ ლიტერატურაში სიმბოლიზმის როლის შეფასების დროს, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ მომენტებს უნდა მივაქციოთ ყურადღება და არა იმ სიტყვიერ ესთეტიკურ დეკლარაციებს, რომლებსაც თვით მათი მქადაგებელნიც კი არ იცავდნენ და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ასეთ შემოქმედებით ექსტრემიზმამდე, ფაქტობრივად, არც მიდიოდნენ. ქვემოთ შევეცდები სწორედ ამ პოზიციიდან მივაქციო ყურადღება პ. იაშვილის ე. წ. სიმბოლისტური პერიოდის პოეტურ შემოქმედებას.

ჩემი აზრით, ძირითადად მისაღებია და გასაზიარებელი ქართულ კრიტიკაში გამოთქმული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ პ. იაშვი-

ლი — „ქართული სიმბოლიზმის ერთ-ერთი მამამთავარი და მოუსვენარი ორგანიზატორი — თვითონ ყველაზე ნაკლებად ორთოდოქსი სიმბოლისტი გამოდგა“ (გ. მერკვილაძე, ფიქრები პოეზიაზე, 1975 წ. გვ. 296). ამ მხრივ, მის წერილებში ჩამოყალიბებული ესთეტიკური პრინციპები და ლექსები იშვიათად თუ შეესაბამებიან ერთმანეთს. პირობითად, შეიძლება ითქვას, რომ კლასიკურ ლიტერატურულ მიმდინარეობათაგან მის საუკეთესო ლექსებში, ალბათ, უფრო მოვლენათა რეალისტურ აღქმასთან შერწყმული რომანტიკული და სიმბოლისტური ტენდენციები მძლავრობენ.

აქვე, ამ მოსაზრების გამოთქმასთან ერთად, ხაზგასმით ისიც უნდა განვაცხადოთ, რომ ეს თვალსაზრისი, ისევე როგორც, საერთოდ, ლიტერატურულ მიმდინარეობებზე მსჯელობა, პირობითი უფროა და ამ მხრივ რაიმე მკვეთრად გამმიჯნავი სამანები ძნელად თუ მოიძებნება. ამ შეხედულების ნათელი დადასტურებაა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის სხვა გამოჩენილ ოსტატთა შემოქმედებაც. მათ შორისაა პაოლო იაშვილიც, რომლის საუკეთესო ლექსები არამც და არამც არ იბოჭებიან რომელიმე ერთი ლიტერატურული მიმართულების ესთეტიკური ჩარჩობით. მათში ორგანულად, ბუნებრივი ძალდაუტანებლობითა და დამაჯერებლობით ერწყმის ერთმანეთს რომანტიზმის, რეალიზმის, სიმბოლიზმის, იმპრესიონიზმისა თუ სინამდვილის პოეტური აღქმის გზაზე ლიტერატურათმცოდნეთა მიერ გამოყოფილი სხვა ლიტერატურული მიმდინარეობების ელემენტები.

რაც შეეხება პაოლოსა და მისი მეგობარი „ცისფერყანწელი“ პოეტების სიმბოლისტობას, ეს უფრო ხშირად თეატრალური პოზა იყო, როგორც კარგად შენიშნავს გურამ ასათიანი, „თავისებური თამაში, უცნაური ნიღაბი, რომლებსაც მათი ნამდვილი ადამიანური სახე უნდა დაეფარა“ (გ. ასათიანი, კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები, 1977 წ. გვ. 300).

სინამდვილეში კი „ამ მკვდარი ნიღბების ქვეშ იმალებოდა სიცოცხლით სავსე, ცხოვრებას, მოქმედებას მოწყურებული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და უაღრესად მგრძნობიარე და ნიჭიერი ადამიანე-

ბის დაუხარჯავი ენერჯია და ტემპერამენტი“ (იქვე, გვ. 301). ამ შეფასებებში მართებულადაა მითითებული გ. ასათიანის მიერ დეკადენტობის სახელით მოხსენიებული ქართული სიმბოლიზმის თავისებური ბუნება. სწორადაა ხაზგასმული ის ფაქტი, რომ ე. წ. ვეროპული დეკადენტიზმისათვის დამახასიათებელი დაცემულობისა და სულიერი დეპრესიის გამომხატველი განწყობილებანი ჩვენი სიმბოლისტი პოეტებისათვის არასოდეს ქცეულა შემოქმედების მაგისტრალურ მიმართულებად. ეს ტენდენციები მათ ლიტერატურულ ნააზრევში მხოლოდ ეპიზოდურად, უფრო გარეგნულად ვლინდება და მათი სულიერი სამყაროს ბუნებრივ ნაწილს, ფაქტობრივად, არც წარმოადგენს. „ცისფერყანწელთაგან“ ეს ყველაზე მეტად პ. იაშვილისა და გ. ლეონიძის პოეზიას ეტყობა.

დღეს უკვე ფართოდაა დამკვიდრებული ის აზრი, რომ პაოლომ და მისმა მეგობრებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული ლექსის ვერსიფიკაციული მხარის გამრავალფეროვნების საქმეში. „ცისფერყანწელები“ აქტიურად მონაწილეობდნენ მე-20 საუკუნის პირველი მესამედის ჩვენს პოეზიაში ამ მიმართულებით ინტენსიურად მიმდინარე პროცესში და ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ეროვნულ ლიტერატურას.

აღსანიშნავია, მაგალითად, პაოლოს ზრუნვა ისეთი სალექსო ფორმების დასამკვიდრებლად, როგორებიცაა ვერლიბრი ანუ თავისუფალი ლექსი, სონეტი და ტრიოლეტი. მართალია, ამ ვერსიფიკაციულ ფორმებს მაშინ სხვა პოეტებიც ხშირად მიმართავდნენ, მაგრამ მისი ღვაწლი იმითაა ხაზგასასმელი, რომ მისებური პოეტური ოსტატობისთვის ამ საზომით შექმნილ ნაწარმოებებში იმხანად ცოტას თუ მიუღწევია.

როგორც ცნობილია, „ცისფერყანწელები“ ახალი ვერსიფიკაციული ფორმების შემოტანასა და დამკვიდრებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ადასტურებს მათი არა მარტო შინაგანი შემოქმედება, არამედ ლიტერატურული წერილებიც, სადაც ისინი ორიგინალური თვალთახედვით ხსნიან და იაზრებენ ამა თუ იმ ახალი სალექსო საზომის არსსა და პოეტურ დანიშნულებას.

ასეთი ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგალითად, სონეტი. ამ ორიგინალური სალექსო საზომის შესახებ „ყანწელებმა“ მრავალი საინტერესო

წერილი გამოაქვეყნეს. მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი პოეტური შემოქმედებით ისინი აქტიურად ცდილობდნენ სონეტის სხვადასხვა შინაარსობრივი ვარიანტების დამკვიდრებას, მტკიცედ და უღალატოდ იცავდნენ ამ სალექსო საზომის კლასიკურ ვერსიფიკაციულ სტრუქტურას.

ეს ის დროს იყო, როდესაც აღნიშნული სალექსო ფორმა ფართოდ მკვიდრდებოდა ქართულ პოეზიაში და ბევრი რამ იყო კამათის საგნად ქცეული. ასეთი იყო, მაგალითად, საკითხი იმის შესახებ, რამდენ მარცვლიანი ტაეპი უფრო ბუნებრივი და გამართლებული იქნებოდა სონეტისათვის — თოთხმეტისანი თუ ათისანი. პოეტების დიდი უმრავლესობა პირველს უჭერდა მხარს და ამგვარი სახით წერდა კიდევ სონეტებს. მაგრამ იყვნენ გამონაკლისებიც.

შალვა აფხაიძის ცნობით, პაოლო პრინციპულად წინააღმდეგი ყოფილა ათმარცვლიანი სალექსო საზომით სონეტის შექმნისა და თურმე პირდაპირ ამბობდა: „სონეტს არ უხდება ათმარცვლიანი, არამედ თოთხმეტმარცვლიანი ლექსი“ უნდაო და თავისი შეხედულების დასტურად იოსებ გრიშაშვილის 1910 წელს დაწერილ ათმარცვლიან სონეტებს ასახელებდა. საერთოდ, გრიშაშვილს დიდ პატივს სცემდა, როგორც უაღრესად ნიჭიერ პოეტს, განსაკუთრებით „ლექსის რეფორმის“ თვალსაზრისით, მაგრამ სონეტის საკითხში განსხვავებული აზრი ჰქონდა.

„ცისფერყანწელთაგან“ სონეტის ყველაზე დიდი ქომაგი მაინც ვალერიან გაფრინდაშვილი იყო. თავის წერილებში იგი ამ ლექსის ფორმის მეტად ორიგინალურ კლასიფიკაციას გვთავაზობს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა სტატია „სონეტის პრობლემა“ (1919 წ.), რომელშიც ის ამტკიცებს, რომ სონეტის შედგენილობა „თეორემაა. შეიძლება მისი ავტორი მათემატიკოსი იყო და არა პოეტიო“ (ვ. გაფრინდაშვილი, ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები, მწერლის არქივიდან. 1990 წ. გვ. 481).

მსოფლიო პოეზიის გამოჩენილ ოსტატთა შემოქმედებაზე დაყრდნობით, ვ. გაფრინდაშვილი ორიგინალურად განმარტავს და ახასიათებს სონეტის სპეციფიკურ ბუნებას. სონეტი, მისი აზრით, არისტოკრატიული ფორმაა იგი „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დამსახურების შეფასების დროს

განსაკუთრებით უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ისინი თავიანთი პოეტური შემოქმედებით აქტიურად იღვწოდნენ ამ სალექსო საზომის დასამკვიდრებლად ჩვენს პოეზიაში. ვ. გაფრინდაშვილი თვლიდა, რომ სონეტი ყველაზე სრულყოფილი ფორმაა. მისი შეხედულებით, არც ერთი ფორმა „არ არის ისე დასრულებული, ისე თალშეკრული, არც ერთი ისე არ შემორკალავს შემოქმედებას, როგორც ღვთაებრივი სონეტი“. ამიტომაც ვისაც არ შესწევს ძალა, არ უნდა ჩაიცვას სონეტის რკინის ჰერანგი, თორემ უსათუოდ ამ სიმძიმის ქვეშ ჩაიკეტებაო“, — დაასკვნის პოეტი.

სონეტისადმი, როგორც არისტოკრატიული ფორმისადმი, „ცისფერყანწელთა“ განსაკუთრებული პატივისცემა იმითაც გამოიხატა, რომ ერთმანეთისადმი მიძღვნილი მათი ლექსების უდიდესი ნაწილი სწორედ ამ სალექსო ფორმითაა დაწერილი. ასევე იქცევიან მაშინაც, როდესაც მათთვის განსაკუთრებით საყვარელ უცხოელ სიმბოლისტ პოეტებს უძღვნიან ლექსებს. როგორც ჩანს, ამას ისინი პრინციპული მნიშვნელობის საკითხად მიიჩნევდნენ და ამ წესს სიმბოლიზმით გატაცების წლებში თითქმის ყველა „ცისფერყანწელი“ იცავდა, იშვიათი გამონაკლისების გარდა.

ვ. გაფრინდაშვილი სონეტის თეორიული დახასიათების შემდეგ კონკრეტულად ასახელებს იმ პოეტებს, რომელთაც გამორჩეული წვლილი მიუძღვით ამ სალექსო ფორმის დამკვიდრებაში. მათ შორის მან საპატიო ადგილი მიუჩინა პაოლო იაშვილს და აღნიშნა: „პირველი კლასიკური სონეტები დასწერა ელენე დარიანმა ჩვენში, პაოლო იაშვილმა შექმნა შემდეგი სონეტები: ელამი სონეტი, სონეტი ამორძალი და სონეტი უნაგირი“ (ვ. გაფრინდაშვილის დასახ. წიგნი. გვ. 483).

ასევე დიდი როლი შეასრულა პ. იაშვილმა XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ პოეზიაში ვერლიბრის ანუ თავისუფალი სალექსო ფორმის დამკვიდრების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ვერსიფიკაციული ფორმის შექმნის ცდები ჩვენში მანამდედაც იყო, მისი ფართოდ დამკვიდრება ქართულ პოეზიაში, ფაქტობრივად, მეოცე საუკუნის 10—20-იან წლებში მოხდა. ამ აჯალსაზრისით მეტად საინტერესოა გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, ტ. გრა-

ნელის, კ. ნადირაძისა და სხვათა პოეტური ძიებანი. მათ გვერდით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აგრეთვე პაოლოს დამსახურებაც. მის მიერ შექმნილი თავისუფალი ლექსები სრულყოფილად ავლენენ ავტორის პოეტურ შესაძლებლობებს. განსხვავებით ზოგიერთი პოეტისაგან, ვისთვისაც ვერლიბრი ნააზრვეის მხატვრული გამოხატვის წარუმატებელ ფორმად იქცა, პ. იაშვილის თავისუფალი ლექსები ავტორისათვის ჩვეული პოეტური ძალმოსილებით ხასიათდებიან. მათში სრულყოფილად ვლინდება პაოლოს შემოქმედებითი სტიქია, სიტყვის ენერჯია და ტემპერამენტი.

განსხვავებით იმ პერიოდში შექმნილი ბევრი ვერლიბრისაგან, რომლებიც თავიანთი სტრუქტურული ბუნებით პროზას უფრო გვანან და მკვეთრად ემიჯნებიან კლასიკურ პოეტურ ფორმებს, პაოლოს თავისუფალი ლექსები მძაფრი შინაგანი რიტმულობითა და ორიგინალური მუსიკალური ჟღერადობით ხასიათდებიან. მაე.ში მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს რითმაც.

ასე რომ, ყველა ის საუკეთესო ნიშან-თვისება, რითაც პაოლოს პოეზია ხასიათდება ზოგადად — რიტმულ-მუსიკალური დახვეწილობა და ჟღერადობა, სიტყვიერი არტისტიზმი და გრაციოზულობა, ფერწერული ორნამენტულობა და ხატოვანება, ცეცხლოვანი ტემპერამენტი და მგზნებარება — შთამბეჭდავი ექსპრესიულობით ვლინდება პოეტის თავისუფალი ფორმით შექმნილ ლექსებშიც („წერილი დედას“, „ვეროპა“, „ფარშავანგები ქალაქში“...).

პაოლოს დიდ დამსახურებას ამ თვალსაზრისით ყურადღება ერთ-ერთმა პირველმა სანდრო ცირეკიძემ მიაქცია. ჟურნალ — „შვილდოსნის“ № 2—3-ში დასტამბულ წერილში იგი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „თავისუფალი ლექსის კულტურა ჩვენში პაოლო იაშვილს ეკუთვნისო“.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვერსიფიკაციულ ფორმათა მრვალფეროვნებისა და ორიგინალობისაკენ სწრაფვა პაოლოს მხოლოდ პოეტურ შემოქმედებაში როდი ვლინდება. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა აგრეთვე მისი პროზაული ნაწარმოებებიც, რომლებიც, ფაქტობრივად, თავისუფალი ლექსის პრინციპებით დაწერილ, მძაფრი შინაგანი რიტმითა და ემოციური შთამბეჭდაობით დამუხტულ მხატვრულ

ქმნილებებს წარმოადგენენ. პოეტური ნაკადი მათში იმდენად მძლავრობს, რომ ამ ნაწარმოებებს კლასიკური პროზის კანონებით, ალბათ, ვერც შევაფასებთ. ისინი გარდამავალ ადგილს იჭერენ პოეზიასა და პროზას შორის.

ბ. იაშვილის პროზის ეს სტრუქტურული ბუნება სიმბოლისტური პრინციპების ორიგინალურ გამოყენებასთან ერთად „იმპრესიონისტული სტილის“ სპეციფიკური ნიშან-თვისებებითაცაა განპირობებული (გ. მერკვილაძე, ფიქრები პოეზიაზე, 1975 წ. გვ. 343).

პაოლოს ე. წ. სიმბოლისტურ ლექსებში საკმაოდ გვხვდება პეიზაჟის, ადამიანის სულიერი განწყობილების არატრადიციული ხილვისა და დეფორმირებული გამოხატვის მაგალითები. მოვლენებისადმი ამდაგვარ დამოკიდებულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერთგვარი თეატრალური პოზაც, არტისტიზმი, უცხოური ლიტერატურული პრინციპების თავისებური გამოძახილი თუ ქვეცნობიერი ანარეკლი. ის და მისი მეგობრები ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიტაცა ადამიანის სულის იდუმალებაში წვდომის სურვილმა. ეს იყო კარგად გაცნობიერებული უკურეაქცია, იმ პრიმიტივიზმისა და ე. წ. მოქალაქეობრივი აქტუალობის წინააღმდეგ მიმართული, რომელიც საკმაოდ მიეძალა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიას.

ამ თამამ პოეტურ ძიებებში გაბედულად იყო ნათქვამი უარი შაბლონურ და ტრაფარეტულ ლიტერატურულ ფორმებზე. თუმცა ობიექტურობა გვავალებს იმის ხაზგასმით აღნიშვნასაც, რომ სიახლისა და ორიგინალურობის პრეტენზიით აღბეჭდილი ეს ნაკადიც ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დახვეწილი და სასურველ დონემდე ამალეებული.

„ცისფერყანწელთა“ ე. წ. სიმბოლისტური პერიოდის ლექსებში დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე ურბანისტული მსოფლგანცდისა და პეიზაჟების გამოხატვას. ისინი ცდილობენ სათანადო მხატვრული ძალითა და სიღრმით დაანახონ მკითხველს ქალაქური ყოფა, მისი სპეციფიკა და დაპირისპირება „სოფლური ცხოვრების“ პატიოსნებასთან, რასაც შედეგად მოჰყვა ტრადიციული ზნეობრივი ნორმების დაცემა-გადაგვარება. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა პაოლოს პოეზია, რომელშიც შთამ-

ბეჭდავი კონტრასტულობითაა ნაჩვენები ურბანისტული ცხოვრების შუა-გულში მოქცეული ლირიკული გმირის სულიერი დეპრესია და მარტო-ობის მწვავე განცდა. სოფლის პატიოსნებასა და ზნეობრივ სიწმინდეს აქ გამოკვეთილად უპირისპირდება ადამიანთა ორპირობა, გაიძვერობა, ქურდობა, მეძავეობა და სხვა მანკიერებანი. ამ თვალსაზრისით ქალაქი, ადამიანთა სიმრავლის მიუხედავად, აღიქმება როგორც პიროვნების გამუცხოებელი და განმმარტოებული გარემო, სადაც კიდევ უფრო ძლიერდება სულიერი ობლობის განცდა.

აღბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს ტენდენცია, ურბანისტული ცხოვრების ამდაგვარი თვალთახედვით აღქმა, იმხანად ქართული ყოფით განპირობებული მოვლენა არ ყოფილა. იგი უცხოური სინამდვილისა და მოდერნისტული ლიტერატურული პრინციპების უშუალო ზეგავლენის ნაყოფი უფრო იყო მაშინდელ ჩვენს მწერლობაში. ამდაგვარი მსოფლგანცდის გამოხატულებას ვხვდებით არა მარტო „ცისფერყანწელთა“, არამედ სხვა მწერალთა შემოქმედებაშიც.

პ. იაშვილის პოეზიაში, განსაკუთრებით კი მის ე. წ. სიმბოლისტური პერიოდის ლექსებში, მკვეთრად ვლინდება ურბანისტული ყოფის სწორედ ასეთი უარყოფითი შეფასება. მის შემოქმედებაში მკაფიოდ იმიჯნება ერთმანეთისაგან სოფელი და ქალაქი. სოფლური ყოფის სიწმინდისა და ზნეობრივი აუმღვრეველობის ფონზე კონტრასტულად იკვეთება ქალაქის საშინელებანი, რაც პიროვნების სულიერი სამყაროს დაშლასა და დეფორმაციას, მისი ინდივიდუალობის კვდომასა და გადაგვარებას იწვევს.

პაოლოს მსოფლმხედველობაზე ამ შემთხვევაში, ეტყობა, ზეგავლენა მოახდინა, საერთოდ, სიმბოლისტების დამოკიდებულებამ ქალაქური ყოფისადმი, აგრეთვე იმანაც, რომ თავისი ცხოვრების ერთ პერიოდში პარიზში მყოფი პოეტი უშუალოდ ეზიარა დიდი ქალაქის ცხოვრების სპეციფიკას.

ასე რომ, პ. იაშვილის პოეზიაში დახატული ქალაქი „სიმბოლისტის თვალთ დანახული ირეალური ქალაქი უფროა, ვიდრე ნამდვილი“ (გ. ასათიანი, კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები, 1977 წ. გვ. 306).

აქვე გასათვალისწინებელი, ვფიქრობ, ისიცაა, რომ ქალაქისადმი აჩვენებულ დამოკიდებულებაში, გარკვეულწილად, ლიტერატურულ-თეატრალური პოზაც უნდა დავინახოთ. პაოლო და მისი „ყანწელი“ მეგობრები, როცა ასეთი ურბანისტული მსოფლგანცდის პრინციპებს აყალიბებდნენ და პოეტური ფორმით გამოხატავდნენ, იმხანად ძირითადად ხომ ქუთაისში — აქ „დიდ ქართულ სოფელში“ ცხოვრობდნენ, ქალაქში, რომელიც, შეიძლება ითქვას, მთლიანად იყო მოწყვეტილი დიდი ქალაქის თავბრუდამხვევ მღვლვარებას.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციო აგრეთვე იმ შეუსაბამობასაც, რომელიც აშკარად არსებობს პაოლოს „პირველთქმასა“ და ლექსებს შორის: „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში დასტამბულ მანიფესტში სიმბოლისტური ჯგუფის თავკაცი ზემოთ მითითებული პოზიციისაგან მკვეთრად განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს. კერძოდ, აქ იგი, პირიქით, აშკარად უპირისპირდება სოფლური იდილიური ყოფის სიმშვიდესა და რომანტიკას და აცხადებს, რომ საქაროვებლო უსაზღვრო, ხმაურიან ქალაქად უნდა გადაიქცეს, სადაც „ცოცხალმა ხმაურობამ“ უნდა შეცვალოს „ყვავილოვანი ველების ზურმუხტობაო“. ასეთი ფორმით ვლინდება „პირველთქმაში“ პაოლოს ოცნება, რაც ურბანისტულ ცხოვრებასთან დაპირისპირებას კი არა, პირიქით, მის განდიდებასა და იდეალიზაციას გულისხმობს.

საკმარისია პოეტის ეს თვალსაზრისი შევადაროთ მის ლექსებში გამოხატულ პოზიციას, რომ აშკარად დავინახავთ მათ შორის არსებულ მკვეთრ შეუსაბამობასა და მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობას. ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ ლექსები: „წერილი დედას“, „ფარშავანგები ქალაქში“, „ევროპა“.

პაოლოს ლექსი „ფარშავანგები ქალაქში“ (1916 წ.) სიმბოლისტური პრინციპებით ნასაზრდოები ფანტასმაგონიური ხილვაა დიდი ქალაქის თავბრუდამხვევი და ხმაურიანი ცხოვრებისა. იმის შესაცნობად, თუ როგორია არსი ამ ფანტასმაგონიური სინამდვილისა, გავიხსენოთ ფრაგმენტი ნაწარმოებიდან:

როგორც დამსხვრეულ შუშების მტვერი,
 ისე ელავდა ლურჯი ქაერი,
 და მოძრაობდა ჩქარ ელვარებით
 ხალხი. მორთული ცხელ ოლარებით.
 ქარხნების ყვირილი და კვამლი ღვრია,
 ქუჩებში სწეული ძაღლები ყრია,
 კნაიან სახლებზე ფერადი კატები;
 საყდრის გუმბათები
 ცას ეშურებიათ. ვით ცეცხლის ენები,
 მხურვალე ცახცახით დაქპრიან ცხენები,
 მწვანე და წითელი ქოლგების ტრიალი,
 სადღესასწაულო დროშების ფრიალი,
 ლურჯ ხავერდიან ხეების ლანდები.
 ოქროს და ძვირფასი შუშაბანდები...
 სისხლისფერ გველეშაპს ბრაზი ემატება,
 ქალაქში შენიშნეს ქაერის ანთება...

ლექსი „წერილი დედას“ სხვადასხვა გამოცემებში დაწერის ორი განსხვავებული თარიღითაა შეტანილი — 1916 წლითა და 1917 წლით. 1975 წელს გამოცემულ ერთტომეულში მითითებულია, რომ ლექსი დაიწერა 1916 წელს, პირველად კი დაიბეჭდა გაზეთ „ხალხის მეგობრის“ სურათებიანი დამატების 1917 წლის პირველ ნომერში.

მკვლევარმა ზაურ მეძველიამ სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არც ერთი ეს მონაცემი სწორი არ არის (იხ. „ცისკარი“, 1985 წ. № 11, გვ. 136—137). მისი აზრით, ლექსი დაწერილია არა 1916—1917 წლებში, არამედ 1918 წელს, პირველად კი დაბეჭდილია ამავე წლის 1 დეკემბერს. ამდაგვარი მსჯელობის საფუძველს მას აძლევს ის გარემოება, თითქოს ნაწარმოებში გამოხატულია პოეტის თბილისში დამკვიდრების შემდგომდროინდელი ვითარება. ამ შემთხვევაში მკვლევარისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს სტრიქონს — „იქნებ ჩვენ თბილისის ხვალ ყველამ დავტოვოთ!“.

თბილისის ასე სასწრაფოდ დატოვების მიზეზი, — წერს ზ. მეძველია, — „უცერად შეცვლილი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ვითარებაა. ასეთ მომენტებს მძაფრი ისტორიული მოვლენები ქმნიდნენ. როგორც ცნობილია, რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე მოულოდნელად არაერთხელ შემოიჭრნენ გათამამებული უცხო ჯარები, რის გამოც პატრიოტი ახალგაზრდა მგოსნები რამდენჯერმე გაემგ-

ზავრნენ ბრძოლის ველისაკენ. შ. აფხაიძე გვაუწყებს ასეთ ფაქტს: „პაოლო და ტიცციანი ცხენოსანთა რაზმში იყვნენ და მონაწილეობდნენ აწყურთან ბრძოლაში“. ცხოვრებისეული ფაქტი პ. იაშვილმა ალი არსენიშვილისადმი მიძღვნილ ლექსშიც აახშიანა“.

მართლაც, როგორც ცნობილია, პაოლო და ტიცციანი აქტიურად იყვნენ დაკავშირებულნი იმ ბრძოლებთან, რომლებიც სპარტელოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად მიმდინარეობდა 1918 წელს. ეს მოვლენები სათანადოდ აისახა კიდევ მათ შემოქმედებაში. ისიც არ უნდა იყოს საეჭვო, რომ „წერილი დედას“ პოეტმა თბილისში დამკვიდრების შემდგომ დაწერა. მაგრამ, არა მგონია, ნაწარმოებში გამოხატული განწყობილება უშუალოდ მაშინდელი პოლიტიკური ვითარებით იყოს შთაგონებული.

ვფიქრობ, ლექსის სულისკვეთებას სულ სხვა რამ უნდა განსაზღვრავდეს, — კერძოდ, როგორც უკვე ითქვა, მისი მთავარი პათოსი ურბანისტული ცხოვრების წესთან და მის შედეგად დეფორმირებულ ზნეობრივ პრინციპებთან დაპირისპირება უნდა იყოს. ეს დაპირისპირება ლექსში იმდენად აშკარად და მკვეთრად არის გამოხატული, რომ გაორებული და დაეჭვებული საუბრისათვის, ვფიქრობ, არავითარი საფუძველი არ არსებობს.

ერთი მხრივ — სოფლის პატიოსნება, რომანტიკული იდილია, სიმყუდროვე, საუკუნეებით დამკვიდრებული ქართული ყოფის კოლორიტი... მეორეს მხრივ კი, მის საპირისპიროდ, — ქალაქურ გარემოში მოქცეული პოეტის შეჯახება სულ სხვა ცხოვრებასთან, სულ სხვა ზნეობა, სპეტაკი ადამიანური გრძნობების გადაგვარება და დაცემა, ქურდობა, გაუტანლობა და ათასგვარი მამაძაღლობა... ასეთია ამ დაპირისპირებულ მხარეთა კონტრასტები, რომელთაც პაოლო მკვეთრი პოეტური ფერებით გვიხატავს:

დავტოვე სოფელი —
მყუდრო სამყოფელი,
ქვიტკირის მარნები
და კატის კნუტები

სიშინდის ყანა!
პა! კინტოს პროფილი,
საეპეო ტარნები,
და დავიკუნტები

ქალაქის ქუჩებში მე — სალახანა.
ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი!
ზნის განიავება, ცალო და კეკერი;
და სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი,
როცა მე ქალაქში მაწუხებს, მახელებს
ყველა ყელსახევეი, შავი ხელთათმანი.

ვფიქრობ, ლექსში ნათლად, არაორაზროვნად იგრძნობა სოფლის რომანტიკული ყოფისა და ურბანისტული ცხოვრების შედეგად გადაგვარებული ზნეობის ურთიეთდაპირისპირება. სოფლის სიწმინდესა და მართალ ბათმანს ორპირობა, სიფლიდე და გაიძვერობა ცვლის. პოეტი აღსარების წერილს უგზავნის სოფელში დარჩენილ დედას. ამ შემთხვევაში იგი ის ძე შეცდომილია, საექვო სამყაროში მოხვედრილი, თავადაც ცოდვებთან წილნაყარი და სულდამძიმებული, რომელიც ახლა ამ აღსარებითა და მონანიებით ცდილობს ცოდვათა გამოსყიდვასა და შენდობას.

იმისათვის, რომ სათქმელმა მეტი ეფექტურობა და შთამბეჭდაობა შეიძინოს, ყოველივე ეს პოეტს მძაფრად კონტრასტული და გაზვიადებული ფორმით აქვს გამოხატული.

გავისხენოთ, მაგალითად, ლექსის ბოლო სტრიქონები, სადაც ლირიკული გმირის ვედრება დედისადმი, როგორმე დაიხსნას და გადაარჩინოს მისი სული ცოდვათაგან, ამგვარადაა გადმოცემული:

დედა! ინახუღე
შენ წმინდა ხახული!
წადი თუხშიშველი,
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე.
ღმერთო! აპატიე. —
მე თუ ვერ მიშველი —
დედას, რომ დაგინთო ჩემ სიკრძე სანთელი,
მისთვის, რომ ჩემს გულში
დაუჩრდეს გრიგალი და კორიანტელი.

ვფიქრობ, სწორედ ესაა ლექსის მთავარი სულისკვეთება და არა ის სისხლიანი მოვლენები, რომლებიც იმხანად დაატყდა თავს ახლადგანთავისუფლებულ საქართველოს. ეს რომ ასე ყოფილიყო, პოეტი ამ ტრაგიკულ მოვლენებს ქარაგმულად, ერთადერთი სტრიქონით კი არ გამოხატავდა, არამედ ჩვეული სიმძაფრითა და სიღრმით შეაგრძნობინებდა მკითხველს.

ხოლო იმ ფაქტს, რომ ლექსის პირველად გამოქვეყნება 1918 წლის საომარ ოპერაციებს დაემთხვა, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. არც ის ცვლის ვითარებას, პაოლომ და მისმა მეგობრებმა იმხანად მონაწილეობა რომ მიიღეს აწყურთან გამართულ ბრძოლებში.

ახლა კი, რასან სიტყვამ მოიტანა, ამ ბრძოლებში პაოლოს მონაწილეობის შესახებაც ვიტყვი ორიოდ სიტყვას.

1918 წელს, როდესაც საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით გათამამებულიმა თურქეთმა ტერიტორიული პრეტენზიები წამოუყენა საქართველოს და შეტევასე გადავიდა აჭარისა და სამხრეთ საქართველოს მისატაცებლად, პაოლო იაშვილი, სხვა მწერლებთან ერთდ, იარაღით ხელში დადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში და „სისხლით იცავდა თავის ქვეყანას შემოსული მტრებისაგან“ (შ. აფხაიძე, ადამიანები და წიგნები, 1964 წ. გვ. 68). ის და ტიცციანი ცხენოსანთა რაზმში ჩაეწერნენ და მონაწილეობდნენ აწყურთან გამართულ ბრძოლაში. ხოლო შემდეგ, როცა ბათუმს დაემუქრა საფრთხე, პაოლო ქალაქის დამცველებს შეუერთდა. ქუთაისიდან წასულ მოხალისეთა რაზმს თურმე დავით კლდიაშვილი მეთაურობდა.

თავდაპირველად, როგორც ცნობილია, ბათუმი დაეცა და ქალაქში თურქი ასკერები შემოიჭრნენ. ამ ფაქტმა უდიდესი გულისტკივილი გამოიწვია ქართველ ხალხში. ამ გულისტკივილის გამოსატყულებათა პაოლოს ლექსი „დაცემულ ბათუმს“, რომელიც თუმცა 1918 წელსაა დაწერილი, მაგრამ პირველად 1958 წელს დაიბეჭდა. მასში, ქალაქის დაცემით გამოწვეული მწუხარების გამოსატყუასთან ერთად, მტერზე შურისძიებისა და საბოლოო გამარჯვების რწმენაცაა გამჟღავნებული. კერძოდ, ლექსის ძირითადი სულისკვეთება კარგად ვლინდება შემდეგ სტრიქონებში:

უკვე იწყება მრისხანე წამი,
წამი, რომელიც ძვლებს დაახვავებს;
უკვე შეირხა ზღვასთან ლერწამი. —
ბათუმის ცაზე მე ვუმზერ ყვავებს...
ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,
გაშალეთ მზეზე კრიალა ხმლები,
ან დაეიბრუნოთ ჩვენი აქარა,
ანდა ბათუმთან დავტოვოთ ძვლები.

ადრე სულთანი ნუ გაიხარებს,
აღმოსავლეთის ადრეა ტაში, —
ჩვენ დაიბრუნებთ ბათუმის კარებს,
მწარე იქნება ჩვენი რევანში.

პაოლოსა და მის მეგობრებს მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე აწყურთან, თურქების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებშიც. გარდა მემუარული ლიტერატურისა, ამ ფქტს ადასტურებს ალი არსენიშვილისადმი მიძღვნილი ლექსიც, რომელსაც ასეთი ქვესათაურიც აქვს: „ვაგონი. ცხენებით. ხუთი გუსარი. აწყურისაკენ“. ამ ლექსიდან ნათლად ჩანს განწყობილება სამშობლოს დასაცავად აწყურისაკენ მიმავალი სამი „დაუდგრომელი“ მწერლისა და მეგობრისა — პაოლოსი, ტიციანისა და ალი არსენიშვილისა, რომლებსაც ქვეყნისთვის თავსდატეხილი საბედისწერო ვიზარების გამო იარაღი აუსხამთ და მტრის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარისკაცებად ქცეულან.

როგორც ცნობილია, 1918 წლის დეკემბერში ტერიტორიული უთანხმოების საფუძველზე, სომხეთსა და საქართველოს შორის ომი ატყდა. ომის წამომწყებნი სომხები იყვნენ. ისინი მოულოდნელად დაესხნენ თავს ჩვენს სამშობლოს და გეზი თბილისისაკენ აიღეს. ამ ფაქტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია. ხალხი უმაღ დაირაზმა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ომის დაწყებისთანავე პაოლო თბილისიდან ქუთაისში ჩავიდა და იქ, ჩვენი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, აქტიური მუშაობა გააჩაღა სახალხო რაზმის შესაქმნელად. ამ მიზნით იგი ატარებდა მიტინგებს, რომლებზეც მოუწოდებდა ხალხს პატრიოტული ბრძოლისაკენ. მასთან ერთად იყვნენ ტ. ტაბიძე, ს. კლდიაშვილი, კ. ნადირაძე და სხვა „ცისფერყანწელი“ პოეტები.

ამ ფაქტის შესახებ საინტერესო მასალები მოიძია ზ. მეძველიამ (იხ. „ცისკარი“, 1985 წ. № 11). მათგან ისიც ნათლად ირკვევა, თუ რა დიდ ყურადღებას იჩენდა მაშინდელი პრესა საქართველო-სომხეთის ომთან დაკავშირებული მოვლენებისადმი. 1918 წლის 16 დეკემბრის საღამო ქუთაისში, — წერდა ერთ-ერთი გაზეთი. — საუცხოო ლამაზი სიტყვა თქვა მგოსანმა პაოლო იაშვილმა. ტფილისი საქართველოა და სა-

ქართველო კი ტფილისი. დაკარგვა მისი დამხობაა მთელი საქართველო-
სი. ვიხსნათ თავი უდიდესი სირცხვილისაგან“. ასეთი მოწოდებანი იმ-
ჟამად ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ხალხის ამ ერთსულოვანმა აღმფოთებამ და საბრძოლო პატრიოტულ-
მა შემართებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. სულ მალე ქართველთა
ლაშქარი კონტრშეტევაზე გადავიდა, მტერი უკან გარეკა და რომ არა
საქმეში ინგლისის აქტიური ჩარევა, ეს სამარცხვინო ომი სომხეთის სა-
ეწლალ კატასტროფით დამთავრდებოდა.

პაოლოს ამდროინდელი ეროვნული მრწამსის შესაცნობად მნიშვნე-
ლოვანია აგრეთვე 1917 წელს დაწერილი „უეცერი ლექსი — პოლო-
ნეთს“, რომელიც პოლონეთის განთავისუფლების ფაქტითაა შთაგონებული.
პოეტი აღფრთოვანებული ულოცავს პოლონელ ხალხს ამ ბედნიერი დღის
გათენებას და „ძველი ვარშავის დიდი დღესასწაულის“ თანამონაწილედ
ქართველ ერსაც აცხადებს. მკითხველისათვის, ვფიქრობ, ადვილი ასახ-
სნელია, რა უდევს საფუძვლად პოლონელი ხალხის ამ დიდი ეროვნული
დღესასწაულით ამგვარ აღფრთოვანებას. ესაა ნატვრა იმისა, საქართვე-
ლომაც მოიპოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ამით აის-
რულოს ის უზენაესი ოცნება, რომელიც, პოლონელთა მსგავსად, ყოვე-
ლი ქართველის უმაღლესი ეროვნული იდეალი იყო მუდამ და ყოველ-
თვის:

ქართველი ერი და პოლონეთი —
ორი გვირგვინი და ორი კენესა!
ჩვენ გვაწვალებდა ოცნება ერთი
და ჩვენ მოველით ერთნაირ მზესა.
ჩვენ ერთად ველით და მალე გვინდა
ახალი მორთვა მზით მთა-ველისა!
ამაყო ძმებო! სალამი წმიდა!
სალამი გრძნეულ რუსთაველისა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ სიმ-
ბოლიზმით უკიდურესი გატაცების წლებშიც კი პ. იაშვილის პოეტური
შთაგონება, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ფესვებით საზრდოობდა.
წარსულისადმი ნიპილისტურმა დამოკიდებულებამაც, რომელსაც იმხანად
ქადაგებდა პაოლო, იგი ვერ მოწყვიტა ამ ძირებს. პოეტის გალაშქრება
კლასიკური კულტურის წინააღმდეგ უფრო გარეგნული პოზა იყო, ვიდრე

შინაგანი მსოფლმხედველობრივი რწმენის ნაყოფი. ამიტომაცაა, რომ მისი პოეზია ასეთ უკიდურესობამდე, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, არასოდეს მისულა. პირიქით, პაოლოს მთელი ცხოვრება და შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციებთანაა ორგანულად შესისხლხორცებული.

როგორც აკაკი გაწერელია წერს, „პაოლო იაშვილი, მიუხედავად მისი „სიმბოლისტობისა“, მიუხედავად ფრანგი დეკადენტებისადმი მიძღვნილი ლექსების სერიისა, თავისი პოეტური მიდრეკილებებითა და მეტყველების კულტურით, ამ სკოლას არ მიეკუთვნებოდა. მისი ფრაზა ემყარებოდა თქმის რეალიზმს (ბ. ვისენბაუმის გამოთქმა). ამითი იგი რადიკალურად უპირისპირდებოდა სიტყვიერი მასალის შინაარსის ლექსიკურ მერყეობას, საგნობრივ ბუნდოვანებას, ირეალური წარმოდგენებისადმი ლტოლვას. მას უფრო აკაკის, ვაჟასა და პუშკინის რეალისტური თქმის სამყარო იზიდავდა და მისი ლექსების ნექტარს ქართული ქვების სურნელი უფრო ასდიოდა, ვიდრე დეკადენტური აბსენტის მომწამვლელი ორთქლი. ასევე, პ. იაშვილის ვიზუალურ ხედვებს ჩვენი ქვეყნის ბუნების ლანდშაფტები და სანახები კვებავდნენ, ხოლო ემოციებს — რაინდული ნადიმები და მოლხენები“ (გაზ. „თბილისი“, 1989 წ. 27 მარტი).

1922 წელს პაოლო იაშვილმა დაწერა ცნობილი ლექსი „ვეროპა“, რომელიც ქართულ პოეზიაში ვერლიბრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. მასში ორიგინალური პოეტური ფორმითა და თვალთახედვით აირეკლა ის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენები, პირველი მსოფლიო ომის წლებში რომ მოხდა ჯეროპაში.

როგორც ცნობილია, 1913-1915 წლებში პ. იაშვილი საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში იმყოფებოდა სასწავლებლად. მსოფლიო ომის ქარტეხილმა მას იქ მოუსწრო. ლექსში პოეტი იხსენებს იმ პერიოდის საომარ ბატალიებს, შთამბეჭდავი ფორმით აღადგენს მაშინდელ განწყობილებას, რომელიც მძიმე და წარუშლელ შთაბეჭდილებად შემორჩენია მის მეხსიერებას. შექმნილი ვითარების სიმძიმემ იგი იძულებული გახადა ნაადრევად მიეტოვებინა პარიზი და გამოქცეოდა „ვეროპის ქაოსს“. სამშობლოში დაბრუნებული პაოლო ხშირად იხსენებდა ტოტალურად აგორებულ

ომის ნიაღვარს, იგონებდა შურისძიებით გამეხებულ პარიზის მოქალაქეებს, რომლებიც სენაში ყრიდნენ გერმანულ ტყვეებს... ამ სისხლიანი დღეების მოგონება, დღეებისა, როცა სიცოცხლის მარადიული დღესასწაულის სიმბოლოდ აღიარებული პარიზი „უსიცოცხლო და უსიმღერო“ ქალაქად იქცა, სამუდამოდ აღიბეჭდება პოეტის ხსოვნაში და ლექსში ასეთ სახეს ღებულობს:

გამოვექეცი ევროპის ქაოსს,
სისხლს,
დანგრეულ რეიმის ტაძარს,
უზარმაზარ ტანების ქშენას,
რეინის ირგვლოვ თაობათა გადაშენებას.
ვიგონებ მართლა ერუანტელით
ლამანშის სრუტეს,
იქ ჩალაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს.
შოტლანდიაში
ვნახე თეთრი ძროხების ქოგო
და გავილიმე ვით ნახევრად გაგიჟებულმა,
გამოვექეცი ევროპის წარღვნას...

მაგრამ, აქ აღწერილი პოლიტიკური მოვლენების უდიდესი მნიშვნელობისა და მათი საკმაოდ მძაფრი ემოციური განცდის მიუხედავად, პარიზიდან გამოქცეული პოეტის სულში ყველაზე მეტად მაინც ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო და არაარსებითი ფაქტი აღიბეჭდა — პარიზში, პერლაშეზის სასაფლაოზე, უპატრონოდ მიტოვებული ქართველი ლეგიონერის — ბუჭუტა აბაშიძის საფლავი. სწორედ ეს ფაქტია ქცეული ლექსში აღწერილი აპოკალიფსური ხილვის აზრობრივ გვირგვინად. პირველი მსოფლიო ომის კომმარული შთაბეჭდილებების გახსენება პ. იაშვილმა, უწინარეს ყოვლისა, მშობლიურ მიწას მოწყვეტილი ამ პიროვნების ტრაგიკულ ბედს დაუკავშირა და ეს გახსენება ლექსში გამჟღავნებული უმთავრესი სათქმელის ლოგიკურ წერტილად აქცია.

პარიზში დამრჩა ერთი საფლავი,
ლეგიონის ორდენის წევრი,
აღმოსავლეთში განთქმული გმირი,
და ქუთაისში გადამტანი რევოლუციის,
მკედარი მარნასთან.
პერლაშეზე გასვენებულ
ბუჭუტა აბაშიძე.

ლექსის წამკითხველს, ბუნებრივია, სავსებით ლოგიკურად გაუჩნდება კითხვა, თუ ვინ არის ბუჭუტა აბაშიძე, რომლის მიმართაც პოეტმა ესო-

დენი სიყვარული და პატივისცემა გამოამჟღავნა? ბუჭუტა (ალექსანდრე) აბაშიძე, როგორც პაოლოს თანამედროვენი იგონებენ, მწერლისათვის კარგად ნაცნობი პიროვნება ყოფილა, საჩხერელი კაცი, რაინდული სულის ფალავანი. დამთავრებული ჰქონია ქუთაისის რეალური სასწავლებელი.

პარიზში ყოფნის პერიოდში პაოლო სრულიად შემთხვევით შეხვედრია მას, ინტერესით მოუსმენია მისი რომანტიკული თავგადასავალი, ევროპაში რომ გადახდენია თავს ძველ მეგობარს და დიდად მოხიბლულა. ბუჭუტას ბუნტარული სული ვერ ეგუებოდა უსამართლობას და მოწაფეობიდანვე აქტიურად ჩაება სამართლიანობისათვის ბრძოლაში, — იგონებს მის შესახებ პაოლოს ბავშვობისა და სიჭაბუკის მეგობარი კ. ქოჩიაშვილი (იხ. კ. ქოჩიაშვილი, პაოლო იაშვილი პარიზში, გაზ. „ქუთაისი“, 1970 წ. 14 მაისი).

1905-06 წლებში ბუჭუტა აბაშიძეს მონაწილეობა მიუღია მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში. შემდეგ საფრანგეთში წასულა, სადაც უცხოელ ჯარისკაცთა ლეგიონში ჩარიცხულა და ფრანგებთან ერთად უბრძოლია აფრიკაში. აქედან ინდოჩინეთში გამგზავრებულა საომრად. 1913 წელს კი კვლავ პარიზში დაბრუნდა. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე, ფრონტზე გაემგზავრა და მონაწილეობდა პარიზის დასაცავად გამართულ ბრძოლებში, სადაც დაიჭრა და გარდაიცვალა კიდევ. დაკრძალეს პარიზში. პაოლოსა და იმხანად იქ მყოფ სხვა ქართველებს მონაწილეობა მიუღიათ ბუჭუტას დასაფლავებაში და გულით დაუტირებიათ სამშობლოსგან შორს დაღუპული ქართველი რაინდი.

ასეთია მოკლე ბიოგრაფიული ცნობები პ. იაშვილის ლექსის ლირიკულ გმირად ქცეული ბუჭუტა აბაშიძის შესახებ.

პაოლოს ე. წ. სიმბოლისტური პერიოდის მისწრაფებებისა და პიროვნული ბუნების შესაცნობად მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის პოეტური თვითდახასიათებაც, რომელსაც 1917 წელს — სიმბოლისმით რომანტიკული გატაცების ჟამს — დაწერილ ერთ-ერთ ლექსში („ავტოპორტრეტი“) იძლევა იგი. ქართული პოეზიის ეს თვითდაჯერებული დენდი, თავისი ლექსებით პირდაპირ რუსთაველთან რომ აპირებდა პოეტური სიტყვის ალავერდის გადასვლას, ასე წარუდგენს მკითხველს საკუთარ თავს:

ამპარტავახი და ყოველთვის პირგაპარსული,
ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული,
ლამაზ რიომისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული,
ვაშაუბ იმით, რომ არა მაქვს ვრცელი წარსული.
პოეზიიდან შორს გავტყორცნე სიტყვა თარსული,
ყოველთვის მელის მშვენიერი ქალთა კრებული,
მხოლოდ უაღრეს ყელსახვევით გაკვირვებული,
მათრობს ხაშხაშის სურნელება ძველი სპარსული.

პ. იაშვილის სიმბოლისტური ლექსებიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე „წითელი ხარი“. ქართულ კრიტიკაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წითელი ხარი თვით პოეტის ალეგორიული სახესიმბოლოა. ამდაგვარი განცხადებისათვის საფუძველს ამ თვალსაზრისის ავტორებს აძლევდათ არა მარტო ეს ლექსი, არამედ სხვა არგუმენტებიც. მაგალითად, ტიცვიან ტაბიძე პაოლოსადმი მიძღვნილ ლექსში ამბობს: „წითელი ხარის გამძღვებია მაგარი ჯიში და იალალზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრადო“. ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ წითელი ხარის ალეგორიულ სახეში აქ პაოლო იგულისხმება, ხოლო მის წინამძღოლობაზე მითითება „ცისფერყანწულთა“ ლიტერატურული ჯგუფის თავკაცობისათვის საზგასმაა. ამ თვალსაზრისს კიდევ უფრო განამტკიცებს სანდრო ცირეკიძის მიერ 1924 წელს გაზეთ „ბარბაკადის“ პირველ ნომერში დასტამბულ წერილში არაორაზროვნად ნათქვამი ეს სიტყვებიც: „ქართულ პოეზიას ყავს წითელი ხარი — პაოლო იაშვილიო“.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ცისფერყანწულები“ ერთმანეთისადმი მიძღვნილ ლექსებში ერთი მეორეს ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე ხარად. გავიხსენოთ, მაგალითად, ს. შანშიაშვილისადმი მიძღვნილი ტიცვიანის ლექსის ფრაგმენტი, სადაც იგი ასეა დახასიათებული: „ხარ პოეზიის ირება ხარი და სადღეგრძელო შენთვის ახია“.

აქ გამოთქმული არგუმენტები, ვფიქრობ, უთუოდ გასათვალისწინებელია შემოთქმული თვალსაზრისის განსამტკიცებლად, მაგრამ მაინც მგონია, რომ უფრო ის შეხედულებაა მისაღები, რომლის მიხედვითაც წითელი ხარი ამ ლექსში პოეტს კი არ აღნიშნავს, არამედ „ლექსებს, პოეზიას საერთოდ“ (იხ. მ. თავდიშვილის წერილი, „ცისკარი“, 1974 წ. № 2, გვ. 111). ამდაგვარი განცხადებისთვის საფუძველს იძლევა არა მარტო „წითელი ხარი“, არამედ ავტორის სხვა ლექსებიც. მაგალითად,

გ. ლეონიძისადმი მიძღვნილ ლექსში პაოლო წერს: „შენი ლექსი წითელ ძროხის ჯოგიაო“. მეორეგან კი თავის თავზე ამბობს: „გადამიშენდნენ დღეს წითელი ჩემი ხარებიო“. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ამავე ნაწარმოებში („თორმეტი წლიდან...“) ლექსის, პოეტური შთაგონების, სიმბოლოდ ოქროს ჩიტებიცაა გამოყენებული. კერძოდ, პოეტი წერს: „თორმეტი წლიდან აღარ მაცლიდნენ ცხოვრებას დიდი ოქროს ჩიტები“.

ასეთია წითელი ხარის სახე-სიმბოლოსთან დაკავშირებით გამოთქმული ორი მოსაზრება. თუმცა მ. თავდიშვილი აქაც არ სვამს წერტილს და ამ მსჯელობას უფრო ფართო მასშტაბს სძენს იმის აღნიშვნით, რომ „წითელ ხარში“ მოცემულია ქართული ზღაპრის მოტივები, რაც ბუნებრივად უკავშირდება რეალური სამყაროდან გაქცევის სიმბოლისტურ გაგებასო“ და პარალელს ავლებს ხალხურ წიქარასთან.

ბ. იაშვილის ამ ლექსში, ისევე, როგორც სხვა „ცისფერყანწელთა“ სიმბოლისტური ხასიათის ლექსებში, თავისებური ფორმით ვლინდება რეალური სინამდვილის მითოლოგიურებისა და ქაოტურად აღქმის ტენდენცია. გურამ ბენაშვილი ამ პროცესს პაოლოს ადრინდელ შემოქმედებაში „მითოლოგიური სიუჟეტების სიმბოლისტურ ტრანსფორმაციას, მათი იდუმალებით მოსილი სახეების დაშიფრულ და მკითხველისათვის ძნელად გასაცნობიერებელ გამჟღავნებას“ არქმევს სახელად. ეს მითოლოგიური პასაჟები, კრიტიკოსის აზრით, „ერთდებიან მკვირვ, ერთარსებადქცეულ სიმბოლოებად, რომელთა ქვეტექსტი ვარიაციული გახსნის დიდ შესაძლებლობებს იტევს“ (გ. ბენაშვილი, წყურვილი წვდომისა, 1986 წ. გვ. 31). სწორედ ამ თვალთახედვით განიხილავს კრიტიკოსი „წითელ ხარს“ და ლექსის სრულიად განსხვავებულ „ვარიანტულ“ წაკითხვას გვთავაზობს. კერძოდ, მისი შეფასებით, პოეტის მიერ გააზრებული ხარი შორეულად ასოცირდება ეგვიპტური მითოლოგიით კარგად ცნობილ ფაქტთან — „მზის ღმერთის ამუნ-რას მიწიერი იპოსტასის ხარის ალეგორიასთან“.

ვ. გაფრინდაშვილის აზრით კი „წითელი ხარი“ და „ფარშავანგები ქალაქში“ „არის პეიზაჟი უკულმა და არსად მზეს არ მიუღია ისეთი ლეგენდარული სახე, როგორც ამ ლექსებში. ეს ლექსები ნილაბიანი მზის აკივლებაა“ („ბარრიკადი“, 1921 წ. № 5).

განსახილველი ლექსის მრავალსახოვანი და აზრობრივად ბუნდო-
ვანი შინაარსი ასეთი განსხვავებული შეფასებებისათვის საფუძველს მართ-
ლაც იძლევა. და ეს ყველაფერი იმიტოა განპირობებული, რომ ნაწარ-
მლებში გამოხატული სათქმელი და ლირიკული გმირის იდუმალ გრძნო-
ბათა გამოვლენა მოკლებულია აზრობრივ სინათლესა და გამჭირვალობას.
მასში გამჟღავნებული პოეტური ასოციაციები და ირეალურ-ფანტასმა-
გონიური ხილვები იმდენად ძნელად აღსაქმელია და იდუმალებით სავსე,
რომ ეს ყველაფერი მკითხველს მართლაც აძლევს ამგვარ თავისუფლებას
ავტორისეული ჩანაფიქრის სუბიექტური გაცნობიერებისთვის.

მაგრამ ერთი რამ, როგორადაც არ უნდა ამოვხსნათ და გავიაზროთ
ლექსის სათქმელი, ვფიქრობ, უდავოა: „წითელი ხარი“ პ. იაშვილის იმ
ლექსების გვერდით დგას, რომელნიც ყველაზე მეტად არიან აღბეჭდილნი
სიმბოლისტური პოეტიკით. ამ ლექსების ღრმად დაშიფრული აზრობ-
რივი ქვეტექსტი, შინაარსობრივი ბუნდოვანება და ირეალური სამყაროს
იდუმალებანი კარგად ახსნა შ. აფხაიძემ ჯერ კიდევ 1923 წელს, როცა
პ. იაშვილის პოეზიის შესახებ გაზეთ რუბიკონში (№ 8) დასტამბულ
წერილში აღნიშნა: „იმ ვგრძნობ ყოველ მის ლექსს, რაგორც ლეგენდა-
რულ ღუმელს, რომელშიც იწვის მთელი სინამდვილე და გადადის ფან-
ტასმაგორიაში“.

ლექსმა „წითელი ხარი“, რომელიც, ზ. მეძველიას მიერ დაზუსტე-
ბული ცნობით, 1916 წელს დაიწერა, იმთავითვე მოიპოვა ფართო სა-
ზოგადოების ინტერესი. პაოლოს პირველად იგი 1916 წლის მაისში წა-
უკითხავს ქუთაისში გამართულ პოეზიის საღამოზე. ჟურნალ „ემმაკის
მათრახის“ (1916 წ. 29 მაისი) მიერ მოწვედილი ინფორმაციით, ლექსს
უდიდესი - შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე საზოგადოებაზე, „ასე
გასინჯეთ, თვით სახელგანთქმულმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემაც კი ვერ
მოითმინა და ჰაერში კოცნა გაუგზავნა მის ავტორსო“, — აღნიშნულიც
ჟურნალში. ლექსი იმ დღეებშივე დაიბეჭდა გაზეთ „ჩვენ მეგობარში“.

პაოლოს პოეზიაში, განსაკუთრებით შემოქმედებითი მოღვაწეობის
პირველ პერიოდში, დიდი ადგილი აქვს დათმობილი მიძღვნილი ხასიათის
ლექსებს. მათი უმეტესობა პოეტს მისი მეგობრებისადმი აქვს მიძღვნილი.

ესენი, უწინარეს ყოვლისა, „ცისფერყანწელები“ არიან — ტიცვიან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, კოლაუ ნადირაძე... აღსანიშნავია აგრეთვე ნიკო ლორთქიფანიძისადმი, დავით კლდიაშვილისადმი, გრიგოლ რობაქიძისადმი, პავლე ინგოროყვასადმი... თავისი სულიერი მასწავლებლებისადმი (არტურ რემბო, პოლ ვერლენი, სტეფან მალარმე, ვერპარნი...) მიძღვნილი ლექსები. ისინი პაოლოს შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ და ნათლად ავლენენ ავტორის როგორც ლიტერატურულ შესაძლებლობებს, ასევე პოეტურ-მოქალაქეობრივი მრწამსის არსებით მომენტებს.

„ცისფერყანწელებისადმი“ მიძღვნილი ლექსების შესახებ ზემოთ უკვე მქონდა საუბარი და აქ მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ იმის ნათელსაყოფად, როგორ ხდება პრაქტიკული რეალიზება პოეტის მიერ იწხნად აღიარებული სიმბოლისტური ლიტერატურული პრინციპებისა. ამ ლექსების მკითხველი აშკარად გრძნობს ავტორის დაუოკებელ სწრაფვას ახალ ესთეტიკურ ფასეულობათა დამკვიდრებისაკენ, ქართული ლექსის მუსიკალური და ვერსიფიკაციული სტრქუტურის განახლებისთვის აქტიურ ზრუნვას; სისხლხორცეული კავშირ-ურთიერთობის დამყარების ცდას ევროპულ მოდერნისტულ პოეზიასთან; ეროვნული ლიტერატურის გამდიდრებას ახალი თემებითა და მოტივებით...

სიმბოლისტური ესთეტიკური პრინციპების ერთგულებით შექმნილ ამ ლექსებში ზოგიერთი რამ დღევანდელ მკითხველს ჰიპერბოლიზებულიც ეჩვენება და შეუსაბამოც. არცთუ იშვიათად, მათში მკვეთრადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული რეალობა და ოცნებით წარმოსახული სამყარო. ხოტბის საგნადაა ქცეული ირეალური, იღუმალი ილუზიები და ახალი ესთეტიკური ფასეულობანი. განდიდებულია ბოქემური ცხოვრების რომანტიკა, ფართო გასაქანი ეძლევა მოვლენათა მეტისმეტი სუბიექტურობით აღქმისა და გააზრების ტენდენციას, რაშიც ზოგიერთი რამ მეტად ბუნდოვანია და მკითხველისთვის ძნელად შესაცნობიც... ეს ნიშან-თვისებები, მეტ-ნაკლებად, ყველა „ცისფერყანწელის“ შემოქმედებისთვისაა დამახასიათებელი და ამ თვალსაზრისით არც პაოლოა გამონაკლისი.

ერთმანეთისადმი მიძღვნილ ლექსებს „ცისფერყანწველები“ ერთ დიდ მიზანსწრაფვასაც სძენდნენ: მათი მეშვეობით კიდევ უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოეჩინათ ერთიმეორის ლიტერატურული დამსახურებანი, მხარი დაეჭირათ ერთმანეთისადმი და კიდევ უფრო გაეძლიერებინათ შემოქმედებითი ძიების სულისკვეთება. ასე რომ, ეს მიძღვნილი ლექსები ერთიმეორის ლიტერატურული მიღწევების ჰიპერბოლიზებული შექება, თვითდამკვიდრებისთვის თავისებური ბრძოლაც იყო, აქტიური ზრუნვა ახალი პოეტური პრინციპების განსამტკიცებლად.

ამითაც უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ერთმანეთისადმი მიძღვნილი ლექსების დიდი ნაწილი პაოლოსა და მისი მეგობრების მიერ სიმბოლიზმით გატაცების წლებშია დაწერილი. ეს ნაწარმოებები ხშირად კონკრეტული ბიოგრაფიული ფაქტებითა და ეპიზოდებით არიან ნასაზრდოებნი. მათში ჰიპერბოლური ფორმით ირეკლება „ყანწველთა“ ბოქმური ცხოვრების შთამბეჭდავი ეპიზოდები, ორიგინალური ფორმით ვლინდება ახალი ესთეტიკური სამყაროს ეგზოტიკური პასაჟები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტიცციან ტაბიძისადმი, ვალერიან გაფრინდაშვილისადმი, კოლაუ ნადირაძისა და სხვა „ცისფერყანწველებისადმი“ მიძღვნილი ლექსები.

პ. იაშვილის სიმბოლისტური პრინციპების დასახასიათებლად მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ფრანგი სიმბოლისტი პოეტებისადმი მიძღვნილ ლექსებსაც. მათგან, პირველ ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ 1916 წელს დაწერილი სამი სონეტი — „ტრიპტიხი“, რომელიც მალარმეს, ვერლენსა და ვერჰარნს ეძღვნება. ესენი ის პოეტები არიან, რომელთაც განმსაზღვრელი როლი შეასრულეს პაოლოს ლიტერატურული თვალსაზრისის ფორმირების საქმეში. მალარმე მისთვის „ოცნებაში ამართული ბრწყინვალე ძეგლი“ და „სხვა ქვეყნიდან მოსული ძვირი სტუმარია“, ვინც „უსხივო ხალხში პოეზიის შნოდ დადიოდა“. მისი პოეზიისა და პიროვნული ღირსებების შეფასების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ „ის სიმახინჯის მეგობარიც იყო კეთილი, ის იყო ბრძენი, მაგრამ ხშირად გაუგებარი“.

ასეთივე მოწიწებას იჩენს პაოლო ვერლენისადმიც, რომელსაც ბოდლერთან და მალარმესთან ერთად წმინდა სამების სათაყვანებელ წვევრად

მიიჩნევს. ვერლენისადმი ახალგაზრდა პოეტის თაყვანისმცემლური და-
როკიდებულების არსი კარგადაა გამჟღავნებული შემდეგ სტრიქონებში:

ვერლენი. ბოდლერ და მალარმე! ამ სამებაში
შე ყველა მიყვარს... მაგრამ ვერლენს თოთოლვით ვისმენდი,
მას სწამდა ღამე, მდუმარება, მღერია აბსენტი
და თავის ხეივანი პპოვა მხოლოდ მწუხარებაში.
მან მეფობასთან შეაკრთა მათხოვრის ბედი,
ცხოვრობდა როგორც დიდ ქალაქის ავი ლეგენდა.
ბნელ ოცნებაში დასცურავდა მაისის გედი.

„ტრიპტიხის“ მესამე სონეტი ვერპარნისადმი მიძღვნილი, რომელ-
საც პოეტი შემლილ და გზადბურდულ მხედარს უწოდებს. პაოლო აღ-
ფრთოვანებით საუბრობს ვერპარნის პოეტურ სამყაროზე. ეს საუბარი იმავე-
დროულად იმ ახალი ესთეტიკური პრინციპების დახასიათებაცაა, რომელ-
თა დამკვიდრებასაც ცდილობდნენ ჩვენს მწერლობაში „ცისფერყანწელები“
თავიანთი შემოქმედებით. იმის საჩვენებლად, როგორ წარმოაჩენს პ. იაშ-
ვილი „ყვითელი საშინელებით აყვებულნი“ სულიერი მოძღვრის პოეტურ
სამყაროს, გავისხენოთ ფრაგმენტი ლექსიდან:

სახარბოელები, კვამლი, სისხლი, სახე ქურდული,
მშვიერთა ურდო, რკინის კვნესა, მზის დაბნელება.
ვერპარნი! ვიხარობით! ცეცხლის ზღვაში რა გვეშველება!
ოცნება ოხრაეს ვით ფრინველი ფრთადასუდრული.
ო! ეგ სიჩუმე! აწი ვინდა შეგედარება!
სილამაზისთვის საშიშია ეგ მდუმარება!
მშვენიერებას მოველონე დღე ნისლიანი.
მიჯასვენებენ თეთრი დები სიჩუმის ნავზე...
შენი აჩრდილი იმართება ვით სისხლიანი
და საშინელი ქანდაკება ქალაქის თავზე.

„ტრიპტიხისადმი“ ინტერესს ისიც ზრდის, რომ იგი ჟურნალ „ცის-
ფერ ყანწებში“ დაიბეჭდა 1916 წელს, რითაც პოეტურ სიტყვაში პრაქ-
ტიკული გამოვლინება კპოვეს ახალი ხელოვნების იმ ესთეტიკურმა პრინ-
ციპებმა, რომელთაც ამავე ჟურნალის ფურცლებიდან ქადაგებდნენ პაოლო
და მისი თანამოაზრენი თავიანთი საპროგრამო წერილებით.

როგორც ითქვა, პ. იაშვილს საკმაოდ ბევრი ლექსი აქვს მიძღვნილი
არაცისფერყანწელებისთვისაც. ასეთებია მისი პოეტური მიძღვნები პავლე
ინგოროყვასადმი, გრიგოლ რობაქიძისადმი, დავით კლდიაშვილისადმი,
ნიკო ლორთქიფანიძისადმი... ამ ლექსებში პოეტური შთამბეჭდაობითა

და მახვილგონივრულობითაა წარმოჩენილი ამ პიროვნებათა ადამიანური ბუნების კოლორიტული და მკაფიოდ დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, გამოძერწილია ღრმადმეტყველი შტრიხები მათი შინაგანი სულიერი თვით-მყოფადობისა. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია ნიკოლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი ნაწარმოები, რომელშიც ქართული მწერლობის ამ არისტოკრატი რაინდის ადამიანური ბუნება ძალზე შთამბეჭდავი და ღრმადმეტყველი სახასიათო ნიუანსებითაა გამოქანდაკებული. ლექსის ღირსებას დიდად ზრდის ის გარემოებაც, რომ ეს პოეტური დახასიათება გაღრმავებულია და ბუნებრივად შერწყმული მწერლის ლიტერატურული სამყაროსგან მიღებულ შთაბეჭდილებებთანაც:

ხარ მოელვარე ვით სატევარი,
ემორჩილები მზეს და იადონს.
მომეცი ნება, როგორც მწეგარი,
ლექსი გაჩუქო ბუნებით ბატონს.

ქვემოთ კი ამ „დარდიმანდი, მუდამ კეთილშობილი და იშვიათი პროფილის“ მქონე პოეტის შემოქმედება და ადამიანური არისტოკრატიზმი ასეა დახასიათებული:

ჩენი დათობა შენთვის წესია,
დამშვენებულო ძმური თვისებით,
თითქოს გაგელოს შენ ეკლესია
კოლვილ სულების პარაკლისებით.
მაგრამ საყდარში არავის ელი
და რჩება ლოცვა გაუმართველი...
ხარ დიდებული ქუთაისელი
და შენ ბრძანდები დიდი ქართველი.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხოს აგრეთვე პაოლოს ლექსს — „ლილი მეუნარგიას“ (1922 წ.), რომელიც მან ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას ქალიშვილს მიუძღვნა. იგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ტუბერკულოზით. ამ ფაქტით შეძრწუნებული პოეტი გულწრფელი სევდით გამოთხოვა ტყემლის ნაზი ყვავილივით ჩამოწყვეტილ უმწეო ასულს, „ცისფერყანწელთა“ თანამგრძნობსა და უმცროს მგობარს. დარდითა და ტკივილით გულდაკოდილი მგოსანი თავს იმით იმშვიდებდა, რომ ცაში, ანგელოსებთან გაფრენილ მეოცნებე ასულს სიყვარულით მიიღებდნენ და მიუალერსებდნენ ბეატრიჩესა და ოფელიას უკადავი სულები:

პატარა ბალიშს დაეცა ცრემლი,
პატარა ფილტვებს მიუპარა კლექი და ხეელა,
ჩამოწყვილი როგორც ყვაილი ტყემლის,
შენ რომ იყავი იღვწალი და ქიანქველა.

სამარადისო ნისლს დაუბრუნდი,
მაგრამ მგზავრობას შენსას ქვეია ბავშვის სიკვდილი.
ასე მგონია ფუტკარის გუნდი
დაესეოდა შენს სუსტ სხეულს, ტკბილ სხეულს, ლილი.

შენ ბავშვობიდან გელოდნენ ცაში,
ჩვენც მოგელოდით, განშორება უფრო ძნელია,
მაგრამ მე მჯერა, თავის საბანში
შენ მივიღებენ ბეატრიჩე და ოფელია.

პ. იაშვილის პოეზიაში, ისევე როგორც, საზოგადოდ, სიმბოლისტების შემოქმედებაში, სათქმელის ემოციური შთამბეჭდაობით გამოხატვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დაკისრებული პოეტურ ფერწერას. პაოლო ხშირად ვიზუალური სახიერებით წარმოსახავს სინამდვილეს, დიდ ადგილს უთმობს პეიზაჟების პოეტურ ხატვას. ზოგიერთი ლექსი ფერწერული ნახატის ასოციაციასაც იწვევს ხოლმე. მის ლექსებში დიდი ადგილი ეთმობა ბუნების სურათების გაფაქიზებულ ხატოვან აღქმას. პოეტური ნახატის შესაქმნელად გამოყენებული ფერები ყურადღებას იქცევენ სინატიფითა და ფაქიზი დახვეწილობით. სიტყვიერი ფერწერის ამგვარ სტილურ ფუნქციას მის შემოქმედებაში უთუოდ ზრდის პროფესიული განსწავლულობა მხატვრობაში. აქვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულებაც, რომელიც, საზოგადოდ, სიმბოლისტების ესთეტიკურ ნააზრევში აქვს დაკისრებული ფერს, მოვლენათა ვიზუალურ აღქმას.

თუმცა ამ ტენდენციას პაოლოს პოეზიაში ისეთ უკიდურესობამდე არ მიუღწევია, რითაც მისი ფრანგი სულიერი მასწავლებლების შემოქმედება ხასიათდება (გავიხსენოთ, მაგალითად, არტურ რემბოს „სიტყვების ალქიმია“ და რენე გილის „ტრაქტატი სიტყვის შესახებ“).

როცა პაოლოს პოეზიაში პოეტური ფერწერის მნიშვნელოვან ფუნქციაზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოვკრჩეს აგრეთვე ეროვნული ლიტერატურის მდიდარი ტრადიციებიც და მათი კეთილისმყოფელი ზეგავლენა მის შემოქმედებაზე. დანარჩენ „ცისფერყანწელ“ პოეტებთან და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის სხვა გამოჩენილ

ისტატებთან ერთად, მან ამ მიმართულებით ახალი სიღრმეები და მას-
შტაბები შესძინა ჩვენს მწერლობას. როგორც მართებულად შენიშნავს
ლია სტურუა, „ფერზე ყურადღების გამახვილებისა და ლექსის მთავარ
კომპონენტად მისი გადაქცევის“ თვალსაზრისით მათ, უწინარეს ყოვ-
ლისა კი ქართველმა სიმბოლისტმა პოეტებმა, განსაკუთრებით მნიშვნე-
ლოვანი როლი შეასრულეს („მნათობი“ 1990 წ. № 11, გვ. 111).

საზოგადოდ, პ. იაშვილის პოეტური შემოქმედებისთვის, უფრო მე-
ტად კი მისი სიმბოლისტური პერიოდის ლექსებისათვის, მკაფიოდ და-
მახასიათებელი ფერწერულობა სპეციალურ ლიტერატურაში უყურადღებო
ფაქტად არ დარჩენილა. შ. აფხაიძის შეფასებით, მაგალითად, „პაოლო
იაშვილის პოეზია მშვენიერი მოზაიკაა, ძვირფასი ქვებით, ფერების ჩრდი-
ლებით და ხმებით მოკაზმული“ (ქურნ. „მეოცნებე ნიამორები“, 1919
წ. № 1, გვ. 10). პოეტის შემოქმედებისთვის მკაფიოდ დამახასიათებელ
ამ თვისებას შ. აფხაიძე პაოლოს აზიელობით, მისი აღმოსავლური ბუ-
ნებითაც ხსნის. სწორედ ეს აძლევს, მისი აზრით, პირველ ყოვლისა, პო-
ეტს საფუძველს, მის ლექსებში აახმაუროს „ხალიჩიანი აღმოსავლეთი“
და გამოიყენოს „გაბედული მეტაფორები“ „თვალმჭრელი კონტრასტების“
შესაქმნელად.

პ. იაშვილის პოეზიაში ფერის მხატვრულ-მსოფლმხედველობრივ ფუნ-
ქციასთან დაკავშირებულ რამდენიმე საინტერესო დეტალს ყურადღება მი-
აქცია აგრეთვე მკვლევარმა მურმან თავდიშვილმა სტატიაში „ქართული
ფოლკლორის ზოგიერთი მოტივი პაოლო იაშვილის შემოქმედებაში“
(„ცისკარი“, 1974 წ. № 1). მისი დაკვირვებით, პაოლოსათვის „ყვი-
რული ფერი ავადმყოფობის, საშინელებისა და სიკვდილის ფერია. იგი
მხოლოდ იქ გვხვდება, სადაც, ჩვეულებრივ, არასასურველ საგნებსა და
მოვლენებზეა საუბარი“ (გვ. 113).

ყვითელი ფერისადმი პოეტის ამგვარი დამოკიდებულება გამოვლინდა
ლექსებში: „წითელი ხარი“, „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დან-
ტი“, „ტიციან ტაბიძეს“, „ტანიტ ტაბიძე“. აქვე მკითხველს შევახსენებ
აგრეთვე „ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქ-
ციო წერილსაც „ყვითელ მტრებს“, რომელიც პაოლოს დაწერილი უნდა
იყოს. მათში ყვითელი ფერი გააზრებულია როგორც სიმბოლო კვდომისა,
246

სნეულებისა და გადაშენებისა. მაგალითად, „მეც შემომხედე შენი ყვითელ ლექსებით სნეულს“; „ყვითელ ორპირში ყანჩების კვალზედ დადის პოეტი, შიშით, ციებით“; „სანადიმოდ მოსაწვევად ჩვენ გვიგზავნის ყვითელ სიკვდილს“; „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე“.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ფერების ამდაგვარი დატვირთვა სიმბოლური შინაარსითა და ქვეტექსტებით ყოველთვის არ წარმოქმნის რაიმე მკაფიოდ გამოვლენილ აზრობრივ კანონზომიერებებს. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ავტორის მიერ გამოყენებული პოეტური ფერწერა ლექსში განწყობილების გასამძაფრებელი და სათქმელის ეფექტური ფორმით გადმოსაცემი ფონის ფუნქციას ასრულებს ხოლმე.

„ელენე დარიანის დღიურები“

ელენე დარიანის სახელი ქართულ პრესაში პირველად 1915 წლის 29 სექტემბერს გამოჩნდა, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოცემამდე საკმაო ხნით ადრე. ეს არის ცნობა იმის შესახებ, რომ ქუთაისში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო საღამოში, სხვა პოეტებთან ერთად, ზონაწილეობას მიიღებდა ელენე დარიანიც. ხოლო მისი ხელმოწერით პირველი ლექსები — „ძახილი“ და „ჩემი თავადი“ 1915 წლის 8 ნოემბერს დაიბეჭდა (იხ. ზ. მეძველია, დავიწყებული სტრიქონები, „კრიტიკა“, 1975 წ. № 4. გვ. 122).

საზოგადოების კონსერვატული ფენა აშკარა უკმაყოფილებით შეხვდა ელენე დარიანის ლექსების გამოჩენას. ეს უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებოდა და მკითხველთა საგრძნობი ნაწილის მწვავე გულისწყრომას იწვევდა. ისინი ხშირად გამოხატავდნენ მძაფრ პროტესტს ელენე დარიანის ლექსების მიმართ, რომელთაც თავის ნაწარმოებებთან ერთად სისტემატურად კითხულობდა პაოლო ქუთაისში გამართულ ლიტერატურულ შეხვედრებზე. მაგალითად, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ცნობით (1915 წ. № 40, გვ. 15), ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, პროტესტის ნიშნად, რამდენიმე აღმფთვებულ ქალს თეატრიც კი დაუტოვებია.

არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ არა მარტო ფართო საზოგადოებისათვის, არამედ პაოლოს უახლოესი მეგობრებისთვისაც კი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უცნობი ყოფილა ელენე დარიანის ნამდვილი ვინაობა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება. ამდაგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა გაზეთ „მეგობრის“ 1916 წლის 22, 23 და 24 დეკემბრის ნომრებში გამოქვეყნებული ცნობა „ცისფერი ყანწების“ მეორე ნომრის გამოსვლის შესახებ, სადაც ჟურნალის მომავალ თანამშრომელთა შორის ელენე დარიანიცაა მოხსენიებული. კერძოდ, მითითებულია, რომ „ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერში ისტამბება დარიანის ლექსი „მე და კატა“ და აქვე გაკეთებულია რედაქციის შენიშვნა, ელენე დარიანი პაოლო იაშვილის ფსევდონიმიად.

როგორც ვხედავთ, დაინტერესებულ პირთათვის იმთავითვე ნათელი უნდა ყოფილიყო, ვისი ფსევდონიმიც იყო ელენე დარიანი. მაგრამ, რატომღაც, ეს ფაქტი თავდაპირველად სათანადოდ არ გახმაურდა და საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი დარჩა დარიანის ნამდვილი ვინაობა, რამაც კიდევ უფრო გაარომანტიკულა „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენის ამ უჩინარი წევრის სახელი მკითხველთა შორის. მის შესახებ ინტერესი უფრო და უფრო იზრდებოდა და ცეცხლოვანი ხორციელი ვნებებით აფეთქებული ლექსების ავტორზე ათასგვარ ჭორსა და ლეგენდას თხზავდნენ.

კოლაუ ნადირაძე, მაგალითად, იგონებს, ელენე დარიანი რეალურად არსებული პიროვნება იყო, რომელთანაც პაოლოს რომანი ჰქონდაო და აქვე იმასაც აღნიშნავს, „პირველად ხელთათმანი ელენემ გადმოუგდოო“ („ლიტ. საქართველო“, 1988 წ. 15 აპრილი). კოლაუსავე ცნობით, ფსევდონიმი „დარიანი“ პაოლოს დორიან გრეის სახელიდან ჰქონია აღებული. ბოლოს კი დაასკვნის: „კარგი ლექსები გამოუვიდა. ყოველთვის მიკვირდა, ვეკითხებოდი, ასე როგორ იცნობ ქალის ფსიქოლოგიას — მეთქი! ვიცნობო, ჩაიცილებდა პაოლო“...

ელენე დარიანის მისტიფიკაციური პიროვნების გამოგონება, ეტყობა პაოლოს მიერ იმ ვაკუუმის ამოვსების თავისებურ ცდადაც შეიძლება ჩქნეს მიჩნეული, რომელსაც „ცისფერყანწელთა“ წრეში პოეტი ქალის არარსებობის ფაქტი იწვევდა.

როგორც ითქვა, ელენე დარიანის ხელმოწერით გამოქვეყნებულმა პირველივე ლექსებმა საზოგადოების კონსერვატული ფენის დიდი გულსწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. ბევრი გააღიზიანა მათში გამოსატულ გრძობათა სიშიშვლემ და „მოჭარბებულმა“ ეროტიზმმა. მკითხველთა ნაწილი ხმაბლდა კიცხავდა ავტორის „უსირცხვილობას“, „უტიფრად გამოვლენილ სექსუალურ ვნებებს“ და ყოველივე ამას გარყვნილებად, ადამიანური ზნეობის დაცემად მიიჩნევდა.

ცხადია, ეს დიდი შეცდომა იყო, მეტად ტენდენციური, არასწორი შეფასება დარიანული ციკლის ლექსებისა. მკითხველთა აღშფოთებული ნაწილი სწორად ვერ წვდებოდა იმ ნატიფ პოეტურ სილამაზეს, განცდათა უშუალობასა და მიწიერი ადამიანური გრძობების რომანტიკას, რითაც ელენე დარიანის პოეტური დღიურები მაღალი პოეზიის დონემდე მალღებებიან. მათში ხომ უდიდესი სინაზით, სიფაქიზითა და ლიტერატურული სინატიფით გამოვლინდა მიწიერი სიყვარულისა და ხორციელი ვნებათა დელვის ამალღებული რომანტიკული ბუნება, ლირიკული გმირის ემოციური გზნება და სულის მღელღარება.

✓ ამ ლექსებში პაოლო ციური და დვთაებრივი სიყვარულის მიუწვდომელ იდუმალებას კი არ განადიდებს, არამედ ხორციელ ვნებათა მშვენიერებას ასხამს ხოტბას. მათში მძაფრად იგრძნობა სიყვარულის ვნებაც, მწვავე ტკივილიც, განშორების სევდაც, იმედგაცრუების ნაღველიც... ეს ყველაფერი ლირიკული გმირის სულიერი სამყაროს ღრმადმეტყველი სახასიათო შტრიხებია, მისი ადამიანური ბუნების გამომხატველი წახანგებია.

დარიანული დღიურები 1915-1923 წლებში იწერებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი სულ 14 ლექსისაგან შედგება, ამ პოეტურმა ციკლმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გამორჩეული ადგილი დაიჭირა არა მარტო პაოლოს, არამედ XX საუკუნის პირველი ნახევრის მთელ ქართულ პოეზიაში.

როგორც ითქვა, ელენე დარიანის ავტორობით გამოქვეყნებული ლექსებისადმი საზოგადოების კონსერვატული ნაწილის კრიტიკულ დამოკიდებულებას, პირველ ყოვლისა, მათში გამოვლენილი თამამი, ქართველი

ქალის ტრადიციული კდემამოსილებებისა და ზნეობისათვის მიუღებელი „შიშველი ეროტიზმი“ და „პორნოგრაფიულობა“ განაპირობებდა. „ბევრი ცნობისმოყვარე ინტერესით იძიებდა, ვინ იყო ამ ლექსების ავტორი. „იანი“-თ დაბოლოებულ გვარებში, — ივონებს მხატვარი ვლადიმერ (ლადო) ჯაფარიძე, — ეძებდნენ ვლენეს სახელს: გორდუზიანი, გიორგობიანი, დევდარიანი, თუკი ვინმე იყო ასეთი გვართ ყანწელთა ჯგუფში ან ჯგუფის ახლოს და თანაც ელენე ერქვა, ყველას სწამებდნენ დარიანობას.

— შენ მაინც გეცოდინება, კაცო! — მითხრა ერთმა ახლო მეგობარმა ფოთში, — ახლოსა ხარ ყანწელებთან, შენი მეგობრები არიან. მითხარი, თუ გიყვარდე, ვინაა ეს ელენე დარიანი?

და იყო ასე ძიება და საგონებელი“ („კრიტიკა“, 1976 წ. № 3, გვ. 171).

✓ დარიანული ციკლის ლექსები თემატურადაც და პოეტური ოსტატობის თვალსაზრისითაც პაოლო იაშვილის პოეზიის თვისებრივად ახალ, მნიშვნელოვან შენაკადს წარმოადგენენ. მათში მისმა პოეტურმა შთაგონებამ სიტყვიერი გამოვლენის მკვეთრად ორიგინალური სტილური ნიშან-თვისებები შეიძინა. ამ ორიგინალობას, ერთის მხრივ, დიდად განაპირობებს სათქმელის, განწყობილების გამოხატვის მოულოდნელი ფორმა — ლექსების მიხედვით ამ პოეტურ მონოლოგთა თუ აღსარებათა ავტორი ქალია. ეს მომენტი კი — ქალის თვალთა და ცნობიერებით მოვლენათა აღქმა-გააზრება — განმსაზღვრელ საფუძვლად უდევს ციკლის ყოველ ლექსს.

✓ მეორეს მხრივ, „ელენე დარიანის დღიურები“ რიტმულ-მუსიკალური მელოდურობითა და პოეტური ხელწერით ხშირ შემთხვევაში არსებობდაც განსხვავდება პაოლოს სტილური ინდივიდუალობისაგან და მკაფიოდ გამოვლენილი ორიგინალობითაა აღბეჭდილი.

ასე რომ, დარიანული ციკლის ლექსებით პ. იაშვილმა მართლაც შეძლო გაქცეოდა საკუთარ თავს, სხვად გარდასახულიყო და ქართულ პოეზიაში ახალი, მნიშვნელოვანი პოეტური მიკროსამყარო შეექმნა.

„ელენე დარიანის დღიურების“ შეფასების დროს შევეცდები შეძლებისდაგვარად გამოვკვეთო მისთვის მკაფიოდ დამახასიათებელი ზოგიერთი სტილური ნიშან-თვისება. ერთ-ერთი მათგანია რიტმულ-მუსიკალური მელოდირობა და მრავალხმიანობა. პაოლოს ლირიკისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი ეს ტენდენცია დარიანული ციკლის ლექსებში კიდევ უფრო გარღმავდა და გაფაქიზდა. სიტყვიერი სინატიფე, დახვეწილობა და ჰარმონიულობა მათში იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რომ ციკლის ზოგიერთი ლექსის რიტმული მელოდირობა მუსიკალური ნაწარმოების ეფექტსაც ახდენს მკითხველზე.

შემდეგი ნიშანი ამ პოეტური დღიურების აღმსარებლურ-მონოლოგური განწყობილებაა. ციკლის ყოველი ლექსი სწორედ ამგვარი ხასიათისაა. ელენე დარიანი — ამ ლირიკული მონოლოგების მთავარი პერსონაჟი — ხაზგასმული გრძნობიერებითა და მართალი ემოციურობით გვიამბობს მისი ინტიმური ცხოვრების დრამატულ ეპიზოდებს, სინანულნარევი ნეტარებით იგონებს სატრფოსთან გატარებულ ვნებიან წუთებს, წარმოაჩენს მისი სულიერი სამყაროს ყველაზე სათუთ და დაფარულ გრძნობებს. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ინტიმური თავგადასავლების რომანტიკული გახსენებაა ის უმთავრესი ღერძი, რომელიც კომპოზიციურად კრავს და ამთლიანებს დარიანული ციკლის ლექსებს.

ასე რომ, ადამიანურ განწყობილებათა შინაგანი ერთიანობისა და თემატური სიახლოვის გამო „ელენე დარიანის დღიურები“ სხვადასხვა ლექსების მექანიკურ გაერთიანებას კი არ წარმოადგენს, არამედ ძირითადად ლირიკული პოემის კომპოზიციურ სტრუქტურაში თავსდება.

დარიანული ციკლის ლექსები ეს არის სატრფოსადმი მიცემული ერთგულების ფიცი, პოეტურ დღიურებად ხორცშესხმული აღსარება, სიყვარულის ახსნა და გამოცხადება, ადამიანის ყველაზე ფაქიზ და სათუთ ინტიმურ გრძნობებზე გულახდილი საუბარი. ამ ლირიკულ მონოლოგებს განუშორებლად თან სდევს, ერთის მხრივ, მართალი პიროვნული სევდაცა და ღალატის შიშიც, მეორე მხრივ კი კვებავს და ასაზრდოებს სულის რჩეულთან განცდილ ბედნიერ დღეთა რომანტიკული მოგონებანი.

და ეს ყველაფერი, ეს საკმაოდ მძაფრი და დრამატული ინტიმური სამყარო, დანახულია ლექსების ავტორად გამოცხადებული ლირიკული

პერსონაჟის თვალით საკუთარ თავთან განმარტობისა და გულისწორი-საგან შორს ყოფნის პერიოდში. სწორედ ამის შედეგია ის გარემოება, რომ ამ პოეტური მონოლოგების ინტიმური განწყობილებანი ხელშესახე-ბად სანტიმენტალურიცაა და გამძაფრებულებიც, განშორებისა და მონატ-რების მართალი ადამიანური სევდით სავსე.

„ელენე დარიანის დღიურების“ საერთო სულისკვეთებას დიდად გან-საზღვრავს აგრეთვე მათში გამოვლენილი ვედრების კილოც. ციკლის ლი-რიკული პერსონაჟი, იგონებს რა სატრფოსთან ერთად გატარებულ ბედ-ნიერ დროს, თხოვს და ევედრება მას, კვლავ დაუბრუნდეს და აღავსოს წარსულში განცდილი ნეტარებით. მოგონებათა საუფლოდან გამომხობი-ლი ეს რომანტიკული და აწ უკვე სევდიან მონატრებად ქცეული გარ-დასული დღეები სძენენ მის ცხოვრებას აზრსა და სამომავლო შინაარსს. სწორედ ამგვარი განწყობილების გამოსატყულებაა ციკლის პირველივე ლექსი — „ძახილი“, რომელიც, იმავდროულად, დარიანული დღიურების საერთო სულისკვეთების გასაღებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. გავიხსენოთ ფრაგმენტი ამ ლექსიდან:

მარგალიტები მოვიხევე ყელზე სამწყება,

მარგალიტებო, იაგუნდები...

არ შემიძლია შენი სახის გადავიწყება!

არ დაბრუნდები?

თეთრშემოსილი ვწევარ მე შენს ნაცნობ საწოლზე.

სევდიანია ლამე მძინარი,

ნუთუ არ ფიქრობ, სანატრელო, შენ სათუთ ცოლზე...

არავინ არი.

ჩუმად ვკითხულობ შენს ძველ წერილს ყვითელს, დახეულს,

სხვა რა შაქვს შენი მე ამის გარდა?

მე თვითონ ვკოცნი ჩემს თეთრ მკლავებს,

ჩემს დამწვარ სხეულს,

შენ რომ გიყვარდა...

ასე ვლინდება ლექსში მოგონებათა ნეტარ საუფლოში გადასახლე-ბული ლირიკული გმირის ფაქიზი ინტიმური განცდები. როგორც ვხე-დავთ, ამ მოგონებებში, გულის რჩეულთან გატარებული ბედნიერი დროის ამ სათუთ მონატრებაში, საკმაოდ ძლიერია ხორციელი ვნებანი. ციკლში გამოვლენილი ინტიმური გრძნობები, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ მი-წიერი სიყვარულის საფუძველზეა აღმოცენებული და შორს დგას ე. წ.

პლატონური, ციური და ჰაეროვანი სიყვარულისაგან. თუმცა აქვე ხაზ-გასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დარიანული დღიურების ამგვარი ვნებიანობა და „ხორციელება“ არ გადადის შიშველ ეროტიზმსა და პორნოგრაფიულობაში, რაშიც ბრალს დებდნენ და მკაცრად აკრიტიკებდნენ თავის დროზე ამ ლექსების ავტორს კოსმერვატორი მკითხველები. ამდაგვარი შეშფოთებისთვის სინამდვილეში არავითარი საფუძველი რომ არ არსებობს, დღეს ამას მტკიცება და არგუმენტების მოშველიება საერთოდ არ ჭირდება.

შიშველ ეროტიკად და სექსუალურ თავაშვებულებად არამც და არამც არ ჩაითვლება ხორციელ ვნებათა და სამიჯნურო მოგონებათა ის ეგზოტიკური ეპიზოდები, რომლებზეც თავის პოეტურ დღიურებში გვესაუბრება ციკლის ლირიკული გმირი. იგი ჩვენს ცნობიერებაში ცოცხლდება როგორც სიყვარულის ცეცხლით თავდავიწყებამდე მისული სიცოცხლის ხალისით სავსე ხორციელი არსება და არა ჰაერში გამოკიდებული მეოცნებე. მის მოქმედებაში, ყოველ სიტყვაში, გარდასულ დროთა ეგზოტიკურ მოგონებებში მძაფრად იგრძნობა ქალური სიკეკლუცეც, ვნებიანობაც, თავისებური გამოწვევაც, სიყვარულით აფორიაქებული პიროვნების თავდავიწყებამდე მისული ხორციელი ჟინიც... ყოველივე ამის განმაპირობებელი საფუძველი, პირველ ყოვლისა, გულის სწორთან ერთად განცდილი ბედნიერების მოგონება და მასთან ხელმეორედ შეხვედრის მძაფრი მონატრებაა. მისგან სიშორე და მარტოობა კიდევ უფრო აძლიერებს გარდასულ დღეთა ამ რომანტიკულ გახსენებას. სწორედ ეს მოგონებანი და მათ საფუძველზე აღმოცენებული ოცნებანი ქცეულან ციკლის ლირიკული გმირის სიცოცხლის უმთავრეს აზრად:

ჩემი ოთახი ცისყვარია, ნაზი ფერია,
ცისფრად მორთული დამიხვდები. გააღე კარი;
ლოდინის წუთი დღეს ისეთი მშვენიერია —
ვით პირველ კოცნის, პირველ კოცნის ჰაბუკი ქმარი.
რად დაღალულა ყვავილები ვენერას მკერდით,
მზის სისარული ჩემს ფანჯარას რად ერიდება!
შიშით გადავშლი. ერთმანეთს რომ წერილებს ვწერდით,
და ჩემს არსებას ძველი ალი მოეცილება.

გარდასულ დღეთა მოგონებებს ერწყმის და აღრმავენს ოცნება მთავალ ბედნიერ დღეთა ვნებითა და „ალური დღეღით“ სავსე თავგადა-

სავლებზე. გავიხსენოთ, მაგალითად, „პირამიდებში“, სადაც ლირიკული გმირის ეს სამიჯნური თავდავიწყება ამგვარადაა გამოხატული:

საყვარელ ხელებს მივეცემი, როგორც ნაზ საწოლს,
და შენ დამკოცნი ვით დედოფალს, ვით მხევალს და ცოლს,
ტკბილი იქნება ცხელ სილაზი ჩვენი თამაში,
მზიურებს მაშინ
არაფერი მოგვაგონდება...

დარიანული ციკლის ლექსებში, როგორც ითქვა, დიდი და მართალი ადამიანური ტკივილის გმინვაც ისმის. მარტოობისა და დაეჭვებული მოლოდინის წიაღში შობილი ამ გულწრფელი პიროვნული სევდის სიმწვავეს ერთ ლექსში განსაკუთრებული შთამბეჭდაობით განგვაცდევინებს ავტორი ოჯახური იდილიისა და სიმყუდროვის ისეთი, ერთი შეხედვით, არულიად უადგილო ატრიბუტის სახით, როგორც კატაა. ამ თითქოსდა შემთხვევითი და უმნიშვნელო დეტალით ლირიკული გმირის სულის ფორიაქი და მარტოობის ტკივილი უფრო მძაფრად და ეფექტურად განიცდება:

ხშირია სიჩუმე ოთახის სტუმარი,
წვიმის დროს მოვა და დილაშდის დარჩება,
ბუხართან კატაა ყოველთვის მდუმარი...
ცისფერი ოთახი წითლად იფარჩება.
მივდივარ ბუხართან. რა მინდა! რა ვიცი!
ელავენ, თბებიან ტიტველი ფეხები.
მე არ შემეძლია, მე მარტო დავიწვი
და ფეხის გულებით კატის ზურგს ვეხები.
და ისევ ზმორება, ვნება უწინდელი,
კატასთან თამაში და თრთოლვით ხუმრობა,
ძვირფასმა მაჩუქა პატარა ცინდალი;
მე მიყვარს ზამთარში სიჩუმის სტუმრობა.

ელენე დარიანის ეს ინტიმური დღიურები, მათში გამოვლენილი სიყვარულის ხორციელების მიუხედავად, შიშველ ეროტიზმში არ გადაიზრდება. ზნეობრივი თვალსაზრისით ციკლში არაფერია შეურაცხმყოფელი, ქართველი ქალის კდემამოსილებისა და ღირსების დამამცირებელი. თანაც აქვე ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ ამ „თამაში“ სასიყვარულო გრძნობების მთავარი პერსონაჟი ლირიკული გმირის ქმარია, რითაც ხელოვანი არაა ტრადიციული ოჯახის ზნეობრივი სიწმინდე. რაც შეეხება ელენე დარიანის ქართველქალობას, ეს მომენტი, ზემოთქმულ ფაქტორებ-

თან ერთად, საგანგებოდაცაა ხაზგასმული ციკლის ერთ-ერთ ლექსში — „უვერტიურა“:

ისე მივედი, რომ არავინ არ მომელოდა,
მივეცო კონცა მებალეს და... გაიღო კარი,
მარტო ვიყავი! ჩემ გარშემო ლურჯად ბნელოდა,
მაგრამ შემომხსნა ქმრის ხელებმა 'რანზე ქამარი

გავეყვით სიმღერებს! ჩემი ვნება აღდართულია,
და ის მახარებს მამაისებს, ბაღში შემოსულს,
რომ ჩემი კონცა, სიყვარული, ხმაც ქართულია,
ყოველთვის ცოურს ჭერ უცნობი სიმშაგე რომ მსურს.

დარიანული ლექსების ციკლის შთამაგონებულ ერთ-ერთ მთავარ იმპულსად, ალბათ, არ შეეცდები, იმდროინდელი რუსული პოეზიის ნატიფი ოსტატის — ანა ახმატოვას შემოქმედებასაც თუ დავასახელებ. ამ ფაქტორის თავისებურ გამოძახილად შეიძლება იქნეს მიჩნეული ლექსი „წერილი ანნა ახმატოვას“, რომელშიც რუს პოეტთან ელენე დარიანის მეგობრულ სიახლოვეზეა საუბარი. გავიხსენოთ ფრაგმენტი ციკლის ლირიკული გმირის მიერ რუსი მეგობრისადმი გაგზავნილი პოეტური ბარათიდან:

მე მინდა გითხრა სამძიმარი,
რომ ბლოკი მოკვდა!
ხანდახან ჩუმი და მძინარი
მეცა ვარ ბლოკთან.

ჩამოდი ჩემთან, მე მგონია
ვიქნებით დები:
თუ პეტერბურგის აგონია
გიყვარს... და ვცდები.

თბილისის მადლი და მშენება
გიშველოს ვიცი,
ორივეს ერთად გვეჩვენება
წასული პრინცი.

დარიანული ციკლის ბოლო ლექსი — „პარიზისაკენ“ 1923 წელს დაიწერა. მასში გამოხატულია სამშობლოსგან შორს — პარიზში მიმავალი პოეტი ქალის განცდები; მისი ნაღვლიანი გამოთხოვება მშობლიურ ფესვებთან:

ჩემო ქვეყანა, მეტად ძნელია
შენი დაკარგვა და დატოვება;
სოფლის ბავშვები აღარ მელიან,
არ მელის მუხა ათასტოება.

ჩემო ქვეყანა, ვიცი პარიზი
არი გულის და თვალის ამხელი,
ვიცი მომელის მე უარესი,
ალბათ გატყდება ჩემი სახელი.

აქ წყდება ელენე დარიანის მიერ თავისი ინტიმური ცხოვრების დრამატული მომენტების პოეტური მოთხრობა-დახასიათება. ამის შემდეგ პ. იაშვილი დარიანულ ციკლს აღარ მიბრუნებია, რის გამოც მკიცხველისათვის სამუდამოდ დარჩა უცნობი პარიზს გამგზავრებული მისტიფიკაციური ქალბატონის ვნებიანი და რომანტიკული სიყვარულის შემდგომი პერიპეტეიები.

„ნაღმიანი სიტყვის“ პოეტი

პაოლო იაშვილის პოეზია, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ძირითადად დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, ორ პერიოდად იყოფა. გარდამავალ მიჯნად ამ ორ პერიოდს შორის ოციანი წლების შუა ხანებია მიჩნეული. ეს მართლაც ასეა; პოეტის მანამდელი, ე. წ. სიმბოლისტური პერიოდის ლექსები, თავიანთი სტილური სპეციფიკითაც, პოეტური განწყობილებითაც, მოვლენათა აღქმისა და გააზრების თავისებურებებითაც, აშკარად განსხვავდება შემდგომი დროის ნაწარმოებებისაგან. ეფიქრობ, ეს საკამათო საკითხი არ არის.

მაგრამ აქვე, მოკლედ, იმისი აღუნიშვნელობაც არ შეიძლება, რომ ამ პერიოდების ძირითადი ლიტერატურული პრინციპების დახასიათება, გასაგები მიზეზების გამო, საკმაოდ დიდხანს, ცალმხრივ ხასიათს ღებულობდა და შებოჭილი იყო ე. წ. სოციალისტური რეალიზმის პარტიული იდეოლოგიური დოგმებით. სწორედ ამისი შედეგი გახლდათ ის ფაქტი, რომ პირველი პერიოდის ლექსები ხშირად ინათლებოდა მხოლოდ სევდისა და მისტიკის გამომხატველ ისეთ ბუნდოვან ნაწარმოებებად, რომელთა შინაარსიცა და განწყობილებაც სიმბოლისტური პოეტიკით იყო შებოჭი-

დილი და ვერ გამოხატავდა საბჭოთა ადამიანის „ჯანსაღ იდეურ“ მისწრაფებებს. მის საპირისპიროდ, მეორე პერიოდის შემოქმედების უმთავრეს ღირსებებად ძველი იდეურ-ესთეტიკური შეხედულებებისაგან პოეტის განთავისუფლება და სოციალისტური ეპოქის ნათელი იდეალების გამოხატვა ცხადდებოდა.

აი, როგორ ახასიათებს, მაგალითად, პ. იაშვილის პოეტური გზის ამ ორ პერიოდს ბესარიონ ჟღენტი: თუ პირველი პერიოდის მის შემოქმედებაში, კრიტიკოსის აზრით, ფართოდ ვლინდებოდა „სიმბოლისტური პოეზიის მელანქოლია, ავადმყოფური განწყობილებანი, მისტიკა და ფანტასმაგორია“ და პოეტის შთაგონება ჩახშობილი იყო „დეკადანსის ჭაობში“ მომწყვდეული „ვიწრო პირადული თემებისა და იდეების ნაჭუჭში“, სოციალისტურმა ეპოქამ, შემოქმედებითი მოღვაწეობის მეორე პერიოდში დიამეტრალურად შეცვალა პაოლოს პოეზია. „მხოლოდ ჩვენმა დიდმა და ნათელმა დროებამ გამოიყვანა პოეტის შთაგონება და მისი მდიდარი შემოქმედებითი პოტენცია ფართო საზოგადოებრივი ინტერესებისა და დიდი ისტორიული მისწრაფებების სარბიელზე“ (ბ. ჟღენტი, მწერლობა და თანამედროვეობა, I, 1976 წ. გვ. 569).

ბ. ჟღენტის ეს თვალსაზრისი, შეიძლება ითქვას, ტიპურად გამოხატავს ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ბევრი ძველი წარმომადგენლის შეხედულებას. ეს იდეოლოგიური შაბლონი, ოციანი წლებიდან მოყოლებული, ფართოდ დამკვიდრდა ჩვენში და ტენდენციური ხასიათი შესძინა ფილოლოგიურ კვლევას. ასე იქცეოდა ე. წ. სოციალისტური რეალიზმის „ჯანსაღი იდეოლოგიური“ დებულებებით შეიარაღებული ლიტერატურული კრიტიკა თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების ჟანდარმად და აქტიურად ცდილობდა ჭეშმარიტი გზიდან მწერლობის გადაცდენას. სამწუხაროდ, ამდაგვარ ცდებს, რომელთაც მეტ სიმკაცრესა და „დამაჯერებლობას“ სძენდა პარტიის „ფხიზელი თვალი“, მრავალი სამწუხარო შედეგი მოჰყვა ჩვენს ლიტერატურაში.

საბედნიეროდ, 20—30-იანი წლების ლიტერატურულ კრიტიკაში დამკვიდრებული ეს იდეოლოგიური სტერეოტიპები გაბედულად იმსხვრევდა ბოლო ხანს, მაგრამ მეცნიერულ-შემოქმედებითი აზროვნების მთლიან

განთავისუფლებას მათგან გარკვეული დრო სჭირდება. ამ დოგმატიზმისა და იდეოლოგიური რეცივების კვალს საკმაოდ ვხვდებით საბჭოური პერიოდის ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში. ამ რეცივიდის გამოვლინება იყო, მაგალითად, ზოგიერთი ლიტერატორის მიერ გაკეთებული დასკვნა იმის შესახებ, თითქოს პ. იაშვილის პოეტური ენერგიის სრულყოფილი გამომჟღავნება მხოლოდ იმ დროიდან ხდება, როცა პოეტი მთლიანად თავისუფლდება სიმბოლიზმის ზეგავლენისაგან და „სოციალისტური რეალიზმის“ პოზიციებზე დგება. ნელი დუმბაძის აზრით, მაგალითად, „ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან, როცა სავსებით განთავისუფლდა სიმბოლიზმის გავლენისაგან, უარყო იდეალისტური ესთეტიკა და შეითვისა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდი, პაოლო იაშვილი საბჭოთა მკითხველის წინაშე წარმოსდგა მთელი თავისი შემოქმედებითი ძალით, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი“ (ნ. დუმბაძე, ქართული სიმბოლიზმი 1973 წ. გვ. 217).

როგორც ითქვა, პაოლო იაშვილი ისე გარდაიცვალა, წიგნი არ გამოუცია. მისი ლექსების პირველი კრებული რეაბილიტაციის შემდეგ, 1955 წელს დაიბეჭდა. აქედან მიყოლებული, პოეტის არაერთი წიგნი გამოიცა. მათგან, ჯერჯერობით, ყველაზე სრულყოფილია 1975 წლის გამოცემა, თუმცა მწერლის შემოქმედების ყველა ნიმუში, როგორც პოეტური, ისე სხვა ჟანრისა, არც მასშია შესული.

პ. იაშვილის ლექსებმა დროთა განმავლობაში, სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებათა შედეგად, არაერთი ტექსტოლოგიური შესწორება განიცადა. ამ სწორებათა უმეტესობა გვიანდელია, არაავტორისეული, და მიზნად ისახავს ნაწარმოებთა იდეოლოგიურ „გაჯანსაღებას“. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი შესწორება თვით ავტორმაც მოახდინა სიცოცხლის ბოლო წლებში პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. ყოველივე ამის დასადგენად და შესასწავლად სამომავლოდ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

ქვემოთ მინდა მოკლედ შევეხებ ამ საკითხს. პაოლოს ლექსებში შეტანილი სწორებანი ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ერთნი, უმეტესნი, — იდეოლოგიური ხასიათისაა, მეორენი — წმინდა ლიტერატურული, ნაწარ-

მოების პოეტური დონის დასახვეწად გამიზნული. განსაკუთრებული ყურადღება პირველი სახის სწორებებს უნდა მიექცეს. რეპრესირებული მწერლის შემოქმედებას, რეაბილიტაციის მიუხედავად, გამოცემის დროს, რომ იტყვიან, გამადიდებელი შუშით ამოწმებდნენ, საეჭვო ლექსებისა და სტროფების დაბეჭდვაზე თავს იკავებდნენ, ცალკეულ სტრიქონებს ცვლიდნენ, რითაც არბილებდნენ და ანეიტრალებდნენ უხერხულ და საჩოთირო აზრებს.

ნათქვამის ნათელსაყოფად ერთმანეთს შევეუდარებ პოეტის 1965 და 1975 წლებში გამოცემულ კრებულებს.

ბოლო გამოცემაში შეტანილ სწორებათა დიდი ნაწილი შემოქმედებითი მოღვაწეობის ე. წ. სიმბოლისტური პერიოდის იმ ლექსებზე მოდის, რომლებიც, ძირითადად, პოეტის ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას გამოხატავენ. მაგალითად, ავიღოთ ლექსი „დაცემულ ბათომს“ (1918 წ.), რომელიც პირველად 1958 წელს დაიბეჭდა. მასში ორი არსებითი ხასიათის ცვლილებაა შეტანილი. პირველი, სტრიქონში: „სძინავს ზარბაზანს რუსული ძილით“ სიტყვა რუსული შეცვლილია სიტყვით — სასტიკი და, მეორე, ლექსიდან მთლიანადაა ამოღებული შემდეგი სტროფი:

ამხანაგებო, ნუ ხართ დარდულად,
დღეს საქართველო მე ვეღარ ვცანი,
დროა აყვავდეს უკვე ქართულად
მრისხანე თოფი და ზარბაზანი.

ვფიქრობ, ადვილი ასახსნელია, რამ განაპირობა ზემოთ აღნიშნული ცვლილებები. ჯერ ერთი, გამომცემლობამ თავი დაიზღვია რუსულ ძილზე სუბრიტ „დიდი ძმები“ არ გავანაწყენოთო; მეორეც, ოფიციალური ცენზურისათვის რომც დაგვენებებინა თავი, იმ პერიოდის ბევრი საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში ჩასახლებული მკაცრი შინაგანი იდეოლოგიური ცენზორი გაუფრთხილებლადაც უდიდესი სიფრთხილით წონიდა ყოველ სიტყვას და, რომ იტყვიან, ბუზს სპილოდ აქცევდა ხოლმე. ეტყობა, სწორედ ასე მოხდა ამჯერადაც, როცა მთელი სტროფი ამოიღეს ლექსიდან. ამ მანიპულაციის ჩამტარებლებმა ზედმეტ რისკად ჩათვალეს ხალხისთვის იმისი მიწოდება, დროა ისევ ქართულად აგრგვინდეს თოფ-ზარბაზანი

ჩვენი მიწის მტარვალთაგან დასახსნელადო. მართალია, ამ მტარვალში ამჯერად რუსი არ იგულისხმებოდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ლექსის წაკითხვით აღძრული ემოციები განვრცობილიყო, ვინმე საქართველოს მაშინდელ დამონებულ მდგომარეობაზეც დაფიქრებულიყო და რუსის ტყვეობისაგან სამშობლოს გამოსხნის სურვილიც გასჩენოდა. რას არ იფიქრებს დაეჭვებული კაცი! ჰოდა, სიფრთხილეს თავი რად უნდა ავატკივოთო, დაასკვნეს, ალბათ, და ლექსიდან ეს საჩოთირო სტრიქონებიც ამოკვეთეს.

პაოლოს პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ირ. აბაშიძემ საბადოდან ნიმუშად წამოღებულ ძვირფასი მადნის ნატეხსა და მარნიდან საჭაშნიკოდ მოტანილ ღვინოს შეადარა, ხოლო გურამ ასათიანმა — ჰაერში გაქვავებულ შადრევნებს. ეს შედარებები ხატოვნად გამოსხატავენ მისი ნატიფი პოეზიის შინაგანი ბუნების სპეციფიკას.

პ. იაშვილის ლექსისგან მიღებული ემოციური ეფექტი ხშირად მახვილ-გონივრულად მიგნებულ, მოულოდნელ აზრობრივ ასოციაციებზე დაფუძნებული პოეტური სახეებითაა განპირობებული. ამის დასტურად მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიშველიოთ პოეტის შემოქმედებიდან. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი. ავიღოთ, თუნდაც, „თბილისი“, ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში პაოლოს ლირიკისა. თბილისისადმი აღვლენილ ამ პოეტურ აპოლოგიაში სათქმელის გამოსხატვის დროს ძირითადი დატვირთვა, პირველ ყოვლისა, სწორედ ასეთი ეფექტურობით მიგნებულ სახეებზე მოდის.

ჩემო ქალაქო, არ დამაკელი
შენ სიხარული მზისგან ფერილი,
თავზე გადგია, როგორც კანკელი,
ცა მოელვარე და აქლერილი.

ვხედავ ურმები ლორთქა თივებით
გზას ახარებენ აჭრიალებით;
მტკვარს მიჰყვებიან ფიქვის ტივები,
ვით მოცურავე თეთრი ქალები.

სდულან ოქროს და წითელ ღვარებად
კვირა დღეებით შენი ქუჩები,
და იცვლებიან ოხშივარებად
შენს გარეშემო მთები თუჯების.

‘შენს ალყაფთან მსურს. დაეალაგო
ლექსები, როგორც სისხლის წვეთები...
მილიონ ხმებით საესე ქალაქო,
დიდი სატახტო ხარ პოეტების.

ანდა გავიხსენოთ ნაწყვეტი ქუთაისისადმი მიძღვნილი ლექსიდან, სადაც შშობლიური ქალაქისადმი სიყვარულის გამოცხადებისას უმთავრესი დატვირთვა ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილ და ღრმა ასოციაციური ინდივიდუალობით აღბეჭდილ პოეტურ სახეებზე მოდის:

როგორც ზეციდან მტრედების ჯოგი
მინდორზე ჰჟანტავს უნახეს ჩეროს.
როგორც ურმული გადადის ბოჯირს
და ოღნავ არხევს ნაძვების წვეროს.

როგორც დასტოვებს კოლხიდის ლოგინს
და ცაში ისრად შესცურავს წერო, —
ასეთი მინდა სტრიქონი ზოგი
შენთვის გამართულ ლექსებში ვწერო.

შემოქმედებითი მოღვაწეობის მეორე პერიოდში პაოლოს ლექსმა მეტი სინათლე და სინატიფე შეიძინა, მეტი მუსიკალური დახვეწილობა და რიტმული მღერადობა. მისი პოეზიიდან მთლიანად გამოირიცხა ყოველგვარი აზრობრივი ბურუსი და ბუნდოვანება. სათქმელის გამოხატვას ემოციურ ძალასა და შთამბეჭდაობას სძენს სიტყვიერი სილადე, პათეტიკურობა, ბუნებრივი და ამადლებული რიტორიზმი.

ეს ნიშან-თვისებები პაოლოს ლირიკისთვის არც ადრე იყო უცხო, მაგრამ მერე და მერე ისინი უფრო გაძლიერდნენ. მისთვის პოეზია სინამდვილის ამადლებული, სადღესასწაულო განცდაა. ამიტომაც იგრძნობა მის ლექსებში ასე მძლავრად საზეიმო განწყობილება. პოეტის მიერ წარმოსახული სინამდვილეც ზოგჯერ, გარკვეულწილად, თითქმის თეატრალიზებულიცაა.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მხედველობიდან არც ის ღრმა, შინაგანი ადამიანური სევდა და ნალველი უნდა გამოგვრჩეს, რასაც პოეტი შიგადაშიგ გამოხატავს ხოლმე. საბჭოური იდეოლოგიის დიქტატორულმა პოლიტიკამ პაოლოს შესაძლებლობა არ მისცა ბოლომდე გულწრფელად და შეუღამაზებლად გაემჟღავნებინა გულისნადები. სწორედ ამისი შედეგია, პირველ ყოვლისა, ის გარემოება, რომ პოეტის ადა-

მიანური ბუნების ეს მეორე მხარე — სულში ჩაგუბებული დიდი ტკივილი და მწუხარება — ძალზე ძუნწად და ფრაგმენტულად გამოვლინდა მის შემოქმედებაში.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია პაოლოს არქივში დაცული ერთი დაუმთავრებელი ლექსი, რომელიც 30-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი (გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, საქალაქო № 25981). მასში არის ცდა მიწიერი პატივისა და დიდების წინააღმდეგ მძაფრი შინაგანი პროტესტის გამოხატვისა. პროტესტული განწყობილებით ამბოხებული და სულაფორიაქებული პაოლო მოსაგლეჯად იმეტებს მისთვის ნაწყალობევე პოეტური დაფნის გვირგვინს, რადგანაც მისი უმთავრესი მოქალაქეობრივი და მამულიშვილური მოვალეობა სამშობლოს წინაშე სასურველ დონეზე ვერ შეასრულა: „ნაზად ქცეულმა“ მისმა ჩანგმა, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ბოლომდე ვერ გაუხსნა გზა გულში ჩაგუბებულ ტკივილს, ვერ უმღერა და ვერ უჭირისუფლა „უმართლო ძალაუფლებისგან“ დათრგუნულ ქვეყანას. აი, ეს დაუმთავრებელი ლექსიც მთლიანად:

სად ხარ, ამაყო მეფეთა რისხვა,
თავისუფლების დიდების მოქმელო!
მოდი, მომგლიჯე გვირგვინი დაფნის,
გასტეხე ჩანგი, ნაზად ქცეული,
მე მსურს ვუმღერო ქვეყანას დახსნილს.

ვაგლახ, სადაც კი არ სწვდება თვალი,
ყველგან მათრახი და ყველგან რკინა.
ყველგან უმართლო ძალაუფლება.

თუ ღრმად ჩაუკვირდებით პოეტის ამ და სხვა ნაწარმოებებს, ვნახავთ, რომ მათში მაშინდელი ყოფის, საერთოდ, ადამიანური ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო საკითხია განსჯის საგნად ქცეული. ავიღოთ, თუნდაც, „პოეტი და ადამიანი“ (1927 წ.), ლექსი, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ამ ახალ „ბედნიერ“ ეპოქაში პოეტს სანატრელი გახდომია პატიოსანი ცხოვრება, რომ ქართველი მწერლის ბედისწერად გამათხოვრება ქცეულა და ისიც იძულებული გამხდარა, „გული გაჰყიდოს ჯალში ვაჭრობით“.

მე მენატრება ცხოვრება
პატიოსანი,
მაგრამ რა ვქნა, რომ გამათხოვრება
ბედი ყოფილა ქართველ მგოსანის...

...სურვილი დიდი როდია, —
მცირეოდენი...
მაგრამ ყოველდღე ჩემთან მოდიან
და აღწერების მოაქვთ ორდერი.

ფიქრი ირევა ჩემს თავში,
როგორც მწერები,
რა მაქვს ქონება: ცოლი და ბავშვი,
ძალი და ცოტა ხელთნაწერები.

პ. იაშვილის პოეზიას მკაფიოდ ახასიათებს მუსიკალური სიფაქიზე და მელოდირობა. მისი საუკეთესო ლექსები მკვეთრად ორიგინალური რიტმული ჟღერადობით გამოირჩევიან. ამ ორიგინალობას პოეტი, ერთის მხრივ, ახალი ან შედარებით ნაკლებად გამოყენებული ვერსიფიკაციული ფორმების მეშვეობით აღწევს, მეორეს მხრივ კი ტრადიციულად ცნობილ ჰექსურ სალექსო საზომებს ახალი შინაგანი ნიუანსებით ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს. შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველივე წლებში გარკვეული ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა შემდგომში.

გავისხენოთ, მაგალითად, ცნობილი ლექსი — „მაგიდა — ჩემი პარნასი“. ამ ლექსის რიტმს მკვეთრად ცვლის და ორიგინალური ჟღერადობით აღბეჭდავს ათი და თერთმეტმარცვლიანი სტრიქონების თანაშეწყობა. კერძოდ, ლექსის ყოველი კენტი სტრიქონი ათმარცვლიანია, ლუწებისა კი უმეტესად — თერთმეტმარცვლიანი. რიტმული თავისთავადობის გამოვლენას დიდად უწყობს აგრეთვე ხელს კეთილხმოვანი შინაგანი რითმების გამოყენებაც. ნათქვამის ნათელსაყოფად გავისხენოთ ფრაგმენტი ლექსიდან:

მაგიდას პარნასს ყვითელი მტვერი,
მზის ოქროს წვერი, ხვრელიდან ესობა
და პოეტს ზარმაცს წასვლია ფერი,
ოქროს მტვერი რომ გაუჩნდა მეზობლად.

შრილა ნარმას, წერით დასერილს,
დაეცა მართლა ყვითელი მზის ვარდი,
და ელის კარნახს კალამის წვერი,
კალამის წვერი — ბულბულის ნისკარტი.

ვერსიფიკაციული თავისუფლება კიდევ უფრო საგრძნობია პოეტის ლექსში „აფთიაქარი“, რომლის პირველი და მესამე სტროფები, ფაქტობრივად, ერთიან, მწყობრ რიტმულ-ვერსიფიკაციულ ჩარჩოში ვერ თავსდებიან. მეორე სტროფი ტრადიციული შვიდმარცვლიანი სალექსო საზომითაა დაწერილი, დანარჩენი კი (ორიოდე სტრიქონის გამოკლებით) — თოთხმეტმარცვლიანი საზომით. ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ ის სტროფები, რომლებშიაც ყველაზე მეტად ვლინდება ავტორის რიტმულ-ვერსიფიკაციული თავისუფლება:

როცა ჩამოდის მამა,
ჩამოაქვს სურნელი ძვირფასი ერთი,
ჩამოაქვს ვაჟიაც ლამაზს
უბრალო სუნი პიტნის წვეთის.

სოკრატეს თავი
და თეთრი ბინტი
აეურღებოდა უეცრად
და ჩემი ფიქრი იქითკენ მიდის,
როდესაც ჩემთვის
პირველად
ყვავილი უნდა აეცრათ.

მსგავსი მაგალითები პაოლოს შემოქმედებიდან მრავლად შეიძლება მოვიშველიოთ. მისი ლექსის მუსიკალურ დახვეწილობასა და ინტონაციურ ორიგინალობას დიდად განსაზღვრავს ეფფონიურად კეთილხმოვანი და ორიგინალური რითმების გამოყენება. ავტორის ორიგინალობა ამ შემთხვევაში ვლინდება როგორც ახალი რითმების წარმატებული ძიებით, ასევე ამ რითმთა გამოყენების მრავალფეროვნებითაც. იგი ხშირად მიმართავს ხოლმე ჯვარედინ, მოსაზღვრე, რკალურ, შინაგან თუ კიბისებურ რითმებს, რითაც ზრდის მისი ლექსების მუსიკალური ჟღერადობის ეფექტს.

აქვე, ცალკე უნდა აღინიშნოს აგრეთვე პოეტის განსაკუთრებული დაინტერესება ალიტერაციით. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია

ლექსი „ასო ლასი“, რომელიც პოეტური ფეფონიის შესანიშნავი ნიმუშია არა მარტო პაოლოს შემოქმედებაში, არამედ მეოცე საუკუნის მთელ ქართულ პოეზიაში:

ლეილას თვალები ელავენ ბნელიდან,
დედოფალს ახლავენ მხეველნი მტკელებად;
ყვავილიც მწველია ლეილას ხელიდან,
დალალნი დაძლიან ელვარე გველებად.

ასული მწველია ძველი სურნელებით,
დედოფლის ალერსი გრძელია. მწელია;
ლეილა ლოცულობს დაღალულ ხელებით,
ქალები გალობით ალიონს ელიან.

ლექსის მუსიკალური მღერადობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლად, როგორც ვხედავთ, ლ ბგერის მიზანსწრაფული გამეორებაა ქცეული. იგი ნაწარმოების ყოველ სიტყვაში გვხვდება ერთჯერ ან ორჯერ, რითაც მელოდია მკვეთრად ორიგინალურ რიტმულ ქღერადობას იძენს.

ანდა „დარიანული“ გავიხსენოთ, ლექსი, რომლის მუსიკალურ ეფექტს დიდად განსაზღვრავს ჯ ბგერის აქცენტირებული განმეორება:

დაიტანჯა
მაჯა
მარჯნის
მძიმე ჭაქვის
ტარებით.
ჩემს დამტანჯველს
ღმერთი
დასჯის
ქაჯად
გადაგვარებით.

როგორც ზემოთ დამოწმებული მაგალითებითაც დასტურდება, პ. იაშვილის პოეზიისათვის მკაფიოდაა დამახასიათებელი ვერსიფიკაციული და რიტმული მრავალფეროვნება. ამგვარი რიტმულ-ვერსიფიკაციული მონაცვლეობა ზოგჯერ ერთსა და იმავე ლექსშიცაა შესამჩნევი. პაოლო არაა მონორიტმების პოეტი. იგი წარმატებით იყენებს სხვადასხვა სალექსო საზომებს. ამ ტენდენციამ მის პოეზიაში თავიდანვე, პოეტური მოღვაწეობის პირველი წლებიდანვე, მძლავრად იჩინა თავი. პაოლოს ლირიკის ვერ-

სიფიკაციული და რიტმულ-მუსიკალური თავისთავადობის გასათვალის-
წინებლად საინტერესო ნაწარმოებებია: „ზარის ხმა ქარში“, „ქორწილი“,
„ფარშავანგები ქალაქში“, „ნასაყდრალის გალავნიდან“, „ევროპა“, „სა-
მასი არგვეთელი“ და სხვა.

პ. იაშვილის ლიტერატურული ინდივიდუალობის განმსაზღვრელ ნი-
შან-თვისებათაგან საგანგებო ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე ფერ-
წერულ პოეტურ სახეებს, რომლებშიც შთამბეჭდავადაა აკუმულირებული
ნაწარმოების ძირითადი სათქმელი და განწყობილება. ნატიფი და დახ-
ვეწილი ფერწერულობით აღბეჭდილი ეს პოეტური სახეები ხშირად გა-
მიზნულნი არიან, ახლებური კუთხით დაგვანახონ და განგვაცდევინონ
პეიზაჟი, ბუნების ესა თუ ის სურათი. ასე იქმნება პოეტის ლექსებში
მთელი გაღერება მხატვრული ფერადოვნებითა და ლირიკული განწყობი-
ლებით აღბეჭდილი პოეტური პეიზაჟებისა, რომლებშიც შთამბეჭდავად
ირეკლება ბუნების ლანდშაფტური სილამაზე და მომხიბვლელობა. მაგა-
ლითად: „ხეები ჯარად მიდიან, შორს — თოვლის მთები დგანან ოცნე-
ბით, თითქოს ჰაერში ჰკიდია მიტკალის პირსახოცები“. ან: „მოკლული
ყვავის ფრთებივით ჭერზე აყრია ყაყარი“. ან კიდევ:

ცაზე ვერცხლის მერცხლები
სხედან ლურჯ ბუდეებში,
მთვარე ცოვად ეცემა
შქერის ტყეში გამართულ ტოტების ბადეებში.
მთვარე — თეთრი ხოხობი —
გაეხირა ტოტებში,
ძალლი — მცველი ორლობის —
ღამეს ათევს ყეფაში და ძალღერად ბოდვებში.
აღვის ხეებს აცვია
სირშიანი ნაბდები.
ტკბილი სიზარმაცა
და მდინარეც საყსეა თითქოს თეთრი ბატებით.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ პაოლოს არაერთი ლექსი ბი-
ოგრაფიული ხასიათისაა და მათი შთაგონების წყაროდ რაიმე კონკრეტუ-
ლი ცხოვრებისეული ეპიზოდია ქცეული. ამ ფაქტს პოეტის თანაინდრო-
ვნიც ადასტურებენ. მაგალითად, შ. აფხაიძე წერდა: პაოლოს ლექსებში

სშირად „სინამდვილეში მომხდარი ამბები არის აყვანილი პოეზიის დონეზე“.

პოეტის ბიოგრაფიის გაცნობა აშკარად გვარწმუნებს ამაში. მკითხველს არ უჭირს ახსნას და გაარკვიოს ზოგიერთი ლექსის შექმნის საფუძველი. ამ ვითარების გათვალისწინება კი ნაწარმოებს მეტ ემოციურ და შინაარსობრივ დატვირთვას სძენს. მაგრამ პაოლოს პოეზიის ღირსება ისაა, რომ მის შემოქმედებაში ეს კონკრეტული ფაქტები და მოვლენები ფართო განზოგადების საგნად არიან ქცეული და ისინი სშირად მხოლოდ პოეტური შთაგონების გამღვივებლის, ერთგვარი შემოქმედებითი კატალიზატორის როლს ასრულებენ ხოლმე. ამიტომაც სცილდება მისი ყველაზე სუბიექტური ლექსიც კი კამერულობის ფარგლებს და საყოველთაო ინტერესს იწვევს მკითხველებში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, მაგალითად, კოლაუ ნადირაძის ნამუშობი იმის შესახებ, როგორ დაიწერა ცნობილი ლექსი „დებედაჩაის ღამე“ (იხ. კ. ნადირაძის „რაც ლექსად ვერ ვთქვი“, 1984 წ. გვ. 69-71).

თანამედროვეთა მოგონებით, პაოლო თავგადაკლული მონადირე ყოფილა. ერთხელაც მეგობრებთან ერთად სადახლოსაკენ წასულა სანადიროდ. ღამე თათრების სოფელში, ვინმე იუსუფთან გაუთვიათ. ძალზე რომანტიკული ღამე მდგარა. „ვარსკვლავებით მორთულ ცაზე ამოწვდილ ხმალივით სშირად გაიფლავებდნენ ხოლმე მეტეორიტები და დებედაჩაის შორი შხუილი ეალერსებოდა სმენასო“, — იგონებს კოლაუ და განაგრძობს: უცებ კარის ჭრიალმა გამოგვადვიდა მე და პაოლო. „აღმოსავლეთით ჯერ კიდევ მკრთალ, მაგრამ უკვე ვარდისფრად აღეწილ ფონზე, რომელიც კარის ვიწრო ჩარჩოში იყო ჩასმული, როგორც ჯადოსნური მხატვრის სურათი, იდგა გოგონა. იგი 14—15 წლისა იქნებოდა, მეტის არა, ფეხშიშველა, მსუბუქ კაბაში, რომელიც ნაზად ეკვროდა მის უნაკლო ქალწულ ტანს. იგი იდგა გაღიმებული ჩვენს წინ, როგორც მომხიბლავი მოჩვენება, როგორც ოცნება ხორცშესხმული...“

ყოველივე ეს რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. შემდეგ მოჩვენება გაქრა. გოგონამ კარი ფართოდ გააღო, ფეხით შეასწორა კარი ან აკეცილი

ჭილოფი, კვლავ გაგვიღიმა, შებრუნდა და აივანზე, სადღაც მახლობლად, ისევ ჭილოფზე მიწვა...

ერთხანს ამ სურათით თითქოს გაქვავებულნი უძრავად ვიწექით, ხმას არ ვიღებდით, ჩვენს ამხანაგებს ჯერ კიდევ ეძინათ. უეცრად საწოლიდან ელვასავით წამოიჭრა პაოლო, დადგა გაღებულ კარის ზღურბლზე და აღტყინებული ხმით დასძახა მძინარე მონადირეთა ბანაკს:

— ამხანაგებო, უკვე გათენდა!...“

ასეთი იყო ის სიტუაცია, რამაც პაოლოს „ღებედაჩაის ღამე“ — მისი პოეზიის ეს მშვენიერი ნიმუში — შთააგონა. მეორე დღეს, კოლაუს ცნობით, მას უკვე წაუკითხავს მისთვის ამ რომანტიკული შემთხვევის შედეგად დაბადებული ეს შთამბეჭდავი ლექსი.

ახლა ორიოდ სიტყვა იმაზეც, როგორ ხსნიდა და განმარტავდა პაოლო პოეზიის არსს. მისთვის შემოქმედებითი პროცესი უდიდესი ტანჯვაა, სიცოცხლის მიმტაცი ნეტარი ტანჯვა, ხორცისა და სულის არაადამიანური წამება.

თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ეს თვალსაზრისი ბოლომდე თანმიმდევრული და უცვლელი არ ყოფილა. პოეზიის რაობის მიხედვით გაგება, შეიძლება ითქვას, უფრო იმპულსურია, განწყობილებებისეული, რაც იმით ვლინდება, რომ მისი შესხედულებანი ზოგჯერ საგრძნობლად უპირისპირდებიან კიდევ ერთმანეთს. ამ მხრივ მრავლისმთქმელია ლექსების — „პოეზიისა“ (1926 წ.) და „მაგიდა ჩემი პარნასის“ (1932 წ.) ურთიერთშედარება. მათი კითხვისას აშკარად ვგრძნობთ, რომ პირველ მათგანში გამოთქმული თვალსაზრისი რამდენადმე ეწინააღმდეგება მეორე ლექსის სათქმელს, სადაც პოეტური შთაგონება ბუღბუღის გალობასთან და კალმის მსუბუქ, ჭაეროვან სიმღერასთანაა შედარებული.

ნათქვამმა რომ მეტი კონკრეტულობა შეიძინოს, მოვიშველიოთ დასახელებული ლექსებიდან სათანადო მაგალითები. „პოეზიაში“ პაოლო ნძაფრი და ორიგინალურად გააზრებული პოეტური სახეებით ხატავს „სიტყვის მადნის“ გათავებით პოეტისთვის თავსდატყვის ტრაგედიას, რომელიც ტრაგედიათა შორის, მისი აზრით, ყველაზე დიდი უბედურებაა.

გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი,
ლა თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ველარ ლახელები,
ლექსო. გულიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი,
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები.

არი მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი,
მიწისძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად თულებად,
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასწეულება.

ასეთია, პაოლოს აზრით, არსი ჭეშმარიტი პოეზიისა. და ეს მაშინ,
როცა ფართო საზოგადოებისათვის ლექსის წერა მსუბუქ, გასართობ და
თავშესაქცევ საქმედაა მიჩნეული. მისთვის სრულიად უცხოა და მიუწვდო-
მელი ის ჯოჯოხეთური ცეცხლი, რომელიც ყოველი ჭეშმარიტი პოეტის
ტვინს წვავს და დაგავს პეპელასავით წმინდა თუნდაც ერთი ლექსის შე-
საქმნელადაც კი.

რამდენი თვალი უნდა მქონდეს, რომ ყველა ვნახო.
რამდენი გული უნდა მედგას, რომ ვიგრძნო ყველა,
რამდენი სახე მე თვით უნდა გაეპარტახო,
რომ ერთი ლექსი დამრჩეს, წმინდა როგორც პეპელა.

ამიტომაცაა, რომ ყოველი ჭეშმარიტი ლექსის შექმნა პოეტს სულს
ართმევს, სიცოცხლეს იწირავს ზვარაკად. და მიანც, შემოქმედებითი პრო-
ცესი ის უმაღლესი ბედნიერებაა, ურომლისოდაც არსებობა პაოლოს არა-
წაობად და უაზრობად მიაჩნია. სწორედ ამ თვალსაზრისის პოეტური შე-
ჯამებაა ლექსის ბოლო სტრიქონები:

რამდენი ლექსი დაიწერა. იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას ვით ადამიანს,
და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს ძორი ყვავებისთვის გასატანია.

რაც შეეხება ექვსი წლის შემდეგ დაწერილ ლექსს — „მაგიდა ჩემი
პარნასი“, მასში პოეტმა ხალხში ფართოდ გავრცელებული პოეზიის ტრა-
დიციული გაგება უფრო გამოხატა, როცა პოეტური შთაგონების სილა-
ღეზე გაამახვილა ყურადღება და მგოსნის კალამი ამღერებულ ბულბულს
შეადარა.

თითქოს უბრალოდ მე ვწერდე წერილს,
გამიადვილდა უეცრად შრომა.
ციდან მოსმენილ შუადღის ქღერის
მონად გამხდარა ლექსების ზომა.

მარცვლების ძებნას დაიწყებს ცერი,
აავსებს წერილს წუხანდელ ცის დარდი,
და მღერის, მღერის კალამის წვერი,
კალამის წვერი — ბუღბუღის ნისკარტი.

პაოლო მის ლექსებში არაერთგზის შეეხო აგრეთვე პოეზიისა და პოეტის დანიშნულებას და ცადა მკაფიოდ განესაზღვრა მწერლის შემოქმედებითი მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლექსები „საკუთარ თავს“ და „პოეტის საქმე“, რომლებშიც მან, ფაქტობრივად, მისი სამომავლო მოქალაქეობრივი პროგრამა ჩამოაყალიბა. მართალია, 30-იანი წლების დასაწყისში დაწერილ ამ ლექსებში გარკვეულწილად უკვე იგრძნობა მაშინდელი იდეოლოგიური და პოლიტიკური ვითარების გამოძახილი, მაგრამ მთავარი ეს კი არაა, არამედ ის ფართო და მასშტაბური პერსპექტივები, რომელთაც პოეტი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ძირითად მიზანსწრაფვად წარმოსახავს. „პოეტის საქმეში“ ქვეყნისადმი ერთგული სამსახურის გამოცხადება თითქოს ფიცის სახესაც კი ღებულობს:

ჩემო ქვეყანავ, დამსვი პოეტად,
შენი შრომის და მიწის საქებად,
და რაც კი ძალა მომეპოვება,
მინდა ლექსებად გადმოლაგება.

ამას მოსდევს აღთქმა იმისა, რომ პოეტი ერთგულად იდგომება ახალი დროის შრომით ფერხულში, კვლავაც უმღერებს „ველად გაჭრილ ტრაქტორებსა და ოქროს მადნებს“ და მწერლის შრომას ისე მოეკიდება, „როგორც ჭკიდიან გუთანს გლეხები“.

ეს პროგრამული თვალსაზრისი კიდევ უფრო გაღრმავდა ლექსში „საკუთარ თავს“ (1934 წ.), სადაც კონკრეტულადაა დასახელებული პოეტის სამომავლო ლიტერატურული გეგმები. კერძოდ, ვგებულობთ, რომ მის განზრახული ჰქონია დაეწერა იმაზე, „როგორ იზარდა ჩვენი თაობის დიდება“ და „როგორ აივსო სიმართლით ღარიბ ოჯახის ჰანგები“, მო-

ეთხრო „მტერთა ბანაკზე და სიხარულზე მიწისა“; შეექმნა პოემა „დახვრეტილ ჯაფარიძეზე“; ახალი თვალით შეეხედა მურძაყან დადუშქელიანის ცხოვრებისთვის; ეთქვა „ხმა საკახეთო“; ხალხისთვის ეამბნა ვინ და „რისთვის გააპო ხანჯალით რუსეთის გუბერნატორი“; ახალ თქმულებად ექცია „ამბავი სააკაძესი“; ქართულად აემეტყველებინა პუშკინი...

ასე იკვებება საკუთარი თავისადმი მიძღვნილ ამ საინტერესო ლექსში ის ფართო და მრავალმხრივი სამომავლო პოეტური პროგრამა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს პაოლოს მრავალფეროვან ინტერესებსა და მისწრაფებებს. მიუხედავად იმისა, რომ ლექსში აშკარად იგრძნობა მაშინდელი პოლიტიკური ვითარების ტენდენციური გამოძახილი, იგი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტიცაა პოეტის იმდროინდელი ლიტერატურული და მოქალაქეობრივი მრწამსის შესაცნობად და დასახასიათებლად. აქვე სინანულით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დიდმა ლიტერატურულმა გეგმებმა მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეისხეს ხორცი. დროის, წუთისოფლის სიმუხტლემ, უღმობელმა ბედისწერამ მას არ დააცალა პოეტური სიტყვით გაეცხადებინა გულით ნატარები ოცნებანი.

ამ დანაკლისის მნიშვნელობასა და მასშტაბებს ნათლად შეგვაგრძნობინებს გაუხედნავი რაშივით გაჯირითებული პოეტური სიტყვის მადლთან ყოველი ზიარება, იმ ცუცხლოვანი და მღელვარე ტემპერამენტით სავსე ლიტერატურული სამყაროს თვითმყოფადობა, რომელიც თვით ატორმა ასე ხატოვნად დაახასიათა შემდეგ სტრიქონებში:

როგორც აფრის ტაკუნი
მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

წმინდა ლირიკული განწყობილების ლექსების გვერდით, პ. იაშვილის შემოქმედებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისეთ ნაწარმოებებსაც, რომლებიც იმ პერიოდის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით არიან შთაგონებულნი. ეს ნაკადი მის პოეზიაში სიცოცხლის ბოლო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა, რაც უშუალოდ იყო განპირობებული იდეოლოგიზაციის იმ მძლავრი მასშტაბებით, რომელთაც ჩვენი ცხოვრების ყოველი სფერო მოიცვეს. მაგრამ, ალბათ, არ ვიქნებით სწო-

რ. პ. იაშვილის შემოქმედებაში გამოვლენილი ეს ტენდენცია მხოლოდ კონიუნქტურითა და იძულებით რომ აგვეხსნა. პაოლო აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე პიროვნება იყო, რომელიც, შეძლებისდაგვარად, დღენიდაგ ზრუნავდა და იღვწოდა მისი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის. ამ ზრუნვამ და უკეთესი მომავლის გზათა ძიებამ იგი ერთხანს გარკვეული კეთილგანწყობითაც კი განმსჭვალა ახალი ხელისუფლებისა და მისი ბელადებისადმი.

სწორედ ამგვარი კეთილგანწყობისა და სათანადოდ გაუცნობიერებული ხოტბის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ლექსი „ლენინს“ (1924 წ.), რომელიც „მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადის“ გარდაცვალების ფაქტითაა შთაგონებული. ლენინის სიკვდილს ავტორი „ოქტომბრის ქარის წუთით ჩადგომად“ მიიჩნევს და მოუწოდებს პოეტებს, „იმღერონ ერთად მარში გლოვისა“ და ამით გამოხატონ უსაზღვრო წუხილი მილიონობით ატირებული ადამიანისა.

ლენინის ღვაწლის შეფასების დროს პაოლო არ იფარგლება მხოლოდ საბჭოური მასშტაბებით. იგი, მისი აზრით, იყო „არჩევანი მთელი ქვეყნიერების“. ამიტომაც ტირის ახლა ასე მწარედ მისი სიკვდილის გამო ჩინეთში „მებადური ჩამოხეული, რომლის ცოლ-შვილი დამშეული, ქუჩაში ჰყრია“. ასეთივე სევდით დასტირიან საყვარელ ბელადს ცეცხლმოკიდებული ირლანდიის მემობოხენიც...

ამ საყოველთაო გლოვის ფონზე დადუმებულ სასაფლაოსავით მოჩანს თბილისიც, რომელიც ასეთივე მწუხარებით დასტირის ძვირფას ცხედარს.

როგორც ვხედავთ, ლენინის ღვაწლის შეფასების დროს ლექსში აშკარად იგრძნობა მოვლენათა ჰიპერბოლიზებისა და რომანტიზირების ტენდენცია. პაოლოს ნაწარმოებს ძალუმად მსჭვალავს ლენინისადმი, როგორც ჩაგრული ადამიანებისთვის მესიად და მიწიერ ღვთაებად მოვლენილი პიროვნებისადმი, სიყვარული და თაყვანისმცემლური დამოკიდებულება, რომლის დამკვიდრებასაც თავგამოდებით ესწრაფოდნენ სოციალისტური ეპოქის მესვეურნი.

ლექსის ამადლებული განწყობილება და ნატიფი პოეტური ხელოვნებით გამოხატული ადამიანური სევდა, ვფიქრობ, უყოყმანო საფუძველს

ქმნის იმის აღსანიშნავად, რომ პოეტის ტკივილი გულწრფელია და სულის წიაღიდან წამოსული. ეტყობა, სამშობლოს ბედნიერ მომავალზე ოცნება და ლენინის სახელი პაოლოს მაშინდელ ცნობიერებაში ჯერ კიდევ არ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. იდეოლოგიური და პოლიტიკური ილუზიებისაგან ბოლომდე გამოუფხიზლებელ პოეტს სათანადო სიღრმითა და სიმართლით ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნათლად გაცნობიერებული იმ ტრაგიკულ მოვლენათა ჭეშმარიტი არსი, რომლებიც სწორედ ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით დაატყდა თავს სამიოდე წლის წინათ მის სამშობლოს.

სიცოცხლის ბოლო წლებში პ. იაშვილის პოეზია კიდევ უფრო იდეოლოგიზებული გახდა. ეს იყო პირდაპირი შედეგი იმ პოლიტიკისა, რასაც მაშინდელი ხელისუფლება ატარებდა ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში. ქვეყნად გამეფებულმა იდეოლოგიურმა დიქტატურამ რკინის მარწუხებში მოაქცია იმხანად მოღვაწე თითქმის ყველა მწერალი, მათ შორის, პაოლოც.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამ გარემოების შედეგია ის ფაქტი, რომ იციანი წლების დასასრულიდან მის პოეზიაში საგრძნობლად შესუსტდა ლირიკული ნაკადი. სანაცვლოდ გაიზარდა რაოდენობა იმ ლექსებისა, რომლებშიც ხოტბა აქვს შესხმული ახალი ეპოქის შრომით მიღწევებს. ასე იწერება პროპაგანდისტული სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებები, რომლებშიც საბჭოური ტენდენციურობითაა განდიდებული ახალი დრო. მოჭარბებულმა ინფორმაციულობამ და პროპაგანდიზმმა, მოვლენათა აღქმის შედაპირულობამ და შინაგანმა გაუთავისებლობამ პოეტის ბოლოდროინდელ ე. წ. „აქტუალურ“ ლექსებში აშკარად მიანავლა ის მაგიური მცხუნვარებით მოგუზგუზე ნაღვერდალი, რომელიც პაოლოს პოეტურ შთაგონებას იღუმალი სითბოთი და სინათლით ავსებდა.

შემოქმედებითი მოღვაწეობის მეორე პერიოდში ძველ შეხედულებათაგან ბევრი რამ შეიცვალა და გადაფასდა. ამის დასტურად ავიღოთ, თუნდაც, თავისი „ბავშვობის ქალაქისადმი“ — ქუთაისისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც 1934 წელსაა დაწერილი. მასში უკვე კონტრასტულად გამოჩნება ერთმანეთს პოეტის ძველი და ახალი შეხედულებანი, შობილი-

ური ქალაქის ინდუსტრიალიზაციით. პოეტის აღფრთოვანება პირდაპირი გამოძახილია სოციალისტური ეპოქის შრომითი წარმატებებისა. მისთვის სათაქილო გამხდარა გარდასულ დროთა „ძველი იერი“ და ახალი ყოფით გახარებული პაოლო პრინციპულად ემიჯნება ათასწლოვანი ძილის სიმყუდროვეში გარინდებულ „მოოქრულ ვერძებს“.

ძველი იერი სტრიქონში ვერ ძლებს,
და თითქოს გახდა ის სათაქილო,
რად დაეუბრუნდე მოოქრულ ვერძებს,
რად შეგარხიო, ათას წლის ზილო.

მახსოვს იყავი ლამაზი დიდად
და ჩახატული სავსე მთვარეში:
ამ სილამაზეს აკაკი ზრდიდა,
გატაცებული შენი ფარეში.

შეგრჩა იგივე მიმზიდველობა
და მინდა ახლა შენთან განდობა.
რომ აღარ გშეენის ძველი ხელობა:
ეს გარეგნული დარდიმანდობა .

ასე გაქრა და შეიცვალა ძველი ქუთაისის კოლორიტი. ახალმა დრომ პოეტის „ბავშვობის ქალაქს“ სულ სხვა სული ჩაუდგა და ინდუსტრიული ცხოვრების მღელვარე ფერხულში ჩააბა, რის შედეგადაც რადიკალურად იცვლება პაოლოს ლექსის საგანიც. გარდასულ საუკუნეთა რომანტიკაზე, „გარეგნულ დარდიმანდობასა“ და „მოოქრულ ვერძებზე“ ფიქრსა და ოცნებას უკვე სულ სხვა სინამდვილის განდიდება ცვლის. ესაა აღფრთოვანებული საუბარი ქალაქში „ამხედრებულ საყვირის ხმებსა“ თუ რიონის წელზე მზინავ რკინის ქამარზე. მიუხედავად იმისა, რომ ურბანისტული ცხოვრების კულტი პაოლომ ჯერ კიდევ 1916 წელს იქადაგა თავის ცნობილ „პირველთქმაში“ და სიმბოლიზმით გატაცების წლებში არაერთგზის შეასხა ხოტბა დიდი ქალაქის ხმაურითა და ფორიაქით სავსე ცხოვრებას, ქუთაისისადმი მიძღვნილი ლექსის ამალღებულ განწყობილებასა და ინდუსტრიული ყოფის განდიდებას ძველი ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებებისაგან პრინციპულად განსხვავებული თვალსაზრისი უდევს საფუძვლად. ესაა საბჭოური ეპოქის შედეგად დამკვიდრებული პროპაგანდისტული იდეოლოგია.

ზემოთაც აღინიშნა და კვლავ გავიმეორებ, რომ პაოლოს პოეზიისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი პათეტიზმი და დეკლარაციულობა (კარგი გაგებით) ბოლო წლებში დაწერილ ლექსებში კიდევ უფრო გაძლიერდა.

ეს გარემოება დიდად განსაზღვრა მის შემოქმედებაში დამკვიდრებულმა ახალი სინამდვილის პეროიკული, ამალღებული პათოსით გამოხატვის მძლავრმა ტენდენციამ. მიუხედავად გარკვეული კონიუნქტურისა, რაც იდეოლოგიური კომპრომისითაც იყო განპირობებული, ამ თემაზე შექმნილი პოეტის საუკეთესო ლექსები ყალბი პათეტიკისა და ცრუ რიტორიზმის ნაყოფი არაა და გრძნობათა სიწრფელით ხასიათდებიან.

პაოლო, პირველ ყოვლისა, ლირიკოსი პოეტია და მოვლენებს, მათ შორის, ფართო სოციალური მასშტაბების მომცველ მოვლენებსაც, ლირიკული თვალთახედვით აღიქვამს. ეს ლირიკული ინტიმი და უშუალობა გაძვირდა ნაკადად გასდევს მის პროზასაც და წერილებსაც.

აქვე უფრო გამოკვეთილად ერთ საკითხზეც მინდა შევაჩერო ყურადღება. პაოლო იაშვილის შემოქმედებაში ოციანი წლების დასასრულიდან მკაფიოდ გამოვლინლ მსოფლმხედველობრივ გარდატეხას, რაც, არსებითად, ახალი ეპოქის დამკვიდრების შედეგად ქვეყნად მიმდინარე გარდაქმნათა პოეტურ შექებაში ვლინდება, მხოლოდ კონიუნქტურითა და იდეოლოგიური ზედაწოლით ვერ ავხსნით. აქ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ პოეტი ოპტიმიზმით შეაყურებდა იმ სოციალურ ძვრებს, რომლებიც მის სამშობლოში ხდებოდა. ეს ძვრები და გარდაქმნები მას უღვივებდნენ ხვალისდელი დღის იმედს, რწმენას იზისას, რომ ეს ყველაფერი უდიდეს სიკეთეს მოუტანდა მის ქვეყანას.

ამიტომაც ერთვებოდა იგი ჩვეული ენთუზიაზმითა და ენერგიულობით ახალი ქვეყნის მშენებლობაში, პრაქტიკული წვლილიც შეაქონდა მასში და პოეტური სიტყვითაც ცდილობდა გამოეხატა თავისი აღფრთოვანება. ალბათ, არ გადაავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ 30-იან წლებში სწორედ ამ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვით იპოვა მან ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი დანიშნულება და მოქალაქეობრივი მიზანდასახულება.

ასე იქმნება მისი ლექსები განახლებულ კოლხეთზე, სამგორზე, რიონქესზე... თავისი ცხოვრების ამ ახალ მიზანსწრაფვას ამგვარად ახასიათებს თვით პაოლო 1933 წლის 13 სექტემბერს მოსკოვიდან ტიცუიან ტაბიძისათვის გამოგზავნილ წერილში: „ვცხოვრობ მოწყენილად. ვაკვდები სამგორს და მხოლოდ ხანდახან გამკრავს ძველი სხივი მელექსეობის. ალბათ მალე გამოგიგზავნი 300 არგვეთელის გაგრძელებას. აქ რადიოში წამაკითხეს რამდენიმე ლექსი. სამასი არგვეთელი მოსკოვის ქუჩებში თურმე „არული“-ვით ისმოდა, როგორც ამბობენ აქაური ქართველები“ (საქ. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, საქმე № 20931—20937).

და მაინც, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ერთი რამ უდავოა და აშკარა. პოეტის შემოქმედებაში დამკვიდრებული ეს ახალი თემატიკა ვერ იძენს პაოლოსათვის ჩვეულ მხატვრულ სისხლსავესეობას. ეტყობა, იგი უფრო შინაგანად ბოლომდე გაუთავისებელი და შეუსისხლხორცეველი რწმენის ნაყოფი იყო, ვიდრე სულის სიღრმიდან აღმოცენებული შთაგონების გამოსხივება.

ზემოთ ციტირებულ წერილს ერთი კუთხითაც მინდა მივაქციო ყურადღება: როგორი შინაგანი დაღლილობა გამეფებულა პოეტის არსებაში. სადღაა ძველებური ხალისი; თითქოს შემოქმედებით ენერჯიასაც დატყობია დაღლა; სულს რაღაც ფარული სევდა შემოსწოლია. გზადაბნეული და წინააღმდეგობებთან ჭიდილში დამაშვრალი მწერალი თითქოს ხელის ცეცებით მიუყვება წუთისოფლის ბურუსიან ბილიკს.

იმ პერიოდის მრავალი დოკუმენტი, მრავალი ცხოვრებისეული ფაქტი, კიდევ უფრო განგვიმტკიცებს ამ შეგრძნებას. თითქოს მიწელდა და ჩაინაცრა პოეტის სულის ტემპერამენტი, მიცხრა ჩვეული სილადე, სიხალისე და უშუალობა, ჯანდიანმა განწყობილებამ მოიცვა გული. ძველ მეგობართაგან ბევრი შემოეფანტა. სადღა იყო ადრინდელი მიმნდობელობა და გულითადობა. ირგვლივ გამეფებულმა მძიმე ცხოვრებისეულმა ატმოსფერომ სიცოცხლის ხალისი გაუქრო და დაუშრიტა წუთისოფლის სიმუხთლისაგან გზაარეულ პოეტს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პაოლოს დიდი მეგობრობა აკავშირებდა 30-იანი წლების სახელგანთქმულ ინჟინერთან და საზოგადო მოღვაწესთან ვალოდია ჯიქიასთან. ისინი ჯერ კიდევ გიმნაზიაში მოწაფეობის წლებში დამეგობრებულან. ეს მეგობრობა უფრო მეტად განმტკიცდა რიონქესის მშენებლობის პერიოდში. ვ. ჯიქია 1932—34 წლებში რიონქესის მშენებლობის ხელმძღვანელი იყო, თავის საქმეში ფრიად განსწავლული და ფართოდ განათლებული ინტელიგენტი, ქართველ მწერალთა ხელგამპართველი და ახლო მეგობარი. მისი თაოსნობით ქუთაისში, რიონქესის მშენებლობის პერიოდში, მრავალ თვალსაჩინო კულტურულ წამოწყებას დაედო სათავე. აღსანიშნავია, მაგალითად, ის რომ ჯიქიას ფინანსური დახმარებით აქ გამოიცა ლიტერატურული გაზეთი და კრებული, აიგო სასტუმრო, კეთილმოეწყო ქუჩები, საფუძველი ჩაეყარა თეატრს და სხვ.

იგი მატერიალურ დახმარებას უწევდა მწერლებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის ნიჭიერ წარმომადგენლებს, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ რიონქესს. აქ მათ გულისხმიერი მასპინძელი და დაუცხრომელი ეროვნული ინტერესებით სავსე ხელმძღვანელი ხედებოდათ. ვ. ჯიქიას ასეთი ურთიერთობა ჩვენს ინტელიგენციასთან და მისი აქტიური ზრუნვა იმ პერიოდის საქართველოს აღმშენებლობის საქმეში შთამბეჭდავი პოეტური ფორმით გამოიხატა ირაკლი აბაშიძის ლექსში „ჭომა“.

რიონქესის მშენებლობის პერიოდში პაოლო, ვ. ჯიქიას დავალებით, ხშირად დადიოდა მოსკოვში პრაქტიკული საქმეების მოსაგვარებლად, აგროვებდა მუშახელს და სხვა. ვ. ჯიქიასავე თხოვნით, საგანგებოდ გაემგზავრა იგი თავის მშობლიურ სოფელში და შეხვდა გლეხებს, რათა დაეთანხმებინა ისინი რიონქესის მშენებლობაზე სამუშაოდ წასაყვანად. სწორედ ამ ფაქტის პოეტური გამოსატყულებაა პაოლოს ცნობილი ლექსი „სამასი არგვეთელი“.

ც. ხეთერელის წიგნში „პოეტები მზის ახლოს“ (1986 წ.) მოცემულია პოეტის თანასოფლელთა საინტერესო მოგონებანი აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი, ს. მუკათარიძე, ამბობს: „ერთხელ პაოლო მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, რიონქესის მშენებლობისათვის მუშახელი გვესაჭიროება და ველით თქვენს დახ-

მარებასო. ჩვენ მოვიწვიეთ კრება, პაოლო ესაუბრა მშრომელებს რიონქესის პიდროელექტროსადგურის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ... საჩხერის რაიონის მუშებს თხოვდა წასულიყვნენ მათთან სამუშაოდ... ასეთივე კრებები ჩატარდა სხვა სოფლებშიც. ხალხი სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. გამოთქვეს წასვლის სურვილი“ (იხ. დასახ. წიგნი, გვ. 29).

რიონქესის მშენებლობით ასეთი თავდავიწყებული გატაცება, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ პოეტი ამ მშენებლობას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეო საქმედ მიიჩნევდა. ამიტომაც უჭერდა იგი მხარს ასე გულდაგულ და მონდომებით ამ მშენებლობის თავკაცს და აქტიურად ეხმარებოდა მას პრაქტიკულადაც. ასეთივე ენთუზიაზმით იყო პაოლო განწყობილი სამგორის ველსა და კოლხეთის დაბლობზე გაშლილი სამუშაოებისადმიც.

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ რიონქესის მშენებლობის დროს გამოვლენილ შრომით თავდადებას პაოლო არაგველთა გმირობას უდარებს. ეს პარალელი თავიდანვე — ლექსის სათაურიდანვე — გამოავლინა მან, როცა რიონქესის მშენებლებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებს „სამასი არგვეთელი“ დაარქვა სახელად. წყალტუბოში, ერთ ოჯახში გამართულ წვეულებაზე შემთხვევით შეხვედრილი ინჟინერი ჯიქია პოეტს გულისტკივლით შესჩივლებს, „მუშები რიონქესიდან როგორც არჩეები გარბიანო“ და დაუმატებს, „სამასი კაცი კმაროდა გვირაბის გასათავებლადო“, სამასი კაცი, რომელთა შრომის შედეგს მშენებლობის თავკაცი სამასი არაგველის გმირობის ტოლფას საქმედ მიიჩნევს.

ამ ამბის მოსმენით აღელვებულმა პაოლომ პირობა მისცა მეგობარ ინჟინერს, რომ პირადად წავიდოდა მშობლიურ სოფელში და იქ მოაგროვებდა რიონქესზე სამუშაოდ წამოსაყვან ხალხს. ასე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს, ჯიქია მშენებლობაზე გაემგზავრა, პოეტი კი კვლავ წყალტუბოში დარჩა. და აი, დილით, ადრინადა, წყალტუბოს ქუჩებში მოულოდნელად ისევ გამოჩნდა ინჟინერი ჯიქია თავისი ავტომანქანით, რათა პაოლო არგვეთში გაემგზავრებინა დათქმული პირობის შესასრულებლად.

ქას ვადაეკრა სილუჩაჲ ბაცი,
მიჰქრის მანქანა და მესმის მხოლოდ:
„სამასი კაცი,
სამასი კაცი,
სამასი კაცი,
ჩემო პაოლო!“

მეც ამ სიჩქარეს კარგად ვუძელი
და მეტყობოდა კიდევ გმირობა,
ეაგონში მომცა ხუთი ფურცელი,
ხელშეკრულების ხუთი პირობა.

მატარებელი ნელა წავიდა,
ხელშეკრულება გავშალე ნდობით,
თითქოს ძვირფასი წიგნსაკაჟიდან
გამომატანეს რჩეული ტომი.

ფეხზე მაკვია მუშის წულები,
სხეულში დიდზე დიდი ღონება
და სალორიის დიდი მუხები
უკვე სამასი მუშა მგონია.

ასეთი ენთუზიაზმი და აქტიური მონდომება ჩვეულებრივად დამახასიათებელი თვისება იყო საქვეყნო საქმეებში თავდავიწყებით ჩართული პაოლოსათვის. ამისი ნათელი დადასტურებაა მისი ენერგიული მონაწილეობა 20-30-იანი წლების უმნიშვნელოვანეს შრომით პროცესებსა და მშენებლობებში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თავდადება და ენთუზიაზმი სულ მალე ხელისუფლებამ დანაშაულად ჩაუთვალა. ბერიას ისიც კი უსაყვედურებია, შენი გეგმები და კარნახი არ გვჭირდება, უშენოდაც გავაგებთ, რა უნდა გავაკეთოთო. არ იაქტიურებდა და არ დაწერდა ეპოქის განსაზღვრებულ ლექსებს, მაშინ ამაზე უსაყვედურებდნენ, შენ ჩვენი მტერი ხარო.

არადა, როგორც პოეტი, — ობიექტურობა მოითხოვს ამის აღნიშვნას, — სიცოცხლის ბოლო წლებში მეტისმეტად გააღარიბა და დაამდაბლა ეპოქის განსაზღვრებლად დაწერილმა ნაწარმოებებმა. კონიუნქტურამ და ზედაპირულმა განცდამ გაანელა პოეტური ნაღვერდალი. ბევრ ლექსს აღარ ახლდა ძველებური გზნება და გრძნობის მცხუნვარება.

არც ამ უდიდესმა მსხვერპლშეწირვამ უშველა. ვერა და ვერ გამოისყიდა „ძველი ცოდვები“, ვერ მოიშორა ხალხის მტრის მომაკვდი-

ნებელი სახელი. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამგვარად მონათლული ჩავიდა საფლავში: როგორც ჯაშუში, დამსმენი, პროვოკატორი, ხალხისა და ქვეყნის მტერი...

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იმ მძიმე, დეპრესიულმა სულიერმა განწყობილებამ, რომელიც 30-იანი წლების შუა ხანებში ხშირად ეუფლებოდა ხოლმე პოეტს, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მის შემოქმედებაში ვერ აპოვა სათანადო ასახვა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, ირგვლივ გამეფებული პოლიტიკური სიტუაციით განსაზღვრული და განპირობებული. ქვეყნად მიმდინარე „გრანდიოზული მშენებლობებისა და უჩვეულო გარდაქმნების ჟამს, როცა იჭედებოდა კაცობრიობის „უბედნიერესი მომავალი“ და რეალობად იქცეოდა „თაობათა საუკუნოვანი საოცნებო იდეალები“, ვინ მოგცემდა იმის უფლებას, პიროვნულ ტკივილებსა და სასოწარკვეთილებაზე დაგედრა კრინტი. ეს ვითარება კარგა ხნით ადრე გამოიგლოვა ტიცციანმა და გულწრფელად განაცხადა კიდევ ერთ თავის ლექსში: „საკუთარ თავსაც ველარ გავუმხელ, რაც ჩაკირულა გულში ბალღამიო“.

ასეთი ბალღამი პაოლოს გულშიც ტორტმანებდა, მაგრამ ირგვლივ აღზევებული ბოროტება, შური და დასმენები მასზე საუბრის ნებას უკრძალავდა პოეტს. ამას ემატებოდა ისიც, რომ შექმნილი ვითარების შედეგად ყოველი პიროვნების არსებაში უკვე გაბატონებულიყო მკაცრი იდეოლოგიური პრინციპებით გრძნობებგამკაცრებული შინაგანი ცენზორი, რომელიც წამდაუწუმ შეახსენებდა კაცს, რაზე შეიძლებოდა საუბარი და რაზე არა. რაც დრო გადიოდა, ამ აკრძალული და სახიფათო საკითხების ნუსხა მით უფრო იზრდებოდა.

ასე ღარიბდებოდა ამ პერიოდის ბევრი ჩვენი მწერლის შემოქმედება, ითრგუნებოდა პიროვნული დამოკიდებულება მოვლენებისადმი, შემოქმედებითი აზრის თავისუფლება მძიმე ხუნდებქვეშ ექცეოდა. ამ საბედისწერო ტენდენციას ვერც პ. იაშვილის შემოქმედება აცდა. ამიტომაც ვერ აირეკლა მის პოეზიაში მთელი სიღრმითა და ობიექტური შესატყვისობით პოეტის სულიერი სამყაროს მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობანი და დრამატიზმი.

მაგრამ პაოლოს სულში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა მანაც გამოჟონეს ლექსებში. ესენია: „ლირიკული მისამართებიდან“ (1933 წ.), „წერილი კოლაუ ნადირაძეს“ (1932 წ.), „მელორის ლოცვა“ (1933 წ.). ამ ლექსების განწყობილება რადიკალურად განსხვავდება პოეტის ამ პერიოდის შემოქმედებაში დამკვიდრებული სოციალური და მოქალაქეობრივი ოპტიმიზტური სულისკვეთებისაგან. მათში შემადრწუნებელი ძალით ვლინდება სასოწარკვეთილებამდე მისული მწერლის სულიერი დეპრესია. მაგალითად:

ნუ ჩაგაფიქრა კირვეული ჰორის ხროებმა,
ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოიზანტება,
საშინელია, როგორც ომის მოახლოება,
საშინელია, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება.

როგორც შემდეგ გაირკვა, პაოლოს ამდროინდელი ცხოვრება მართლაც იყო საკუთარი თავისთვის ტყვიის დასამიზნებლად მზადების საშინელებით შეძრული. ეს ტრაგიკული განცდა, როგორც ზემოთ დასახელებული საზივვე ლექსის დაწერის თარიღიდან ირკვევა, ყველაზე მძაფრად 1933 წელს გამოვლინდა. მერე და მერე პოეტმა შეძლო ამ სასოწარკვეთის საიმედო ჩაკეტვა თავის გულში. ყოველ შემთხვევაში, ამ ძალით 1933 წლის შემდგომ დაწერილ ლექსებში ეს ტკივილი აღარ გამჟღავნებულა.

რაც უფრო ახლოვდებოდა სისხლიანი 1937 წელი, მამუზლართა და ჭკუის მასწავლებელთა რიცხვი მით უფრო იზრდებოდა. ეს ყველაფერი, განუყოფელად შერწყმული ათასი ხილული თუ უხილავი ფაქტორით განპირობებულ მარადიულ ადამიანურ სევდასთან, რომელსაც განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდის ხოლმე შემოქმედი პიროვნება, პაოლოს სულში ბადებდა უკიდურესად ნაღვლიან განწყობილებას.

მაგრამ იგი ბუნებით არ იყო მოწუწუნე კაცი, ვინც წამდაუწუმ ცრემლიანი სიტყვებით ისაუბრებდა ამ სასოწარკვეთილებაზე. როგორც მისი ლექსებიდან ჩანს, პაოლო უფრო ხალისიანი და ნათელი განწყობილებების პოეტია. ის ფარული სევდა, რომელიც ყოველთვის სდევდა ხოლმე თან მის სულს და გარკვეული მიზეზების გამო განსაკუთრებით მიეძალა მწერალს სიცოცხლის ბოლო წლებში, ძალზე მკრთალად გამჟღავნდა პა-

ილოს პოეზიაში. არადა ჩვეული პიროვნული სილადისა და ხალისის დამ-
ხირგუნველი ეს ფარული ნაღველი, როგორც პოეტის თანამედროვენი იგო-
ნებენ, არცთუ იშვიათად, სრულიად მოულოდნელად გაინაპირებდა თურმე
მას.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ზემოთ უკვე მოხსენიებული
ლექსი „წერილი კოლაუ ნადირაძეს“ (1932.), რომელიც პირველად 1959
წელს დაიბეჭდა. მასში ჩვენს თვალწინ უკვე სულ სხვა პაოლო ცოცხლ-
დება, უკიდურესად სასოწარკვეთილი, მარტოსული, ყველაფერზე ხელ-
ჩაქნეული, ცხოვრებით გაწამებული. გარდასული ბედნიერების მძაფრი
ნოსტილგიით გაჯერებულ ამ შესანიშნავ ლექსში თითქოს ხვალინდელი
დღის არავითარი პერსპექტივა აღარ ჩანს. ნაწარმოებში მძაფრად იგრ-
ძნობა შინაგანი წინააღმდეგობა პოეტის სურვილებსა და მკაცრ ცხოვრე-
ბისეულ რეალობას შორის. მოსკოვში მყოფი პაოლო, მშობლიურ გარე-
მოს დაშორებული და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, ცდილობს მე-
გობრისადმი გულის გადახსნით გაიქარგოს ნაღველი. სწორედ უახლოეს
მეგობართან გულწრფელი გასაუბრებით ტკივილის შემსუბუქების სურვი-
ლი მეღავენდება ლექსის პირველ სტრიქონებში:

როგორც ზეციდან მტრედების ჯოგი
მიწაზე ჰფანტავს უნაზეს ჩეროს,
როგორც ურმული გადადის ბოგირს
და ოდნავ არხევს ნაძვების წვეროს,

როგორც დასტოვებს ალაზნის ლოგინს
და ცაში კვნესით შესცურავს წერო, —
ასეთი მინდა წერილი ზოგი
როგორც პასუხი, ძმაო, მოგწერო.

ეს ყველაფერი ნაზი, რომანტიკული პოეტური ფერებით ნაძერწი ლირი-
კაა, სულისთვის საოცნებო იდეალად დასახული განწყობილებაა, მშვიდი და
ოცნებად ქცეული ადამიანური ბედნიერების მონატრებაა... მაგრამ ცხოვრების
მკაცრი სინამდვილე, წუთისოფლის ასპარეზზე პოეტის ირგვლივ აღზევე-
ბული „სიჭრელე და გაორება“ ამ ოცნებას მიუწვდომელს ხდის:

მაგრამ სიჭრელე და გაორება
ამ ჩრდილოეთში ერთობ მეტია,
მეც მომიძებნეს მკერდი ქორებმა,
გულში ვგრძნობ იმათ ნისკარტს წვეტიანს,

სიცივე ჩადგა ყინვის ტბორებად,
ოთახის კარი ჩამიკეტია,
სურდო, ხველება, ხშირი ზმორება
ბედს ჩემთვის ჯილდოდ გადუწვევტია.

პოეტი ცდილობს მაინც არ ჩაიქნიოს ხელი, თავი დააღწიოს ამ სა-
სოწარმკვეთ მდგომარეობას, დათრგუნოს გულში აღზევებული ნალველი,
მაგრამ ხსნა და საშველი არსაიდან ჩანს და სულის მარადიულ თანამ-
გზავრებად ქცეული საყვარელი სახელებიც კი ველარ გვრიან შვებასა და
სიმშვიდეს:

ვკითხულობ შოთას, ვეკას და საბას
და ვერ მშველიან მათი წიგნებიც,
ეწეები... თუემდე ვიხურავ საბანს,
მესმის „მარტო ხარ, მარტოც იქნები!“...

და ასე ლამეს მოჰყვება ლამე
და მოდის დილა სალამოს მსგავსი,
ძმაო, მომწერე ისეთი რამე,
ქმონდეს ჩვენს ბაღში საუბრის ფასი:
ჩემს სადღეგრძელოს თუ ისევ სვამენ,
ჯერ თუ მთელია საჩემო თასი,
თუ გამოაქლდა ვინმე ჩვენს ცაშეტს
და პოეტების დაინგრა დასი.

ამ ლექსში ყველაზე მძაფრად და შეუღამაზებლად ვლინდება პაო-
ლოს შინაგანი სასოწარკვეთა და მიუსაფრობა. ეს განცდა მასში უეტრად
მოხეტეილი გრძნობის შთაბეჭდილებას გვიქმნის. მაგრამ ეს მოულოდნე-
ლი, შინაგან კონტროლს დაუქვემდებარებელი სულიერი აფექტი დიდხანს
არ გრძელდება და ავტორის მიერ გამხელილი ტკივილის ხმა თითქოს
ერთბაშად წყდება, შუა გზაზე ჩერდება, რაზეც ნათლად მეტყველებს
ლექსის აშკარად დაუსრულებელი შინაარსი.

და მაინც, მიუხედავად ლექსის თითქოსდა ამგვარი დაუსრულებლო-
ბისა, „წერილი კოლაუ ნადირაძეს“ პ. იაშვილის ლირიკის ის შესანიშ-
ნავი ნიმუშია, რომელიც სიღრმისეულად ავლენს ავტორის დეპრესიული
სულიერი განწყობილების ტრაგიკულ წახნაგებს. ესენია: სასოწარკვეთი-
ლებაში ჩავარდნილი პოეტის უკიდევანო და თავზარდამცემი სევდა, შე-
მოქმედებითი გრძნობის უკმარობით გაჩენილი ნალველი, მახლობელი ადა-
მიანებისაგან დაშორებით გამოწვეული ტკივილი, მარტობისა და სული-

ერი ობლობის უმძაფრესი განცდა, მკითხველისათვის უცნობი კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციებით განპირობებული უსიამოვნებანი... პ. იაშვილის ლექსი ამ დრამატული მოვლენებით სულაფორიაქებული პიროვნების კოშმარულ ფიქრთა პოეტური ანარეკლია.

აქვე მინდა ყურადღება მივაპყრო აგრეთვე „მელორის ლოცვას“ (ზოგიერთ გამოცემაში მას „მელორის სიმღერაც“ ჰქვია), რომელიც თუმცა 1933 წელს დაიწერა, მაგრამ პირველად 1959 წელს გამოქვეყნდა. მისი ალეგორიული ქვეტექსტი, ვფიქრობ, არაა მკითხველისთვის ძნელი შესაცნობი და გასააზრებელი. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ლექსის ლირიკული გმირის ვედრება, უფლისადმი ლოცვად აღვლენილი, ღორებში უმწეოდ ჩავარდნილი კაცის სასოწარკვეთილებითაა სავსე. მას ითქმის მთლიანად აქვს მოჭრილი ამ უნუგეშო მდგომარეობიდან თავდასხნის ყველა გზა, გარდა უფლის თანადგომისა:

უფალო! უსმინე შავარდენს,
მის ხელით გიგზაენი ბრათს,
მიშველე ღორებში ჩავარდნილს,
ღორებში დარჩენილს მარად.
როგორც რომ ბურჯაკი კალოზე
მინდორში ბაწარით აბია,
მარტო ვარ, უფალო, დალოცე
მელორე ცრემლების ყლაპია!
უფალო! მომეცი სამხარი
ძალღვივით ამოსულს ცაზე
და შენი პერანგი ნახმარი
ჩამავეი ცოდვიან ტანზე.

მარტოსულობისა და განწირულობის ამ განცდას ისიც აძლიერებდა, რომ პოეტის ირგვლივ შემოკრებილ მეგობარ და თანამოაზრე პიროვნებათა შორისაც მრავლად აღმოჩნდნენ ორპირნი და მოღალატენი. ბევრჯერ გაუხადეს სანანებლად უბრალოდ ნათქვამი გულწრფელი სიტყვაც კი. რდგა უმძიმესი დრო, როცა თავისუფლად გულს ვერავის გაუხსნიდი, ანეკდოტსაც კი ვერ მოყვებოდი, ვერ იხუმრებდი... ყველაფერს შეიძლება ოდა პოლიტიკური სარჩული დასდებოდა...

ასე მოხდა ანდრე ჟიდის საქართველოში ჩამოსვლის დროსაც, 1936 წელს.

როგორც ცნობილია, საქართველოში ფრანგი მწერლის სტუმრობის ფაქტი თავიდანვე ფართო ინტერესის საგნად იქცა, რაზეც მეტყველებს მაშინდელ პრესაში ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ინფორმაციების სიუხვე. „ჩვენი დიდი სტუმარი“, როგორც „ლიტერატურულმა საქართველომ“ უწოდა ჟიდს ერთ-ერთ თავის სარედაქციო წერილში (1936 წ. 18 ივლისი), თბილისში 15 ივლისს ჩამოვიდა ქ. ორჯონიკიძიდან. სტუმარს გზაში შეხვდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი თათარაშვილი, პოეტები: პ. იაშვილი, ა. მაშაშვილი, ნ. მიწიშვილი და სხვები. ანდრე ჟიდი საქართველოში 19 ივლისამდე დარჩა.

მაშინდელ პრესას საქებარი სიტყვები არ დაუშურებია ფრანგი მწერლის განსადიდებლად. „ანდრე ჟიდი, — წერდა „ლიტერატურული საქართველო“ დასახელებულ წერილში, — თანამედროვე საფრანგეთის ერთ-ერთი უნიჭიერესი და უდიდესი მწერალია... 40 წლის მანძილზე თვითვეულ მის ახალ წიგნს ხვდებოდნენ როგორც ისეთ მოვლენას, რომელიც ყოველთვის შეიცავდა რაღაც მოულოდნელს“.

ანდრე ჟიდისადმი ასეთ აღფრთოვანებულ დამოკიდებულებას, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად ედო მისი პოლიტიკური ორიენტაცია, კერძოდ, ის, რომ, გაზეთის შეფასებით, „საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის წარმომადგენლებში მან იპოვა ის, რასაც უნაყოფოდ ეძებდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში“. აქვე ხაზი ესმებოდა იმასაც, რომ „ანდრე ჟიდი დღეს კაცობრიობას ევლინება ახალი მორალის, აღმავალი კლასის მორალის მქადაგებლად და რევოლუციური პროლეტარიატის ენტუზიაზმის გამომხატველად“.

მაგრამ, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ნათელყო, სტუმრისადმი ავანსად გაცემული ქება-დიდება ნაადრევი აღმოჩნდა. მან ვერ გაამართლა ის მოლოდინი, რითაც ხელისუფლება შეხვდა მას. სამშობლოში დაბრუნებულმა ანდრე ჟიდმა დაწერა წიგნი, რომელშიც ცივი წყალი გადაასხა საბჭოელ იდეოლოგებს.

მაგრამ ეს ყველაფერი მოგვიანებით გაირკვა. მანამდე კი ვინ რა ცნობდა, რა განზრახვა ედო სინამდვილეში გულში სტუმარს. ყველა ფიქრობდა, რომ ფრანგი მწერალი საბჭოეთში აქ მიმდინარე გრანდიოზული

რევოლუციური მოვლენების სიყვარულმა და „პროლეტარიატის ენტუზი-
აზმის გამოსხატვის“ მძლავრმა სურვილმა ჩამოიყვანა. ამიტომაც საჭირო
იყო ღირსეული მასპინძლობა.

ამ საქმეში, სხვა თანამოკალმეებთან ერთად, აქტიურად ჩართეს პა-
ოლოც. საპატიო სტუმარს მოატარეს კახეთი, გორი, ბათუმი, ბორჯომი,
სოხუმი. იყო ამაღლევებელი, თეატრალიზებული შეხვედრები, გულდია
მასპინძლობა, ერთგულებისა და მეგობრობის გამომხატველი სანტიმენტა-
ლური სადღეგრძელოები, ლენინ-სტალინის უნაპირო ქება-დიდება... მაგ-
რამ ამ გულდია საუბრების ჟამს, ეტყობა, ყველაფერი ისე ვერ მოიზომა
და აიწონ-დაიწონა, როგორც საჭირო იყო. ეს ამბავი მერე გაირკვა, როცა
სამშობლოში დაბრუნებულმა სტუმარმა საბჭოეთში მოგზაურობის შედე-
გად მიღებული შთაბეჭდილებები კრიტიკულად აღწერა თავის წიგნში.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ დღეშიც ჩაცვივდებოდნენ მასპინ-
ძლები. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პაოლო, რომელ-
საც ხელისუფლებამ ქვეყნის ღალატი დასწამა. თითქოს მან მიაწოდა ჟიდს
მის მიერ აღწერილი კრიტიკული ფაქტები. ამ ამბით გულნატკენმა და
შეურაცხყოფილმა პოეტმა თავისი წუხილის გამოსახატავად სპეციალური
ლექსიც დაწერა — „ანდრე ჟიდს — მოღალატეს“.

აქ იგი მზაკვრული განზრახვით მის სამშობლოში სტუმრად ჩამო-
სულ უცხოელ მწერალს იმედებგაწილებული კაცის გულისტკივილით
შეახსენებს საქართველოში მოგზაურობის ამბებს, მოაგონებს, როგორ
ღვრიდა ნეტარების ცრემლს გულითადი მასპინძლობით მოხიბლული სტუ-
მარი. მაგრამ შინ ჩასულმა დაივიწყა ყველაფერი, გატეხა მეგობრობის
ფიცი და ამ შეხვედრების რომანტიკა ლაფით მოთხვარა. გაწილებული და
აღშფოთებული პაოლო წყევლა-კრულვას უთვლის ცბიერ უცხოელს და
არით უნდა, როგორმე ჩამოირეცხოს მის მიმართ წაყენებული ბრალდება,
თითქოს მან აუმღვრია ტვინი სტუმარს. ლექსის წამკითხველი, ვფიქრობ,
ადვილად შეიცნობს ავტორის მიზანს, დაუმტკიცოს ხელისუფლებას, რომ
ის არაფერ შუაშია და არაა მოღალატე.

იმის ნათელსაყოფად, როგორც უთვლის შეურაცხყოფილი და აღ-
შფოთებული პოეტი წყევლა-კრულვას ცბიერ სტუმარს, მოვიშველიებ
ფრაგმენტს ლექსიდან:

ჩენი ჰაერი შეგერგოს ცეცხლად,
შსამად შეგერგოს ეგ უზრდელობა;
გახსოვს ის კაცი, ოცდაათ ვერცხლად
რომ წამოიწყო შენი ხელობა.

...ვერაგ, პირშავი — ტროცკის ფინია,
თავის ბატონს რომ ადევნებია,
ნულარც სიამით დაგიძინია,
ნურც სიხარული გაგთენებია...

მართალია, აღშფოთებული პოეტის მიერ უცხოელი სტუმრის ასეთი
წყევლა-კრულვიანი შეჩვენება, ერთი შეხედვით, მოსაწონი არაა, მაგრამ
ამ შემთხვევაში, როგორც ითქვა, ის სიტუაცია უნდა გავითვალისწინოთ,
რაც ნაწარმოების შექმნის საფუძველი გახდა.

ანდრე ჟიდთან პოეტის ურთიერთობის ეს ფაქტი იმხანად საკმაოდ
ფართოდ გახმაურდა, რითაც კიდევ უფრო გაიზარდა ხელისუფლებისა და
პაოლოს შორის არსებული უნდობლობის ბზარი.

პ რ ო ზ ა

პაოლო იაშვილმა პროზაშიც სცადა კალამი. მისი ბელეტრისტული
მემკვიდრეობა მხოლოდ ორიოდ მოთხრობისაგან შედგება. მათგან მოკ-
ლედ შევეხები „ფერად ბუშტებს“, რომელსაც, როგორც ეს ნაწარმოები-
დან გარკვევით ჩანს, პირადად განცდილი შთაბეჭდილებები დასდებია
საფუძველად.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პ. იაშვილის მოთხრობები
მკაფიოდ გამოვლენილი პოეტურობით ხასიათდებიან. ისინი პოეტური
პროზის ტიპურ ნიმუშებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მათი მკითხველი აშ-
კარად გრძნობს, რომ ამ პროზაულ ნაწარმოებთა ავტორი, უწინარესად,
პოეტია. სწორედ ამისი შედეგია ის გარემოება, რომ ეს მოთხრობები თა-
ვრანთი სტრუქტურითა და კომპოზიციით მხოლოდ ბელეტრისტული ჟან-

რის ფარგლებში ვერ თავსდებიან და ბევრი რამ აქვთ საერთო პოეზიასთან.

როგორც პაოლოს ბიოგრაფთა მოგონებებიდანაა ცნობილი, პოეტი განსაკუთრებული პატივისცემით ყოფილა განმსჭვალული მათხოვართა და უპოვართადმი. ხშირად უყვარდა თურმე მათთან საუბარი, თანაგრძნობითა და კეთილი განწყობით ისმენდა მათი ტრაგიკული ცხოვრების ამბებს და, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის ხელგაშლით ეხმარებოდა ხოლმე.

„ფერადი ბუმტები“ ერთ-ერთი ბედგამრუდებული თბილისელი მათხოვრის — ლეონტი კაჩერგას უბედურ თავგადასავალს გვამცნობს. მაგრამ ვიდრე თავისი მოთხრობის ამ მთავარი პერსონაჟის ცხოვრების აღწერას შეუდგებოდეს, მწერალმა ნაწარმოებს საკმაოდ ვრცელი შესავალი წარუძღვარა, რომელშიც ზოგადად გაგვაცნო თბილისელი და პარიზელი მათხოვრების ყოფა.

მათხოვართა ეს მრავალრიცხოვანი მასა, რომელზეც პაოლო გვესაუბრება, არაერთგვაროვან, სხვადასხვა ბუნებისა და ხასიათების მქონე ადამიანთა სამყაროდაა წარმოსახული. აქაც არიან თალღითები და ცბიერები, პატიოსნები და ცხოვრების უკუღმართობისაგან სასოწარკვეთილებამდე მისულნი, სულით არისტოკრატებიცა და ინტელიგენტებიც...

პაოლოს მიერ მოთხრობის დასაწყისში ზოგადად დახასიათებულ მათხოვართა მრავალფეროვანი ტიპაჟიდან განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული „კაპიტანს“ — მაწანწალათა მიერ დიდკაცად მონათლულ მათხოვარს, რომელიც „გარეგნობით ჰგავს ნიკოლოზ მეორეს, ლაპარაკობს ლექსებზე, სპორტზე და თუ მოიწვიე კაფეში სავახშმოდ, მოითხოვს, მაინცდამაინც ძვირ საჭმელს... მან იცის თავისი ფასი და სამზარეულოში არ შევა მზარეულის სამოწყალოდ. მას უყვარს სუფრა სუფთად გაშლილი, ხელსახოცის გულზე აფარება და საუზმის წინ არაყის დაღვევა“.

თბილისელი მათხოვრების გარდა, მოთხრობაში დახასიათებული არიან აგრეთვე პარიზელი მათხოვრებიც, რომელთაც პაოლო იქ სწავლის პერიოდში გაცნობია. იქაურ მწერლებთან და მხატვრებთან ერთად, იგი ხშირად ეწვეოდა მდინარე სენის ხიდებს, სადაც ღამეს ათევდნენ ცხოვრები-

საგან დაბეჭადვებული ეს ადამიანები. ბევრი მათგანი საკმაოდ განსწავლული და განათლებული პიროვნებაც ყოფილა. პაოლოს არაერთხელ მოუსმენია მათი საინტერესო საუბრები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. იმხანად მათხოვართა წრეში განსაკუთრებული ინტერესის საგანი ყოფილა პოლიტიკა, რაზეც ხშირად გაცხოველებით კამათობდნენ ხოლმე. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ უკვე გიზგიზებდა მსოფლიო ომის ხანძარი და მოპაექრე მათხოვართა „ბანაკი ნამდვილ პარლამენტს ჰგავდა. იყო კამათი და თავმჯდომარეც იყო“. პაოლო იგონებს, როგორ დაესწრო ერთერთ ასეთ „სხდომას“ ილია ერენბურგთან და გიიომ აპოლინერისთან ერთად სენის ხიდის ქვეშ, მათხოვართა ბანაკში. შემდეგ კი, ღამის ორ საათზე, პაექრობა კაფე „ალა როტონდაში“ გაუგრძელებიათ სტუმრად წვეულ მათხოვრებიანად.

როგორც ითქვა, აქ აღწერილი ამბები — თბილისელ და პარიზელ მათხოვრებთან გამართული შეხვედრა-საუბრები — ფანტაზიით კი არაა შეთხზული, არამედ პირადად აქვს პოეტს ნახული და განცდილი. ასე რომ, „ფერადი ბუშტები“ მკითხველისთვის გარკვეული ინტერესის აღმძვრელია არა მარტო როგორც ბელეტრისტული ნაწარმოები, არამედ როგორც დოკუმენტური მასალაც პაოლოს პირადი ცხოვრების გასაცნობად.

მოთხრობის სათაური — „ფერადი ბუშტები“ — ოცნებით წარმოსახული ადამიანური ბედნიერების სიმბოლოა და იგი სამჯერ ჩნდება ნაწარმოებში: პირველად მაშინ, როცა უზნეობის უფსკრულში ბედისწერიანაგან გადაჩეხილი კლარა — მათხოვარ ლეონტი კაჩერგას ასული — გადაწყვეტს პატიოსანი ადამიანური ცხოვრების გზას დაადგეს, სამსახური დაიწყოს და ალალი შრომით აღებული ორიოდვე გროშით იცხოვროს ჩამასთან და შვილთან ერთად. ამ უბრალო ყოფით ბედნიერებაზე კლარას ოცნება მწერალმა, პირველ ყოვლისა, სწორედ ფერადი ბუშტების სიმბოლიკასთან დააკავშირა. „ამას წინათ, — ეუბნება ქალი მამას, — ერთმა ნაცნობმა მითხრა, მალე ალექსანდრეს ბაღში ისევ ძველებურად გაყიდიან ფერად ბუშტებს, წითელს, მწვანეს და ცისფერს; ფერად ბუშტებს, მე რომ მიყვარდა ბავშვობაში. ყოველ კვირას ვუყიდი ჩემს ბავშვს

ფერად ბუმტს. ლოგინს გავუწყობ, მივუბამ ლოგინთან, დილით გაეღვიძება და გაეხარდება.

მე ცახცახი დავიწყე სიხარულით“.

მეორედ ფერადი ბუმტების სიმბოლიკა მაშინ გამოვლინდა, როცა უბედურ დედას შვილი დაედუპა და მისმა მიწიერმა ცხოვრებამ ერთიანად დაჰკარგა აზრი. ოცნებადამსხვრეულ ქალს თავსდატეხილი ტრაგედია ამგვარად გამოახატვინა მწერალმა: „დედა არ კიოდა, ბავშვს თვალები დაუკოცნა:

„მამა! მალე ალექსანდრეს ბაღში კიდევ გაჰყიდინან ფერად ბუმტებს. მე ვერ ვიყიდი მათ!.. ვისთვის!“

და ბოლოს, ლეონტო კაჩერგასა და მისი უბედური ოჯახის ამ სევდიან ისტორიას ასევე ფერადი ბუმტების სანტიმენტალური ქვეტექსტის აქცენტირებით ამგვარად ამთავრებს მწერალი: კაჩერგამ მტკვარში დაიხრჩო თავი და ამით გამოხატა თავისი პროტესტი წუთისოფლისადმი. მდინარის ნაპირას ხალხი შეგროვილა, უბედური კლარა მიწაზე ზის გაოგნებული და აზრდაკარგული. მებადურები კაჩერგას გვამს ეძებენ მდინარეში. შორიდან ორკესტრის საგმირო მარშის ხმა მოისმის; „ეციციანოვის დაღმართზე კი ქალაქისაკენ მოდიოდა წითელ წვერებიანი მალაკანი და მოჰქონდა წითელი, მწვანე და ცისფერი ბუმტები“.

„ფერადი ბუმტების“ კითხვისას მძაფრად ვგრძნობთ მოთხრობაში აღწერილი მწვავე ადამიანური ტრაგედიის მთელ საშინელებას, რაც იმიტაცაა განპირობებული, რომ ნაწარმოებში დროდადრო ავტობიოგრაფიული, პირადად განცდილი ცხოვრებისეული ეპიზოდებიცაა ჩართული. ლეონტი კაჩერგა — მოთხრობის მთავარი პერსონაჟი — რეალურად არსებული პიროვნება ყოფილა, რომელსაც უშუალოდ იცნობდა თურმე პაოლო. კაჩერგასა და მისი ოჯახის ტრაგიკული თავგადასავალი ნაწარმოებში მძაფრი სიუჟეტური დრამატიზმითა და ემოციურობით არის გადმოცემული, რაც დიდადაა განპირობებული თხრობის დროს უხვად გამოყენებული დრამაშინაარსიანი პოეტური სახეებითა და მახვილგონივრულად მიგნებული მეტყველი სიუჟეტური დეტალებით.

ასეთი ღრმააზროვნებისა და შინაარსობრივ სიმბოლიკათა მაგალი-
თები საკმაოდ მრავლად გვხვდება ნაწარმოებში. გაეხსენოთ, თუნდაც,
როგორ აღწერს მწერალი სამათხოვროდ ქუჩაში დამდგარ კაჩერგას:
„ლეონტი კაჩერგა დგას უსიტყვოდ, ყოველთვის ჩაფიქრებული, სიცხიან
დღეში ჩაფიქრება მის სახეზე ტანჯვად იქცევა და ის ქუჩაში მოჩანს,
როგორც ჯვარზე გაკრული“. ანდა ის ღრმადმეტყველი შედარებები მო-
ვიგონოთ, რომელთა მეშვეობითაც ჩვენს წარმოსახვაში ცოცხლად იკვე-
თება კაჩერგას პორტრეტი: „ლეონტი კაჩერგა — მაღალი და მოღუნული,
მისი დიდი ცხვირი ჰგავს მსხვილ მწიფე ხენდროს, თმა აქვს ჭადრაა,
როგორც გაურეცხელი თეთრი მატყლი, ტუჩებთან თმა ისეა გაყვითლე-
ბული თამბაქოს ბოლით, როგორც ოქრო...“

მისი კისერი რბილი და ჩაჟანგებულია, როგორც ხეზე ამოსული აბე-
დის სოკო“.

იმ ქუჩაზე, სადაც კაჩერგა დგებოდა სამათხოვროდ, ყოველდღიურად
ჩაივლიდა ხოლმე პაოლო. მათხოვრის ბედით საზოგადოდ შეწუხებული
პოეტი განსაკუთრებული თანაგრძნობით ყოფილა გამსჭვალული ამ უბე-
დური კაცისადმი, ვისაც ისე არ გაუვლიდა თურმე გვერდს, რაიმე რომ
არ ეჩუქებინა. უღრმესი მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად კაჩერ-
გა პაოლოს შორიდანვე ქედს მოუხდიდა, სახე უწითლდებოდა, თითქოს
რაიმე დააშავაო და ფულს ფრთხილად გამოართმევდა. „ასეთის სიფრთხი-
ლით ანთებდნენ სანთელს ხატის წინაშეო“, — შენიშნავს მათხოვრის ამ-
გვარი მოწიწების შესახებ ავტორი.

ერთ დღეს შეზარხოშებულმა კაჩერგამ პაოლოს თავისი თავგადასა-
ვალი მოუთხრო. იგი ცრემლნარევი ხმით უამბობდა, როგორ დაკარგა
სამსახური პროგრესული დამბლით დაავადებულმა, მალე ცოლიც მოუკვდა
და უბედური კაცი — მიუსაფარი და ყოველგვარ საარსებო სახსარს მოკ-
ლებული — ერთადერთი ქალიშვილის ამარა დარჩა. მუხთალმა წუთი-
სოფელმა არც კლარა დაინდო, მასაც აურია ცხოვრების დავთარი და მე-
ძავად აქცია. უმწეობითა და უსახსრობით დაბეჩავებულმა კაჩერგამ მა-
თხოვრობას მიჰყო ხელი.

როგორ არ ეცადა მოხუცი მათხოვარი შვილის დახსნას უზნეობისაგან, მაგრამ ამაოდ. კლარა მისივე ბინაში, მამისავე თვალწინ, ხან ვის უგორავდა ლოგინში და ხან ვის. ერთადერთი ნათელი წერტილი მათხოვრის უბედური ცხოვრებისა პატარა შვილიშვილი იყო. წუთისოფლის სიმუხთლეს კიდევ უფრო აუტანელსა და გაუსაძლისს ხდიდა ის გარემოება, რომ მოხუცმა კაჩერგამ ქვეყნად ერთი კაციც კი ვერ ნახა ისეთი, ვინც სიტყვით მაინც გაიზიარებდა მათხოვრის ტრაგედიას, თანაგრძნობას გამოუცხადებდა და უფსკრულისაკენ დაქანებულ მის ოჯახს სანუგეშო ხელს გაუწვდიდა.

წუთისოფლის ცბიერებამ და გულქვაობამ იმსხვერპლა არა მარტო ლეონტი კაჩერგა, არამედ მთელი მისი ოჯახიც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით შთამბეჭდავია სახე მათხოვრის ქალიშვილისა, რომელიც მოთხრობაში დახატულია, როგორც მსხვერპლი ადამიანთა ურთიერთობაში გაბატონებული გაუტანლობისა და გულცივობისა.

შეძრწუნებული მამა ნათლად გრძნობს, ამ ლალატმა და ცბიერებამ როგორ ჩაკლა მისი ქალიშვილის გულში ადამიანებისადმი რწმენის უკანასკნელი ნაპერწკალიც, რაც უკვე „სულის სამუდამო სიკვდილს“ ნიშნავდა.

აქვე, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმისი აღნიშვნაც, რომ „ფერადი ბუშტები“ 1924 წელს დაიწერა, იმ დროს, როცა უკვე დაწყებულია ხმამაღალი საუბარი სოციალისტური ეპოქის ბედნიერ ყოფაზე. მოთხრობიდან ნათლად ჩანს, რომ ლეონტი კაჩერგას ტრაგედია გამონაკლისი არ ყოფილა და მისი ბედის მსგავსი ადამიანები საკმაოდ მრავლად იყვნენ მაშინ. ამასთან, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ეს მათხოვრები, თითქმის ყველანი, არაქართველები არიან, უკიდევანო საბჭოეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩვენთან გადმოსხვეწილნი და აქ დამკვიდრებულნი.

პაოლო იაშვილმა და მისმა მეგობარმა მწერლებმა უკრთული ლიტერატურის განახლების პროცესი მჭიდროდ დაუკავშირეს მთარგმნელობითი საქმიანობის შემდგომ განვითარებას. ამ გზით კიდევ უფრო ღრმავდებოდა ეროვნული მწერლობის სასიცოცხლო კონტაქტები მსოფლიო ლიტერატურის სიახლეებთან. პაოლო თავიდანვე, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველი წლებიდანვე, აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში. ამის დასტურად აქ შეიძლება გავიხსენოთ პოეტის მოღვაწეობა ჟურნალ „ოქროს ვერძში“. როგორც ცნობილია, მან ჟურნალის ფურცლებზე დიდი ადგილი დაუთმო ევროპული მოდერნიზტული პოეზიის რამდენიმე საუკეთესო წარმომადგენლის შემოქმედებას და ქართული თარგმანებით ხელმისაწვდომი გახადა მკითხველისთვის.

აქედან მოყოლებული, პ. იაშვილმა, როგორც ნიჭიერმა მთარგმნელმა, საგულისხმო წვლილი შეიტანა რუსი და ფრანგი პოეტების ნაწარმოებთა ქართულად ამეტყველების საქმეში. ამ თარგმანებს ორი თვალსაზრისით მინდა მივაქციო ყურადღება: ჯერ ერთი, მათი სახით ჩვენს ლიტერატურას ჭეშმარიტი პოეტური ოსტატობით აღბეჭდილი თარგმნილი ნაწარმოებები შეემატა და, მეორე, მათი მეშვეობით ნათლად იკვეთება პაოლოს, როგორც ევროპული მოდერნიზმით, უპირველეს ყოვლისა კი სიმბოლიზმით გატაცებული შემოქმედის მისწრაფებანი.

ეს თარგმანები თავისებურად გვეხმარებიან იმ ლიტერატურული საფუძვლების დადგენასა და განსაზღვრაში, რომლებიც პაოლოს შემოქმედების მასტიმულირებელ წყაროს წარმოადგენდნენ. როგორც წესი, პოეტი სათარგმნელად მისი სულისთვის ყველაზე მახლობელ ნაწარმოებებს ირჩევდა ხოლმე. ესენი, ძირითადად, რუსული და ფრანგული სიმბოლიზმის გამოჩენილი ოსტატები არიან: კ. ბალმონტი, ა. რემბო, შ. ბოდლერი, ე. ვერჰარნი და სხვები. გარდა სიმბოლიზტებისა და თანამედროვე პოეტების შემოქმედების ცალკეული ნიმუშებისა, მან დიდი სიყვარულით თარგმნა ა. პუშკინის პოეტური ნაწარმოებები, რითაც ნათლად დასტურდება ლიტერატურული კლასიკისადმი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა.

ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს პ. იაშვილის დიდი დამსახურება ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმნაშიც. საამისოდ იგი მოხერხებულად იყენებდა იმ კონტაქტებს, რომლებიც მას ჰქონდა მეგობარ რუს პოეტებთან. პაოლო ყველანაირად ცდილობდა მათს დაინტერესებას ჩვენი ლიტერატურით, უწევდა კონსულტაციებს, აძლევდა სათანადო რეკომენდაციებს, ესმარებოდა მწკარედების მომზადებაში, უმოწმებდა თარგმანებს, აძლევდა სათანადო რჩევა-დარიგებებს.

ზემოთქმულ საკითხებზე პაოლოს არაერთხელ გაუმახვილებია ყუჩადღება წერილობითაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1923 წელს დაწერილი წერილი „თარგმნილი ლიტერატურა“, რომლის ზოგიერთი დებულება თუმცა დღეს სადავოა, მაგრამ სტატიაში დასმული ძირითადი საკითხი უაღრესად საინტერესოა და აქტუალური. ჩვენი კულტურის ერთ-ერთ საგულისხმო ნაკლოვანებად პაოლო თარგმნილი ლიტერატურის უქონლობას მიიჩნევს და გულისტკივილით შენიშნავს, რომ „ამ დარგში ნამდვილი სიცალიერეაო“. ამ შენიშვნის გამოთქმის დროს პოეტი, უწინარეს ყოვლისა, XIX—XX საუკუნეების ჩვენს მწერლობას გულისხმობს.

პაოლოს აზრით, ეს „სიცალიერე“ „საუკუნეების სირცხვილია“. იგი გულისტკივილით საუბრობს ჩვენი ლიტერატურის ამ ნაკლოვან მხარეზე და მოითხოვს მის სასწრაფო გამოსწორებას, რადგანაც მთარგმნელობითი საქმიანობა ეს არის „განათლებულ ევროპასთან დაახლოების“ გზა. თვითონ პარიზში განათლებამიღებულმა მწერალმა კარგად იცოდა ამგვარი კონტაქტების ფასი და მნიშვნელობა ეროვნული კულტურის განსავითარებლად. მისი მიზანი იყო ევროპული ლიტერატურული სიახლეების შემოტანითა და ქართულ ნიადაგზე დამკვიდრებით ახალი სასიცოცხლო იმპულსები შეეძინა ეროვნული მწერლობისათვის, გაემდიდრებინა იგი ახალ-ახალი შემოქმედებითი ტენდენციებით.

პ. იაშვილი თანმიმდევრულად იღვწოდა ამ მიმართულებით მთელი ცხოვრების მანძილზე. ამგვარ მოღვაწეობას საფუძვლად ედო ღრმა რწმენა იმისა, რომ მარტო „ეთნოგრაფიულ საზღვრებში ჩაკეტილ“ ლიტე-

ტურასა და კულტურას სასიცოცხლო გზები დახშული აქვს და მოკლებულია ფართო მასშტაბებს.

სწორედ ასე ასპარეზდახშულად და ვიწრო ეთნოგრაფიულ ჩარჩოებში ჩაკეტილად მიიჩნევს პოეტი XIX საუკუნის ქართულ მწერლობას. „მან, — წერს ხსენებულ სტატიაში პაოლო, — ვერ დაუახლოვა საქართველო მოწინავე კულტურას და ატმოსფერულადაც ვერ იგრძნო ის სიდიადე, რომელმაც უკვდავ შთაგონებით აავსო ევროპის ქვეყნები“.

ცხადია, აქ მეტისმეტად მკაცრი და ტენდენციური განაჩენი გამოაქვს მწერალს ჩვენი ლიტერატურის ისეთი დიდი პერიოდისადმი, რომელსაც ეროვნული მწერლობის გიგანტები: ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა... ქმნიდნენ. მათზე იმისი თქმა, „ეთნოგრაფიულ ჩარჩოებში იყვნენ ჩაკეტილნი“ და დიდ მასშტაბებს მოკლებულნი, უდიდესი შეცდომაა, რომელიც ინერციით თითქოს აგრძელებს წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი იმ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, რამაც ჯერ კიდევ 1916 წელს ეურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში დასტამბულ მხსივე მანიფესტში — „პირველთქმაში“ იჩინა თავი.

რაც შეეხება იმის თქმას, რომ იმ პერიოდის ჩვენს მწერლობაში მსოფლიოს ლიტერატურული საგანძურიდან ბევრი რამ არ იყო თარგმნილი, ეს მართალია, თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს პროცესი საკმაოდ ინტენსიურად იწყება XIX საუკუნის მეორე ნახევარში და თანდათანობით ღრმავდება შემდგომ ხანებში.

ხსენებულ სტატიაში სხვა საკამათო მოსაზრებანიცაა გამოთქმული (ვთქვათ, ჰაინეზე, პუშკინზე, კრილოვზე...), რაც ადასტურებს იმას, რაოდენ თამამი, მკაცრი და სუბიექტური იყო, ზოგ შემთხვევაში, პოეტის მიდგომა ცალკეული საკითხებისადმი. მაგრამ მთავარი ზემოთქმული შენიშვნები როდია. წერილის ძირითადი სულისკვეთება — ხაზგასმული მოთხოვნა იმისა, რომ უფრო მეტი ყურადღება მიქცეოდა მთარგმნელობითი მუშაობის შემდგომ განვითარებას და ეს საქმე ჩვენი მწერლობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ქცეულიყო — საყვებით სწორია და მისაღები.

ასევე მნიშვნელოვანია პოეტის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ კლასიკური მემკვიდრეობის თარგმნა უფრო სასარგებლოა და მნიშვნელო-

ვანი ეროვნული ლიტერატურის გასამდიდრებლად და განსავითარებლად, ზიდრე „ეფემერული ნოვატორობით“ თავის გამოჩენა ქართულ მწერლობაში. უაღრესად საყურადღებოა, რომ 1923 წელს გამოთქმული ეს თვალსაზრისი ეკუთვნის მწერალს, რომელიც რამდენიმე წლის წინათ აქტიურად იცავდა კლასიკური მემკვიდრეობის ნიპილისტური უარყოფის პრინციპს. საფუძველს მოკლებული არაა იმისი ხაზგასმა, რომ პაოლოს ამ მართებული მოსაზრების მიღმა უთუოდ იგულისხმებოდნენ ჩვენს მწერლობაში იმხანად საკმაოდ მომრავლებული ის ფსევდონოვატორებიც, რომლებიც თავიანთი „ეფემერული“ ძიებებით ვერაფერს სძენდნენ მნიშვნელოვანსა და სიცოცხლისუნარიანს ეროვნულ ლიტერატურას.

შეხედულებათა და მხატვრულ-ესთეტიკურ კონცეპციათა ამდაგვარი მძაფრი ურთიერთჭიდილისა და დაპირისპირების ჟამს „ცისფერყანწულთა“ ჯგუფის თავკაცს, როგორც ვხედავთ, სავსებით მართებული პოზიცია ეჭირა და ენერგიულად იღვწოდა კლასიკურ კულტურულ ტრადიციებზე მყარად დაფუძნებული ლიტერატურული აზროვნების შემდგომი წინსვლისა და განახლებისათვის.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

✓ პაოლო იაშვილს არც კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში დარჩენია რაოდენობრივად დიდი მემკვიდრეობა. მაგრამ, სიმცირის მიუხედავად, მისი წერილები უაღრესად მნიშვნელოვანია მე-20 საუკუნის 10—20—30-იან წლების ქართული მწერლობის საკვანძო საკითხების შესასწავლად. მათში მაღალი პროფესიული თვალთახედვითაა დასმული და შეფასებული ეროვნული ლიტერატურის განვითარების მრავალი საჭირბოროტო პრობლემა. ესეისტური ფორმის ამ პატარა-პატარა ჩანაწერებში ემოციური შთამბეჭდაობითა და პოეტური ექსპრესიულობით ვლინდება ავტორის შეხედულებანი და მოსაზრებანი, მისი დამოკიდებულება ლიტერატურულ ტრადიციებთან და იმ პერიოდის შემოქმედებით სიახლეებთან.

პოეტის ზოგიერთი შეხედულება თუმცა დღეს უკვე ყავლაგასულია და მოძველებული, ზოგიც უკიდურესად მაქსიმალისტური და მისივე პოეტურ

ბუნებასთან და შემოქმედებით მემკვიდრეობასთან შეუსაბამოც, მ.გ.რ. მ. მაინც, ყველაფერს ამას, როგორც ორგანულ შემადგენელ ნაწილს ამ საკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისას, სათანადო შეფასება და გაანალიზება სჭირდება.

ამ წერილებში ორიგინალური ფორმით ვლინდება პაოლოს პოეტური ბუნება, მისი შემოქმედებითი სტიქია. აქაც, ამ მშვენიერ ესეისტურ ჩანაწერებში, იგი რჩება ღრმა ემოციებით დამუხტულ პოეტად, რომელიც თავისი შეხედულებებსა და მოსაზრებებს უფრო ხშირად ყოველგვარი დასაბუთებისა და მსჯელობა-ანალიზის გარეშე გვაწვდის ხოლმე. მისთვის მთავარია არა არგუმენტირებული განსჯის გზით მისვლა ამა თუ იმ დებულებამდე, არამედ ამ დებულებათა და მისეულ დასკვნათა უშუალო იმპრესიონისტული გამოხატვა და გამქლავება მკითხველისათვის.

მას, ქართული სიმბოლისტური ჯგუფის თავკაცად აღიარებულ ლიდერს, შეიძლება ითქვას, ყველაზე ცოტა აქვს ნაწერი ამ ჯგუფის საპროგრამო თეორიულ პრინციპებზე. მისი „პირველთქმაც“ კი, სპეციალურ ლიტერატურაში „ცისფერყანწელთა“ მანიფესტად მიჩნეული, არსებითად, კლასიკური გაგებით თუ მივუდგებით, ამ ფუნქციის გამომხატველი დოკუმენტი არ არის. იგი მხოლოდ ემოციური შეფასებაა ზოგიერთი იმ ტენდენციისა, რის დამკვიდრებასაც ქართული მწერლობის ამ ახალი ნაკადის წარმომადგენლები ესწრაფოდნენ ჩვენში.

და მაინც, მიუხედავად ყოველივე შემოთქმულისა, პ. იაშვილი ერთხმადაა მიჩნეული „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის ლიდერად. ეს, პირველ ყოვლისა, მისმა გამორჩეულმა პიროვნულმა თვისებებმა განაპირობეს, მისმა განსაკუთრებულმა როლმა ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა დამეგობრებისა და შეკავშირების საქმეში.

ასე, რომ პაოლო უფრო ორგანიზაციულად და პიროვნულად თავკაცობდა „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ ჯგუფს, ხოლო თეორეტიკოსებად ტ. ტაბიძე და ვ. გაფრინდაშვილი მოგვევლინენ, სხვებთან ერთად. თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების მწყობრად და თანმიმდევრულად ჩამოსაყალიბებლად კი პოლოს მაინცა და მაინც ბევრი არაფერი გაუკეთებია.

მისი წერილების უმეტესობა გარკვეულ შემთხვევებთან დაკავშირებით იწერებოდა. მათ უფრო სუბიექტური, არასისტემური ჩანაწერების სახე აქვთ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პაოლო მის ესეისტიკაში დასმული საკითხების განსჯის დროს ყოველთვის არ იყო თანმიმდევარი. ამისი შედეგია ის გარემოება, რომ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ზოგჯერ დიამეტრალურადაც ეწინააღმდეგებიან ხოლმე ერთმანეთს.

„ცისფერყანწელებში“, ჯერ კიდევ მათი ჯგუფის ჩამოყალიბებამდე, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ცნობილი პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე. ეს, მის დიდ საზოგადოებრივ ავტორიტეტთან ერთად, განპირობებული იყო იმითაც, რომ „ცისფერყანწელთა“ ესთეტიკური შეხედულებანი ზოგიერთ მომენტში ემთხვეოდა არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებებს.

ა. ჯორჯაძე 1913 წელს გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია პროგრესულ ქართულ ინტელიგენციაში. განსაკუთრებული მწუხარებით აღიქვეს ეს ფაქტი პ. იაშვილმა და ტ. ტაბიძემ, რაც სათანადოდ გამოვლინდა კიდევ მათს შემოქმედებაში. 1913 წლის 27 მარტს დაწერილ ესეში — „ცრემლი“ პაოლო გამოსატავს დიდი მამულიშვილის გარდაცვალებით გამოწვეულ წუხილს. ახალგაზრდა პოეტი ამ ტკივილს საქართველოს მწუხარებად მიიჩნევს, რადგანაც არჩილ ჯორჯაძის სიკვდილს მთელი ერისათვის მძიმე დანაკლისად თვლის: „კვლავ, კვლავ გაისკენა შავი საფლავი... ხარბო, უძღებო ცივო მიწავ... ჩვენ სათუთ იმედს, ქვეყნის დარაჯს, ხალხის მეგობარს დღეს შენ გაბარებთ, მოუარე ისე, როგორც შვილს“.

მწუხარებისაგან სასოწარკვეთილებამდე მისული პოეტი აღთქმის ფიცს აძლევს გარდაცვლილს, რომ მის ნააზრევს არ უღალატებს მშობლიური ქვეყანა. აქვე ვლინდება რწმენა იმისა, რომ მომავალში მისი აზრები და იდეები მარადიულად იცოცხლებენ ხალხის გულში.

1913 წლით დათარიღებულ წერილში „ვეფხისტყაოსანი“ და კონსტანტინე ბალმონტი“, რომელიც პარიზში დაიწერა და დაიბეჭდა გაზეთ „თემში“, დიდი სიყვარულით წერს პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ რუს მთარგმნელზე. ინფორმაციული ხასიათის ეს წერილი, მკითხველთა ფართო წრისთვის გამიზნული, გვამცნობს საქართველოსადმი ბალმონტის დამოკი-

დებულების ერთ საგულისხმო მომენტს, კერძოდ, მის ღვაწლს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმეში.

რუს პოეტს ამ გადაწყვეტილების განხორციელების დროს დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ პაოლო და ტიციანი. როცა ბალმონტის დაინტერესების ამბავი შეუტყვია, პ. იაშვილი თურმე თვითონ უკითხავდა: პოემას მას, უთარგმნიდა და თან საჭირო განმარტებებსაც აძლევდა. „ვეფხისტყაოსნით“ მოხიბლულ რუს პოეტს აღტაცებით წამოუძახნია: „მრავალი ქვეყანა მინახავს, ისეთიც კი, სადაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია და საქართველოში, რომელიც ისე ახლოს არის და რომელიც სიყრმიდან მიყვარდა და მიყვარს, ჯერ არ ვყოფილვარ. ეგებ რაღაც ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთველი ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული ყოფილიყო“.

კ. ბალმონტის ამ სიტყვებით აღტაცებული პაოლო პარიზიდან ატყობინებდა „თემის“ რედაქციას, რომ აპრილის შუა რიცხვებში რუსი პოეტი ჩასვლას აპირებდა საქართველოში და ქართული სტუმართმოყვარეობით შეხვედროდნენ მას, რათა კიდევ უფრო განემტკიცებინათ მისთვის სიყვარული „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ხალხისადმი. თვითონ მან კი სიყვარულით თარგმნა ბალმონტის რამდენიმე ლექსი და „თემის“ რედაქციას გამოუგზავნა დასაბეჭდად.

პაოლოს წერილები მარტო მწერლობით არ შემოიფარგლება. მათი ინტერესების სფეროში შემოდის აგრეთვე თეატრისა და მხატვრობის საკითხებიც. საინტერესო წერილი აქვს მას, მაგალითად, დაწერილი იაკობ ნიკოლაძეზე. როგორც ცნობილია, პ. იაშვილი მხატვრობის სპეციფიკას პროფესიონალი მხატვრის დონეზე იცნობდა. ამიტომაცაა, რომ დასახელებული წერილი მაღალი პროფესიონალიზმით ხასიათდება. ავტორი დასაბუთებულად წარმოაჩენს ქართული ქანდაკების მესაძირკვლის ღვაწლს და გამოთქვამს მეტად საყურადღებო მოსაზრებებს. იაკობ ნიკოლაძის იუბილე პაოლოს, იმავდროულად, ქართული ქანდაკების დღესასწაულადაც მიაჩნია. და ეს იმიტომ, რომ იგი გახდა დიდი კულტურის მქონე ერის ისტორიაში სკულპტურული ხელოვნების საფუძვლის ჩამყრელი. „ჩვენ

მგოცე საუკუნემდისო, — წერს პ. იაშვილი, — არა გვქონია არც ერთი ოპერა და არც ერთი ქანდაკების ძეგლი. უსათუოდ ოპერის ისტორია იწყება „აბესალომ და ეთერიო“, ისე როგორც ძეგლი იღია ჭავჭავაძის არის პირველი მაგალითი ქართული შემოქმედების, თანამედროვე ევროპიული გაგებით. ამისთვის ეძლევა ნიკოლაძის იუბილეს ორნაირი შინაარსი“.

ი. ნიკოლაძის შემოქმედების უმთავრეს ღირსებად პ. იაშვილს ეროვნულობა მიაჩნია. საფრანგეთში, როდენთან განსწავლულ ქართველ მოქანდაკეს, არც დაფასება მოაკლდებოდა და პირობებიც ბევრად უკეთესი ენებოდა, ვიდრე საქართველოში, — აღნიშნავს ესეისტი, — მაგრამ მან მაინც სამშობლოს მოაშურა, „გაგიჟებამდის საყვარელ სამშობლოს“, რითაც, როგორც ხელოვანმა, უდიდესი მსხვერპლი გაიღო. „პარიზში მას შეიძლებოდა გასჩენოდა მეტი თაყვანისმცემელი და დამფასებელი“, მაგრამ იაკობი არ აყვა ასეთ ვნებებს, არ გაცვალა სამშობლო ყალბ დიდებაში და არასოდეს გასჩენია „სურვილი დეზერტირობისა“. ამიტომაც თვლის პოეტი, რომ ქართველმა ხალხმა მას შემოქმედებითი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე „ყურადღება და მოფერება“ არ უნდა მოაკლოს.

ერთი დეტალიც არის საინტერესო ამ პატარა წერილში. ეს არის მძაფრი სურვილი იმისა, რომ თბილისი დაამშვენოს იაკობ ნიკოლაძის მიერ აგებულმა ძეგლმა, ძეგლმა, რომელიც ისე აკლია ჩვენს დედაქალაქს, „როგორც თავისუფლებათ“, — დასძენს დასასრულ პოეტი. ამ შედარებაში შენიღბულად, დაფარული ყრუ გმინვითა და ტკივილით, თითქოსდა შემთხვევით გამოხატავს პოეტი თავის ცნობიერ დამოკიდებულებას რუსული ბოლშევიზმის კირთებით დამონებული და თავისუფლებადაკარგული სამშობლოსადმი.

ასე განადიდებს პ. იაშვილი ღვაწლს მოქანდაკისას, ვისი სახელიც ქართული ქანდაკების ისტორიაში, მისი აზრით, ისე იბრწყინებს, როგორც გუტენბერგისა კულტურის ისტორიაში.

ასევე საინტერესოა ფიროსმანისადმი მიძღვნილი ესე, რომელშიც პაილო ჩვენი ერის გამოუსყიდველ „დანაშაულად და სირცხვილად“ თვლის

დიდი მხატვრისადმი თანამედროვეთა მიერ გამოჩენილ გულგრილობას, რის შედეგადაც ეს გენიალური ფერმწერი ისე განუმორა ამ ქვეყანას, რომ მისი საფლავიც კი დაეკარგა შთამომავლობას. და ეს მაშინ, როცა იგი „მოკვდა ჩვენს დროსა და ჩვენი თვალის წინ“. პოეტი გულისტკივილით წუხს იმის გამო, რომ ეს „დიდი მხატვარი და ადამიანი არ შევინახეთ“ და უკვალოდ დავკარგეთ. ქართული გულგრილობით ჩადენილი ამ დანაშაულის გამოსასყიდად პაოლო ნატრობს იმ იღბლიან ადამიანს, რომელსაც მომავალში „ერგება ბედნიერება“ ფიროსმანის საფლავის ნახვით ფიროსმანის მკვდრეთით აღდგომისა და ახლად აღმოჩენისა.

ეპილოგის მაგიერ

როგორც დაინტერესებული მკითხველი დაინახავს, წინამდებარე მონოგრაფიის მიზანია სიღრმისეულად გაანალიზდეს პაოლო იაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველი მნიშვნელოვანი მხარე. ეს ანალიზი, შეძლებისდაგვარად, განუყოფელადაა დაკავშირებული მწერლის დროინდელ ლიტერატურულ პროცესებთან, პირველ ყოვლისა კი „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებით მემკვიდრეობასთან, ყურადღება აქვს მიქცეული იმ შინაგან გენეტიკურ კავშირებს, რომლებიც პაოლოს პოეზიასა და ლიტერატურულ ტრადიციებს შორის არსებობს.

ამგვარად, თუ პრეტენზიულ განცხადებამდე არ ჩამეთვლება, ვიტყვი, რომ ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ცდა და მონდომება არ დამიკლია დასახული მიზნის მისაღწევად. გულით მსურდა დამეწერა წიგნი, რომელიც საფუძვლიანად, ყველა მნიშვნელოვანი მომენტის გათვალისწინებით, წარმოაჩენდა „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის თავკაცის ღვაწლსა და დამსახურებას მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობის ისტორიაში. ამ მიზანსწრაფვას საფუძვლად ედო და განსაზღვრავდა არა მარტო პაოლოს პოეზიისადმი დიდი სიყვარული, არამედ პატივისცემა და მადლიერება იმ ავტორებისადმიც, რომელთაც თავიანთი წვლილი შეიტანეს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისა და ღირსეულად დაფასების საქმეში.

და აი, წერტილის დასმის დროც დადგა, ამ წიგნისათვის წერტილის დასმის დრო. რასაკვირველია, ეს სრულებით არ ნიშნავს იმის თქმას, თითქოს ამით ყველაფერი დასრულდა და პაოლო იაშვილის ლიტერატურული ღვაწლის ყველა ასპექტი ამომწურავად გაირკვა და განალიზდა. რა თქმა უნდა, არა.

მაგრამ, თუკი დაინტერესებული მკითხველი წინამდებარე მონოგრაფიაში პაოლოს შესახებ ისეთ ახალ და საგულისხმო რაიმეს ნახავს, რითაც კიდევ უფრო გაუძლიერდება ინტერესი და სიყვარული „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის თავკაცის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი, მიზანს მიღწეულად ჩავთვლი.

აქვე იმასაც დავუმატებ, რომ წიგნში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულ ყოველ საქმიან რჩევასა და შენიშვნას დიდის მადლიერებით მივიღებ და შეძლებისდაგვარად გავითვალისწინებ მომავალი მუშაობის დროს.

1990—1992 წწ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა თ ქ მ ა	3
ცხოვრების გზა	7
თვითშეკვლელობა	36
ეურნალი „ოქროს ვერძი“	80
ეურნალი „ცისფერი ყანწები“ და ლიტერატურული საზოგადოება	96
„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის თავკაცობა	142
„ძმობის შეშვერელი“	171
ქართული თეატრის მოამაგე	188
რკინის ლაგამი	192
„სიტყვის მადანი“	215
„ელენე დარიანის დღიურები“	247
„ნაღმიანი სიტყვის“ პოეტი	256
პ რ ო ზ ა	287
თარგმანები	293
წერილები	296
ეპილოგის მაგიერ	301

**ტექნოლოგიური ვრ. სოფრომადე
კორექტორი თ. ციბაძე**

**ნაბეჭდი თაბახი 16,12
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,18**

**შეკვეთა № 173
ტირაჟი 500**

**ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,
ქუთაისი, 384000, თამარ მეფის ქ. № 59.**

**ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა,
ქუთაისი, 384000, რუსთაველის გამზირი № 9.**